



საბავშვო ჟურნალი

№

სსსს

1.  1999

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოლოგიის ფაკულტეტი

ლიტერატურა და სხვა

№ 1

თბილისი  
1999

სარედაქციო საბჭო: ზაზა ალექსიძე, გურამ ბენაშვილი, ვიქტორ ბიჩკოვი, ლუიჯი მაგაროტო, როინ მეტრეველი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ტატიანა ნიკოლსკაია, თედო ნინიძე, სტივენ ჯონსი

მთავარი რედაქტორი: ამირან გომართელი

სარედაქციო კოლეგია: გიორგი ალიბეგაშვილი, კახა ჯამბურია (მთავარი რედაქტორის მოადგილეები), ოთარ ბაქანიძე, იგორ ბოგომოლოვი, რისმავ გორდუზიანი, მურმან თავდიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), თენგიზ კიკაჩიევილი, ზურაბ კიკნაძე, ლევან მენაბდე, რევაზ მიშველაძე, რევაზ სირაძე, ელგუჯა ხინთიბიძე

იბეჭდება ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ ტექნიკური ხელშეწყობით ( HESP 12/98)

## დღევრძელი და მზევრძელი ყოფილიყოს!

ნათქვამია, რამდენი ენაც იყო, იმდენი კაცო ხარო. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს უნივერსიტეტზე. რაც უფრო მეტი წიგნი, გაზეთი და ჟურნალი გამოვა, მით უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახდება ჩვენი ცხოვრება. მეტი ჟურნალ-გაზეთი აზრთა ურთიერთგაზიარების მეტი შესაძლებლობაა. ჩვენ გვაქვს ამის მყარი ცრადია: გამოდის საუნივერსიტეტო გაზეთი. ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებულ იქცა აღმანახი პირველი სხივი.

ქმყოფილებით აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელ ხანს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვამბილი უარყო საშუესიერო-საგამომცემლო საქმიანობა (ვგულისხმობ ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების“. აგრეთვე მთარგმნელობითი აღმანახის - ექო სახიერის" გამოცემას) კიდევ ერთი დასტურია ჩვენი ზრდისა. ჩვენში დაწყებული სასიკეთო ჰერებისა. მივესალმება თქვენს წადილს. გამოიყეს კიდევ ერთი ახალი ჟურნალი - ლიტერატურა და სხვა.

წინა საუკუნეში ნიკო ნიკოლაძე დაადობდა: ქართველებმა ახალი საქმის წამონყება დიდი რიხითა და აურზაურით ვიციოთ. იღონდ შემდეგ მისი გაგრძელება და დაგვირგვინება გვიქირსო. ღმერთმა ქნას. თქვენს ჟურნალს მსგავსი ბედა ასცლებოდეს. ფილოლოგიის ფაკულტეტზე თაუჩენილი ეგ ნაკადული ისე მომძლავრებულიყოს. რომ მდინარედ გადაქეყულიყოს და მისი ხმა მთელს საქართველოს გაფეროს.

დღევრძელი და მზევრძელი ყოფილიყოს ეს ახალი ჟურნალი!

რექტორი, აკადემიკოსი

რ. მუცრეველი

თავან მხხუე, ჩვენო ერგნადის ხერაქცთა გურწხფურად ურთოცავს ბიეტან ზოინ მუცრევერის დაბადებან 60 წლისთავს და მადლობან მთახსენებან ამ თანადგეთაშინათვან, მასაც თგო თქუნს ფართოცავთან ფაჯურცევერან სიგამთმცერად საქმიანობან მასინთ.

სიუბადეთ თანადს ფურთოცავთ ჩვენო სურთოცავთან წერებან, ფართოცავთან ფაჯურცევერან კათარებან გამწერებან, მთაფრესებან: **რევან მენადელსა და ხევახ შიშვერიძეს.**

გუნდებან დონსურ თებარებან დღევრძელთანსა და წამადებან სინთადარებან, საქმუნაებან და შემთქმველებან ამხსენსუ.

## სარჩევი

წინათქმა.....	6
---------------	---

### ტექსტი — როგორც მხატვრული საიდუმლო

<i>ზურაბ კიკნაძე</i> მთანმინდის მთვარე .....	9
<i>ლანა კალანდია</i> აკა შორჩილაძე, „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ (ციტაციის ფუნქციისათვის) .....	16
<i>ელგუჯა ხინთიბიძე</i> ქართული წმინდა მამის აზრი ბერძნულ-რომაულ საეკლესიო კონფლიქტზე XIII საუკუნის ლათინურ კრებულში.....	22
<i>ლუიჯი მავაროტო</i> მითი და პოეზია (იტალიურიდან თარგმნა მიაი ჯავეახიძემ).....	26

### ტექსტი — როგორც დისკურსი

<i>დონალდ რეიფილდი</i> ქართული ლიტერატურის ძლიერი და სუსტი მხარეები (ინგლისურიდან თარგმნა ეკა ქუთათელაძემ).....	50
---	----

### პერსონალია

<i>თამაზ ჯოლოგუა</i> დიმიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობისათვის.....	64
<i>ვახტანგ იმნაიშვილი</i> „მათ სამთა გმირთა მნათობთა“ .....	73

### ხელოვანთა კაბადონი

<i>თინა ჩხაიძე</i> ყოფიერების მსხვერპლი (დავით კლდიაშვილის სამყარო თეატრის რეჟისორთა თვალთ).....	80
<i>თემო ჯაფარიძე</i> პეტრე ოცხელი.....	90

## მემორიალი

**ირაკლი აბაშიძე - 90**  
როინ მეტრეველი  
ნაწყვეტები მოგონებათა წიგნიდან..... 99

**ამირან გომართელი**  
პალესტინის მისტერია ..... 102

**გრიგოლ კიკნაძე - 90**  
ჯუმბერ ჭუმბურიძე, ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძე  
დიდი სიცოცხლის უკვდავება..... 105

**აკაკი შანიძე**  
შეხვედრები ვაჟა ფშაველასთან..... 111

## სხვათა საუნჯე

**პაველ ფლორენსკი**  
მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი  
(თარგმნა გიორგი ალიბეგაშვილმა)..... 115

## სამომავლო ფიქრები

**კახა კაციტაძე**  
კავკასია დამოუკიდებლობასა და მოდერნიზაციას შორის..... 133

**მიხეილ ლანიშაშვილი**  
არმია და რელიგია..... 140

**დავით გორდეზიანი**  
ინტერნეტი დღეს, ხვალ ..... 145

## სპორტული რუბრიკის მაგიერ

**გიო ახვლედიანი**  
საფეხბურთო საღამო..... 148

## წინათქმა

აჰა, მიიწურა ბოლო საუკუნეც მკორე ათასწლეულისა ქრისტეს აქეთ. საუკუნე დიდი იმედებისა და კატაკლიზმებისა, მსოფლიო ომებისა, უტოპიური იდეების მსხურველისა, დეკლარირებისა, ადამიანის საუოველთაო უფლებათა დეკლარირებისა, არნახული ტექნიკური წინსვლისა და ინფორმაციისა, რომელმაც კიდევ დაახლოვა ქვეყნები და ხალხები და კიდევაც დააპატარავა ჩვენი ბებერი დედამიწა.

და მაინც, მიუსუდავად უოველივე ამისა, ვერ ვიტყვით, რომ კაცობრიობა დღეს უფრო ბედნიერია ან უბედური, ვიდრე ორი ათასი წლის უკან. ჩვენ ისევ ისე გვიკვარს, გვკულს და ვვწრადფით, როგორც უხსოვარ წარსულში. მიზეზი ამისა ერთადერთია — არ შეცვლილა ადამიანის ბუნება!

ჩვენც, ქართველნიც, არ შევცვლილვართ თითქოს. ისევ ძველი და უღვევი სატკივარი გვაქვს — არსებობის შენარჩუნება მსოფლიო ოკეანეში; ჩვენს ბედს ვუჩივით და უოველივეს დაეინებით გარეშე მტერს ვაბრალდებთ. არადა, მიზეზი ეგებ გარეთ კი არა, მიგნით იუოს საძებარი. ეგებ საქმისა თუ მოვლენისადმი ჩვენეული დამოკიდებულებაა დამნაძავე ჩვენს შინაგან მოუწუობლობაში. ეგებ ეველა არ ვაკეთებთ იმ საქმეს, რისთვისაც მოწოდებულნი ვართ. ესეც გახლავთ ერთ-ერთი წინაპირობა, რამაც გადაგვანუკვეტინა ქურნალის გამოცემა, რომლის უპირველესი დანიძნულება კონკრეტული საქმე — ლიტერატურის სამსახური იქნება (ჩვენი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე).

ლიტერატურის მსახურება ჩვენ ძალადი იდეალების სამსახურად — წარსულის, აწმეოსა და მერმისის მთლიანობაში გააზრების საშუალებად გვესახება. ერთი მშვენიერი მეგონებისა არ იუოს: „ლიტერატურა ერთი რამით საშუაროს ალქმის ძველისძველ მოდელს იმეორებს — აქ სუბსტანციური მხოლოდ სიკეთა“. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ დრო შეიცვალა და ის, რასაც თხუთმეტსაუკუნოვან მთლიანობას ვუწოდებთ (ანუ ჩვენი მწერლობა), ახლებურ მიდგომასა და გააზრებას საჭიროებს.

„ლიტერატურა და სხვა“ — ახე ვუწოდეთ ჩვენს ქურნალს. ამ სახელწოდებით ადრე, 20-იან წლებში, ქართველი ფუტურისტები სცემდნენ ლიტერატურულ აღმანახს. ჩვენი გამოცემა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს გარდასული ეპოქის რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის გაცაცხლებას. მისი მიზანი, უპირველეს უოვლისა, საუკეთესო მეცნიერული ტრადიციის გაგრძელებაა ახალი ათასწლეულის მიჯნაზე. მაგრამ ეს სახელი მაინც მარჯვე და ჩვენი მიზნებისათვის შესაფერისი გვეჩვენა, რადგანაც

განზრახული გვაქვს, მარტოოდენ წმინდა ლიტერატურული საქმიანობით არ შემოვიფარგლოთ და შეძლებისდაგვარად დავუთმოთ ყურადღება საზოგადოებრივი უოფის სხვა მხარეებსაც. ლიტერატორთა ეს თამამი სურვილი, ვუფირობთ, დასაძრახნი არ უნდა იუოს, რადგან უველა დროსა და ეპოქაში, უოველი ხალხის ცხოვრებაში (მით უფრო ჩვენში) მწერლობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ავანგარდშია.

როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“ არ შემოიფარგლება მხოლოდ მხატვრული აზროვნების სხვადასხვა ახვეტის ახახვით. იგი ფართო სვეტრის ჰუმანიტარული გამოცემაა, ორიენტირებული ზოგადკულტუროლოგიურ პრობლემატიკაზე. ამასთანავე, მიზნად ისახავს თანამედროვე მეცნიერული აზრის მიღწეების წარმოჩენასა და ინტელექტუალურ ძალთა გამოვლენას.

ჟურნალში საგანგებოდ გამოიყოფა სადისკუსიო პრობლემები ქართული კულტურის ისტორიიდან, რისთვისაც თანამშრომლობისათვის ვიწვევთ უცხოელ ქართველოლოგებს.

„ლიტერატურა და სხვა“ გვინდა იუოს ფიქრი საკუთარი ეროვნული მეობისა და სხვათა გამოც. რედაქციის მიზანია, ქართული კულტურა გააზრებულ იქნეს ზოგადევროპულ კონტექსტში, რასაც ერთგვარად დაეხმარება ჟურნალის საგანგებო რუბრიკა — „სხვათა საუნჯე“. აქ წარმოდგენილი იქნება ქართული მეცნიერული აზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები.

ლიტერატურა ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია იმ ზოგადი ცნებისა, რასაც ხელოვნება ჰქვია. ქართველ ლიტერატორთა და ხელოვანთა ურთიერთთანამშრომლობისათვის ხელის შეწეობაც ჩვენს ძირითად საზრუნავად გვესახება.

ჟურნალი მკითხველს შესთავაზებს ჩვენი კულტურული წარსულისათვის ფასეულ საარქივო მასალას; სადღეისოდ იშვიათ, ნაკლებად ხელმისაწვდომ გამოკვლევებს (ე.წ. რარიტეტებს). ვუფირობთ, ხელახალი ჰუმბლიკაცია უმკველად დაეხმარება ჩვენს სტუდენტობას პროფესიული სრულეოფის გზაზე. განზრახული გვაქვს, გვერდში ამოვუდგეთ და შევეშველოთ სასკოლო რეფორმას.

რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პოლიტოლოგიურ გამოკვლევებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, თუმც არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის ინტერესს. სამოქმედო მიზანს ოდენ დიდი ილიას განზრახვას ვუქვემდებარებთ: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.



ეს სურვილი მით უფრო მძლავრია დღეს, როცა იმ „ჩუმის ნატურის“ რეალური აცხადება ხდება, „რასაც დღედაღამ ნატრულობს ქართული“. ამ ნალოლიაკებ და ნასათუთარ ნატურას, თავისუფლება რომ ჰქვია, მაშინ უძლევა რეალური სახე, თუ იცი, რა უნდა მოიმოქმედო ტყვეობიდან თავდასხსნილმა. ეს რა, ჩვენის ფიქრით, საკუთარი მეობის განმტკიცებაა, საკუთარი წარსულისა და აწმუოს გამთლიანებასა და სულიერებაზე ზრუნვაა. სულიერება კი ქვაკუთხედია შემოქმედებითი პრომიხა და აღმაფრენისა. ასე რომ, დადგა ქაში, როცა თითოეულმა უნდა გავითავისოთ და სამოქმედო დევიზად ვაქციოთ — „მუშა მიწეივ მუშაკობდეს!“

ჩვენი ჟურნალიც ამ ერთ რიგით მუშაკად მიგვაჩნია უკანასკნელ ათწლეულში საკმაოდ მომცდარ სალიტერატურო ანჰარესზე. მით უფრო, როცა სამკალი ფრიად არს ...

ამ რწმენით ვიწუებთ საქმიანობას.

ასე რომ (კვლავ ილიას დავესესხებით) — „ვსა მონიმნული და არჩეული აქვს ჩვენს ჟურნალს“.

უნახოთ, როგორ გაიუღის!

## ტექსტი — როგორც მხატვრული საიდუმლო

ზურაბ კიკნაძე

### „მთაწმინდის მთვარე“

გალაკტიონის პოეზიის ზერელე გაცნობითაც კი ცხადი ხდება, რომ 1915 წელი მის შემოქმედებაში გადაწყვეტი იყო. ამ წელს დაემთხვა აკაკი წერეთლის გარდაცვალება. ამ წლიდან, უფრო ზუსტად, 14-15 წლების მიჯნაზე იწყება დიდი სიახლე მის შემოქმედებაში. ის სიტყვები, რომლებიც გალაკტიონმა ილიას დაღუპვას მიუძღვნა, „შამინ ეპოქა დამთავრდა დიდი“, შინაგანი აზრით, მისი პიროვნული გამოცდილების აზრით, უფრო აკაკიზე შეიძლება თქმულიყო. ეს ლექსი უკვე ახალი გალაკტიონის დაწერილია, უკვე კარგახნის მოპოვებული საკუთარი ენით (1920 წ.). პოეტი აქ ამბობს ეპოქის დასასრულთან ერთად „ძველი სიმღერის“ დამთავრებაზე და „ფანტასტიური ხილის“ გამოჩენაზე, რომელმაც ის თავის საკუთარ სამყაროში გადაიყვანა. აქვეა „ახალი ლანდი“, რომლის ხსენება არ არის შემთხვევითი.

მიუხედავად პოეტის შემოქმედების პერიოდიზაციის პირობითობისა გალაკტიონს ნამდვილად ქონდა პერიოდი, რომელიც დაძლეული იქნა. ეს იყო ნამდვილად განვლილი პერიოდი, მაგრამ პერიოდი აქ არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ სალიტერატურათმცოდნეო ცნება. ეს უფრო ეგზისტენციალური კატეგორიაა - შემობრუნება საკუთარი თავისკენ, საკუთარი თავისა და, რაკი საქმე პოეზიას ეხება, ენის პოვნა. როგორც ჯეჟარის მიერ საქადავოდ „დაჭერილი“ გატანჯული ადამიანი (ალმოსავლეთ საქართველოს საფრთხეში) „გასულფონების“ შემდეგ „გამოიღებს ენას“, ასე გალაკტიონის ცხოვრებაში მომხდარა გასულფონება და ის აკაკის ხელახალი შეცნობის გზით მოხდა. შემობრუნების გზამ საკუთარისკენ აკაკიზე გაიარა. მაგრამ აკაკი მისთვის აღმოჩნდა არა ფენომენი, არა მოვლენა, არამედ ნოუმენი, რომელიც ღვას ამ მოვლენის უკან და ჩვეულებრივი თვალისთვის უხილავია.

აკაკი 1915 წლის დასაწყისში გარდაიცვალა (26 იანვარს - დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს), ამიერიდან გალაკტიონს თანსდევს მისი ლანდი, მის პოეზიაში ამიერიდან ცნობიერდება აკაკის არსებობა. აკაკი მსკეპლავს მის, როგორც პოეტის, პიროვნებას. ერთგან ის წერს: „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი პროგრამული ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი (ბარათაშვილი, აკაკი, მე)...“ და სხვა ადვილას: „ამ ლექსში უთუოდ ჩანს პოეტი“, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს რა თავის თავს ნიკოლოზ ბარათაშვილის და აკაკი წერეთლის პოეზიის მემკვიდრედ“.

რა შეიძლება ითქვას პოეტის ამ სიტყვებზე? აქ შეიძლება შევნიშნოთ შეუსაბამობა რეალურ განცდასა და მის სიტყვიერ გამოხატულებას შორის. მხოლოდ „კულტურულ მემკვიდრეობას“ ხედავს პოეტი ამ ორ „კორიფეში“? ის, რასაც მისთვის ამ ეპოქაში აკაკი განასახიერებდა, მხოლოდ

მემკვიდრეობა (თუნდაც კულტურული), თუ სხვა, უფრო სიღრმისეული, ეგზისტენციალური ღირებულებების მატარებელი რამ? იქნებ პოეტის ეს აღიარება არცთუ წარმატებული კომენტარია „მთაწმინდის მთვარეზე“, რომლის შეფასებასაც ავტორი ლიტერატურის ისტორიკოსივით „ობიექტური“ თვალთ ცდილობს?

1919 წლის ერთ ჩანაწერში პოეტი თითქოს უახლოვდება სინამდვილეს, თითქოს მისი სიტყვები უფრო ადეკვატური ხდება იმისა, რასაც ის რეალურად უნდა განიცდიდეს აკაკის ფენომენის სახით:

„არავისზე საქართველოში იმდენი არ ულაპარაკნიათ, რამდენიც აკაკიზე... საკმაოდ დამახასიათებელია მისი ბუნება, აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცნეს, ჭეშმარიტად აკაკი ძველი საქართველოს მოლანდებია. იგი თითქოს განგებ ამოვიდა საფლავიდან, რომ კიდევ რამდენიმე სურათი დაეხატა; ეს იყო მხატვარი, რომელმაც თავისი თავი თვითონ გამოიძახა საფლავიდან. მასთან დამარხულ და მასში გაგრძელებულ სიოცხლის სიტყვის ძალით. აქვს აკაკის ისეთი ლექსები, რომელსაც უნდა ეუტყვიროთ მეთორმეტე საუკუნის ქართველის თვალთ“. და კიდევ, ჩანაწერის დასასრულს: „აკაკი კვდებოდა და მისი დამაუალი მზის ნათელი ანათებდა მთების მწვერვალებს და ამსვავსებდა მათ მეფეებს თავზე ოქროს გვირგვინებით“.

აქ ლაპარაკია უფრო მეტი ღირებულების საგანზე, ვიდრე შეიძლება „კულტურული მემკვიდრეობა იყოს“. ამ სიტყვებს ლაპარაკობს ადამიანი, რომელიც ძალბოსილია უფრო მეტის სალაპარაკოდ, ვიდრე ამის უფლება ლიტერატურის ისტორიკოსს შეიძლება ჰქონდეს. რასაც ამბობს, ეს მისი შინაგანი გამოცდილებაა. ცხადია, ამ სიტყვების ავტორი უფრო მეტს თავისი პოეზიით გააცხადებდა. არ შეეცდები ამ ჩანაწერის მის მთლიანობაში შეფასებას. მხოლოდ ყურადღებას მივაქცევთ ორ სიტყვას - ორ რეალიას: „მოლანდებას“ და „საფლავს“. ისინი ჩვენ მიგვიყვანს „აკაკის ლანდამდე“ და „მთაწმინდის მთვარემდე“, რომლებიც დაწერილია აკაკის გარდაცვალების წელს (რომელ თვესა და რიცხვში, უცნობია).

მაგრამ არსებობს „აკაკის ციკლის“ კიდევ ერთი ლექსი, დაწერილი ტრადიციული მეტაფორიკით და ლექსიკით, თუმცა ის არ გამოირჩევა განცდის სიწრფილეს და სიღრმეს. ის დაწერილია აკაკის გარდაცვალების დღეს, 26 იანვარს, მამასაღამე, ტრაგიკული მოვლენის უშუალო შთაბეჭდილებით და სათაურად უზის „აკაკის გარდაცვალების გამო“, ლექსის რეფრენია „არ მომკვდარა, არა!“ - ექო თავად აკაკის სიტყვებისა, რომლებიც მან „მძინარე საქართველოზე“ წარმოთქვა („არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“). ამ ძველი სტილის ლექსში გამოირჩევა თავის სიმღიერით სტრიქონი „დათრგუნა და შეჩაქვანა თუთ საფლავის ჩრდილი“, სიტყვები, რომლებშიც, როგორც თვსლში, ძვეს (თითქოს სძინავს) სხვა ლექსის - „აკაკის ლანდის“ მარცვლი. აქვეა პირველად ნახსენები „ლანდი“ აკაკის მიმართ, რითაც კავშირია გაბმული იმ ორ ხსენებულ ლექსთან („მთაწმინდის მთვარესა“ და „აკაკის ლანდთან“). აქვეა პირველად მის პოეზიაში ნახსენები „მოხუცი მგოსანი“, რაც ამ ორ ლექსში, განსაკუთრებით კი „მთაწმინდის მთვარეში“, მნიშვნელოვანი აზრის მატარებელია. შემოქმედებითი მანძილი ამ ლექსიდან „აკაკის ლანდამდე“ შესაძლებელია, თვეზე ნაკლები, თითქოს იმეორებს იმ გზას, რომელიც პოეტმა გაიარა საკუთარი ენის პოვნამდე.

„მთაწმინდის მთვარეში“ აკაკის ხსენება თითქოს ეპიზოდურია, თითქოს ის მთაწმინდის ლანდამდგის მხოლოდ ნაწილია, მაგრამ მას შუაგულური ადგილი უჭირავს ლექსის სიუჟეტში. სტრიქონი „აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილებს“, რომელიც თითქოს მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა, ლექსის ბოლოს პიროვნულ-ეგზისტენციალურ ამოცანად გარდაიქმნება: „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვებები“.

ამჟამად აღარბიბებს „მთაწმინდისმთვარიულ“ ხილვის საზრისს „მოხუცის ლანდის“ შენაცვლება „აკაკის ლანდით“ (ასე იბეჭდება უკანასკნელ გამოცემებში). „მოხუცი“ იტყვის აკაკისა და სიმბოლოსა, რომლის შესახებ თუმცა გვიან (ე.გ. იუნგის შრომების შემდეგ) შეიქნა ლაპარაკი, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გალაკტიონს ღრმად უნდა განეცადა მოხუცის არქტიპული მნიშვნელობა. ბოლოს და ბოლოს ის, რაც ფსიქოლოგმა იუნგმა აღმოაჩინა, ხომ აღამიანების (განსაკუთრებით, შემოქმედთა) ცნობიერებაში არის დაკული. არქტიპათა შრის „აღმოჩენა“, ამჟამად განმარტავს „მოხუცის“ არქტიპს: ეს არის უკვადვი სული, რომელიც ანათებს ცხოვრების ქაოტურ სიბნელეს ნათლის სხივით. ამრიგად, აკაკი პოეტს ევლინება („ელანდება“), როგორც დასაბამიერი „მოხუცის“ იპოტასის, რითაც პიროვნული ყოფიერება მარადისობაში გადადის („ილანდება“). მთაწმინდაც ამიტომაც მარადიულ სამყოფლად არის აღქმული პოეტის მიერ.

„მთაწმინდის მთვარეს“ წინ უძღვის „აკაკის ლანდი“, რომელიც აკაკის გარდაცვალების ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი (ყოველ შემთხვევაში ამას მოწმობს გა.ზ. „ახალი კვალის“ 1915 წლის №1 სადაც ის პირველად დაიბეჭდა). ეს ლექსი შეიძლება უფრო მეტად იყოს პროგრამული, ვიდრე „მთაწმინდის მთვარე“. ეს არის ლექსი-ხილვა, ვიზიონი ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, და არა სუბიექტური მოლანდება, თუმცა ავტორი წწორედ ამ სიტყვას („მოლანდება“) იყენებს ამ ზებუნებრივი მოვლენის გამოსახატავად, და ხილვის ობიექტიც „ლანდად“ იწოდება.

1919 წელს, როცა გალაკტიონი წერდა, რომ „აკაკი იყო მხატვარი, რომელმაც თავისი თავი თვითონ გამოიძახა საფლავიდან“, მაშინ უკვე არსებობდა ლექსი „აკაკის ლანდი“. გალაკტიონის ეს სიტყვები თითქოს კომენტარია საკუთარ ლექსზე, სადაც აღწერილია ეს „გამოძახება“. მისთვის აკაკი ამოვიდა საფლავიდან, რათა დაეხატა „რამდენიმე სურათი“, შეექმნა მისი ლექსის („აკაკის ლანდის“) ილუმალი გარემო. ერთგან ის წერდა: „მისი საფლავი არის დაუვიწყარი და სამუდამო. კურთხეულ იყოს მისი სახელი!“ „აკაკის ლანდი“ აკაკის „მარადიული საფლავით“ არის შთაგონებული, ამ ლექსით თითქოს აკაკიმ აჩვენა თავისი მარადიული სახე. თუ შევადარებთ ამ ლექსს გალაკტიონის იმ ხანებში შექმნილ „განწირული სულისკვებების“ ლექსებთან, დაერწმუნდებით, რომ მასში გაცხადებული პარამონია აკაკის მოლანდებით არის შთაგონებული. ლანდი, აჩრდილი მისთვის უფრო ცხოველყოფელი აღმოჩნდა, ვიდრე ყოველი ცოცხალი, მისი თანამედროვე, როგორც ამავე ხანებში აქვს ნათქვამი, რომ ემპირიულად არსებული არის „მყივრალა, სუსტი და დღევანდელი“. დღევანდელი აქ ისეთივე ონტოლოგიური (არადროცამული) ღირებულებისაა, როგორც მისი ანტიპოდური „მეთორმეტე საუკუნე“, რომელსაც რაიმე დაზუსტების გარეშე ახსენებს აკაკისთან კავშირში.

და აი, აკაკის მოლანდებამ შექმნა ეს ლექსი - „აკაკის ლანდი“, მაგრამ მას წინ უძღოდა არა მხოლოდ ზემოთ ნახსენები ძველი, არა ახალი „სტილით“ დაწერილი „აკაკის გარდაცვალების გამო“, არამედ არა ერთი და ორი ვარიანტი მისი, ასევე კვლავ ძველი „სტილით“ ნაწერი. დიდი ნახტომი ამ ვარიანტებსა და საბოლოო ტექსტს შორის, რომელიც მოიწონა ავტორმა და დაიბეჭდა 1919 წლის კრებულში (მისი ლექსების მეორე წიგნში). ეს მით უფრო საკვირველია, რომ ფერისცვალება ძველიდან ახლისაკენ სულ მცირე ხანში, ერთი ლექსის წერის პერიოდში მოხდა. პოეტს სურდა ხილვა, მინ-აგანი ეპოციდობა, რაც შეიძლება, სრულყოფილად გამოეთქვა. ვარიანტების სიმრავლე მოწმობს, რომ ეს ლექსი, ანუ ის, რაც ლექსად უნდა გამოთქმულიყო, მნიშვნელოვანი იყო მისთვის. აქ მხოლოდ აკაკის, ფამიერი და წარმავალი კაკის, თუნდაც დიდი მგოსნის, „მოლანდება“ კი არ უნდა

აღწერილიყო. არამედ ხილვა იმ „მეთორმეტე საუკუნისა“, რომელშიც ორივე პოეტის ოცნებით იხატებოდა მარადიული სამშობლო.

ლექსის საბოლოო ტექსტში უკუვადებულია კონკრეტულობა იმ ლანდშაფტისა, სადაც უნდა გამოჩნდეს „მოხუცის ლანდი“. ეს იყო აკაკის მშობლიური კუთხე - საჩხერე მისი მდინარითურთ („მშფოთვარ ყვირილას ჩქარი ზვირთები“) და ქვეყნის ეპიკური-ისტორიული ყოფა - კონტრასტი ხილვის დიდებულებასთან (ეს იყო „განადგურებულ ქართლის მახლობლად...“, სადაც „არ არის წმინდა უმწიკლო გრძობა და საქართველო საქართველოში“, რომელსაც არ დაუბრუნდება აკაკი: „და შენი ქვეყნის საცოდავ შვილებს არ ნახვა კიდევ...“). უფრო მეტიც: ის საბოლოოდ გაუზბის თავად ლექსის გმირის, მისთვის ძვირფასი სახელის ხსენებას. თავდაპირველი „შორით გამოჩნდა აკაკის ლანდი“ იცვლება ასე: „გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი“. უარყო თავდაპირველი „მწუხარე ლანდი... აკაკის ლანდი“ და შეუნაცვლა მას საბოლოო „მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი“. არა უბრალოდ ვიზუალური - „მომავალ შგონის ფეხის ხმას გრძობდა“, არამედ მხოლოდ სმენითი - ხატი „მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძობდა“. რადგან არ უნდა ჩანდეს, ვისი ფეხის ხმაა: ის ლანდია. ძნელია, უფრო ზუსტად დახასიათება აკაკის ფენომენისა, ვიდრე ეს ამ ორმა სიტყვამ - „მძიმე“ და „დაღლილმა“ გადოსცა. ავტორი იმდენად გაუზბის ხილვის სხეულბრივად გამოხატვას, რომ ელევა მისთვის მნიშვნელოვან კონცეპტუალურ სიტყვა-ცნებას „მოხუცის“. როცა სტრიქონს „გრძობდა მოხუცის მოახლოებას“ ცელის სტრიქონით „გრძობდა თანაბარ მოახლოებას“, სადაც „თანაბარმა“ მიგვანიშნა (და მის თანამედროვეთ შეახსენა) მსვლელის პარპონიულ ბუნებაზე, როგორც იყო აკაკი.

ისიც შესანიშნავია, რომ ლექსში არ ჩანს ავტორის მე, როგორც სხვაგან, როგორც „მე და ლამეში“. ის არ ლაპარაკობს თავისი სახელით, არ ამბობს, რომ ეს ხილვა მისია. პოეტს სურდა, რომ ხილვისთვის - აკაკის გამოცხადებისთვის - მიენიჭებინა არა მხოლოდ ობიექტურობა, არამედ საყოველთაოდაც შეეძინა მისთვის. ამიტომ ის არ ლაპარაკობს თავისი სახელით ხილვაზე და საიდუმლოზე, როგორც ავტორი „მე და ლამეში“, როცა ერთადერთმა მან იცის საიდუმლო. „აკაკის ლანდში“ საიდუმლოც საყოველთაოა, ის ყველასთვის არის გააცხადებული და ამით ლექსის სინამდვილე ესქატოლოგიურ დროშია გადატანილი. „იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენთან...“ ეს „ჩვენ“ უკვე მთელი საქართველოა ლექსის საბოლოო ტექსტში და არა ქართველი პოეტების ერთი ჯგუფი, „ქართველ პარნასელებად“ წოდებული ავტორის მიერ, რომელთა სახელები ჩამოთვლილია ლექსის ერთ-ერთ თავდაპირველ ვარიანტში, რაც უკუვადებულ იქნა. რაკი მეორედ მოვლენილი, საფლავიდან საკუთარი თავის გამოშახებული აკაკი არ არის მხოლოდ პოეტი, არამედ პოეტზე უფრო აღმატებული, რომელიც ყველას „მადლს ჰყენს უსიტყვოს“, როგორც „ნათესავ-მოუხსენებელი“ მელქისედეკი, მსახური მადლისა, რომელიც წუთით ბრუნდება მიტოვებულ საწმინდარში.

ოჰ, ასეთია დღეს განსაცდელი  
და არ დაგეტოვებს პოეტი ობლად,  
რომ არ დაანთოს ისევ სანთელი  
დაეიწვებულ ხატის მახლობლად.

სწორედ მწიგნობრივი ხილვა-შთავიზების შემდეგ შეიძლო ეთქვა პოეტს ეს სტრიქონები, რომლებიც უთუოდ ამ ხილვის გამოძახებლია:

ყოველდღე მოდის ახალი ტალღა  
მყირალა სუსტი და დღევანდელი,  
და დრომასუით მე მიმაქვს მადლა  
სანთელი... შენი სული, სანთელი.

ვინ არის ეს „სანთელი“, ეს „სული“, ეს „დროშა“, თუ არა ისევ და ისევ „მაღალი ლანდი“? შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამ ლექსის ადრესატი აკაკია.

„მთაწმინდის მთვარეში“ არის მეორე სახელიც (მისი საფლავი აქ არ იყო იმხანად) და გალაკტიონი არჩევანის წინაშეც არ დგას: ის ორივეს ირჩევს, ორივე მისი მემკვიდრეობაა - მოხუციც და ყრმაც, რომელსაც პირველნაბეჭდულ ლექსში ამგვარად ასახელებს: „დაწვევილ ყრმას აქ უყვარდა ობლად სიარული...“ მომდევნო გამოცემებში „დაწვევილ ყრმას“ შეენაცვლა: „ბარათაშვილს“, „უსაფარ ყრმას“. თითქოს კითხვის ქვეშ დადგა (დააყენა მან?) ბარათაშვილის დაწვევილობა: რატომ უნდა ყოფილიყო ის დაწვევილი? ვისგან? ასეა თუ ისე, ეს ავტორის პირველგამოთქმული ნება იყო. რამ გამოიწვია ეს ცვლილება? საზოგადოდ, ცვლილებების მოტივები, როგორც ვ. ჯავახიძის „უცხოში“ მოწმობს, არცთუ ყოველთვის გამართლებული იყო.<sup>1</sup> გვარის შემოტანით ამკარად გაღარიბდა თავდაპირველი ჩანაფიქრი. „დაწვევილი“ გვახსენებს ვერლენს და მისი დასის პოეტებს, რომელთაც იხსენებენ „დაწვევილიად“. 1916 წელს პოეტის განცდამი ვერლენი მამის სახეს უკავშირდება: „ხშირად ვიკონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას“, სადაც „დაღუპული“ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ უდროოდ დაღუპულს, როგორც პოეტის მამა იყო დაღუპული. ამ სიტყვას უფრო მძიმე შინაარსის ტვირთვა აკისრია. პოეტის განცდამი ხორციელი მამაც „დაწვევილითა“ დასშია და მუზისმთვრელი.

ბარათაშვილი თუ „დაწვევილი“ არა, განწირული ხომ იყო. თავის განწირულობას ის საკმაოდ ფიზიკურად აცნობიერებდა. მისი სიტყვებია: „განწირულის სულის კვეთება“. ეს „მერანის“ ავტორის მითოლოგიამაა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო გალაკტიონმა, რადგან ის ზედმიწევნით შეესატყვისებოდა მის სულისკვეთებას. „აკაკის ლანდის“ წინა პერიოდში მას სხვა ენა, საკუთარი არ გააჩნდა: „ოჰ, რად მომეცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი, რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე“, „დროო წყველო, სად წარიღე ჩემი ფიქრები, დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი? მარქეი...“, „ობოლი ვიყავ მე მამინაც, სულით ობოლი...“ და სხვა მრავალი. ეს არ იყო მისი ენა, მისი სიტყვები. თუმცა ის ერთგან წერდა, რომ „ბარათაშვილის ენა უფრო უახლოვდება თანამედროვეობას, თანამედროვე სიყვარულისა და მწუხარების გამოსახატავად“. მაგრამ ეს ვერ იქნებოდა მისი ენა. მომდევნო ეტაპზე ენაც იცვლება და, შესაბამისად, იცვლება აღქმაც საკუთარი სულისკვეთებისა. თუ ადრე ეს ობლობა, ეს დაწვევილობა, მიუსაფრობა, რომელსაც ის განიცდიდა, მისთვის იყო მხოლოდ ჩაჯარდნა მის ყოფიერებაში, მის ბედში, შემდგომ ონტოლოგიურ ღირებულებას იძენს, მისი პოზიის „ლეგიტიმურ“ სამყაროდ იქცევა „ძველთა სიმაღლით“ სივრცეებში! „მე იქ აღვაგე სულის წუხილი“ - ამბობს იგი („სიშორით შენით“). იმ „დაწვევილ ყრმას“ აგებული ჰქონდა ტაძარი, რომელიც დაუნგრია ბოროტმა სულმა. მაგრამ „სულის წუხილს“ ვერაფერი დაანგრევს, გარდა იმედისა, რომელიც სწორედ წუხილში იღვიძებს. თუმცა იმედი ისევ და ისევ იმ საიდუმლოებაში იყო საგულელებელი, რომლის ცოცხალი არსებობა დაადასტურა მისმა სულმა წუხილში. როცა ის ამჩნევდა „საიდუმლოების წვეთებს, რომელიც ასე უხვადა დაფრქვეული ბარათაშვილის ლექსებში“ (ტ. 12, გვ. 63), სწორედ იმ ძალით ამჩნევდა, რომ მის ლექსებშიც იმ ხანებში უხვად დაიფრქვა ეს წვეთები. გალაკტიონი

<sup>1</sup> ერთგან პოეტი გულსიტყვილით წერს: „პირველი ლექსიდანვე ასე დაბეჭდა. მას პირე ჩემი შოდილ ათასი ლექსი დაიბეჭდა, მაგრამ არცერთი იხეთი, რომელშიც რედაქტორს, ან ყოველტორს. ან სხვას შესწორება არ შეეტანოს“. პოეტი გამოიხატავს საკუთარ ნებისმიერ შესწორებებს?

მთელი თავისი შემოქმედებით, რომელიც საიდუმლოთია ნაფრქვევი, ძლევს სიმარტოვის, ობლობის წუხილს.

რვა ათეული წლის მანძილზე დაიწერა ქართული პოეზიის სამი შედევრი მთაწმინდაზე, მთაწმინდის თემაზე. 1836 წელს ბარათაშვილმა „შემოღამება მთაწმინდაზე“, 1877 წელს აკაკიმ „განთიადი“, 1915 წელს გალაკტიონმა „მთაწმინდის მთვარე“, როგორც მიგება შემეკვიდრებისა. მთაწმინდას დაუკავშირა მან ეს შემეკვიდრება. ეს წინასწარმეტყველებაც იყო. როცა გალაკტიონი წერდა, კერავინ იფიქრებდა, რომ განჯაში დამარხულ „დაწყველილ ყრმას“ მთაწმინდაზე ამოასვენებდნენ. გალაკტიონს კი იმ ეპოქაში უკვე ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ მის ნემსტს თავად აკაკის გვერდით მიუჩინებენ ადგილს („დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია“, 1916).

ეს სამი ლექსი ქართული პოეზიის (და არა მხოლოდ პოეზიის) ნიშანსვეტებია - „შემოღამება მთაწმინდაზე“, „განთიადი“ და „მთაწმინდის მთვარე“ სააკაკის ლანდთან ერთად).

ეს სამი ლექსი, სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეპოქის ნიშანსვეტია, მაგრამ მათ ერთი რამ ანათესავებთ ერთმანეთთან: სამივე ლექსისათვის განმსაზღვრელი არის მოლოდინი, ოღონდ მოლოდინი აუხლებელი.

რადგან ის უკანასკნელი საიდუმლოს გამოცხადების მოლოდინია.

ის იდუმალება, რომლითაც გარემოცულია მთაწმინდა, საბოლოოდ შეუცნობადია, ის არის, როგორც „ქალე ბუნოვანი“, რომლის შინაგანი მხარე პოეტისათვის მიუწვდომელია. ის ტყება მთაწმინდის მშვენიერებით, განიცდის მას, როგორც ლიტურგიულ საიდუმლოს, მაგრამ საბოლოოდ ვერ სწვდება მის არსს. „ეს ხატება“ მას გულზე აქვს დამჩნეული, მაგრამ ეს მხოლოდ ხატებაა, არა სინამდვილე, რომლის მიმართ აღმაჯალი მისი ფიქრი პაერში იფანტება. ის გრძობს, რომ მთაწმინდა ატარებს (ინახავს) რაღაც საიდუმლოს და ეს გრძობა ავიწყებს მას ამ წუთისოფელს, ამ ამოებას... მაგრამ, რაკი საიდუმლოს ფარდა არ ეხდება, ადამიანი კვლავ ამოებაში დანთქმის. საიდუმლოს გამოცხადებას მოელის ის, მაგრამ არა ამ წუთისოფლის განმავლობაში, არამედ მის დასასრულს, ესქატოლოგიურ დროში, როცა „გათენდება დილა მზიანი“, და გამოჩნდება „ახალი ცა და ახალი მიწა“.

არანაკლები იდუმალება მოსავს მთაწმინდას აკაკის „განთიადში“. შემთხვევითი არ არის, რომ მას სათურად „განთიადი“ უხის. ეს „მთაწმინდაზე შემოღამების“ დასასრულის ექა. თუმცა ლექსის სათაური განთიადია, ლექსის დროებით ჯერ კიდევ ღამეა, არ დამდგარა განთიადი, არ გათენებულა. მთაწმინდას მალღით დაქანთის ცისარის ვარსკვლავი. მკონანი არ მოელის, რომ იხილავს დილას, ის მუდმივ მოლოდინშია, რადგან არ იცის, როდის დადგება განთიადი. „დილა მოდის და კვლავ ღამეა“ (ესაია 21:12) მაგრამ, რომ დადგება დილა, ეს გარდაუვალია, წარმოთქმულ სიტყვებში პოეტი ხშირად აღარება თავს სვიმონ მოხუცებულს, რომელმაც ქრისტე მიირქვა მკერდზე და განუტევა სული. „განთიადი“ სვიმონ მოხუცებულის მოლოდინით არის საყვე.

იდუმალება მოსავს „მთაწმინდის მთვარეს“ და „აკაკის ლანდის“ არემარეს, ეს ორი ლექსი ერთიანობაში უნდა აღვიქვით და განვიხილოთ. აქაც ორივეგან ღამეა. მთაწმინდას, მის სასაფლაოს „ეფინება ვარსკვლავების კრთობა“, როგორც „განთიადში“ („მნათობი სხივებს მალა ქვენს...“) და „აკაკის ლანდში“ („დახარის ღამე და ანდამატი“). თუმცა, 1919 წლის

<sup>2</sup> გალაკტიონს აქვს ასეთი ეპიზოდური ჩანაწერი: „გათენდა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა დღე“ (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 342). შეუდარეთ საიონისპირო: „ღამეა, ჯერ კიდევ არაა ღამე“ (ვ. ჯავახიძე, უცნობი, 1991, გვ. 83)

კრებულის ლექსების გარემო, უმნიშვნელო გამონაკლისით, „ლამის“ ან „სალამოს“ ნიშნით არის აღბეჭდილი („ლამე მარტოობის მტვერით დახურული“, „შემოიღამებს მთის ნაპრალები“, „ლამემ მოვერცხლილ...“, „მყუდრო სალამო და ლამე ბნელი“, „ლამეა. მთვარე, ხეივანი“, „მოველი ლამეს და შენ...“, „წარსულმა ლამემ...“, „იყო სალამო, ლოცვები...“, „სალამოვ, ვიცი...“, „...ლამეში თეთრ სანთელს“, „ყოველ თეთრ ლამეს...“, „ლამის ნათელში...“, „შელამდა. მე წავალ“, „უცნაურ ბინდში...“, „გამომალეოდა ლამის აღმა...“ და სხვა მრავალი), მაგრამ ამ ორი ლექსის ლამე არ არის ჩვეულებრივი ლამე, ის გამოცხადების ლამეა და ასევე მოლოდინით სავსე, როგორც სხვაგან არის ნათქვამი, ისიც ლამით „მე რაღაც იღუმალ მოლოდინს უუნდება“.

მაგრამ მოლოდინი, როგორც მთელ ცხოვრებაში, მოლოდინადვე რჩება: აკაკის ლანდი გამოჩნდა, მაგრამ ის საბოლოო აქტი, რასაც პოეტი მოელის აკაკისაგან, რომ ოზღად არ დატოვებს მათ და ისევე აანთებს სანატეში სანთელს, ჯერ განუხორციელებელია. სანთლებით ხელში მოახლოებულ „მაღალ ლანდსა“ და ამქვეყნიურობას შორის მანძილი არ მცირდება, ეს მარადიული მოახლოებაა, მარადიული ესება, რომლის შედეგი ერთადერთი აღუქსებლობაა. ის საიდუმლო, რომელიც „ლანდს“ მოაქვს, საიდუმლოდვე რჩება, თუნდაც ის იყოს „ჩვენთვის“, „ჩვენში“ და „ჩვენთან“.

*P.S.* სასურველია, უმაღლეს კლასებში ერთმანეთთან კავშირში იქნეს განხილული ეს სამი ლექსი - მშვენებანი ქართული პოეზიისა: ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ“, აკაკის „ვანთიადი“ და ვალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“. ამ სამ ლექსში დევს მათი ავტორების პიროვნებისა და პოეზიის გასაღები.



## აკა მორჩილაძე, „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ (ციტაციის გააზრებისათვის)

აკა მორჩილაძის რომანის - „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ - გააზრების ერთ-ერთ წინაპირობას განსხვავებულ მხატვრულ-ისტორიულ ტექსტებთან მისი მიმართების გაცნობიერება წარმოადგენს. მწერალი მკითხველისათვის უკვე ნაცნობ მხატვრულ სინამდვილეზე დაყრდნობით ქმნის ახალ, ორიგინალურ მხატვრულ სამყაროს. ის ერთგვარად ითვისალისწინებს ჩვენი მკითხველისთვის კარგად ცნობილ რეალობას და ამ მასალის გამოყენებით იქმნება განსხვავებული, თავისთავად მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური სისტემა. ამ სისტემის შინაარსობრივი და ფორმალური ასპექტების კვლევის მცდელობას წარმოადგენს ჩვენი წერილი.

რომანის აზრობრივი და სტილისტიკური მახასიათებლების განსაზღვრას ერთმნიშვნელოვნად მიუყვართ ციტაციის ფუნქციონირების პრობლემასთან, რადგან ციტაცია ტექსტთაშორისი კომუნიკაციის უმთავრეს მექანიზმად არის ქცეული. კლასიკურ ლიტერატურაში ციტაცია აზრობრივი შინაარსის თუ მსოფლმხედველობრივი პოზიციის წინასწარ გაცხადებად გვევლინება. უმრავლეს შემთხვევაში ის ორგანულად ერწყმის მხატვრული ნაწარმოების სულისკვეთებას (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“, ან „კაცია აღამიანი?“). ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებული ტიპის მოუღენასთან. აკა მორჩილაძის ტექსტში ციტაცია ერთდროულად აზრობრივი, სტრუქტურული და სტილისტიკური მნიშვნელობის ელემენტად ფორმდება. ციტაციით ავტორი მიგვითითებს გარკვეულ ისტორიულ-ლიტერატურულ არეალზე. ამ გზით ხორციელდება სხვადასხვა შინაარსის ტრანსპლანტაცია მხატვრულ ტექსტში. მკითხველის მოქცევა „ნაცნობ“ სივრცობრივ განზომილებებში იმთავითვე განაპირობებს მზადყოფნას მხატვრული კომუნიკაციისთვის (გამოცდილ მკითხველი მომზადებულია გრაფ სევედისა ან მუშნი ზარანდიასთან სასაუბროდ, რადგან მას გააჩნია სათანადო ცოდნა ამ პერსონაჟების შესახებ). ახალ მხატვრულ გარემოცვაში ამოქმედებული ციტატა „მეორეული დამუშავების“ - ინტერპრეტაციის ობიექტად იქცევა. ჩვენ შევეცადეთ ციტირებული მასალის პირობით ლიფერენციაციას მათივე პირველკონტექსტის გათვალისწინებით. რადგან მწერალი განსხვავებულ აზრობრივ-სტილისტიკურ ერთეულებს ერთი ესთეტიკური სისტემის ფარგლებში აქცევს, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მიუხედავად „წარმომავლობისა“, მათ საერთო ფუნქციური რატვირთვა აერთიანებთ. კონცეპტუალურ დონეზე ციტირებული მასალა მართლაც ერთმნიშვნელოვნად ემსახურება მხატვრული სათქმელის გამოხატვას. განსახილველი რომანის სხვა მხატვრულ ტექსტებთან ურთიერთობის საკლასიფიკაციო პრინციპის განსაზღვრისათვის, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები: მხატვრულ-ლიტერატურული, ისტორიულ-დოკუმენტური, ენობრივი, ზეპირსიტყვიერი. ჩვენს მიერ ამგვარად ლიფერენცირებული მასალა ნაირგვარად ფუნქციონირებს აკა მორჩილაძის ტექსტში.

აკა მორჩილაძის რომანი არ არის „ისტორიული რომანი“ ამ ცნების კლასიკური გაგებით. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოები სწორედ „ისტორიის არად ჩავლებში“ სურვილს აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ მასში ისტორიული თბილისისა ვაკოცხლებული. მწერლის კალამი საუკუნისწინანდელი თბილისური ყოფის სურათებს აღადგენს: „მე ჩაიფიქრე

დამეწერა რომანი და გადამეშალა უფართოესი პანორამა წარსულის პანგისა, რომელიც დღემდე მოკეწვენსავს“. ნაწარმოების სათაურიც წარსულთან მიახლოების კონტექსტშია გააზრებული, თუმცა, კვლავ ემპირიებით, რომ „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ არ თავსდება ისტორიული რომანის კონცეპტუალურ ჩარჩოებში.

მაინც რა განასხეავებს აქა მორჩილაძის რომანს ტრადიციული ისტორიული რომანისაგან? ეფუძრება, რომ განსხეავება ისტორიული მასალისადმი დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. თუ ისტორიულ რომანებში (უთქათ, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“) მწერალი გარკვეული სერიოზულობით ეკიდება ისტორიულ ფაქტებს, მაშინაც კი, როდესაც საკუთარ ინტერპრეტაციებს მიმართავს, თანამედროვე ავტორი ცდილობს, რომ ისტორია ირონიული, თითქმის პარადიგმული სახით წარმოგვიდგინოს და მთლიანად დაუქვემდებაროს ესთეტიკური თამაშის შინაგან ლოგიკას. ირონია, სიმსუბუქე მით უფრო ხაზგასმულია, რაც უფრო მონღოლებით და „ნუსტად“ არის მოწოდებული „ძირითადი თარიღების ნუსხა“. ან დოკუმენტური ფაქტები იმ დროის თბილისისა (კნუტ პაშუნის მოგზაურობა თბილისში...). საინტერესოა, რომ, მიუხედავად ისტორიული მოვლენებისადმი ირონიული დამოკიდებულებისა, დოკუმენტურობა, თავის მხრივ, მაინც განაპირობებს მხატვრული ნაწარმოების „უეჭველობას“, მის ემპირიურ დამაჯერებლობას. თუ მკითხველისათვის მხატვრული ნაწარმოები შემოქმედის წარმოსახვის, გამოწვინის სფეროდ, უკეთ - სიბრძნედ სიცრუისად - გაიზრება, ისტორიული მასალის ჩართვა სატექსტო ქსოვილში ესთეტიკური ზემოქმედების ინტენსივობას განაპირობებს. ამ გზით რომანიდან ნელ-ნელა განიდევენა „ფიქვის“ ცნება. ანალოგია შეიძლება მოვიხსნოთ კინოხელოვნებაში ფართოდ გაერკელებულ მხატვრულ ხერხთან, როდესაც რეჟისორი ეფექტის გასაძლიერებლად ისტორიულ-დოკუმენტურ კადრებს რთავს მხატვრულ ფილმში. ამ სტილისტიკური ხერხის კონკრეტულ გამოხატულებას ეპოულობთ ბერგმანის ფილმში „პერსონა“. ისტორიული კადრების პროექციით ის მაყურებელში ნდობის მოპოვებას ცდილობს. ამავე დროს, ამთლიანებს ფიქვასა და რეალურ ფაქტს ერთიან კონტექსტში. მსგავს მეთოდს მიმართავს უმბერტო ეკო რომანში „ვარდის სახელი“. მხატვრული დამაჯერებლობისთვის მწერალი ვრცელ პასაჟებს მოიხმობს ფრანჩესკო ასიზელის ლეთისმეტყველებით ტექსტებიდან.

აქა მორჩილაძის ერთ-ერთ ყველაზე გახვეწილ მხატვრულ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია რომანში ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟთა შემოყვანა. ამ ჩანაფიქრის ავტორისეული მოტივაცია საკვებით ეთანხმება ნაწარმოების არაპათეტურ, ირონიულ სულისკვეთებას: „ყანადარპირის უფროსად ავტორმა ვერაინ შვარჩია გრავუ სეგედიზე უკეთესი, რადგან მიანდა, რომ ეს არის უკვდავი პერსონაჟი, ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ინტელიგენტურად მოსაუბრე ადამიანი“. მწერალი ცდილობს, რომ პერსონაჟს ახალ ესთეტიკურ გარემოში შეუნარჩუნოს პირველსახე. ამავე დროს, მას „მეორადი მოდელირების“ - ირონიული ინტერპრეტაციის - საგნად აქცევს (ვაეხსენოთ სეგედისა და მუშნი ზარანდიას დიალოგი).

ავტორის ძალისხმევა მიმართულია პერსონაჟის მოქმედების არეალის გაფართოებისაკენ, რითაც გზას უხსნის მხატვრულ სახეში პოტენციურად არსებულ შესაძლებლობათა გამოვლენას. ამ კონტექსტში საყურადღებოა გივი მარგველაშვილის რომანის („მუცალი“) გააზრება. ვაჟა-ფშაველას ცნობილი პერსონაჟი გულდაწყვეტილი საყვედურობს მწერალს პოემის დასაყისშივე მისი მოკვდინებისთვის, იმის გამო, რომ არ მიეცა მოქმედების, საკუთარი თავის გამოძლავების საშუალება. აქა მორჩილაძე მიმართავს მკითხველისთვის კარგად ნაცნობ სიმბოლოებს. სიმბოლოთა მისეული ტრანსპლანტაცია რომანში აზრობრივად საკვებით მოტივირებული და ლოგი-

კურად გამართლებულია, მხატვრულად კი - ბანალური და მარტივი. ეს გაცნობიერებული პრიმიტივიზმი ერთ-ერთი სტილისტიკური ხერხია სიახლისმოძღვრებულ მკითხველის ცნობისმოყვარეობის გასაწივრებლად. ამ ლიტერატურულ „ეშმაკობას“ მწერლის ირონიული „აღსარება“ განმარტავს: „ავტორს გამოუვიდა საკმაოდ გაცეითილი სიმბოლო-ვაშლი, რომელსაც ხაფო, როგორც გველი, აძლევს მამა ზაქარიას, როგორც ადამს. თუმცა, ავტორს სურს აღნიშნოს, რომ წინააღმდეგაა ყოველგვარი წინასწარ განზრახული სიმბოლოებისა და ეშმიც იმიტომ ჩაწერა იმ ადგილას, რომ გავერნა იმ დროში ის ბევრ ადამიანს ჯიბეში ედო, როგორც საუკეთესო საგზალი“.

თუ სიმბოლო ნიშნთა ტრადიციულ სისტემაში სწორედ მაშინ ასრულებს თავის ფუნქციას, როცა მსოფლმხედველობრივად და მხატვრულად არის გამართლებული, თანამედროვე მწერლის შემოქმედებაში სწორედ ტრადიციული შინაარსობრივი მოტივაცია იქცევა ბანალურობის საფუძვლად. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოდერნიზმის დამახასიათებელი პარადიგმებისაგან განსხვავებით, შინაარსობრივი რღვევა ფორმალური ასპექტის მაქსიმალური შენარჩუნებით ხორციელდება. ფაქტობრივად, მწერალი ფორმისა და შინაარსის დაპირისპირების ველში ამყოფებს მკითხველს. მსგავსი წინააღმდეგობის გენიალურ ნიმუშს ქმნის ბორხესი თავის ცნობილ მოთხრობაში „სამი ვერსია იუდას გამკელობისა“, სადაც დოკუმენტური ღვთისმეტყველების დეკონსტრუქცია მიმდინარეობს იუდას გამკელობის სამი განსხვავებული ვარიანტის საფუძველზე. წარმოდგენილი ინტერპრეტაციები მსოფლმხედველობრივ დონეზე არღვევს კანონიკურ სარწმუნოებრივ პრინციპებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ფორმალური ასპექტით ახორციელებს დოკუმენტური კანონიკის აღდგენას. ერთი სამი ვერსიით ცხადდება. მწვალებლობის სამი გზა ღვთის სამსახურების აღიარებად იქცევა. შინაარსობრივ პრინციპს მისი მატერიალური ფორმა უპირისპირდება. შინაარსს თავისივე გარესტრუქტურა არღვევს. ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობის ველში ვიცნობიერებთ ჩვენ ენობრივი მასალის ციტირებას.

აკა მორჩილაძე მიუთითებს, რომ მან გადაწყვიტა „დაეწერა თანამედროვე ენისა და ასი ფიქვის წინანდელი დავიწყებული ნოველისტიკისა და დავიწყარი პუბლიცისტიკის ნახაით“. ერთის მხრივ, რომანის ავტორი ცდილობს, რომ საუკუნისწინანდელი თბილისური ყოფა თავისი დროის ენობრივ გარემოში მოაქციოს, მეორეს მხრივ კი, სავსებით მიზანმიმართულად მიმართავს ამ ენობრივი მატერიის პაროდირებას: „ავტორს სურდა იგი აევო დავიწყებულ ქართულ რომანთა ქარგაზე და გამოეჯაერებია ამ რომანთა ენისთვის“. მწერალი ორმაგი კოდირების გზას მიმართავს. ტექსტის გამართვა მე-19 საუკუნის სინტაქსურ-ლექსიკური კონსტრუქციების გარკვეულ დონეზე მეტაენობრივ პრეცედენტს ქმნის. მხატვრული შემოქმედების ამ ეტაპზე შესაძლებელი ხდება დროის სუნთქვის უზუსტესი აღდგენა, ისტორიულ თუ ლიტერატურულ პირთა გაცოცხლება ... თუმცა, ეს არ არის სიტყვათქმნადობის უმაღლესი დონე აკა მორჩილაძისთვის. მომდევნო საფეხური, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ენობრივ-სტილისტიკური ფორმების პაროდირება, „გამოჯაერება“, რაც კვლავ ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობას მოიცავს. რეალურად ვადახარების აქტი სრულდება. მე-19 საუკუნის ენობრივი ქსოვილი პაროდის გზით ავტორკონსტრუქციის მოვლენად იქცევა. ენის მეორადი მოდელირება შინაარსისეული ფუნქციის ჩანაცვლებით ხდება. ახალ სალიტერატურო სიურცემო ციტირების ამოქმედება ფორმალური იდენტურობისა და არსისმიერი ტრანსფორმაციის ნიშნით მიმდინარეობს. ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ რომანში „ვარდის სახელი“ არის საინტერესო ნიმუში ფორმისა და არის წინააღმდეგობისა. სულიერი განსაცდელის წინაშე მყოფი ახალგაზრდა

მორჩილი საყვარელ გოგონას სიყვარულს „ქება ქებათის“ ენით უხსნის. კანონიკური რელიგიური ტექსტის წარმოთქმა პერსონაეს ცოდვის შიშს აძლევინებს. ანალოგიური პასაჟი შეიძლება გავიხსენოთ ვალერი ბრიუსოვის რომანიდან „ცეცხლოვანი ანგელოზი“, სადაც მთავარი პერსონაჟი – რენეტა თავის ღემონურ სფეროს სიყვარულს სახარების ტექსტის ციტატებით უხსნის. ამავე რომანში ბრიუსოვი აღწერს მეტად საინტერესო მომენტს. რომანის გმირები სპირიტუალურ სენსს ატარებენ. ამ მაგიური კომუნიკაციის ენად მწერალი ლათინურს იყენებს. პერსონაჟები არამშობლოურ ენაზე მიმართავენ ბოროტ ძალებს.

ამავე აზრობრივ კონტექსტში შეიძლება მიხვილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ ჯაყოს მეტყველების „საიდუმლოს“ გააზრება. ამ შემთხვევაში მწერალი სრულ შესაბამისობას ამყარებს ენასა და შინაარსის ხელ რეალობას შორის. ჯაყოს მიერ ქართული ენის უყოღრესი დამახინჯებით ქართული სულიერების შერყვნის დრამა უხადდება. აკა მორჩილაძეს ჩვენს მიერ სანიშნოდ მონშობილ ავტორთაგან მკვეთრად განასხვავებს ირონიით გამოხატული სიმსუბუქე, ღრმად გააზრებული ლიტერატურული პირობითობის შერქმევისა და გადმოცემის უნარი. ავტორი ცდილობს, რომ მკითხველს მუდმივად შეუნარჩუნოს ესთეტიკური თამაშის, ბუფონარდის განცდა. ამ ტენდენციის ერთ-ერთ გამოხატულებად მივიჩნევთ ლიტერატურული ტექსტის „გასხვისების“ მცდელობას, რაც გამოვლილი ხშირად კი ამბის რეალურ ავტორთათვის მიკუთვნებაში გამოიხატება. ამ გზას ხშირად მიმართავს ბორხესი თავის მხატვრულ ნაზრევში, ცდილობს რა, მთხრობლად არარსებული მწერალი წარმოგვიდგინოს. მხატვრული დამაჯერებლობისთვის კი გამოვლილი მწერლის ბიოგრაფიის „კონკრეტული ისტორიულ“ თარიღებს უთითებს.

რომანის ენობრივ-სტილისტიკურ ეკლექტიურობას სხვა მხატვრულ არსენალთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობებს ტექსტში ჩართული მრავალრიცხოვანი „აბზები“, რომლებიც თითქოს ავტორმა ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით შეიტყო. კვლავ ამბის „გასხვისების“ მხატვრული მეთოდით მოქმედებს რომანის ავტორი. აქ მთხრობლად გვევლინებიან „ქალაქელი ძიები“, „ავერელი დავითა“, „მოქ. დ. ტურაშვილი“, „მოხუცი გ. რ.“ და ა. შ. მხატვრულ ნაწარმოებში „გადმოცემათა“ შემოტანამ გზა გაუხსნა ქალაქური მეტყველების დამკვიდრებას მხატვრულ სხეულში. ხალხური ბალაგანის ენით პერსონაჟი ამორალიებს ჰყვება, რადგან „ამორალია ყოფა გახლავთ“. ხალხურ მთხრობელთა წარმოჩენა რომანში, უფიქრობთ, კიდევ ერთი ზოგადლიტერატურული ტენდენციის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ყერძოდ, საუკუნის დასაწყისში, მოდერნისტული ხელოვნების თეორეტიკოსთა მიერ დამუშავებული „დეკუმანიზაციის თეორია“ (ვასეტი) საფუძვლიანი რევიზიის საგნად იქცა 60-იანი წლებიდან ევროპულ კულტურაში. ლიტერატურის „გამასობრივების“, ლიტერატურის „გახალხურების“ პრინციპი მთელი ხანია ვასეტი თეორიული დისკუსიების ფარგლებს. ლიტერატურა მთელი სერიოზულობით თავიდან დაღვა მასობრივი მკითხველის დახატუების პრობლემის წინაშე, რის კონკრეტულ გამოხატულებად მიიჩნევა დეტექტიური ფანტის ალორძინების ფაქტი 80-90-იანი წლების ევროპულ ლიტერატურაში. ამ ტენდენციის კონკრეტულ ნიმუშად მოვიანზრებთ აკა მორჩილაძის რომანს. ტექსტის „გასხვისების“ ცდაც „აბსოლუტური ავტორის“ ხატის რღვევას ემსახურება.

აკა მორჩილაძის სამნაწილიან რომანს ახლავს ვრცელი „დანართი“, სადაც ავტორი თავის შემოქმედებით-ტექსტურ ლაბორატორიას წარმოგვიდგენს. მწერალი მუთითებს „შირითადი თარიღების ნუსხას“, „ამბავს – თანადართულ ვარდაცკლითა არასრულ სიას“, „ავტორის მიერ ვერგამოყენებულ რამერუმებს“ და ა. შ. საინტერესოა, რას ემსახურება

ესოდენ ვრცელი კომენტარი და რა ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებს „დანართი“ რომანის ერთიან მხატვრულ სტრუქტურაში. დანართში მწერალი განმარტავს ნაწარმოების შექმნის კონკრეტულ დეტალებს. ცდილობს გახსნას ტექსტის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი მხატვრული კოდები. რეალურად, რეციპიენტის წინაშე სრულიად ცალსახად იკვეთება შიფრირებული ტექსტის დემიფირირების საიდუმლო ტექნიკა. მწერალი არაერთხელ მიუთითებს, რომ ამა თუ იმ კონკრეტული ლიტერატურული პერსონაჟის მიღმა მას ჰყავდა რეალური პროტოტიპი ან შთამაგონებელი მაინც. ხშირად, თავადვე უარყოფს კავშირს რეალურ პირებსა და რომანის გმირებს შორის. რომანის ძირითად ნაწილსა და დანართს შორის არსებული ოპოზიცია შეიძლება გაეიაზროთ, როგორც თეზა და ანტითეზა, ის უკიდურესი მხატვრული საყრდენები, რომლებზეც კონსტრუირებულია ლიტერატურული სხეული. თუ რომანის დასაწყისში ამოქმედებული მხატვრული პარადიგმები ინტერპრეტაციის საფუძველზე იქცევა ესთეტიკურად ქმედითუნარიანად, დანართი სწორედ ინტერპრეტაციის წინააღმდეგ არის მიმართული. თითქმის ნატურალისტურად წარმოდგენილი ტექნიკური სამუშაო იმთავითვე ართმევს მკითხველს თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

თანამედროვე ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში მიუთითებენ ინტერპრეტაციებისაგან გაქცევის მცდელობაზე, რაც მეთოდურად იმ ფორმით შეიძლება გამოიხატოს, როგორსაც მიმართავს ჩვენს მიერ განხილული რომანის ავტორი. სიუზან სონტაგი ინტერპრეტაციის შემწანური ხასიათის წინააღმდეგ მიმართულ აქტად მიიჩნევს თომას მანის მიერ ტექსტში გონებაშეხილური და ირონიული ინტერპრეტაციების ჩართვას. ამ გზას მიმართავს კონსტანტინე ვაგინოვი თავის პროზაულ ნაწარმოებში „მონასტერი უფლისა ჩვენისა აპოლონისა“, სადაც პუბლიცისტურ ელემენტებს აზაკებს მითოპოეტურ პლასტებთან, ტექსტის ძირითად ქსოვილში რთავს პრაქტიკულ რჩევებს ლიტერატურული ოსტატობის დაუფლების მსურველთათვის. ამავე აზრით ქმნის ფელინი მეტაფილმს - ფილმს ფილმზე - „რეა ნახევარი“, სადაც სწორედ რეჟისორისა და მსახიობების „დემიფირირებული“ ურთიერთობების დრამაა წარმოდგენილი.

საინტერესო ლიტერატურული იდეის ავტორად გვევლინება კონსტანტინე ვაგინოვი რომანში - რომანის შესახებ - „ჯაფანი და დღენი სესტანოვისა“, სადაც ნაწარმოების ობიექტული გმირები ცდილობენ მოხედნენ რომანის ფურცლებზე და მწერალი სეისტანოვი დაარწმუნონ საკუთარ პიროვნულ გამოჩენულობაში. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ავტორი თავად გვევლინება შემოქმედებითი საიდუმლოს განმცხადებლად. აკა მორჩილაძის რომანში ამ მხატვრული ხერხის გამოყენება მსუბუქი ირონიის ფონზე მიმდინარეობს. მწერალი განუწყვეტლივ მიგვიითითებს, რომ საქმე პირობით ნიშანთა უსასრულო სისტემასთან ვაკაკს. ენობრივ ფორმებზე საუბრისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ციტატით ხშირად დეციტირების აქტი ხორციელდება.

ანალოგიური სტრუქტურული სქემა უდევს საფუძველად, ჩვენი აზრით, რომანის არქიტექტონიკას. ტექსტის ძირითად ნაწილში კონსტრუირებული ესთეტიკური ნაკვებობა რეკონსტრუირებულია დანართში. ფაქტობრივად, მწერალი თავად ქმნის ტექსტის შესაძლო ინტერპრეტაციათა ველს. მკითხველი იმ შუალედური დამაბულობის არეალში იმყოფება, რომელიც არსებობს თეზასა და ანტითეზას, მხატვრულ სისტემასა და მისივე დემონტაჟს შორის... თუმცა, სწორედ ამ უკანასკნელით ცხადდება მწერლის უმთავრესი სათქმელი. ებრაულ ეგზეგეტიკურ ტრადიციაში გამოცხადება, რომელიც მიიღო მოსემ, იყო სრული კუმმარიტება, მაგრამ ის დაიკარგა სიტყვიერ ფორმაში გადატანის დროს. ამ აზრით, პირველადი ლიტერატურ-

აკა მორჩილაძე, „გადაფრენა მადათოვზე და უკან“  
(ციტატის გააზრებისათვის)

რული ტექსტი იმთავითვე არასრულყოფილია ჭეშმარიტებასთან მიმართების თვალსაზრისით (იამპოლსკი). ჭეშმარიტება შედარებით სრულყოფილად მაშინ შეიძლება მოგვეცეს, თუ არსებობს კომენტარის პრეცედენტი, რადგან კომენტარების ტრადიცია მიმართულია იმ „დანაკარგის“ ამოვსებისაკენ, რომელიც არსებობს იდეის წერილობით ფორმაში პირველადი გაცხადების დროს. ამგვარად ვაცნობიერებთ ჩვენ აკა მორჩილაძის მიერ საკუთარი რომანის „თარგმანებას“. მხატვრული შემოქმედების ამ ეტაპზე მწერალი კვლავ თავისსაკუ პირველსიტყვაში დაკარგული ჭეშმარიტების გაცხადებას ცდილობს მკითხველისა და საკუთარი თავის წინაშე.

## ქართველი წმინდა მამის აზრი ბერძნულ-რომაულ საეკლესიო კონფლიქტზე XIII საუკუნის ლათინურ კრებულში

შუა საუკუნეების საქართველოში მდიდარი ორიენალური მწერლობის არსებობა დღეს უკვე აღიარებული ფაქტია, ოღონდ, საკლესიო ამ ლიტერატურის მსოფლიო პროცესში ჩართვის საკითხი, კერძოდ ის, იყინ თუ არა იმავე შუა საუკუნეებში ქართული ორიენალური მწერლობის შესახებ საზღვარგარეთ? დღეისთვის ქართული მწერლობის რომელიმე ძეგლის, ან მისი ნაწილების უცხოურ ენებზე თარგმნის არსებობა (ორიოდე გამონაკლისის გარდა) თვით XIX საუკუნემდეც კი არსებითად ჭირს.

ამ ვითარებაში, ვფიქრობთ, ქართული კულტურისათვის ძალზე მნიშვნელოვანია დღემდე უცნობი ერთი ფაქტი, რომელიც აქამდე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ ასახულა: XIII საუკუნეში ლათინურ ენაზე გადაუმუშავებიათ ერთი პასაჟი XI საუკუნის ქართული ორიენალური ავთოგრაფიდან, კერძოდ, გიორგი მცირის "გიორგი ათონელის ცხოვრებიდან", აღნიშნული პასაჟი წენამდე XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ხელნაწერებში ჩართული ბერძნული და ლათინური ტექსტებით არის მოღწეული.

1060-65 წლებში გიორგი მთაწმიდელმა საქართველოში ბაგრატ IV-ის მიწვევით და თანადგომით დიდი საეკლესიო რეფორმა ჩაატარა. ქვეყნის წინაშე ვალდობლილი მოძღვარი მთაწმინდას ბრუნდებოდა, თან მონასტერში აღსაზრდელად 80 ობოლი ბავშვი მოჰყავდა. ბერი კონსტანტინოპოლში შექრდა, იმპერატორ კონსტანტინე დუკასთან (1059-1067) ქართველთა მეფის წერილი მოჰქონდა. ბიზანტიის სამეფო კარზე დაწინაურებულმა ქართველმა დიდებულებმა, კერძოდ, პეტრე პატრიკია იგი სამეფო კარზე წარადგინა. იმპერატორმა ბერი დარბაზობაზე მიიწვია, სადაც ბრძენთა და რომაელთა შორის საეკლესიო განხეთქილების საკითხზე მსჯელობდნენ. ამ განხილვას ბიზანტიის სამეფო კარის დიდ მთხოვლებთან ერთად რომაელი და სომეხი დიდებულებიც ესწრებოდნენ. იმპერატორმა, შენიშნა რა გიორგი მთაწმიდელის უდიდესი განსწავლულობა საღვთისმეტყველო დოგმატიკასა და ლიტურგიკაში, ამ კამათში მას დეტალების გადაწყვეტაში მთავარი არბიტრის როლი დააკისრა. დიალოგი კონსტანტინე დუკასა და ქართველ ბერს შორის "გიორგი ათონელის ცხოვრებაში" აღწერა ქართველი წმინდა ბერის მოწაფემ — გიორგი მცირემ. თავდაპირველად იმპერატორმა მას ქართველთა სარწმუნოების ბერძნულ მართლმადიდებლობასთან მიმართებაზე აკითხა. "ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ და რაჲჲს ერთგვის გუცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხელ, ვინა მარჯულ", — მიუვო დიდმა მოძღვარმა. შემდეგ მეფემ ქართველ ბერს ბერძნული და რომაული ლიტურგიის განსხვავებული დეტალების ახსნა სთხოვა. მოძღვარმა განმარტა ექვთიმისტული პრაქტიკის სიმბოლიკა და თან დასძინა: "ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრეკეს... ხოლო პრობაჲ ენაჲთჲს ერთგვის იცნეს ლმერთი, არღარა ოღენ მიდრეკილ არიან და არცა ოღეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის." იმპერატორის შეკითხვაზე სომეხთა სარწმუნოების შესახებ წმინდა ბერმა მოკლედ მოუვო: "ზოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ეღებინ." იმპერატორი "აღიკოს სინარულითა და მადლიი შესწირა ლმერთსა." სომეხი დიდებულები შერცხვნილნი დარჩნენ, "ხოლო მთავართა მათ პრობაჲ დიდად განიხარნეს... ეტყოლეს წმიდასა: "წარვიყვანითო წინაშე წმიდისა პაპაჲსა."

ზემოთ მოთხრობილი ამბავი იმპერატორ კონსტანტინე X დუკას კარზე გამართული დისკუსტის შესახებ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ლიტერატურულად

არის ფიქსირებული გიორგი მცირის მიერ "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში". წინააღმდეგობა რომისა და ბიზანტიის ეკლესიათა შორის ოფიციალური განყოფის (1053 წ.) შემდეგ თანდათან მსაფრღობდა. რომის ეკლესია სისტემატურად ვზავნიდა მისიონერებს აღმოსავლეთში და მომხრეებს ეძიებდა ბიზანტიაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლათინურ სამ-ყაროს უნდა სცილნობდა ზემოთ მოთხრობილი ისტორიის შესახებ და უნდა დაინტერესებულიყო ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში შეტანილი შესაბამისი პასაჟით.

ამ ვარაუდს ადასტურებს რომელი მკვლევრის, გეორგ პოფმანის მიერ 1951 წელს მილანის აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკის თავმჯდომარის, ჯოჰანი ვალბიატისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში გამოქვეყნებული სტატია "რელიგიური საუბრის ტექსტები იმპერატორ კონსტანტინე X დუკას წინაშე", რომელშიაც XIII-XIV საუკუნეების სამი ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია აქ მოთხრობილი ამის თავისებურად გადაშუქებული ბერძნული და ლათინური ტექსტები.

გიორგი მცირის "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების" აღნიშნული პასაჟის ბერძნული და ლათინური თარგმანი შეტანილია "რწმენის საუნჯის" (Thesaurus fidei) სახელით ცნობილ კრებულში, რომლის შექმნაც დაკავშირებულია ბოლო-ნიელი ბერის - ბონაკორისის სახელთან. ეს დომინიკელი ბერი მისიონერად მოღვაწეობდა საბერძნეთში ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მის გარდაცვალებას დაახლოებით 1275 წლით ათარიღებენ. გ. პოფმანი ამ თხზულების სამ ხელნაწერს ასახელებს:

1. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნული ფონდის (Parisinus graccus) 1251 ხელნაწერი თარიღდება დაახლოებით XIII-XIV საუკუნეების მიჯნით.

2. Parisinus graccus 1252 - XIII-XIV საუკუნეების მიჯნა.

3. მილანის ამბროსის ბიბლიოთეკის ბერძნული ფონდის (Ambrosianus graecus) 253 ხელნაწერი თარიღდება დაახლოებით 1327 წლით. იგი ზემოთ მოთხრობულ ხელნაწერზე (Parisinus 1252) დამოკიდებული.

როგორც გ. პოფმანმა შენიშნა, ბონაკორისის კრებულში შეტანილი პასაჟი რელიგიური დისპუტის შესახებ იმპერატორ კონსტანტინე X დუკას კარზე აშკარად მომდინარეობს "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან", რომელსაც იგი იცნობს პ. პეტერისის მიერ შესრულებული ლათინური თარგმანით. ეს დასკვნა, ჩვენი აზრით, საბუთდება შემდეგი არგუმენტებით:

ა) ეს ამბავი, რომ "გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდანა" მოტანილი, Thesaurus fidei-ში შეტანილი პასაჟის შესავალშივეა მოითხოვული: 'Εν τῷ βίῳ τῆς ζωῆς τοῦ ἁγίου Γεωργίου τῆς ζωῆς τῆς ζωῆς... // ... in vita beati Georgii de Monte Sancto.

ბ) Thesaurus fidei-ის პასაჟის მიხედვით რელიგიური დისპუტი გაიმართა იმავე ვარემოში და პირობებში, რომელსაც მოითხოვს "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება": ბიზანტიის სამეფო კარი; ბიზანტიის იმპერატორის ინიციატივით საუბრობს ქართველი ბერი გიორგი; დისპუტს, გარდა ბერძნებისა, ესწრებიან რომელიც და სომეხი დიდებულები.

გ) ისევე, როგორც "ცხოვრებაში", ბერძნულ-ლათინურ ტექსტშიც საუბარი მომდინარეობს ოთხეულ-მეცხრის ფორმით: იმპერატორი ეკითხება ქართველ ბერს და იგი პასუხობს.

დ) არსებითად ერთნაირია იმპერატორის მიერ დასმული საკითხები და წმ. გიორგი ათონელის პასუხები: ექვარისტის საეციფიკური ლეტალები (საფუარის, ძარილისა და წყლით განსაუხებელი ღვინის გამოყენება), ქართული მართლმადიდებლობის სიწმინდე, ბერძენთა მიერ წარსულში მწვალებლობისაგან გადახ-



რები, რომელთა რელიგიური სიმტკიცე დაწყებული პეტრე მოციქულიდან, სომეხთა სარწმუნოების განქიქება.

ე) ერთმანეთის მსგავსია რელიგიური დისუტის შედეგების ვადმოცემა: მეფის კაყოფილება ქართველი ბერის პასუხებით, რომელთა დიდი სიხარული, სომეხთა შერცხვნა.

3) და ბოლოს, ჩვენ შევადარეთ ბონაკორისის კრებულში შეტანილი ბერძნულ-ლათინური საკითხავი გიორგი მცირის "გიორგი ათონელის ცხოვრების" შესაბამის პასაჟს და გამოვაქვეყნოთ კიდევ ქართული, ბერძნული და ლათინური პარალელური ტექსტები (კრებული ANAΘEΣIΣ, ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1999, გვ. 310-323). ამგვარად შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ბერძნულ-ლათინური ტექსტის მომდინარეობა ქართულიდან აშკარაა. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ საქმე ვაჟაქის თარგმანთან არა ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ბერძნულ-ლათინური ტექსტი არის ქართული "ცხოვრების" შესაბამისი ადგილების თავისუფალი ადაპტირებული თარგმანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ლათინური ტექსტი მისდევს ბერძნულს სიტყვასიტყვით.

"გიორგი ათონელის ცხოვრებიდან" XIII საუკუნის ლათინურ კრებულში შეტანილი პასაჟი მრავალ საკითხს სვამს მკვლევართა წინაშე; ესენია:

ა) ამ ფაქტთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ურთიერთობის პრობლემები: ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულება ბიზანტიასთან და ევროპასთან XI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. ბერძენი იმპერატორის - კონსტანტინე X დუკას ინტერესი ამ საეკლესიო პრობლემატიკისადმი და ერთგვარი ლიალობა რომელთა მიმართ და სხვ.

ბ) ქართული ეკლესიის უმთავრესი ავტორიტეტის - წმინდა გიორგი ათონელის მიერ ქართული მართლმადიდებლობის პრინციპულობისა და უცხო მულობის დაცვა და, ამასთან ერთად, სიმპათიის გამოხატვა რომის ეკლესიის მიმართ. ამ ფაქტის განხილვისას ყურადღებას იმსახურებს პარალელური ფაქტები ადრე და გვიანდელი შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრებიდან: ქართლის კათალიკოსის - კირიონის მიწერ-მოწერა რომის პაპთან ქართლის ეკლესიის დიოფიზიტობაზე საბოლოო გადმოსვლის ლეტალების შესახებ (VII საუკუნე), რუსუდან დედოფლისა და მხედართმთავარ ივანეს წერილები რომის პაპ პონოროუს III-სთან და პაპის პასუხები (XIII საუკუნე), რომის პაპის ურბან VIII-ის მიწერ-მოწერა თეიმურაზ პირველთან და კათალიკოს ზაქარეასთან (XVII საუკუნე), სულხან-საბას ვიზიტი რომის პაპთან (XVIII საუკუნე) და სხვ.

გ) წმინდა გიორგი ათონელის მიერ განმარტებული ლიტურგიკისა და ექსკისტიის ლეტალების სიმბოლიკა (საფუარის, მარილისა და წყლით განზავებული ღვინის გამოყენება) და იმ ლიტურგიკულ-დოგმატური წყაროების ძიება, რომლებსაც ემყარება ეს განმარტება.

ამგვარად ჩვენი ინტერესი XIII საუკუნის ქართულ-ბერძნულ-ლათინური ლიტურგატურული ურთიერთობების ამ უაღრესად საინტერესო და უნიკალური ფაქტის მიმართ უპირველეს ყოვლისა ფილოლოგიურია. ამ კუთხით კი დაისმის რამდენიმე საკითხი, რომლებზედაც პასუხის გაცემა ძალზე საშუაია.

დღესათვის გამოკლებილი ფაქტობრივი მასალიდან აშკარაა მხოლოდ ის, რომ XI საუკუნის ორიგინალური ქართული ავთოგრაფიული თხზულება "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება" XIII საუკუნეში უკვე ცნობილია რომაული სამკაოლათოვის. უფრო მეტიც, მისგან თარგმნილია ბრძენ-ლათინთა რელიგიური პოლემიკის უაღრესად მნიშვნელოვანი პასაჟი ბერძნულადაც და ლათინურადაც და იგი შეტანილია რომის ეკლესიის ძალზე პრესტიჟულ კრებულში Thesaurus fidei. რჩება საკითხები, რომლებზედაც დამატებითი მასალის მოძიების გარეშე პასუხის გაცემა არ ხერხდება. როგორ მიუწედა ხელი დომინიკელ ბერს - ბონაკორისის ქართულ ტექსტზე? სხვაგვარად რომ ვთქვათ, საიდან თარგმნის იგი ლათინურ ენაზე ამ პასაჟს - ქართულიდან თუ "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების" უკვე არსებული ბერძნული თარგმანიდან?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ შევისწავლეთ ბერძნულ მწერლობაში დღემდე შემონახული წმინდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების ამსახველი თხზულებები: "ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდათა მამათა ჩვენთა იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისი, ჩვენი წმინდა და უდიდესი ქართველთა ლავრის მამუნებლებისა", ე.წ. Βίος και πολιτεία, და XIX საუკუნეში ათონის მთაზე შედგენილ რუსულ კრებულში, "ათონურ პატერიკში" შეტანილი "წმინდა გიორგი ათონელის ცხოვრება", რომელიც, კრებულის შემდგენლის ცნობით, ამოღებული უნდა იყოს ბერძნული კრებულიდან Ἐκείνη τὴν ἡμέραν ἡμεῖς ἀπέγραψαμε. Ὁριζὸν ზემოდასახელებული ტექსტი გვიანდელია, XVIII და XIX საუკუნეებში შეთხზული და მათში ჩვენთვის საინტერესო პასაჟი წმ. გიორგი ათონელის ცხოვრებიდან ან არაა შეტანილი, ან გადაკეთებულია ბერძნული ორთოდოქსული ეკლესიის ინტერესების შესაბამისად.

ამგარად, დღეისათვის აშკარა მხოლოდ ის ფაქტი, რომ XIII საუკუნეში იტალიელ ბერ ბონაკორის მის მიერ შედგენილ კრებულში შეტანია გიორგი მცირის "გიორგი ათონელის ცხოვრებიდან" ერთი პასაჟის ლათინური და ბერძნული თარგმანი. ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, მან ათარგმნინა ეს პასაჟი "ცხოვრების" ქართული ტექსტიდან ბერძნულად და შემდეგ გადაამუშავა ლათინურად, თუ მის დროს უკვე არსებობდა ბერძნულად თარგმნილი გიორგი მცირის "წმინდა გიორგი ათონელის ცხოვრება".

უფრო მეტად მხარდასაჭერი ამ ორი ვარაუდიდან აღბათ პირველია. საქმე ის არის, რომ ათონის წმინდა მთის ქართულ მონასტერში უკვე მეთერთმეტე საუკუნიდან იყო ქართულ ხელნაწერებში შეტანილი გიორგი მცირის თხზულების ტექსტი. ათონელ ქართველ ბერებს დიდი ხნის მეფობრბოდა აკავშირებდათ ათონის მთაზე მოღვაწე რომაელებთან. XI საუკუნის დასაწყისში ლათინ ბერებს ქართულებად უმსაინძოეს, დამკვიდრეს ათონზე და დაეხმარნენ საკუთარი მონასტრის მშენებლობაში. იმავე საუკუნის შუა წლებში კი ლათინები მხარში ამოუდგნენ ქართველებს წმ. ეფთვიმე ათონელის ბერძნულად დაწერილი თხზულების "გარლამ და იოსაფის" ლათინურად თარგმნის ორგანიზებაში. ასე რომ, ადვილად დასაშვებია, საბერძნეთში თავისი 40 წლის მისიონერული მოღვაწეობის დროს დობინიკელ ბერს -- ბონაკორის ათონის ლათინი ბერები მოეჩვენებინათ და მათი მუშევრებით დაემაკრიებინა კონტაქტი ქართულ მონასტერთან -- ივირონთან.

ეფთვიმეობთ, აღნიშნას საჭიროებს ისიც, რომ ქართული მეცნიერებისათვის ამ უცნობი პუბლიკაციის მოძიება მოხერხდა იმ მნიშვნელოვანი საქმიანობით, რომელიც მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში. 1994-96 წლებში "NATO"-ს გრანტით მუშაობდი შესაქნელად მონოგრაფიისა "ქართული ლიტერატურის შესწავლა ევროპაში". პროექტის შესრულებაში ჩაბმულ იქნა ძალზე დიდი ეგუფი ჩვენი ცენტრის თანამშრომლებისა და უცხოელი ქართველოლოგებისა. 1995 და 1996 წლებში ვატყანში სამოციქულო ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა კოლეგასთან, ყოფილ ჩემს სტუდენტს, ამგვარ სამოციქულო ბიბლიოთეკის თანამშრომელ დოქტორ გავა შურადასთან ერთად იტალიურ მასალაზე მუშაობისას -- Bibliotheka Sancto-rum-ის ტომებში შეტანილ ქართველ წმინდანებზე ცნობების მოძიებისას -- მივაყენით საკმარად არაზუსტ მითითებას "გიორგი ათონელის ცხოვრების" ქართული რედაქციის ნაწევრების ძველი ბერძნული და ლათინური თარგმანების შესახებ. დაზუსტებას საჭიროებდა, რასთან გვეკონრდა საქმე: ჩვენს მეცნიერებაში მთარულ აზრთან, "გიორგი ათონელის ცხოვრების" ბერძნული თარგმანის არსებობის შესახებ, თუ რაიმე ჩვენთვის უცნობ მასალასთან? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მოვახერხე 1999 წლის მარტში ოქსფორდში ბოდილის ბიბლიოთეკაში იმავე მონოგრაფიის საკითხებზე მუშაობისას ზემოთმხმობილი პუბლიკაციის მოპოვებით.

## მითი და პოეზია .

1996 წელს იტალიაში (ქ. უდინე) გამოიცა წიგნი აიკა ფშაველა, „გველის მჭამელი“ და სხვა პოემები“ (საღიდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“), მთარგმნელები: ლუიჯი მაგაროტო და ჯანრობერტო სკარჩა. წიგნს ერთი ლუიჯი მაგაროტოს წინათქმა, რომელიც ჩვენი ჟურნალისათვის საგანგებოდ შეამოკლა ავტორმა და რომლის თარგმანსაც მკითხველს ამჟამად ვთავაზობთ.

\*\*\*

*ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთგან კრებულნი,  
კაცნი ვრძნებისა მცოდნენი, ზედა ვახელოვნებულნი,  
ყოველთა კაცთა მკუნენი, ივი გერკვისკან ვნებულნი;  
მათნი შებმელნი წამოვლენ დამბრძალნი, დაწბილებულნი.*

გადმოცემის თანახმად, საქართველოში ქრისტიანობა 337 წ. გავრცელდა, რომელიც კაბადოკიიდან მოსულმა წმინდა ნინომ იქადაგა. ყველგან - კავკასიის ვიწრო ხეობებში, მაღალ ციცაბო მწვერვალებზე და გადაშლილ ველებზე მცხოვრებმა ხალხებმა (თავიანთი ადათ-წესებისა და ტრადიციების გარდა) რუღუნებითა და თავდადებით შემოინახეს ის რწმენა, მითები, რიტუალები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ მათი წინაპრები. უფრო მეტიც, შეიძლება იმის მტკიცება, რომ თითქმის მთელი მსოფლიო ომამდე მათ ცხოვრებაში ვერ აღწევდა ბარიდან მიმავალი ცვლილებები, ამიტომაც ისინი არა მარტო მისდევდნენ მაშისეულ ტრადიციებს და ინარჩუნებდნენ მათ რწმენას, არამედ ინახავდნენ მათ რიტუალებსაც. ამიტომ ამ ხალხებს შორის გავრცელებულ ახალ რელიგიაში (ქრისტიანობაში) მისთვის დამახასიათებელი კულტი და წესები ძველ, წარმართულ ტრადიციებსა და რწმენებს შეერწყა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავკასიის მთებმა დაიცვეს ქართული ენა უფრო ძლიერი მეზობელი ქვეყნების ენების შემოტევისაგან, ასეთივე მზრუნველობით დაიცვეს მათ აგრეთვე თავად ცხოვრების სისტემისა და პრინციპების ყოველგვარი კულტურული გამოვლინება. ე.ი. ის, რაც დღეს შეგვიძლია განესაზღვროთ, როგორც ტიპური კავკასიური მოვლენა.

ჩვენი ყურადღება ამჯერად უნდა შევაჩეროთ იმ ხალხებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიის მთებში, ყაზბეგის მთის აღმოსავლეთით. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის საზღვართან. ფშავი და ხევსური ხალხების ცხოვრებას თვალი უნდა მივაღვწოთ არა მარტო იმიტომ, რომ მათი გმირობანი, რწმენა და ადათ-წესები ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ყურადღების ცენტრშია მოქცეული, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი გამოირჩევიან თავიანთი კულტურული ერთობის სიმჭიდროვით, საუკუნეების განმავლობაში გამოწრთობილი უნარით, ხელუხლებლად შეინარჩუნონ თავიანთი ფოლკლორი, გამოირჩევიან თავიანთი

სიჯიუტით, რითაც ხედებოდნენ ყოველგვარ „სიახლეს“. მიზეზი, რითაც შეიძლება აეხსნათ საუკუნეების განმავლობაში ხევსურებისა და ფშაველების (ან ფხოველების – როგორც მათ ძველი ქართველი ისტორიკოსები უწოდებდნენ, აერთიანებდნენ რა მათ ერთ ხალხად) ტრადიციების „ხელშეუხებლობა“, საკმაოდ მარტივია – სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობის პირობებში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ და რაც ჩვეულებრივი იყო აღმოსავლეთისათვის, არცერთი მათგანი არასოდეს ამ სისტემას არ ცნობდა.<sup>1</sup>

ფშავ-ხევსურთა საზოგადოების სულიერი მოძღვარი იყო ქადაგი, შამანი. თავად ტერმინი შეიძლება მოდიოდეს ბერძნული სიტყვიდან *kirikas*, რაც სწორედ რელიგიურ ქადაგს ნიშნავდა (და ნიშნავს) და რომელმაც, შესაძლოა, შემდგომში ქართულში მიიღო „შამანური“ ხასიათი. სპარსულმა სიტყვამაც – *xudāy* – ბატონი, პატრონი – შეიძლება სწორედ ამ მიმართულებით კვლევის გავრძელებისაკენ გვიბიძგოს.

ქადაგის არჩევა ხდებოდა ღვთაების, ე.ი. ადვილობრივი ბატონი მიერ (ქართულში ეს სიტყვა, თავისი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, ღვთაებასაც ნიშნავს), რაც ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო. მომავალი ქადაგი მოძღვრებას იწყებდა ბავშვობიდანვე, როგორც კი იგი ამის უნარს გამოავლენდა. თავიდან ამას, შეიძლება, გაურკვეველი და უსისტემო ხასიათიც კი ჰქონოდა. შემდგომში, მისდევდა რა ციკლურ კრიზისებს, ის იწყებდა დაუნდობელ ბრძოლას ღვთაების არჩევანის წინააღმდეგ. ცდილობდა, თუმც უშედეგოდ, წინააღმდეგობა გაეწია მისთვის მანამ, სანამ არ მიაღწევდა გადამწყვეტ სტადიას, როდესაც შამანის ენას – კომუნიკაციის საშუალებას – დაუეფლებოდა.

ხალხში ქადაგს *მეენესაც* უწოდებდნენ, ე.ი. იმას, ვინც ენა იცოდა. ახალგაზრდა ქადაგის მოწაფეობა იმით გამოიხატებოდა, რომ ის უნდა დაუფლებოდა ღვთაების საიდუმლო ენას – *ჯერის ენას*, ღვთის ენას, თუმცა ჩვენთვის უცნობია, თუ რა მეთოდებს იყენებდა ის. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ქადაგი ბევრ დროს ატარებდა მოხუც შამანებთან, რომლებიც არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რჩევების მიცემით, არამედ აცნობდნენ მას *შამანობის ტექნიკას*, შამანის ხელობას. როცა ის მიაღწევდა დამოუკიდებელი შამანის მდგომარეობას, ეკლესიასთან ახლოს იშენებდა ქოხს, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა. თუ ღვთაება ახალგაზრდას მაშინ მოუხმობდა, როცა ის უკვე დაქორწინებული იყო, მაშინ მას უნდა მიეტოვებინა ოჯახი, შვილები, გაეწვევითა ყოველგვარი ფიზიოლოგიური ურთიერთობა მეუღლესთან; მისი დამოკიდებულება სქესისადმი ინდიფერენტული ხდებოდა – ის საერთოდ უარს ამბობდა მასზე და, აზიური შამანობისათვის დამახასიათებელი თვისების თანახმად, ეს მის გარეგნობაშიაც გამოიხატებოდა. დაუფლებოდა რა ზებუნებრივ ძალებს, ხევსური შამანი, ციმბირელი შამანის მსგავსად, ბიოლოგიურ და სოციოლოგიურ ასპექტში არააღამიანად უნდა ქცეულიყო. მეორეს მხრივ

<sup>1</sup> G.Charachidzé, Le système religieux de la Géorgie paterne, Paris 1968, p. 38.

კი, როგორც ეს ზოგმა მეცნიერმა აღმოაჩინა, იმ მომენტიდან, როცა მას კოსმოსის ორ სამყაროს შორის დამაკავშირებლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა და, მასასადამე, ყოველგვარი პოლარული დაპირისპირება უნდა გადაეღობა, შამანს ორსაქესოვანი ბუნება უნდა ჰქონოდა.

დაეუფლებოდა რა ერთბელ ზებუნებრივ უნარს, *ქადაგი* სამუდამოდ უკავშირდებოდა ღვთაებას, რომელმაც მას მოუხმო — ე.ი. იმ ღვთაებას, რომელიც იმ სოფლის მფარველი იყო. სადაც ეს ეკლესია იდგა. თავის ქობში ჩაკეტილი შამანი მზრუნველობით ემზადებოდა იმ ბრწყინვალე დღესასწაულებისათვის, რომლებიც ეკლესიაში უნდა აღენიშნათ და რომელთა დროსაც მას მთელი თავისი შესაძლებლობა უნდა ეჩვენებინა. ცერემონიაზე ის აბსოლუტურად წმინდა უნდა წამდგარიყო (ზედსართავს აქვს ორი მნიშვნელობა: წმინდა და სუფთა), ამიტომაც დანიშნულ დღემდე ერთი თვის განმავლობაში მას არ უნდა ენახა და არ უნდა დალაპარაკებოდა არცერთ ქალს, მის საწოლს არ უნდა შეხებოდნენ ქალის ხელები, და საჭმელი, რომელსაც ის მიირთმევდა, არ უნდა მოემზადებინა დიაცს; ჭურჭელი, რომელსაც ის იყენებდა, ამ შემთხვევისათვის გარეთ იყო გადგმული. მხოლოდ ამგვარად შექმლო მიეღწია ქადაგს იმ წმინდა მდგომარეობისათვის, რომელსაც დღესასწაული მოითხოვდა.

ბუნებრივია, რომ ფშავ-ხევსურები *ქადაგს* მიმართავდნენ არა მხოლოდ დიდი დღესასწაულების დროს, არამედ ყოველთვის, როცა შური უნდა ეძიათ, როცა საომრად ან მტრის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდნენ. მტრები კი, როგორც ამას მკითხველი ვაჟა-ფშაველას პოემაბიდან დაინახავს, ძირითადად ჩიჩნები (*ჩისტები*) იყვნენ.

ფშავ-ხევსურები გუდანს მიმართავდნენ, რომელიც მათი ყველაზე ცნობილი სალოცავი იყო და სთხოვდნენ *ქადაგს*, ეკითხა ღვთაებისათვის მათი მისიის ბედის შესახებ. რიტუალის დროს, მას შემდეგ, რაც ერთ ცბოველს მაინც შესწირავდნენ მსხვერპლად, ქადაგს სთხოვდნენ, რომ მას ღვთაების სურვილი გამოეხატა. მეომრების ლოცვის დროს, გარკვეულ მომენტში, ქადაგს კანკალი აიტანდა, იგი თვალებს გადააბრუნებდა, ხელეებს ზეაღმართავდა და იწყებდა ქადაგებას, ამცნობდა რა ხალხს ღვთაების ნება-სურვილს; ის აუწყებდა, სალაშქროდ გასულიყვნენ თუ უფრო სასურველ მომენტს დალოდებოდნენ. ხევსური მეომრები ლაშქრობის დასაწყებად მზადაც რომ ყოფილიყვნენ, მას აუცილებლად გადადებდნენ იმ დროისათვის, რომელსაც ღვთაება მათთვის უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდა. გარდა ამისა, სალაშქროდ გასულები გზაზე დროდადრო ჩერდებოდნენ, რათა კვლავ გაევით ღვთაების აზრი. ფშავ-ხევსურთათვის ღვთაების აზრის გაგება ლაშქრობის წინ აუცილებელი პირობა იყო. რომელმაც ფართო ასახვა პოვა ადგილობრივ ფოლკლორშიც.

ქართულ სარიტუალო სისტემაში *ქადაგთან* შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე იდგა მღვდელი — *ხუცესი*, რომელიც ინიშნებოდა *ქადაგის* მიერ. სწორედ ქადაგმა იცოდა ადამიანში ამ მოწოდების ამოცნობა და ის განსაზღვრავდა ამ საქმიანობას. მეცნიერთა საერთო აზრის თანახმად, მას მინიჭებული ჰქონდა უსაზღვრო სასულიერო და

საერო უფლებები.<sup>2</sup> სწორედ მას მიჰყავდა დიდებული ცერემონიები, ის სწირავდა მორწმუნეების მიერ შემოწირულ საქონელს, ის ხელმძღვანელობდა საომარ მოქმედებებს, მას შესწევდა უნარი, შეერიგებინა მტრები. მოკლედ რომ ვთქვათ, ის იყო თავისი ქვეშევრდომების პოლიტიკური და სულიერი მოძღვარი. სწორედ ეს მისი უდიდესი უფლება (რომელიც მხოლოდ *ჩადავის* პრეროგატივით ისაზღვრებოდა) განაპირობებდა, რომ ის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სხვადასხვა ტომების ერთობების შეგნით, რომელიც ასე შეიძლება განვსაზღვროთ: მღვდელი ან ასრულებდა პოლიტიკური და სამხედრო მეთაურის როლს (ეს პირველ ყოვლისა, ეხება ფშაველებსა და ხევსურებს, სადაც მას *ბუეისბერს* უწოდებდნენ). ან ლიტურგიულ ვალდებულებებს, ამ სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობით, ან დაკავებული იყო მხოლოდ დასაფლავების ცერემონიებით (განსაკუთრებით ხევსურებს შორის, რომლებიც მას, *ბუეისბერის* გარდა, *ბუეის* ან *ბუეს* უწოდებდნენ).

დროთა განმავლობაში მოხდა ფუნქციების აღრევა, რასაც მოჰყვა როლების გაცვლაც ან უფრო მარტივად - სხვადასხვა ტომებში მოხდა აღრევა მღვდლის აღმნიშვნელი სახელებისა. *ჩადავსა* და *ბუეისს* დაემატა *მკადრე* - რომელიც მათ შორის იდვა, რადგანაც რიტუალური საგნების საშუალებით ის ღვთაებას უკავშირდებოდა; ისინი მთლიანად ინაწილებდნენ ადამიანის ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს: საბრძოლო, რელიგიურ თუ იმპერეციურ სამყაროსაკენ მიმართულს.

თუ კლანს შეეძლო დაემყარებინა და შემდგომში შეენარჩუნებინა ურთიერთობა სხვა, ამავე ტიპის ერთობასთან (ქორწილებისა თუ ომების საშუალებით) თუ ღმერთების სამყაროსთან (*ჩადავის* მეშვეობით), არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მათი ურთიერთობა მიცვალებულთა სამყაროსთან. სულთა სამყარო, ანუ ფშავეური ტერმინოლოგიის მიხედვით სულეთი - როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს, მღვდარობდა ქვეყნის შუაგულში და მოიხსენიებოდა როგორც „შავეთი“: „ფშაველის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის „შავეთს“. შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზე; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტად-ღა არიან ამ დროს წითლები, ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“.<sup>3</sup> ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფშავე-ხევსურებს მიცვალებულთა საუფლო წარმოდგენათ როგორც მიწიერი სამყაროს მიმართ არსებული სიმეტრიული და მისი საპირისპირო სამყარო; რომ, თითქოს, ჩვენგან ჩასული მზე ანათებდა იმ სამყაროს, მათი დღე ჩვენს ღამეს შეესაბამებოდა და ა.შ. სინამდვილეში კი მათ ჰქონდათ „შავეთის“ შესახებ პარალელური წარმოდგენა. ისინი თვლიდნენ, რომ ამ სამყაროში არსებული ცხოვრება ჩვეულებრივ იმ სამყაროში გრძელდებოდა, რომ ყოველი მიცვალებული

<sup>2</sup> Бардавелидзе В., Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлис 1932, стр. 10-11.

<sup>3</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, VII, თბილისი, 1956, გვ. 16-17. იხ. აკრეფე ოჩიაური ლ., სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბილისი, 1980, გვ. 111-120.

იკავებდა იმავე ადგილს და ასრულებდა იმავე ფუნქციებს, რომელსაც ის „მზის სამყაროში“ ასრულებდა; რომ გარდაცვლილი ბავშვები იქ აგრძელებდნენ ზრდას, რომ იქ კვლავ რჩებოდა მკაცრი დაყოფა სქესის მიხედვით და ა.შ. ცოცხლებს უნდა ეზრუნათ, რომ მიცვალებულებს არაფერი დაკლებოდათ. გარკვეულწილად მათ უნდა შეენარჩუნებინათ მატერიალური მსგავსება ორ „სამყაროს“ შორის. სწორედ ამიტომ ყოველი ოჯახი ცდილობდა, რომ მათ მიცვალებულს არ მოჰკლებოდა საჭმელ-სასმელი; იმ სამყაროშიც მაგიდა უზეად უნდა ყოფილიყო გაწყობილი, სწორედ ამიტომ მიცვალებულს ატანდნენ ბევრ ტანსაცმელს, იარაღს, ცხენებს. მაგრამ ასეთი ყურადღება არ იყო მიმართული ცალმხრივად - ცოცხლებიდან მიცვალებულებისაკენ, არამედ არსებობდა საპირისპირო ურთიერთობაც - მიცვალებულები ერეოდნენ ცოცხლების ცხოვრებაში, გამოხატავდნენ რა თავიანთ დამოკიდებულებას მიწიერ ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ, მაგალითად, ორი მტრული კლანის შერიგების ან მათი შურისძიების შესახებ; მოკლედ, ისინი მონაწილეობდნენ ამქვეყნიურ სიხარულსა და ტკივილში. თუ, მაგალითად, ამქვეყნად ქორწილი იმართებოდა და ორი თემის წარმომადგენლები ამას ერთად ზეიმობდნენ, იმქვეყნადაც მათი მიცვალებული ნათესავები ამ სიხარულს ანალოგიურად აღნიშნავდნენ.

ორ სამყაროს შორის არსებული გარკვეული წონასწორობა სხვადასხვა რიტუალის საშუალებითაც მყარდებოდა. მაგალითად, ქალების ტირილის რიტუალით, რომელიც ცოცხლებს მიცვალებულთან აკავშირებდა. ამ უკანასკნელს ის ესმოდა, თუმცა, ბუნებრივია, გამოპასუხება არ შეეძლო, მაგრამ, არსებობდა აგრეთვე მიცვალებულის კვშირი ცოცხლებთან, რომელიც „ხმით მოტირალი ქალის“ საშუალებით ხორციელდებოდა. იგი კანკალებდა, თავს აქეთ-იქით იქნედა, კბილებს ერთმანეთს ურტყამდა, ხელებს ივრებდა, თითქოს რაღაცის თქმას ცდილობდა. ბევრი ცდის შემდეგ ლაპარაკს მაინც ახერხებდა - ეს მიცვალებული ლაპარაკობდა მისი ენით. არსებობდა კიდევ ერთი, მესამე ფიგურა, რომელსაც პირდაპირ და მარტივად შეეძლო მიცვალებულებთან დაკავშირება: *მესულთანე* (სიტყვიდან „სული“) ქალი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიცვალებულების *ქადავის* როლს ასრულებდა და შეეძლო ნებისმიერ დროს დაკავშირებოდა „შავეთს“. ცოცხალთა მოთხოვნით მას შეეძლო კვშირი დაემყარებინა მათ მიცვალებულ ნათესავთან და გადმოეცა როგორც მისი ნება-სურვილი, ისე ის წინასწარმეტყველებანი, რომელიც მათი თემის მომავალს ეხებოდა.

ფშავ-ხევსურთა რწმენის მიხედვით, ღვთიური იერარქიის სათავეში იდგა უმაღლესი შემოქმედი არსება მორიგე (შესაძლოა, სიტყვა მომდინარეობდეს რივიდან. ე. ი. ღმერთად გაგებულია ის, ვინც წესრიგს ამყარებს). შემდეგ ბევრად უფრო დაბლა იდგნენ სულები, რომლებსაც მთის მოსახლეობა *ბატს*, *ღვთისშვილს*, *ჯუარს* ან *ანჯელოზს* უწოდებდა. ყოველი მათგანი რომელიმე სოციალურ-ტერიტორიულ ერთობას იცავდა, როგორცაა, მაგალითად, ტომი, კლანი, თემი და ა.შ.<sup>4</sup> ღმერთსა და

<sup>4</sup> Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён, Тбилиси 1957, стр. 5-8.

ლვთაებებს შორის იღვა კვირია, რომელიც, რა თქმა უნდა, პირველთან შედარებით დაბლა იღვა. მაგრამ ღვთაებებს აღმატებოდა, რადგანაც, როგორც მას ფშავ-ხევსურები განსაზღვრავდნენ, იგი იყო ღვთის მკარე; კვირია ასრულებდა სპეციალურ, განსაკუთრებულ ფუნქციას — იგი ან უშუალოდ თავად, ან როგორც ღვთის შუამავალი, არწმუნებდა ახალშეულლებულ წყვილს, რომ მათ პირველი შვილი ჰყოლოდათ — ამიტომ ფშავ-ხევსურები მას როგორც ქალურ, ისე მიწიერი ნაყოფიერების დამცველად მიიჩნევდნენ.

ღვთაებათა ჯგუფიდან გამოირჩეოდა კოპალას ფიგურა (ვისაც ვაქამ პატარა პოემაც მიუძღვნა), რომელსაც კავკასიელი ტომები ძალიან ძლიერ ღვთაებად მიიჩნევდნენ, თუმცაღა მისი კონკრეტული განსაზღვრა ჭირს, რადგანაც ხალხურმა ფანტაზიამ არ შემოგვინახა არც მისი წარმომავლობა და არც მისი კონკრეტული თვისებები. სწორედ სახელის გაურკვეველმა წარმომავლობამ უკარნახა ჯერ ივ. ჯავახიშვილსა და შემდეგ ჯ. კარსტს დაეშვათ ფონეტიკური ნათესაობის არსებობა კოპალასა და ჩიბელეს შორის (რაც არ არის უმნიშვნელო ფაქტი, თუ გავითვალისწინებთ მის შესაძლო მესოპოტამიურ ან „იაფეტურ“ ფესვებს), რათა განესაზღვრათ მისი საკმაოდ წინააღმდეგობრივი ფუნქციები. ერთის მხრივ, კოპალას წმ. გიორვისა და კვირიას თანამომძედ მიიჩნევდნენ, მეორეს მხრივ კი, ქართულ ფოლკლორში არსებული ბოროტი სულების — ქაჯების უფროსად. ქაჯებს შეუძლიათ ჯადოქრობა და თავის არაჩვეულებრივ თვისებებს იმისათვის იყენებენ, რომ რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ კაცობრიობას, რომლის მიმართაც დაუოკებელი ზიზღით არიან განმსჭვალულნი. ქალი ქაჯები კი, პირიქით, როგორც წესი, ლამაზები არიან. კაცებთან სასიყვარულო ხლართებს აბამენ და ხშირად მათ შორის ყველაზე რჩეულ გმირებს ცოლადაც მიჰყვებიან. მათი საცხოვრებელი ადგილი ქაჯეთია, რომელიც, ფოლკლორისტთა შორის გავრცელებული შეხედულებით,<sup>5</sup> სულეთში ანუ შავეთში, ე. ი. ჯოჯოხეთში მდებარეობს. მაგრამ ისინი ტყეებში, მთებში, მდინარეებსა და ტბებშიც ბინადრობენ. ქაჯები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანშიც“, სადაც ისინი ატყვევებენ ნესტან-დარეჯანს — ინდოეთის მეფის ასულს, რომელსაც შემდგომში მამაცი გმირი ტარიელი ათავისუფლებს თავისი მეგობრის ავთანდილის დახმარებით. კოპალა ქართული ფოლკლორის მიხედვით საშინელ ღემონებს — დევებს ხოცავდა. შესაძლოა, დევები მოდიან „ირანული ღემონოლოგიიდან და შეესაბამებოდათ ავესტის დევას, ეს იგივეა, რაც თანამედროვე სპარსული დევ“,<sup>6</sup> რომელიც შემდეგ ქართულმა ხალხურმა ფანტაზიამ კავკასიური ფოლკლორის თავისებურ გმირებად გარდასახა. როგორც სომხური ფოლკლორის ბოროტი სულები, ასევე ქართული დევები, ზომითაც და შესაძლებლობითაც ჩამოუვარდებიან ირანულ დევას; მათი სხეული, რა თქმა უნდა, საშინელია, მაგრამ მაინც ჰუმანოიდური აღნაგობისაა. თავიანთ განუწყვეტელ ბრძოლებში ღმერთების

<sup>5</sup> კ. გამსახურდია, დანტე ალიგიერი, ჯოჯოხეთი (წინასიტყვა), თბილისი, 1933, გვ. XLI; იხ. აგრეთვე ა. ბაქრაძე, გველისმჭამელი და ქართული მითი, „მნათობი“, 1968, №6.

<sup>6</sup> გ. შარაშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 342



წინააღმდეგ მათ შეიძლება დამარცხებაც განიცადონ და კიდევაც დაიხიციონ. როგორც ვაჟა წერს, „დღეი დღე იმალება და ღამე გამოდის სანადიროდ. დღეს ისე არაფერის ეშინია, როგორც მახვილისა და ცეცხლისა. დღეი კაცს ჰგავს სახით, მაგრამ მისი სახე უმსგავსია, წელს ზევით ღორივით ჯაგვარი ასხია. დღევებს წინათ უნავარდნაით ხალხზე: უელეტიათ ხალხი, უქამიათ. წყალიც კი არ უსმევიათ არა სულიერისთვის; ქვეყანა შეწუხებული, შეძრწუნებული ყოფილა იმათგან. მაგრამ ჩნდებიან ხატები და ისინი უტეხენ დევებს ბრძოლას. ცხოველი ხატები, რომელთაც გაელოტეს დევები, არიან კოპალა და იახსარი. ფშაველი დღესაც უჩვენებს ადვილს, სადა და სად გადაუხდიათ ამ გმირებს დევებთან ბრძოლა. დევები, ფშავლის წარმოდგენით. დღესაც არიან, მაგრამ იმალებიან და უცდიან დროს, რომ ხატების ვედრება გადაეარდეს; ...მაშინ ისეუ გამოვლენ დევები საფრებიდამ და დაიწყებენ ნადირობას“.

შესაძლოა კოპალას სახე გაიგივებული იყოს ელვასთან. ამასვე მოწმობს მითოლოგიაში არსებული ქარიშხლის აღწერილობაც, რომელსაც იწვევს ღვთის ბრძოლა დემონების წინააღმდეგ. ამგვარ აღწერილობას ვხვდებით კავკასიის სხვა ხალხების, მაგალითად, ოსების, მითოლოგიაშიც.

კოპალას ორმაგ, სამმაგ სახეს უპირისპირდებოდა წმ. გიორგისადმი მიძღვნილი მრავალი კულტი ან უფრო ზუსტად, სხვადასხვა ღვთაებრივი პერსონაჟები, რომლებიც ერთიანდებიან წმ. გიორგის სახეში და რომლებიც გავრცელებული იყვნენ არა მხოლოდ მთის ტომებში, არამედ მთელს საქართველოში. უკვე პირველმა მოგზაურებმა საქართველოში აღნიშნეს აქ წმ. გიორგის ძალზე დიდი პოპულარობა და მისდამი მიძღვნილი სალოცავების სიმრავლე. რიტუალებისა და ლოცვების დროს მისი სახელი ყოველთვის მოიხსენიებოდა ღვთის, წმ. სამებისა და ღვთისმშობლის შემდეგ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვედრებებში მას ყოველთვის მესამე ან მეოთხე ადგილი ეკავა. შეგვიძლია ვილაპარაკოთ წმ. გიორგიზე მრავლობით რიცხვში - წმინდანებზე, რადგანაც მისდამი მიძღვნილ ყოველ ტაძარში მას სხვადასხვა საქმიანობას მიაწერდნენ: ის იყო ომების, ნადირობის, მწყემსების, მოგზაურების დამცველი, ამავე დროს, მას აცხადებდნენ უდაბური, კულური ადგილების - მინდვრების, მთების, წყლების მფარველად. რთულია იმის დაზუსტება, თუ რა კავშირი არსებობს ახლო აღმოსავლეთის (ქრისტიანული და არაქრისტიანული) სხვადასხვა ლეგენდების წმ. გიორგისა და ქართულ წმ. გიორგის შორის. შეიძლება დავადგინოთ, რომ თითქმის ყველა ადგილობრივ ვერსიაში წმ. გიორგი მოსულია უცხოეთიდან (სხვადასხვა ვარიანტში სხვადასხვა ადგილია დასახელებული), შესაძლოა სპარსეთიდანაც (ცნობილი ჰაბოთეზა წმ. გიორგის მითრადი წარმომავლობის შესახებ). არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არსებობს ფონეტიკური სიახლოვე სახელს „გიორგი“ და მის არაბულ წარმოთქმას - გურჯ შორის, საიდანაც მოდის თავად საქართველოს

<sup>7</sup> ვაჟა-ფშაველა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72-73.

სახელი. ასევე საინტერესოა მგლის აღმნიშვნელი სპარსული სახელი *გარგ*, რომელთანაც საქართველო (ირკანია) ისტორიულადაა დაკავშირებული.<sup>8</sup>

თუ წმ. გიორგის არსებობა, ალბათ, დაკავშირებულია ქრისტიანული მითის პერსონაჟის არსებობასთან, ღმერთქალის - სამძივარის სახე კი თავად ქართულ მითოლოგიაში უნდა გაჩენილიყო. თავად სიტყვის ძირი - *მძივე* ან *მძივი* (მა და -არ კი პრეფიქსი და დაბოლოებაა) ამტკიცებს ღმერთქალის ქართულ წარმომავლობას. მისი მიზანი იყო შეეცდინა მოკვდავნი, უბიძგებდა რა მათ ცოლქმრული ერთგულების, ხოლო მღვდლებს - თავშეკავებულობის დარღვევისაკენ. მთის ღვთაებებს შორის სამძივარი ყველაზე ახლოს იდგა მიწის მოსახლეობასთან. იგი დროს ძირითადად ამ სამყაროში ატარებდა. იღებდა რა ახალგაზრდა ხევსურის სახეს, იგი სასიყვარულო ინტრიგებს ზღაართავდა იმ კაცების წინააღმდეგ, რომელთა სურვილიც ტანჯავდა. მისი ეს თვისება ძალიან მნიშვნელოვანი ჩანს, რადგანაც ის ერთადერთი იყო ღვთაებებს შორის, რომელიც ადამიანის სახეს იღებდა მაშინ. როცა სხვა ღვთაებანი, თუმცაღა ერთ-ერთენ ბრძოლებში, მოგზაურობებსა და სხვ., მაგრამ ინარჩუნებდნენ თავიანთ ზებუნებრივ რაობას და არასოდეს ადამიანებში არ ითქიფებოდნენ.

ღვთაება სამძივარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გახვეული იყო მიწიერ აურაში, მაგრამ ქართულ ფოლკლორში მოიძებნება ისეთი შემთხვევებიც, როცა ხდება ორი მიწიერი პერსონაჟის ღვთაებებად ამაღლება. ლაპარაკია თამარ მეფესა და მის შვილზე - ლაშაზე, რომელთაც ფშაველებმა ორი ტაძარი მიუძღვნეს. არ მოგვეპოვება ისტორიული საბუთი იმის შესახებ, თუ რანაირად შეიძლებოდა ასეთი „ოპერაციის“ განხორციელება. იგი ფოლკლორული ტრადიციის ბურუსში იკარგება. როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველა ემხრობა იმ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ლაშამ ძღვენი - წმ. გიორგის ღიდი ხატი - შესწირა იმ ეკლესიას, რომელიც მომავალში მის სახელს დაუკავშირდა, ხოლო ხალხმა კი ერთმანეთში აურია ძღვენი და მისი მბოძებელი, უწოდა რა ამ ხატს ლაშარი.<sup>9</sup> თამარ მეფის სახელობის ეკლესიის შესახებაც არ არსებობს რაიმე დამარწმუნებელი ახსნა. ისლა დაგვრჩენია გავიხსენოთ, რომ ორივე მეფის, და განსაკუთრებით თამარის, სახელი, ხალხური ტრადიციის მიხედვით ყოველთვის შემკული იყო ნათელი, ბრწყინვალე უპითეტებით. ზოტას ასხამდნენ მას ისტორიკოსები და პოეტები, თვით შოთა რუსთაველი თამარ მეფეს ასე მოიხსენიებს: „მეფისა მზის თამარისა“.<sup>10</sup> უკვე გაღმერთებულ მეფეებს ფშავერი რწმენა დაავადებებისაგან განკურნების უნარს მიაწერდა: ლაშარი კურნავდა მუცლისა და ყელის დაავადებებისაგან, ხოლო თამარს ყოველგვარი აუღმყოფობის დროს მიმართავდნენ, მას „დაბლობის მკურნალ მეფეს“ ეძახდნენ. მეფე-მკურნალის საკითხს მივყავართ იმ ანალოგამდე, რომელიც მოიძებნება დასავლეთის შუა საუკუნეების ტრადიციაში. მაგრამ მას ახასიათებს მნიშვნელოვანი განსხვავება: ევროპაში როდესაც მეფეს მკუ-

<sup>8</sup> Диядигური Ш., Баски и грузины, Тбилиси 1979, стр. 46.

<sup>9</sup> ვაჟა-ფშაველა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50-51.

<sup>10</sup> შოთა რუსთაველი, ვუფხისტყაოსანი, თბილისი, 1974, გვ. 9.

რნალად ჩათვლიდნენ, ის კვლავ ცოცხალი იყო, ე.ი. ხალხი არ ელოდა მეუის გარდაცვალებას, რათა მხოლოდ ამის შემდეგ გაელმერთებინა იგი და მიეწერა მისთვის ზებუნებრივი შესაძლებლობანი. ფშავ-ხევსურების მიერ შეფეხა და დედოფალს შორის სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის განაწილება აიხსნება გარკვეული ტრადიციით, რომელიც გავრცელებული იყო პირველყოფილ ხალხებში და რომლის მიხედვითაც დაავადებები იყოფოდა მდებარე და მამრ დაავადებებად (ასევე ადგილობრივ და შემოტანილ დაავადებებად),<sup>11</sup> რაც მოითხოვდა მკაცრ გამიჯვნას სქესებს შორის და რაც კიდევაც არსებობდა კავკასიის მოსახლეობაში.

\*\*\*

*„ქურ მიირთვიო“, - ალუდას  
და-დედან ეხვეწებთან.  
„მე ქურ არ მინდა, დეღაო,  
გული შამკერა რაღამე,  
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე...“  
ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“*

და, აი ეპოსი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ამბილებულ და მნიშვნელოვან ნაწილს ვაჟას მთელი მხატვრული შემოქმედებისა. რა თქმა უნდა, ვაჟა არის გამჭრიახი პროზაიკოსი, ნაღვლიანი, ელევგიური ლირიკოსი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის არის უდიდესი პოეტი-ეპიკოსი. შეიძლება ამიტომაც ზოგი მისი სტრიქონი დაუმთავრებელი მონუმენტური ფრესკის ფრაგმენტს მოგვაგონებდეს, ხოლო ზოგიერთში კი ასახულია ლეგენდები, გმირული ქმედებანი, ზღაპრული ეპიზოდები, რომლებიც, თითქოს, უფრო ვრცელ გავრძელებას მოითხოვენ და არ შემოიფარგლებიან ერთი ლექსით. ვაჟას პოემები „განსხეულებულია“ რვა-მარცვლიანი სტრიქონებით, რომელსაც შაირი ეწოდება და თავიანთი ბრწყინვალეობით, სიმძლავრითა და ინტენსიურობით უახლოვდებიან რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. წარმოადგენენ რა ნამდვილ მოვლენას თანამედროვე ქართული პოეზიის ისტორიაში. იტალიელი მკითხველისათვის ვაჟას ფართო ეპიკური მემკვიდრეობიდან თემატური ნათესაობის, დრამატულობისა და პოეტური ძალის მიხედვით განსახილველად ავარჩიეთ სამი პოემა: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გაკლის მჭამელი“.

1888 წ. 27 წლის ვაჟას მიერ პოემისათვის მიცემული ქვესათაური — „ხევსურის ცხოვრებიდან“ — მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მჭიდროდ შეეხებთ დასმულ თემას: პოემის სიუჟეტი და ფაბულა ხევსურთა უძველესი ტრადიციიდანაა ნასესხები. მოქმედება დრამატული ამბით იწყება: შატილის მოსახლეობას მაცნე ამბავს მოუტანს, რომ მეზობელი მუსლიმანი ქისტები შემოიჭრნენ ხევსურების ტერიტორიაზე და მათი ცხენები წაასხეს, მაგრამ ამ ამბის დრამატულობა სუსტდება, რადგანაც შატილის მოსახლეობა მას ჩვეული თავშეკავებულობით იღებს. საუკუნეების განმავლობაში მეზობელ მუსლიმანებთან ბრძოლებში

<sup>11</sup> ვ. შარაშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 654.

გამოწრთობილი ხვესურები ამ ამბავს მშვიდად ხედებიან და ფიქრობენ, როგორ მოიქცენ. ისინი გადაწყვეტენ დაადევნონ მათ საუკეთესო მებრძოლი - ალუდა ქეთელაური „კაცია დავლათიანი“, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ ბევრი მტერი მოეკლა. მიიღო რა დავალება, ალუდა - „კლდის შავარდენი ჩქარიო“ - მტერს დაედევნა. მალე ის მათ ნაკვალევს წააწყდა და ცოტა ხანში კიდევაც დაეწია მათ. ალუდამ ერთი ქისტი პირველივე გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა. მეორე ქისტთან - მამაც მეომარ მუცალთან კი ხანგრძლივი ორთაბრძოლა გაიმართა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ გამარჯვებული უნდა გამოეყვინა, რეალურად ორ მოწინააღმდეგეს შორის მეორე საფეხურის ურთიერთობაც უნდა გაერკვია. ამ ორთაბრძოლას თან მოკლე დიალოგი ახლდა; შეტაკების დროს მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს სამ-სამი ტყვია ესროლეს, ბოლოს კი ერთ-ერთი მათგანი სასიკვდილოდ დაჭრილი ძირს დაეცა. ყოველი გასროლის შემდეგ ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, რომ ტყვიას არ შეეძლო მათთვის რაიმე დაეკლო და ამით ამტკიცებდნენ თავიანთ რწმენასა და ვაჟაკობას (არაფერი არ შეიძლება დაემართოს „ყმასა გუდანის ჯვრისასა“).

ეს ორთაბრძოლა გამოხატავს დაპირისპირებას ორ ტოტემს შორის, რომლებიც ერთმანეთს ბრძოლის საშუალებით ელაპარაკებიან. ერთი გმირი ჯოჯოხეთის პერსონიფიკაციაა, მეორე კი - ზეცის. მეტაფორით შეიძლება ასე ითქვას, რომ ჩვენ წინ ვითარდება არა ორთაბრძოლა, არამედ კამათი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. თუმცა ხანდახან ლაპარაკია ტოტემის ერთიანობაზე, სინამდვილეში მას ორმაგი სახე აქვს: საიქიო - სიკვდილი და ზეცა - სიცოცხლე. ნამდვილი ბრძოლა - ეს არის ორთაბრძოლა ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ძალას შორის.<sup>12</sup>

როგორც ამ ორთაბრძოლიდან ჩანს, ორივე მებრძოლი ნამდვილი გმირივით იქცევა. ისინი უზადოდ იბრძვიან. თავიანთი რელიგიისა და რწმენის მიუხედავად, და ამით ისინი წარმოადგენენ ქართულ ლიტერატურაში არსებული დიდი ეპიკური მიმართულებების კიდევ ერთ მაგალითს, რომლის სათავეშიც „ამირან-ღარეჯანიანი“ ღვას - ნაწარმოები, რომლის ყველა გმირი, იქნება ის ქართველი, არაბი, ინდოელი თუ სპარსი (და, მაშასადამე, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელი), მამაცი და სულგრძელია; ისინი მუდამ მზად არიან დახმარების ხელი გაუწოდონ მათ, ვისაც ეს სჭირდება. მათ არ ამოძრავებთ რაიმე ეშმაკობა და არც რაიმე იდუმალი ზრახვები უფათურებთ გულში - როგორც ეს აღმოსავლეთის სამყაროშია გავრცელებული.<sup>13</sup> მაგრამ ყველაზე მეტად გასაოცარი ის არის, რომ ურთიერთობა ორ მოწინააღმდეგეს შორის, რომელიც გარეგნულად გაელენთილია მტრული განწყობილებით და რაზეც მათ მიერ ერთმანეთის მიმართ წარმოთქმული მიმართულებიც მოუთითებს („ბუნჯავო“, „რჯულაღლო“ და სხვ.). მალე მეგობრობაში გადაიზრდება, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია ქართული კლასიკური ეპოსისათვის

<sup>12</sup> О. М. Фрейденберг, Миф и литература древности, Москва, 1973, стр. 52.

<sup>13</sup> Е. Мелетинский, Средневековой роман, Москва, 1983, стр. 281.



(ორთაბრძოლის დროს ხშირად ხდება ტოტემების გაცვლა, მტერი მეგობრად, ძმად იქცევა).<sup>14</sup> რაც შეეხება ალუდას, მისი მეგობრული დამოკიდებულება მტრისადმი ვლინდება მთელი ჰომეროს განმავლობაში, ხოლო მესამე ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილი მუცალი კი მოულოდნელად თავის თოფს ამ სიტყვებით გადაუგდებს ვაჟკაც მტერს: „ეხლა შენ იყოს, რჯულძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“.

მუცალის ქმედებით გაოგნებული ალუდა უარს ამბობს, შეასრულოს ქრისტიანისათვის „აუცილებელი“ რიტუალი და მოკლულ მუსლიმანს მარჯვენა მოაჭრას, რათა მან ხიმშიედში არ განისვენოს. ალუდამ არათუ არ მოაჭრა მარჯვენა მუცალს, არამედ მიცვალებულის მკერდზე თოფი დაასვენა, ხოლო მკლაფზე - ხმალი, შემდეგ მიცვალებულს თავისი ნაბადი გადააფარა და ზედ ფარი გადაადო. სანამ იგი ამ სევდიან-სმომგვრელ რიტუალს ასრულებდა, „ატირდა როგორც ქალი“, თუმცაღა რუსთველის გმირებიც ხშირად ტიროდნენ, და კვლავ ატირდებიან ვაჟას გმირები, როგორც მინდია - კაცი, რომელმაც გველის ხორცი შეჭამა. ალუდას ამ საქციელში უნდა დავინახოთ არა მისი სისუსტე, არამედ ღრმა ადამიანური გრძნობა, რომელსაც ამკვარ მღვთმარეობაში ჩავარდნილი გმირი გამოხატავს; ეს ცრემლი უნდა გავიგოთ როგორც „მეორე საფეხური“, ალუდას „გარდაქმნა“.<sup>15</sup>

ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ალუდა შეძრა მუცალის ვაჟაკობამ და დიდსულოვნებამ. ორთაბრძოლის დროს მუცალთან გამოლაპარაკებისას მან გაიგო, რომ მის წინ იდგა არა „რჯულძაღლი“, არამედ ნამღვილი ვაჟკაცი, რომელიც არაფრით არ განსხვავდება მთის ბინადარი ფშავ-ხევსურისაგან, არაფრით არ განსხვავდება არც თავად მისგან - ალუდასაგან. უფრო მეტიც, მთელს ჰომეროს გასდევს ალუდას მიერ წარმოთქმული იდეა - რომ ალუდამ მოკლა კაცი, რომელიც მას აღმატებოდა და სწორედ ეს უბიძგებს მას განუდგეს თავის თემს; ეს დაპირისპირება იქამდეც კი მიდის, რომ ალუდა შორდება თავის ხალხს და მისგან განდევნილი აღმოჩნდება.

ალუდა შატილში ბრუნდება, მზე უკვე მალაა ცაში, დევები ცის კიდეს მისჯარებიან და ყორანი ავის ხმით გასჩხავის: „მამკედარა ქისტო მუცალი, თვალს უნდა ვსჭამნე ყმისაო, გულ-ღვიძლი ამოვარიდო, კალთა დაეხურო მხრისაო“. ალუდას საკუთარი თემის მკაცრი კანონების მიმართ დაუოკებელი წინააღმდეგობის გრძნობა ამოძრავებს. ეს კანონი მისგან მოითხოვს, რომ მან მუცალის მსგავსი ვაჟკაცები სიცოცხლეს გამოასალმოს. ეს წინააღმდეგობა მის შინაგან მონოლოგში - სასოწარკვეთილ წყევლაში გადმოიღვრება, რაც ძალიან მოულოდნელი და უცნაურია იმ მეომრისაგან, რომლისთვისაც ბრძოლა და მტრის მოკლა ჩვეულებად ქცეულა. არღვევს რა ტრადიციულ შეხედულებას სამართლიანობაზე, ვაჟაკობაზე, გმირობაზე, ამ მოულოდნელი შინაგანი მონოლოგით ალუდა ხაზს უსვამს თავის განდგომას საკუთარი თემისაგან. იგი გამოხატავს წინააღმდეგობას საუკუნეების განმავლობაში არსებული კანონების

<sup>14</sup> O. M. Фрейденберг, დასახ. შრომაში, გვ. 65.

<sup>15</sup> თ. წიხეკელი, ტრაგიკული ნიღბები, თბილისი 1971, გვ. 169.

მიმართ, რომლებიც მისი თემის ყოფა-ცხოვრებას აწესრიგებენ. იგი თავის მიძიმე ხეუღერს გრძნობს. განსაკუთრებით აქ გამოიხატება თხრობის „მეორე საფეხური“. მისი „მეორადი შინაარსი“, რომელიც იწვევს ალუდას ტრანსფორმაციას, მის ხელახალ დაბადებას. როგორც ჩანს, პირველი მომენტი, რომელიც გამოხატავს ხევსური გმირის განდგომას თავისი საკუთარი თემიდან, გამოხატულია ორთაბრძოლის „მეორე საფეხურზე“ — ორ მეომარს შორის დამყარებული ურთიერთობით; ახლა კი შინაგანი მონოლოგი წარმოადგენს პირველი ნაწილის უკანასკნელ მოქმედებას. ის გვიჩვენებს მებრძოლში ახალი ადამიანის გაღვივებას, ის ჭრის უკან დასახვევ გზას, ამტკიცებს, რომ ადამიანში მომხდარი ცვლილებების უკან შემობრუნება შეუძლებელია. III თავში მოულოდნელად წყდება პოემის ფაბულა და გადმოცემულია ალუდას სიზმარი. ამ ხერხით წინა პლანზე გადაიძვინება „მეორადი ტექსტი“, რომელიც სიუჟეტის განვითარების მიღმა გადამადული და. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხსნის იმ გზას, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ალუდას მორალური ფერისცვალება და, ამავე დროს, ვიწინასწარმეტყველოთ ხევსური გმირის მომავალი ევოლუციაც. სიზმარი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ცოტათი უკვე წაავაგვს „მეორე ცხოვრებას, ან სიკვდილის პირველ წუთებს“, ემსგავსება, რაც არც ისე იშვიათია, საიქიოში მოგზაურობას,<sup>16</sup> გავიხსენოთ კლარენსი რინარდ III-დან. შექსპირის პერსონაჟის მსგავსად ალუდაც იტანჯება და შეშინებულია სიზმარში, მაგრამ მისი სიზმარი, როგორც ფროიდი იტყვოდა, წარმოადგენს სცენას, რომელიც საიქიოში მოგზაურობის სცენასთან შედარებით უფრო მეტად არის გაუქვნილი ყოველდღიური ცხოვრების ელემენტებით, რომელიც მისმა ქვეცნობიერმა ნაწილობრივ განდევნა და ახლა წარმოდგა სახეშეცვლილი და ფორმაშეცვლილი, როგორც ფანტაზია, რომელიც სურვილის რეალიზაციისაკენ მიილტვის.

დგება საღამო. ისმის მთის მღინარის რაკ-რაკი. ცაზე ვარსკვლავები კიაფობენ, ბალახზე ცვარი დევს, მიცვალებულების სულები გამოდიან საფლავებიდან, რათა შეასრულონ თავიანთი წყნარი სიმღერები, კლდეებს შორის, ერთი ხევიდან მეორისაკენ დევები დაბორილობენ. გვიანია. ხევსურებმა ივანშემეს და დასაძინებლად ემზადებიან. უშედეგოდ სთხოვენ ალუდას დედამისი და მისი დები, რომ საჭმელი ჭამოს. ალუდა უარს ამბობს, რადგანაც გულზე რაღაც აწვეს. წინა ღამეს სიზმარი უნახავს და ჯერაც მისი გავლენისაგან ვერ გათავისუფლებულა. ალუდამ სიზმარში მუცალი ნახა. დაჭრილი მუცალი ევედრებოდა ალუდას, მომკალიო. მუცალის სიტყვების შემდეგ ალუდა მაგიდას მიუჯდა. ჯამიც მოუტანეს, რომელშიც ადამიანის ხორცისაგან გაკეთებული კერძი იყო. ალუდამ ჭამა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ხორცის ლეჭვა მას საშინელ გრძნობებს გვრიდა. „ჭამე!“ - უბრძანა ვიღაცამ და ბრძანება გასცა, კიდევ მოუტანათ ალუდასათვის კერძი მის უკეთ დასანაყრებლად. ალუდამ მეორედაც ჭამა ადამიანის ხორცი.

აქ მთავრდება ალუდა ქეთელაურის სიზმარი და ჩვენც აქ შევჩერდებით, რადგანაც ეს სიზმარი წარმოადგენს მთელი პოემის ცენ-

<sup>16</sup> ა. ვაწერელია, ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი, ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966, გვ. 148.

ტრალურ ნაწილს — აქ ირკვევა, რომ ალუდას შეხელულებებში დიდი ცვლილებები მოხდა, აქ ხაზგასმულია ხევსური გმირის გარდასახვა, რამაც გამოიწვია მისი თემიდან განდგომა. უფრო მეტიც, უნდა ითქვას, რომ ეს სიზმარი წარმოდგენს ალუდას ხელახალი დაბადების მეორე მომენტს ან ვათავისუფლებას. რომელიც მუცალთან ღუელის დროს დაიწყო. იმისათვის, რომ უკეთ გავივით ალუდას სიზმრის საიდუმლო, უნდა გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას „ღვევების ქორწილი“. რომელიც ამ პოემამდე ორი წლით ადრე დაიწერა. ამ ლექსში აღწერილია ღვევების ქორწილი, რომლის დროსაც სტუმრებს იმავე კერძით უმასპინძლებიან, რომელიც ალუდას სიზმარშია აღწერილი — ხის ჯამებით ადამიანის ხორცს აჭმევენ. ღვევების გარეგნობაზე უკვე ვილაპარაკეთ, ვისარგებლეთ რა თავად ვაჟას სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციით. ამ ლექსში მოტანილი ღვევების აღწერილიდან კი შევეძლია დავამატოთ, რომ ისინი ატარებდნენ გრძელ თმას, მთელი ტანი ხშირი ბეწვით ჰქონდათ დაფარული და შუბლზე დიდი რქა ჰქონდათ, რომელიც მათ ხარის ძალას ანიჭებდა. პოეტიც ამ ქორწილში იყო დაბატიყებული. მან იგრძნო ადამიანის ხორცის მძაფრი სუნი, რომელიც ცეცხლზე იხარშებოდა და აქაც, ისე როგორც ალუდას სიზმარში ხდება, მოუხედავად საშინელი გრძნობისა, ის მაინც დანაყრებამდე ჭამს ადამიანის ხორცს.

როგორც პროზა აღნიშნავს, სხვადასხვა ტომების ძველ, ანტიკურ წეს-ჩვეულებებში მოიძებნება ანტროპოფაგიური რიტუალები. მაგალითად, როდესაც ახალგაზრდა თავისი ტომის სრულყოფილებიანი წევრი ხდებოდა, ან მას უფლებას აძლევდნენ დაქორწინებულიყო,<sup>17</sup> სრულდებოდა რიტუალი, რომლის დროსაც ამ ახალგაზრდას სიმბოლურად ჭამდნენ და ამის შემდეგ ის ხელახლა იბადებოდა ახალი ცხოვრების დასაწყებად; ან იგი სიმბოლურად უნდა შეეწვათ. დაეჭრათ, ეჭამათ და შემდეგ ის ისევ ცოცხლდებოდა. გარდა ინიციაციის რიტუალის მნიშვნელობისა, დევთა ქორწილი საქართველოს მთის მოსახლეობაში აღიქმებოდა როგორც ნაყოფიერების დღესასწაულიც, მაგრამ „ღვევების ქორწილის“ მითოლოგიურ ანტროპოფაგიაში განსაკუთრებით წარმოდგენილი არის ტრადიციების ის სუბსტრატი, რომელიც დიონისურ ორგინას უკავშირდება, რასაც უკეთ დაეინახავთ, თუ ალუდას სიზმარს დაეუბრუნდებით.

სიზმრის სიმბოლურ სახეთა სიმრავლეში ალუდა თავის რეალურ რაობას აღიქვამს, ე.ი. აღიქვამს თავის შინაგან ერთიანობას სამყაროსთან, რომელშიც მისი. როგორც ცალკეული ინდივიდის, არსებობა იშლება, და ის იმავდროულად თავისუფლდება მისტიური გრძნობისათვის სხვა მნიშვნელობის მქონე გამარჯვების მოსაპოვებლად. დიონისურ თრობასა და თავის თავთან სულიერ გაუცხოებაში ალუდა სიზმრის პოეტური აღმაფრენის გავლენით<sup>18</sup> აღმოაჩენს თავის რეალურ ბუნებას, თავის შინაგან რაობას, ის წვდება თავის ნამდვილ ფასეულობას, რომელიც მას ადრე გადაეთელა და ჩაეხშო.

<sup>17</sup> V. Propp, *Le radici storiche dei racconti di fate*, Torino 1972, p. 89.

<sup>18</sup> F. Nietzsche, *La nascita della tragedia*, Milano 1972, p. 35.

უპირველეს ყოვლისა, ალუდას სიზმარი მისთვის წარმოადგენს ინიციაციის მცდელობას. ეს არის იმ ილუზიის გადალახვა, რომელშიც მან იცხოვრა, როგორც რეალობაში, ის გამოვლინდება როგორც სურვილის განხორციელება; ეს არის ახალი ცხოვრების იმედი. დაარღვევს რა თავისი თემის ტრადიციებს, ალუდა შეუდგება მითურ სვლას, როგორც სამყაროს კონცენტრირებული სახე. ბუნების შემოქმედებითი ძალა და საერთო ცივილიზაციის გამოხატულება. შეიძლება ითქვას, რომ ის ტოვებს მითს მითისათვის; ღალატობს თემის დაუწერელ კანონებს რაინდობის, კეთილშობილებისა და მშვიდობის სასარგებლოდ. ჭამს რა ადამიანის ხორცს, ამით ის ასრულებს ინიციაციის სიმბოლურ მითს (როგორც ეს ბევრ რელიგიაში ხდება), რაც მის წინ ახალი მითის კარებს ხსნის; იმ მითისა, რომლის მატარებელიც მუცალი იყო (ტოტემების გაცვლა, რაზეც უკვე იყო ლაპარაკი). მუსლიმანთან ბრძოლის დროს ალუდას, როგორც ჩვეულებრივ ქრისტიან მებრძოლს, იმედი აქვს დაიმსგავსოს მოწინააღმდეგე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის გამარჯვებული რჩება, ის წარმოდგება როგორც უფრო სუსტი მითის მატარებელი – ის ემსგავსება სხვას. ამგვარად, ინიციაციის გზაზე ის დაუშვებს მუცალის – როგორც სხვა მითის მატარებლის – უპირატესობას, ინიციაციის რიტუალი უფლებას აძლევს ალუდას, მას (მუცალს) ხელი ჩამოართვას. აი, ამ სისხლიანი სიზმრის დიონისურ ფრენეზიაში დგება დრო ამობრუნებული რეალობისა, ილუზიისა, რომელიც ძველ ილუზიას ედება როგორც რეალური სინამდვილე, საკუთარ ფეხზე დამდგარი რეალობა და სრულდება უარყოფა ძველი მითისა.

ქისტ მტერში განსახიერებული მითის მიღებით ალუდა იღებს სხვა კულტურას, რომელიც სხვა სიწმინდით არის გაყენებული და რომლის ფესვები იმ სამყაროში იძირება, რომელიც უკვე აღარ არის ხევეურთა სამყარო. სიმბოლურად სვამს რა მუცალის სისხლს და ჭამს რა მის ხორცს, ის შეიცნობს მუცალის გმირობას, შეიძენს მის ვაჟკაცობასა და სიმხნევეს (ფროიდი ამბობს: „გადამუშავების აქტით ორგანიზმის შიგნით მიღებული ადამიანის სხეულის ნაწილები ახდენს აგრეთვე ამ ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შექმნას“.<sup>19</sup> ფრაზერის აზრით კი: „მიცვალებულის სისხლი და ხორცი, საერთო აზრით, ატარებს სიმხნევეს, ცოდნას და ყველა იმ თვისებას, რომლის მატარებელიც თავად ის ადამიანი იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკის მთის მცხოვრებლებში გავრცელებულია ცერემონია – როცა ახალგაზრდას იღებენ ლოყის ან ლიგის წვერად, მას უნდა ჩაუსახონ სიმხნევე. რაც იმით გამოიხატება, რომ მას ფერფლის სახით შესთავაზებენ მათი მტრის სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, იმ მტრისა, რომელიც სწორედ ამ თვისების მატარებელი იყო“.<sup>20</sup>) მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მთლიანად უერთდება მუცალის მიერ განსახიერებულ მითს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მოხიბლულია ქისტის ვაჟკაცური თვისებებით. აცნობიერებს მის ადამიანურ სიდიადეს, ესმის სიმულელიისა და გაუთავებელი ბრძოლების

<sup>19</sup> S. Freud, *Totem e Tabù*, Torino 1969, p. 35.

<sup>20</sup> J. G. Frazer, *Il rito d'oro. Studio sulla magia e la religione*, vol. III, Torino 1965, p. 774.



უაზრობა, მაგრამ ის უარყოფს მითის იმ ნაწილს, რომელიც მას ძირითადად წარმოადგენს: რელიგიას. ორთაბრძოლის დროს ალუდა აღმოაჩენს, რომ ქისტები ღირსნი არიან პატივისცემისა და არ არიან აუნი, აუზნიანნი - როგორც ამას პოემის დასაწყისში ამცნობს მაცნე. შემდგომში, ეს აღმოჩენა სიზმარში კვლავ მტკიცდება ინიციაციის სიმბოლიკით, რომელიც არსებითად, ჰუმანური ვაგუბით, სხვისი პატივისცემის ვზით საკუთარ რელიგიასთან, რწმენად ქვეულ ქრისტიანობასთან შედარებით უფრო ნამდვილი სულის მიღებაა.

აღმოვჩნდით პარადოქსული სიტუაციის წინაშე: მუცალის წინააღმდეგ ბრძოლაში ალუდა ცდილობდა თავისი კულტურა მოეხვია მტრისათვის. ოღონდ, მოუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში იგი გამარჯვებული რჩება. თავად იზიბლება სხვისი მითით და სწორედ ამ სიზმარში გადმოცემული ინიციაციის საშუალებით — შიშით, რომელსაც განიცდის და სიზმრით, რომელმაც ის უნდა მიიყვანოს სხვისი ტრადიციების საიდუმლოს შეცნობამდე, ის აღმოაჩენს თავისი საკუთარი რელიგიის რაობას, უკეთ შეიმეცნებს მის პრინციპებს. ნაწილობრივ სახეს იმ უფრო ფართო მითისა, რომელზეც დამყარებულია ხევსურების კულტურა.

\*\*\*

*სასაფლაოდან წამოვა  
აჩრდალი ფარხმალიანი,  
კულზე უწყევია დაკრფვით  
მკლავები სამკლავიანი.*

*ვაჟა-ფშაველა, „სტუმარ-მასპინძელი“*

კონფლიქტს, რომელმაც ალუდას პიროვნება თავისი თემის მკაცრ ტრადიციებს დაუპირისპირა, უკვე სხვა კონტექსტში კვლავ ვხვდებით პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“. ეს პოემაც დაბალი შაირით არის დაწერილი და 1104 სალექსო სტრიქონისაგან შედგება. იგი ვაჟამ 1893 წელს გამოაქვეყნა. მას შემდეგ, რაც უკვე დაიბეჭდა მისი რამდენიმე ცნობილი ნაწარმოები. ამ პოემის ფაბულა პოეტს ხალხურმა ლეგენდამ უპარნახა, რომელიც ხევსურებს შორის იყო გავრცელებული.

სოუკეტი ამჯერად ვითარდება ქისტებისა და არა ხევსურების სოფელში. პოემა იწყება ღამის პეიზაჟის აღწერით, რომელშიც ძირითად როლს ბუნება ასრულებს. როგორც ეს „ალუდა ქეთელაურში“ დავინახეთ და „გველის მჭამელში“ ისევ შევნიშნავთ, ბუნება ვაჟასთან სულიერია, ცოცხალია, ის მოქმედებს, ხარობს და იტანჯება, ტირის და იცინის. მოკლედ მას ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები აბასიათებს. ა. გაწერელია წერდა: „ბუნება თვითონ მეტყველებს და ფანტასტიკური და რეალური ისეა შერწყმული მასში, რომ ხშირად ძალიან ძნელია თქმა — სად. თავლება პირველი და სად იწყება მეორე.“<sup>21</sup> ფაქტობრივად ჩვენ წინაშე ფიზიომონისტიკური ან „ერეტიკული“ პანთეონშია, როცა ვაჟა, ერთის მხრივ, ბუნებას აიგივებს ღვთაებასთან, მეორეს

<sup>21</sup> ა. გაწერელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

მხრივ კი, — ადამიანს ღმერთთან. ამ ფილოსოფიურმა ტენდენციამ განაპირობა ის, რომ ვაჟა მიემსგავსებინათ გოეთესათვის, რომლის ფაუსტიც, რომელმაც ყველაფერი განიცადა, რაც შესაძლებელი იყო. ყოველთვის ცდილობს გააგრძელოს უსასრულობაში განცდილი წამი. ფაქტობრივად ორივე პოეტი ბუნებაში შეიცნობდა არაჩვეულებრივ უნარს, ყოფილიყო მიწიერი ამბების განმსაზღვრელი, რაც მას ჩვენი ცხოვრების ნამდვილ ქალბატონად აქცევდა.

ვაჟა ქედს იხრის ბუნების წინაშე. იგი არ უშვებს რაიმე ცეზურას ბუნებასა და ღვთაებას, ბუნებასა და კაცობრიობას შორის; იქ ის ეძიებს სილამაზის, ჰარმონიის, სიმართლის, სიყვარულის. სიკეთის, ბედნიერების, თავისუფლების იდეალებს, რომლებიც ნელ-ნელა ქრებიან სამყაროდან და ხელოვნებიდან. ბუნება ვაჟასთვის არის პოეტიკის საფუძველი, ძირითადი სემანტიკური გამოხატულება, მაგრამ იმავდროულად არის მითური სახის მეტაფორაც. ის წარმოადგენს სამყაროს მისეული აღქმის თავშესაფარს, ის აღზევდება გადამრჩენის სახემდე, თუმცა იმ მომენტიდან, რომელიც, როგორც თავად ვაჟა ამბობს, ცნობილია როგორც „უსასრულო, მარადიული ცოდვა“, თავად ვერ ახერხებს სამყაროს გადარჩენას. რეალურად ყოველივე განწირულია სასიკვდილოდ. ბუნების სამყაროთი მოხიბლული გოეთე წლების განმავლობაში მის მეცნიერულ შესწავლას შეუდგა (რამაც ხელი კი არ შეუშალა, არამედ, პირიქით, შეუწყო მის ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებას). ვაჟას კი აქვს ბუნების რელიგიურ-პანთეისტური ხედვა, რომლის ფესვები უკავშირდება წარმართების ვიტალიზმსა და ანიმიზმს, რომელიც არაჩვეულებრივად ეხშიანება განხორციელებულ ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს. ცნობილია, რომ უკვე გორის სემინარიაში კითხულობდა ვაჟა გოეთეს შრომებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესახებ. იგი ყოველთვის დიდი პატივისცემით იყო განმსჭვალული ფაუსტის მიმართ, მაგრამ მისი პანთეიზმი უფრო მეტად ხალხური ელემენტებითაა გაჯერებული. რომლებიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა მთის მოსახლეობის მოთხრობებსა და ლეგენდებში. მათში აისახა ის ანტიკური ტრადიცია, რომელსაც ბუნების მოვლენების — წყლის, ცეცხლის, მთების და ა.შ. უდიდესი პატივისცემა ახასიათებდა და რომლებსაც იგი ადამიანურ თვისებებს მიაწერდა.

ბუნების პერსონიფიცირება, რასაც ხშირად ვაწყდებით ვაჟას პოეზიაში, მიზნად ისახავს მის (ბუნების) მონაწილეობას გმირებისა და მთხრობლის განცდებში, რათა შეიქმნეს მათი ერთიანი ემოციური განწყობილება. ბუნებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში ვაჟას უპირატესობა ის არის, რომ მან აღმოაჩინა ის საოცარი ხმა, რომელიც ააგნებს ასულიერებს და რომელზეც ბარათაშვილიც ლაპარაკობს: მან ბორცი შეასხა იმ სურვილს, რომელიც ფშავ-ხევსურების ტრადიციებში ცოცხლობდა.

დავუბრუნდეთ პოემას. როცა გაიგებენ, რომ ჯოყოლას სტუმარი სინამდვილეში ქისტების დაუძინებელი მტერი ზეიადაურია, მაშინ სათემო ერთობაში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ყოფაცხოვრების ორ წესს შორის შეუთავსებელი კონფლიქტი წარმოიშობა. ერთის მხრივ, ყოველი ქისტის ვალია, მოკლას თავისი დაუძინებელი მტერი, მეორეს

მხრივ კი სტუმარს, ვინც არ უნდა იყოს ის, არავითარი მიზეზით არ შეიძლება ხელი ახლონ. თავად ვაჟა წერს: „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდა ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს; თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას“.<sup>22</sup> ამგვარად, ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი არჩევანი ერთ-ერთ წესს აუცილებლად დაარღვევდა, რადგან ზვიადაურის მოკვლით აუცილებლად დაირღვეოდა სტუმარ-მასპინძლობის წმინდა წესი, ხოლო, თუ ჩეჩნები ამ წესს გაითვალისწინებდნენ, მაშინ მოკლული ნათესავისათვის შურს ვეღარ იძიებდნენ. ამგვარი არჩევანის წინაშე მყოფ ერთობას – პატივი მიაგოს სტუმარმასპინძლობის წესს თუ შური იძიოს – ეჭვი არ ეპარება, რომ ზვიადაური უნდა დაიჭიროს და მოკლას. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილება ჯოყოლას ღირსებას თელავს – მან საკუთარი თავის წინაშე უნდა აგოს პასუხი სტუმრის უსაფრთხოებაზე. როცა ის ხელავს, რომ მისი შეიარაღებული ამხანაგები ალყას არტყამენ მის სახლს და გაივებს თავისი სტუმრის ნამდვილ ვინაობას, ის ფითრდება, თითქოს ისარმა გული გაუვმირა, მაგრამ თავს ძალას ატანს და თავის თანამემამულეებს ევედრება, ხელი არ ახლონ ზვიადაურს, სანამ ის მისი სტუმარია. ამგვარი კონფლიქტი სათემო წესებს შორის, რომელთაგან ერთი შურისძიებას მოითხოვს, ხოლო მეორე – სტუმრის პატივისცემას, დრამატულად წარმართავს პოემის შინაარსს და წარმოადგენს უკიდურეს დაპირისპირებას საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ამ ორ ნორმას შორის, რასაც ტრავიკული დასასრული მოჰყვება – სამივე გმირის: ზვიადაურის, ჯოყოლას და ლამაზი ალაზას სიკვდილი. ჯოყოლა ევედრება, პატივი სცენ მის ოჯახს, საერთო რწმენას, ქისტი ხალხის ადათ-წესებს, რომლის მიხედვითაც სტუმარი ხელშეუხებელია, მაგრამ ყოველივე ამათა: ზვიადაურს იჭერენ და მიჰყავთ სასაფლაოზე, რათა ერთ-ერთ მკედარს მსხვერპლად შესწირონ. იმ სამყაროში იგი ერთ-ერთი ქისტის მონა უნდა გახდეს. იმისათვის, რომ ამ მსხვერპლთშეწირვამ სასურველი შედეგი გამოიღოს, საჭიროა განსაკუთრებული პირობა: ტყვე შიშისაგან უნდა კანკალებდეს, სასოწარკვეთილებას მიეცეს, შეწყალებას ითხოვდეს, რომ მას სიცოცხლე შეუნარჩუნონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება მსხვერპლად შეწირული გარდაცვლილის მონა, რომელსაც იგი უნდა „მსახურად ჰყავდეს, მორჩილად, და გაუბანდოს ჯღანია“. ყველანი სასაფლაოზე შეიკრიბნენ. მოლა ხმამაღლა ლოცულობს და მოუხმობს გარდაცვლილი დარღას სულს, რომელსაც ზვიადაური უნდა შეეწიროს მსხვერპლად, მაგრამ ზვიადაური მამაცი მეომარია და სიკვდილის არ ეშინია. მისი სხეული გაშეშებულია. ფეხებიც არ უკანკალებს შიშისაგან, მისი თვალები უძრავია. იგი კრინტსაც არ ძრავს. ზვიადაურს კლავენ, მაგრამ ვერ კლავენ ვაჟკაცი მეომრის გულს – „გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა“. ზვიადაურის ვაჟკაცური ქმედების გამო ადამიანის მსხვერპლად

<sup>22</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964, გვ. 48.

შეწირვამ მიზანს ვერ მიაღწია. გახლებული ქისტები წყველიან თავიანთ ტყვეს და მის სხეულს ძაღლებს უტოვებენ საჯიჯვნად.

პოემაში ორი ახალი ელემენტი ჩნდება. ფიქრობს რა სიკვდილზე, ვაჟა არ ურიგდება იმ საერთო ხვედრს, რომელსაც ბედი უმზადებს ორივეს — მამაც ადამიანს და სუსტს, ვაჟაკე მეომარს და მხდალს, მოსიყვარულე მამას და დაუნდობელს. მას თითქოს უნდა, რომ იმ ადამიანს, რომელსაც „გასხივოსნებულს“ დაუძახებდით, სხვა ბედი ჰქონდეს — უკვდავება იყოს მისი ხვედრი, და, თუ გაეთვალისწინებთ, რომ ვაჟასათვის უკვდავება სხვა არა არის, თუ არა მეტაფორაში გამოხატული და თავის კონკრეტული ფუნქციის მქონე მითური სახე, დავინახავთ, რომ თავის ისეთ გმირებს, როგორც ზვიადაურია, იგი ანდობს პათოსს. რომელიც მათ სხვა ადამიანებთან შედარებით ბევრად უფრო მაღლა აყენებს; მათ წილად ზვდათ სხვებს გადასცენ ცხოვრების უფრო კეთილშობილური ხელვა და, მაშასადამე, სწორედ ამგვარად იმოქმედონ ადამიანებზე. ადამიანთა ის სამყარო, რომელიც ვაჟას პოემებშია წარმოდგენილი, გარკვეულწილად ელევსინურ ამბავს მოგვაგონებს — როცა ყველა მოქალაქეს შეუძლია შეუერთდეს იმ წმინდა მსვლელობას. რომელიც ათენიდან მოემართება, მაგრამ ცოტანი არიან იმ ხილვის მოწმენი, რითაც ეს მისტიური რიტუალი მთავრდება. ასეთები არიან ვაჟას გმირები, რომლებიც, დვანან რა ჩვეულებრივ ადამიანებზე მაღლა, მოითხოვენ ადამიანის ცხოვრების არაჩვეულებრივ, ზეალმაველ მოდელს, სადაც სიხარული, გადალახავს რა რეალური არსებობის სევდას და შემაძრწუნებელ საშინელებას, იმარჯვებს ტკივილსა და დარდზე; სადაც სიმდაბლე, საშინელი შეზღუდულობა მარცხდება იმედით და იმის რწმენით, რომ ის სიხარული, რომელიც ადამიანმა შეიძლება განიცადოს — რეალობაა. ზვიადაურის, ალუდას და ჯოყოლას მსგავსი გმირების უკვდავება ვლინდება კათარზისულ ძალაში. „ზარატუსტრას“ მარადიულ დაბრუნებაში, გამარჯვების გრძნობაში; ამ გმირებს წილად ზვდათ იმათში გაცოცხლება, ვინც ამ დარიგებას შეისმენს.<sup>23</sup> მეორე ელემენტი წარმოდგენილია სიყვარულის სახით, რომელიც უეცრად ჩაესახება ალაზას ხევსური გმირის მიმართ. აქაც, რაინდული პოემების მსგავსად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს „აკრძალული“ სიყვარული პოემის გმირსა და ქალიშვილს (ან გათხოვილი ქალს) შორის, მაგრამ ქისტების თემში არსებული მკაცრი ტრადიციების გამო აუცილებელი ხდება მისი დამალვა. ამ სიყვარულს სულის სიღრმეში ინახავს ალაზა და ის საიდუმლოდ გამქალაქებდა არა სიხარულში, არამედ ტკივილის განცდით მოგერილ ტანჯვაში. ალაზა, რომელმაც ზვიადაური გაიცნო იმ დამით, როცა ის მათთან სტუმრობდა. თავის სიყვარულს სასაფლაოზე ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვის დროს გამოხატავს. ამ არაადამიანურ აქტს ქისტი მეომრები სიამაყით ასრულებენ, მთები კი სინანულით იღებენ: ისინი კვნესით აღავსებენ მდელს, მდინარეები ხმაურით ეშვებიან, ქარი სტვენიტ დაქრის, ხოლო ღამის სიბნელეში მიცვალებულის თავთან მუხლმოყრილი ჩეჩენი ქალი გულამოსკნილი ქეითინებს. თავისი სიყვარულის სიმბოლოდ იგი ხანჯლით მიცვალებულს წვერს აჭრის, მაგრამ ამ დროს მას თავზარი ეცემა; სასაფლაოებიდან

<sup>23</sup> G. Colli, *Nota Introduttiva*, in F. Neitzsche, *Così parlò Zarathustra*, Milano 1978, p. XV.

მიცვალებულების წყევლა-კრულვა ისმის: „რას შერები, უნამუსოვო! მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“ შეშინებული ალაზა გარბის და მას საფლავებიდან ამოსული მიცვალებულები ფეხდაფეხ მისდევენ და წყევლიან. არსებული კავშირი ღვთის მოხმობასა და მის გამორჩენას შორის ყოველთვის თვალნათელი იყო: მოუხმე და ისიც გამორჩდება. ასევეა მიცვალებულების შემთხვევაშიც: მათი მოხმობა მათს სიცოცხლეში, ანუ ამქვეყნად დაბრუნებას ნიშნავს. აი ნამდვილი დიდება, რომელიც გაგებულა როგორც სიტყვა, რომელიც უკვდავიცაა და უკვდავების მბოძებელიც. ლოცვად გაგებულმა სიტყვამ ორგვარი ფუნქცია მიიღო: მას შეუძლია დაწყევლოს ცოცხლები და ამგვარად მკედრებად აქციოს ისინი და მასვე შეუძლია ადიდოს მიცვალებულები, მოუხმოს მათ და ამგვარად სიცოცხლეს დაუბრუნოს ისინი.<sup>24</sup>

ამიტომაც ალაზას თავს დაატყდა მიცვალებული ჩენების რისხვა. მისი ვედრება არ ისახავდა მიზნად მხოლოდ ჩენების დაუძინებელი მტრის გადარჩენას და მის ცხოვრებაში დაბრუნებას, მისი ლოცვა, როგორც ეს მითებში ხდება, პირველ ყოვლისა მოუხმობდა ტოტემს, მიცვალებულის ღვთაებას. ეს რომ მომხდარიყო, ზვიადაური მეორე და ძალიან მნიშვნელოვან გამარჯვებას მოიპოვებდა. პირველი გამარჯვება მან მაშინ მოიპოვა, როცა, თუნდაც თავისი სიცოცხლის ფასად, თავისი სიმამაცითა და გამძლეობით ჩენებს იმ მსხვერპლად შეწირვის რიტუალი ჩაუშალა, რომლის განხორციელების შედეგად ის მიცვალებულთა სამყაროში მუსლიმანის მონა უნდა გამხდარიყო. ახლა კი იგი თავის სიკვდილს აზრს დაუკარგავდა, რადგანაც ცხოვრებაში სიტყვითა და ლოცვით მობრუნებული, მუსლიმანთა თემის წინაშე თავისი თემის ტოტემის უპირატესობასაც დაამტკიცებდა. ერთი ადამიანის ბრძოლა მთელი თემის წინააღმდეგ პარადოქსულად გადაწყდებოდა ერთი ადამიანის გამარჯვებით, როგორც მისი თემის ტოტემის უპირატესობის დამტკიცება. სწორედ ამ შესაძლებლობის წინაშე ამხედრდნენ მიცვალებული ჩენები და ალაზაც იძულებულია, გაიქცეს.

პოემა მოულოდნელად ტრაგიკულად - სამი გმირის სიკვდილით მთავრდება. თემს იმდენად არ განუცხადებია თავისი საკუთარი კანონების უპირატესობა ინდივიდის უფლებებთან მიმართებით, რამდენადაც გაამყლავნა თავისი საკუთარი გადამწყვეტი სურვილი. ზვიადაურის მოკვლით მან რეალურად თავისი მრავალსაუკუნოვანი კანონი - სტუმართმოყვარეობის კანონი დაარღვია, თავის საკუთარ წვერს (ჯოყოლას) პატივი შეულახა და მას სიკვდილისაკენ უბიძგა. გარდა ამისა, კიდევ ერთ თავის წვერს (ალაზას) ისეთი მდგომარეობა შეუქმნა, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ერთობის ამ ბოროტული არჩევანის ფონზე უფრო მკვეთრად გამოიხატება ძმობისა და მეგობრობის წმიდათაწმიდა იდეალები, რომლებიც ამოძრავებდნენ საუკეთესო მეგრძობლებს - იქნებოდნენ ისინი ხევსურები თუ ჭისტები. მაგრამ, ამგვარი დაუნდობლობისა და არაადამიანურობის მიუხედავად, ჯოყოლას აჩრდილი ღამით დეგება და ხმამაღლა ეძახის ზვიადაურს. საფლავიდან ზვიადაურის

<sup>24</sup> O. M. Фрейдленберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

მონვენეპაც წამოიძარება, რომელიც მეგობრის შესახვედრად მიეშურება. აქვე აღაზას ნაღვლიანი, სევდიანი მონვენეპაც გამოჩნდება, რომელიც ცეცხლს ანთებს და მასზე ყველასათვის გარეული ჯიხვის ზორცის კერძს ამზადებს. ისინი დაღუპულ მამაც მეგობრებზე, ურთიერთნდობაზე, სტუმართმოყვარეობაზე, მათ შორის არსებულ მეგობრობაზე საუბრობენ. ეს დაპირისპირება შურისძიებისა და სტუმართმოყვარეობის წესებს შორის, რომელიც მთელი პოემის შინაარსს განსაზღვრავს, ეპილოგში ორი მთავარი გმირის მეგობრობით გადაწყდება, რომლებიც ყოველგვარი შურისძიების წყურვილსა და დასჯის სურვილს გადალახავენ.

მიუხედავად ნგრევისა და სიკვდილის სურვილისა, რაც სათემო ერთობას ამოძრავებს, რომელიც ცდილობს თავისი საკუთარი ტოტემის უპირატესობის დამტკიცებას, ზდება ის, რომ ორი სხვადასხვა თემის წარმომადგენლებს შორის ვაჟკაცური და ურთიერთპატივისცემის დამოკიდებულება (როგორც ალუდას და მუცალის ორთაბრძოლის დროს მყარდება) ტოტემთა ურთიერთგაცვლაში გადაიზრდება, რის შედეგად ორ გმირს შორის უსაზღვროდ ძმური ურთიერთობა მყარდება, რომლის დანგრევეაც თემის არანაირ კანონს არ ძალუძს და ამას მთებში გამართული გმირების აჩრდილთა სერობაც ამტკიცებს. ამ შექსპირისეული სევდიანი მონვენეპების არსებობა შეიძლება გაეიგოს როგორც ის მარადიული დაბრუნება, რაზედაც ნიცშეც ლაპარაკობს, რომლის აზრით, ასეთი დაბრუნება ვრცელდება არა მხოლოდ თავად ტრაგედიის ღმერთზე, არამედ რეალურ ადამიანებზე, რომლებიც არსებობას მნიშვნელობას ანიჭებენ, ავსებენ ცხოვრებას და მის ნამდვილ არსს შეადგენენ.<sup>25</sup> და წწორედ ამიტომ არის, რომ ბრუნდებიან ეს ლეგენდარული ადამიანები და ჩვენც დარწმუნებულები ვართ, რომ უეცრად, მთებში სეირნობის დროს, ნისლის კედელს მიღმა შესაძლებელია გამოჩნდეს იმ ადამიანთა აჩრდილები, რომლებიც ჩვენს არსებობას მნიშვნელობას ანიჭებენ და ჩვენ, გარდა ფიქრისა მათი დაბრუნების შესახებ. გვრჩება კიდევ ერთი იმედი, რომ თავისი ზეაღმართული ლეროთი პირიმზე შეუპოვრად მიილტვის მზისკენ.

\*\*\*

ესმის დღეიდან ყოველი,  
 რასაც ფრინველნი ვალობენ.  
 ან მკენარენი, ცხოველნი,  
 როდის ილხენენ, წვალობენ.

ვაჟა-ფშაველა, „გველის მჭამელი“

კონფლიქტი ადამიანსა და მის საკუთარ თემს შორის კიდევ ერთხელ ზდება თემა პოემისა „გველის მჭამელი“, თუმცა ამ შემთხვევაში მინდამ, რომელმაც თავიდან თავისუფლების განსაკუთრებული და ამაღლებული ფორმა აირჩია, თემის კანონების პატივისცემის გამო უარყო

<sup>25</sup> G. Colli, *Così parlò Zarathustra*, in *Scritti su Nietzsche*, Milano 1980, p.115.

ყველაფერი ის, რაც შეიძინა და საბოლოოდ ტრაგიკულად დაიღუპა როგორც ინდივიდი.

პოემა, რომელიც შედგება 1182 სალექსო სტრიქონისაგან და შესრულებულია დაბალი შაირით, გამოქვეყნდა 1901 წ. და, ალბათ, ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად პოეტის უკანასკნელი პერიოდის პოემებს შორის. პოემას „ახლავს ქვესათაური „ძველი ამბავი“, რითაც ვაჟა მიუთითებს, რომ ამჯერადაც მისი შთაგონების წყარო ხალხური ფოლკლორია.

ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, რომელმაც შეამჩნია ვაჟას პოეტური ძალა მისსავე სიცოცხლეში (1911 წ.), იყო გრიგოლ რობაქიძე, ცნობილი ფსევდონიმით გრ. რობაქიძე-კაკასიელი, ყველაზე მნიშვნელოვანი და, შეიძლება, ავტორიტეტული ლიტერატურის იმ თეორეტიკოსთა შორის, რომლებმაც 1916 წ. დაიკვეს უკვე გამობრძმედილ ავანგარდისტთა ჯგუფი „ცისფერყანწელები“. რობაქიძის მიერ გერმანელი ფილოსოფოსებისა და, მაშასადამე, სახეშეცვლილი ცხოვრების, ინდივიდის უპირატესობის და მითის ძლიერების მოთავეთა სიყვარულმა განაპირობა ის, რომ მან აღიარა და ხოტბა შეასხა იმ მითოლოგიურ ხედვას, რითაც გამსჭვალული იყო ვაჟას პოეზია, ხოლო პოემა „გველის მჭამელი“ მის განსაკუთრებულ ქებას იმსახურებდა.<sup>26</sup>

მთების შვილი - მინდია ქაჯებს ჰყავთ დატყვევებული. თავისუფლად დაბადებული მინდია იტანჯება ქაჯთა ტყვეობაში. ამაყი კლდეები - ძლიერი და თავისუფალი არწივების თავშესაფარი. ხშირი ტყეები - სადაც ლეგენდები და ზღაპრები იბადება, უკაცრიელი ველები, რომლებიც თავიანთ უსაზღვროებაში მალავენ კაცთა სევდას - ეს ყოველივე მინდიაში უსაზღვრო მწუხარებას იწვევს.<sup>27</sup> სასოწარკვეთილი მინდია გადაწყვეტს თავი მოიკლას. თავის მოწამელის მიზნით ის ქაჯების საჭმელს - გველის ხორცს ჭამს და ხდება მოულოდნელი რამ: სიკვდილზე სიცოცხლე იმარჯვებს. უფრო მეტიც, ჩვენ თვალწინ ხდება მინდიას მეორედ დაბადება.<sup>28</sup> ის იცვლება, ხდება მისი ტრანსფორმაცია, იცვლება მისი ბუნება, ან, როგორც ვაჟა ამბობს, ხდება მისი გამეცნიერება. იგი სწვდება ცოდნის არსს და ამგვარად გამოიცნობს თავისი ტყვეობის საიდუმლოს, ამსხვერვს ტყვეობის ბორკილებს და სამშობლოში ბრუნდება. ახალი ცოდნით გამდიდრებული მინდია აღმოაჩენს, რომ სამყარო თავისი შემოქმედებითი არსით ვლინდება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელშიც მის ყოველ ნაწილაკს, მის ყოველ მონადას თავისი მნიშვნელობა და მიზეზი აქვს. აქ მივდივართ იმ აღმოჩენამდე, რომ ვაჟა-ფშაველა ამ თავის ფილოსოფიურ პოზიციაზე დგომისას განიცდის ირანული მისტიკის ძლიერ გავლენას, რომელშიც მოიპოვება ცნება *zabân-i bâl*. ე.ი. ყოველგვარი (კალკუელი) არსებობის მდგომარეობის ან ვითარების ენა. თავად პოემაში ირანიზმები უხვად მოიპოვება (მაგ., „ახ რატომ

<sup>26</sup> Г.Робакидзе-Кавказели. Поэт Важа-Пшавела в „Русской мысли“. 1911, №8.

<sup>27</sup> Г.Робакидзе-Кавказели, დასახელებული ნაშრომი.

<sup>28</sup> ჯ.კაშა, გველის მჭამელი, პარიზი, 1990, გვ. 29.

ამის ქნამდინა არ დაგეყარა მიწა შენ?" ან „მთის კალთებს ჰშვენი ცხვარ-პროხა, როგორც ღამაჲ ქალს ზაღები“, ან კიდევ „თუნდ თავში სცემონ მჯიღითა, მოკლეს და პირი აევისოს ცივი სამარის თიხთა“ და კიდევ შეიძლება გაგრძელება). ეს ყოველივე დასტურია იმისა, რომ მდიდარმა ირანულმა კულტურამ საუკუნეების განმავლობაში ძალიან ღრმა კვალი დატოვა იმ ცივილიზაციებსა და ქვეყნებში, რომლებიც მისი გავლენის ქვეშ იყვნენ ან რომლებთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა.

მაგრამ თუ ყველაფერში სიცოცხლე ვლინდება, ეს ხდება, ალბათ, იმიტომ, რომ, როგორც ჰაიდელბერი იტყოდა, სწორედ ენა აცოცხლებს საგნებს; იმ წუთიდან, როცა მინდია აღმოაჩენს, რომ „უფალს სულიერ – უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს“ – და ეს ხდება იმიტომ, რომ მას ძალა შესწევს გაიგოს ენა, ილაპარაკოს სამყაროს ენაზე. მას ძალა შესწევს, გაიგოს არა მხოლოდ უმცირესი მოძრაობანი სულიერი არსებისა, არამედ ფოთლების ჩურჩული, ტყეების ღუმლი, მდელოთა ნაფიქრი, მთის მდინარის ჩურჩული. მოკლედ, სწორედ საგნების აღმნიშვნელ სიტყვაში, მათი აღქმის აქტშია საიდუმლო და უნარი იმ კაცისა, რომელმაც გველის ხორცი შეჭამა. მინდიას მითი ძალიან ძველია და მისი მსგავსი ელემენტები სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორში მოიპოვება. პროპი, რომელმაც ამ პრობლემის შესწავლას ძალიან დიდი ყურადღება დაუთმო, ამბობს: „ადამიანის ტოტემურ ცხოველთან გასაერთიანებლად, რათა მან მისი სახე მიიღოს და ტოტემურ თემში შევიდეს, საჭიროა, რომ ამ ცხოველმა შეჭამოს ის ადამიანი. თავად ჭამის პროცესი შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური. მოყვანილ შემთხვევებში წარმოდგენილია პასიური ჭამა, ე.ი. გადაყლაპვა. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ზიარება შეიძლება აქტიურადაც განხორციელდეს: რიტუალის დროს ჭამენ ტოტემურ ცხოველს“<sup>29</sup>. ეს სწორედ ის აქტია, რომელსაც მინდია ახორციელებს, რომელიც უკვე ღებულობს ინიციაციის იმ ხასიათს, რომელიც მას გაუხსნის მაგიის, ნათელმზილველობის საიდუმლოს და ხდის მას ბუნების სამყაროს საიდუმლოს თანამონაწილედ. კვლავ პროპს თუ მივმართავთ: „ველის ჭამის მოტივი, რაც გასაგებს ხდის ჩიტების, ქვეწარმავლებისა და თევზების ენას, ძალიან გავრცელებულია მთელი მსოფლიოს ფოლკლორში“<sup>30</sup> და მინდიასაც, ინიციაციის შემდეგ, შეუძლია ელაპარაკოს ცხოველებს, გაიგოს ფოთლების შრიალი, გაიგოს, თუ რას ჩურჩულებს პურის თავთავი. ინიციაცია, რა თქმა უნდა, მიცვალებულების სამყაროში ხდება – სულეთში, რადგანაც, როდესაც რიტუალით ხდება ვინმეს ინიციაცია ოკულტიზმისა და მაგიის მისტერიასთან, ეს ყოველთვის საიქიოს ძალებთან არის დაკავშირებული (კრიტიკოსი ა. გაწერელია ალუდასაც, როცა ის სიზმარს ნახულობს, მიცვალებულთა სამეფოში ათავსებს). ველის ხორცის ჭამის შემდეგ მინდია იძენს არაჩვეულებრივ თვისებებს, მათ შორის სიბრძნეს, მაგიურ ძალას, ნიჭს, ეშმაკობით სძლიოს თავის მტერს, მოარჩინოს ჭრილობა, დიდ ცოდნასა და ძალას, ყველაფრის ახსნის უნარს, ყვავილებიდან ვარსკვლავებამდე ღვთის მიერ შექმნილი ყოველი არსების არსის

<sup>29</sup> V.Propp, დასახელებული ნაშრომი, გვ. 362.

<sup>30</sup> V.Propp, დასახელებული ნაშრომი, გვ. 362.



წვდომის უნარს; უნარს განჭვრიტოს გულითა და თვალებით, ღმერთთან ლაპარაკის უნარს, სამართლიანობას, რწმენას, წმინდა რელიგიურობას.

მოუხედავად იმისა, რომ მინდიას მიერ შექმნილი ცოდნა ინტუიტიური ხასიათისაა და არა ინტელექტუალური, ე. ი. ის მიდის არა გონების გზით. არამედ გულის გზით, მისი თვისებები მაინც არაჩვეულებრივია. მინდია არ არის ჯადოქარი (მაგი), რომელიც დაკავშირებულია ბოროტ ძალებთან, ის როდია შავი სამყაროს წარმომადგენელი, სადაც გაქცევამდე დაეუფლა ახალ უნარს, არამედ არის ადამიანი, რომელსაც აქვს ნიჭი, ელაპარაკოს ღვთაებებს. საიდან ეძლევა მას ეს უნარი, თუ იგი არ მიიღო ბოროტი სულებისაგან? უნდა ითქვას, რომ მინდიას ინიციატია შემთხვევითი ხასიათისაა (ის თავის მოკვლას ცდილობდა და საიდუმლოების გზა გაეხსნა), მან ინიციატია ქაჯებისაგან მიიღო, მაგრამ რიტუალი მარტომ შეასრულა და შედეგად გაეხსნა გზა არაჩვეულებრივის შეცნობისაკენ, რაც არის ღვთიური საოცრება. მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობიერა მინდიამ, რომ იგი მაგიის ხელოვნებასაც დაეუფლა. ამიტომ მინდიას პიროვნებაში ცოცხლობს განსაკუთრებული სიცოცხლე. ე. ი. ის ცოცხლობს პარამონიაში სამყაროს სიცოცხლესთან ერთად. მის ქვეცნობიერში არსებობს განსაკუთრებული თანხმობა ბუნებასთან, ცხოველებთან, მცენარეებთან, მასში, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრობს საიდუმლო, შინაგანი, ძლიერი ხმა, რომელიც მინდიას ღვთაებრივ ძალასთან აკავშირებს, რომელიც ვაჟასათვის ბუნებაზე მალა ღვას და ეს ხშირად იგრძნობა. ვაჟა რელიგიური პანთეისტია, რომელიც ბუნებაში პოულობს თავისი ფილოსოფიის საფუძველს და თავისი მხატვრული შემოქმედების არსს. როგორც რობაქიძე ამბობს, მინდია სიყვარულითა და შეშინებით სამყაროს ეუფლება, რადგანაც მხოლოდ ის იცნობს მას და ესმის მისი სიტყვა. ბუნებასთან (უფრო მეტად, ვიდრე ღმერთთან) ამ კომუნიკაციის პროცესში ის პოულობს თავისი ცხოვრების არსს; აღმოაჩენს თავის რწმენას (პანთეისტურს), ის თავს შეიცნობს როგორც ადამიანი და როგორც პიროვნება. და ამ არაჩვეულებრივ ურთიერთობაში, რომელსაც მინდია ამყარებს მთების, მინდვრების და ტყეების სამყაროსთან, მის მიერ გაცხადებულ სიყვარულსა და ქედის მოხრაში ბუნების მიმართ, მოჩანს გაფრთხილება პროგრესის დამპყრობლური ხასიათის მიმართაც, რაც ვაჟას. გარკვეული თვალსაზრისით, ეკოლოგიური თემის წამომწყობადაც წარმოვეჩინეს. მინდიას ბედნიერება უსაზღვროა და ამ თავის უნივერსალობაში ათავსებს ის თავის მეუღლეს მზიას, რომელიც ისეთივე ცოცხალი არსებაა, როგორც სხვები და რომლის მიმართაც მინდიას დაკარგული აქვს ყოველგვარი ფიზიკური ლტოლვა, როგორც ეს ცნობილია ყოველი კაცისათვის, ვინც დევების ტყვე იყო<sup>31</sup>; მინდიას მეუღლეს პოეტი აკისრებს ნაკლებ სასურველ ფუნქციას – განასახიეროს ყოველდღიური ოჯახური რეალობა, რომელიც მოუხმობს ქმარს ჩვეულისაკენ, უტილიტარიზმისაკენ, „ნორმა-ლურისაკენ“ და ამგვარად ამორებს მას თავისი თავშესაფრისაგან – ბუნებისაგან და დალუპვისაკენ უბიძგებს მას. ეთანხმება რა ცოლის მოთხოვნებს, მინდია, თუ შეიძლება ასე ითქვას,

<sup>31</sup> გ. კინაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი 1957, გვ.144.

მორალურად ეცემა, რასაც იგი იქამდე მიჰყავს, რომ იგი კარგავს თავის შესაძლებლობებს, საოცარ უნარს, თავის ცოდნას. კარგად შენიშნავს კრიტიკოსი ჯ.კაშია, რომ „გველის მჭამელი“ ეს არის პოემა ცდუნების (ცოლის მხრიდან) და მონანიების (მინდიას მიერ) შესახებ. როდესაც მინდია აცნობიერებს იმას, თუ რა მოხდა, იგი სასოწარკვეთილებაში ვარდება და თავის მეუღლეს კიცხავს: „გუწადა კაი ცხოვრება, მოწამლულს ქადას აცნობდი“. გარდა იმისა, რომ იგრძნობა სპარსული გავლენა, ეს ლექსები გვახსენებენ ეპიზოდს ფშაველთა ლეგენდებიდან ამირანისა და მისი ძმების შესახებ. თუ ღიონისური ორგის საფეხურზე (რაც ჩვენ ვნახეთ ალუდას შემთხვევაში) ადამიანის ხორცს აქვს ინიციაციის ფუნქცია. მითის პროფანაციაში იგი მხოლოდ დევების კანიბალიზმს აღნიშნავს. ქადის შემადგენლობამ უნდა გააძლიეროს ადამიანი, მაგრამ, თუ იგი მოწამლულია, როგორც მინდიას შემთხვევაში, მაშინ ის მხოლოდ ოკულტური სატანიზმის სიმბოლო ხდება, რომელიც ადამიანის ნელ, მაგრამ გარდაუვალ მორალურ დაცემას იწვევს. ყოველდღიური ცხოვრების ამოცანებსა და დარდს, რომელსაც შზია გამოხატავს, მინდია დალუქვამდე მიჰყავს და ისიც, აცნობიერებს რა თავის შინაგან ნერვეას, ცდილობს ახსნას ყოველივე სიმბოლურად – მითით ბიბლიური აკრძალული ხილის შესახებ, რომლის შეჭმის შემდეგ იგი კარგავს უზუნავეს ცოდნას. ანგრევს იმ არაჩვეულებრივ უნარს, რომელსაც ფლობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინდია კარგავს იმ სამყაროს, რომელიც მისთვის ამქვეყნიური, მიწიერი სამოთხე იყო. მტერთან მოულოდნელი შეტაკების დროს ზებუნებრივ შესაძლებლობებს მოკლებულ მინდიას თავისი მეგობრებიც დამარცხებამდე მიჰყავს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ იგი ხედავს გამარჯვებულ მტერს – საშინელ დევებს, რომლებიც სოფლებს წვავენ და მინდვრებში დაბორილობენ. მან უკვე დაკარგა თავისი სამყარო და ახლა მიწასაც კარგავს. მას არაფერი დარჩენია, გარდა თვითმკვლელობისა, თავისი ძველი მეგობრის – მთვარის თვალწინ. მსუბუქი ნიაფი, რომელიც ამ დროს გაუბედავად დაქრის მინდორში, ერთი წამით ჩერდება, რათა შეხედოს იმ სისხლს, რომელიც მსხვერპლის ძეგრიდან გადმოჩქეფს და შემდეგ კვლავ ლაღად, მოლხენით, სტკენით იქროლოს.

ახლა, როდესაც ვაქვს პოეზიას გადავხედავთ, გვეჩვენება, რომ ის ჰყვება იმ ამბებზე. ტრადიციებზე. ადათ-წესებზე, ჩვეულებზე, რიტუალებზე, კონფლიქტებზე. ბოროტებაზე, რომელიც უკვე სამუდამოდ გაქრა, მაგრამ დღეს, სხვადასხვა ეთნოსებს შორის იმ უამრავი ბრძოლის შემდეგ, რომელიც ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში გაჩაღდა კავკასიაში, უკვე ვაცნობიერებთ, თუ რამდენად ვცდებოდით და, ამავე დროს, აღმოვაჩინებთ ვაქვს პოეზიის დრამატულ აქტუალობასაც.

იტალიურიდან თარგმნა მათა ჯაკაბიძემ

## ტექსტი — როგორც დისკურსი

*დონალდ რეიფილდი*

### ქართული ლიტერატურის ძლიერი და სუსტი მხარეები

ლონდონის უნივერსიტეტის რუსისტიკისა და ქართველოლოგიის პროფესორი - დონალდ რეიფილდი - ცნობილი ქართველოლოგია. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი არის გალაკტიონ ტაბიძის ლექსებისა და ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისურად მთარგმნელი. 1994 წელს ოქსფორდში ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია „საქართველოს ლიტერატურა: ისტორია“. მისი სტატია - „ქართული ლიტერატურის ძლიერი და სუსტი მხარეები“, რომლის ქართულ თარგმანსაც მკითხველს ვთავაზობთ, გამოქვეყნდა ამსტერდამში 1996 წელს დაარსებულ ჟურნალ „გეორგიკის“ მეორე ნომერში. (1997 წ. ივნისი). ეს გამოცემა ქართულ ლიტერატურას ახლებურად აღიქვამს, ჩვენთვის ტრადიციად ქცეული სტანდარტებისგან განსხვავებული ხედვით ხედავს. მის მიერ მოხმობილი საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების ამსახველი მდიდარი ფაქტობრივი მასალის ნაირ-ფორმებებში დონალდ რეიფილდი ეძიებს საერთო თვისებებს, რომლებიც მთელი ლიტერატურული პროცესის თავისებურებების რანგში შეიძლება ამაღლდეს. მოხმობილია ბევრი ისეთი ლიტერატურული თუ საქართველოს კულტურული ცხოვრების ამსახველი ფაქტი, რომლებიც ჩვენი ყურადღების მიღმა რჩებოდა. თავისებური და ახლებურია ბევრი ცნობილი ლიტერატურული მოვლენის მიხედვით ინტერპრეტაცია.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან ნარკვევში ქართული ლიტერატურის შესახებ ბევრ აღფრთოვანებულ მასაეს იკოვნით, ისევე, როგორც ზოგიერთ ძალზე საინტერესო შენიშვნას ცალკეული ლიტერატურული ფაქტის ან ზოგიერთი ავტორის მიმართ. რაც არ უნდა თავისებური გვეჩვენოს დონალდ რეიფილდის თვალსაზრისი, იგი უთუოდ ყურადსაღებია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი უცხოელის თვალთ შენიშნული შტრიხია. თანაც ეს უცხოელი ლიტერატურათმცოდნეა, რომელიც ქართულ მწერლობას კარგად იცნობს და მის მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილია. აპრიორულად უნდა დაუშვათ ისიც, რომ შესაძლებელია ჩვენს ეროვნულ მწერლობას ჩვენ თუ ღრმად სხვა თვალთ, რომელიც მასში ზოგიერთ დეტალს ეხრება ხედავს, ზოგსაც იმდენადაა შეჩვეული, რომ ვერ ამჩნევს. ამიტომ ხშირად უცხო თვალთ უფრო მხედველია. მეორე მხრივ კი, წინამდებარე სტატიაში გამოთქმული ზოგი

მოსაზრება, ზოგიერთი ცნობის თუ გადმოცემის გააზრება, ან თავისთავად კულტურულ-ლიტერატურული ფაქტის მოხმობა ქართული ლიტერატურის მკვლევართაგან ამჟამად კომენტარს საჭიროებს. ამიტომაც მიეძღვნა ინგლისელი ქართველოლოგის ზოგიერთ კონცეფციურ პოზიციას საგანგებო წერილი („საქართველოს რესპუბლიკა“, 01.04.98). დაეძინო, რომ ნარკვევი ინგლისურიდან თარგმნა ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ეკა ქუთათელაძემ, რომელსაც კონსულტაციას უწევდა ბატონი არიანე ჭანტურია.

ელგუჯა ხინთიბიძე

ვერაინ უარყოფს ქართული ლიტერატურის ძლიერებასა და დიდებულებას. განსაკვირებელია, რომ მან თხუთმეტ საუკუნეს გაუძლო და აყვავების გარკვეული პერიოდები ქონდა. უფრო განსაკვირებელია მისი უნარი კვლავ და კვლავ აღდგომისა განუწყვეტელი კატაკლიზმების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის აოხრებით არაბთა (VIII ს.), მონღოლთა (XIII და XIV სს.), რუსთა (1801) და შემდეგ საბჭოთა არმიის (1921, 1934) მიერ, რომ არაფერი ვთქვათ სამოქალაქო ომებითა და ანარქიით გამოწვეულ ნგრევა-განადგურებაზე. ვერაინ უარყოფს იმ კულტურისა და ენის სიცოცხლისუნარიანობას, რომელმაც შეძლო წარსულთან კამპიონის შენარჩუნება; ვერც მის ენობრივ და სწარობრივ სიმდიდრეს ან უმთავრესს - მის თვითმოყოფადობას, რაც არ უნდა ბევრი ქმონდეს ნახესხები მეზობელ კულტურათაგან.

ყველა კულტურას, რა თქმა უნდა, თავისი მახასიათებელი ხარვეზები ატყვია. ძნელია, მაგრამ აუცილებელია ისევე ვისაუბროთ სუსტ და მწირ მხარეებზე, როგორც სიმდიდრესა და დიდებულებაზე, რომ ჩაეწვდეთ ისეთ საოცარ ფენომენს, როგორიც ქართული ლიტერატურაა. რომ შეაფასოთ, თურას მიაღწია მან, ის დაბრკობიდან აეწონ-დაეწონოთ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ამ მწერლობას უზღებოდა; მსგავსად ინგლისური ლიტერატურისა, რომელსაც უწევდა ბრძოლა საკუთარი კულტურის ტრივიალობის, ფრანგებს მათი აკადემიური ტრადიციების წინააღმდეგ. ის, რაც განარჩევს და აღამაღლებს ქართულ ლიტერატურას სხვა კავკასიელ ხალხთა კულტურებზე, იგივე ძალა, რაც ართმევს მას ტიპურ კავკასიურ მემკვიდრეობას - ეს გახლავთ ჰიპერბოლური ლიტერატურა, რომელსაც აქვს ტენდენცია აღმატება-გაზვიადებისა, გამოშხატელობის, აღქმა-გაგების, ენის და ხანდახან საღი გემოვნების საზღვრებს გადაცდენისა.

უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურა იქმნება არა იდეებით, არამედ სიტყვებით, უფრო სწორად ბგერებით - ენის მატერიალური საფუძველით, მისი ლექსიკური შესაძლებლობებით, მეტყველების რიტმებით, ბგერული მახასიათებლებით. ქართულს, სხვა კავკასიურ ენათა მსგავსად, ბგერათა განსაკუთრებული მრავალფეროვნება ახასიათებს თანხმოვანთა დიდი რაოდენობის გამო, რომელთაც ძალუბთ იმგვარი კომბინირება და შერწყმა, რაც ინდო-ევროპული, თურქული ან სემიტური ენებისათვის წარმოუდგენელია. ქართულს მოეპოვება მდიდარი მორფოლოგია, რაც აადვილებს პოეზიის შექმნას, რადგანაც პოლისილაბური ნაკადი თითქმის ავტომატურად წარმოშობს რითმს. საფრთხე კი ის გახლავთ, რომ ამ ხასიათის ენა ნებას რთავს პოეტს შეწყვიტოს ფიქრი; რაც სამიში ცდუნებაა იმდენად,

რუდაქვისაგან: როგორც ბნ ელგუჯა ხინთიბიძის წინათქმამა აღნიშნული, დიდი რევილინის ნარკვევი მრავალმხრივ საგულისხმო და გარკვეულწილად სადავოცაა. ამიტომაც ველოდებით გამოხმაურებებს. ნარკვევი დაშვებულ ამჟამად უზუსტობებს შვენებულად არ ვასწორებთ.

რამდენადაც ამ შემთხვევაში ენას შეუძლია იმაზე შორს წაიყვანოს პოეტი, ვიდრე მას თვალის მიდევნება ძალუძს.

ქართულები, ინგლისელთა მსგავსად, მუდამ თავისუფალი იყვნენ ენის გამდიდრების საკითხში, ვინაიდან მათ არასოდეს ჰქონიათ რაიმე ინსტიტუტი ტომის ბგერათა განსაწმენდად (საბჭოთა პერიოდის გარდა). საქართველოს მისი ისტორიის მანძილზე ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ დიდხანს არ უარსებია და არასოდეს ჰქონია შესაძლებლობა, განეღებინა წარსულიდან შემორჩენილი სიტყვები ან აღდგენა-გაერთიანებისაკენ მიემართა გეოგრაფიული და პოლიტიკური დაქუცმაცება, რამაც წარმოშვა ბევრი ერთმანეთისაგან განსხვავებული დიალექტი. ეს დიალექტები დღესაც ასაზრდოებენ დედაქალაქის სალიტერატურო ენას, თუმცა ისინი ქალაქური წერისათვის ძნელად გასაგებია მთელი ეს განხილველი ენისა და დიალექტური ვარიანტები ანდიდრებს თანამედროვე ლიტერატურას. ასეთი დანალექი წარსულიდან თუ მიმდებარე რეგიონებიდან უნიჭო მწერალსაც კი აძლევს შესაძლებლობას მრავალფეროვნად წეროს. ჰიპერბოლიზაცია ბევრებითა და სიტყვებით ის მაღლია, რომლითაც ნებისმიერი ქართული პოეტი სარგებლობს. ლექსიკის სიმდიდრე და ანარქია მაცდუნებელია მწერლისათვის: მას იმპროვიზაციის ნება აქვს. რუსთაველთანაც კი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ბურუსით მოცული ავტორია, ასევე თეიმურაზ I-ის ლექსებში, არის სტრიქონები, სადაც იგრძნობა, რომ ისინი აზრით კი არაა შთაგონებული, არამედ მომხიბლავი სიტყვით ან რითმით და შედეგად მიღებული გაურკვეველობა არავითარ პასუხისმგებლობას არ აკისრებს პოეტს გამონათქვამისთვის მაშინაც კი, როცა აზრის მათი წყდება.

იძის გარდა, რომ მდიდარი ენაა, შეიძლება ითქვას, რომ ქართულს, ინგლისურის მსგავსად, ხარვეზებიც ახასიათებს. ინგლისურმა ენამ გამოუწვრილებელი დაღდასმა განიცადა ანგლო-საქსურ და ლათინურ ლექსიკაში არსებული განხეთქილების შედეგად ქართული ენის პრეისტორიის შესახებ ძალზე ცოტა ვიცით, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებობდა მსგავსი დაპირისპირება ადგილობრივ კავკასიურ წყაროებსა და ლექსიკის მთელ იმ არეალს შორის, რომელიც, ალბათ, ინდო-ევროპული წარმოშობისაა. ეს უკანასკნელი ის პლასტია ქართული ენისა, რომელიც, ინგლისურში არსებული ლათინური ელემენტის მსგავსად, შეიძლება ასახავდეს შორეული წარსულის დამპყრობლის ენას. გარდა ლექსიკური მარაგისა (მაგ. სხეულის ნაწილები, ცხოველთა, ფრინველთა, ხეთა სახელები), ინდო-ევროპული ელემენტები შეინიშნება ზმნათა უღლებისა და სახელთა ბრუნების სისტემაშიც და ეს შემოსული ნიშნები ერწყმის ტიპურ კავკასიურ ელემენტებს. შედეგად ვიღებთ არამდგრადობას, ისევე როგორც სიმდიდრეს, იმდენად, რამდენადაც ორი ენა ქოტურად ერწყმის ერთმანეთს. ფართო ლექსიკური გასაქანის ვითარებაში მწერალი შეიძლება ვაკუუმში აღმოჩნდეს, თუ კარგად არ იცნობს ლინგვისტურ ძირებს.

ახლა, კარგი მარქსისტების მსგავსად, გავარკვიოთ არა ის, რაკვარი პოეზიაა შექმნილი ან რით, არამედ ვინ წერს მას ქართულად აქაც პოეტი ჰიპერბოლურ ელემენტებს ავლენს თავის ენაში. ქართული ლიტერატურის წყელაზე განსაკვიფრებელი თვისებაა პოეზიისა და უმაღლესი ძალაუფლების მჭიდრო კავშირი. ლიტერატურა და პოლიტიკა ხშირად ადრეული ერთმანეთში; პოეტი შეიძლება მეფედ იქცეს, მეფე კი - პოეტად, ვინაიდან ქვეყნის ისტორია ენის ბედობალობაზეა გათვალისწინებული. მაგალითისთვის პირველად მოვიხმობთ ბაგრატიონთა დინასტია, რომელმაც დაახლოებით ათასი წლის მანძილზე მიეფა. საუკუნით მისაღებია, რომ ქვეყანაში მშვიდობიანობის დროს იმპერატორმა გამოიხატოს დრო საქვეყნო საქმიანობის თანდასაღწევად და ფილოსოფიას მიეცეს, ეთქვას, მარკუს აგრელიუსის მსგავსად ან ისტორიას, კონსტანტინე პორფიროგენეტის მსგავსად, მაგრამ, როცა ვკითხვლობთ „გალბანი სინანულიანი“-ს, რომელიც მეთორმეტე საუ-

კუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა შექმნა, გვაოცებს სამეფოში სიმშვიდის არარსებობა და ენებათაღლეა. ისე ჩანს, თითქოს მეფეს მეფობის უარყოფა სურდეს და საკუთარი პიროვნების დაკნინებით ეწინააღმდეგებოდეს იმ ხოტბა-დიდებას, რაც ხალხმა დავით მეფესალმუნესთან მისი შედარებით გამოხატა. არცერთ ებრაელ მეფეს დავით აღმაშენებლის დარად არ დაუმდაბლებია თავი.

„აქენის მკლევლებრივი ცნობაი,  
სეითის ძეთა ლირწებაი,  
გმირთა სილოდით მაკალობაი,  
ხუთქალაქელთა შევინებისა მწვირე.  
უფროისად ვამრავალწილე,  
ვითარცა რაი აღმართ-მსრბოლმან  
მდინარემან უკეთურებისამან.

ამისთვის იყო ქალწული  
და ხორცქმნაი სიტყვისაი,  
რაითა დედობრივთა ოხათა მიერ  
ცხოვნდენ ცოდელინი,  
რომელთა პირველი,  
საშუალი და დასასრული  
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,  
შესაკრებელი ბილწებისა ღუარათაი“

პოლიტიკურ დონეზე საქართველომ ახალი რელიგია უფანატიზმოდ მიიღო მამინ, როცა პიროვნულ დონეზე ქართველმა მეფე-პოეტებმა ქრისტიანობის აღიარება მაზონიზმის დონემდე მიიყვანეს. კავკასიური ტრადიციის წარმართული ღირებულებანი დამზობილ იქნა ქართველ პოეტთა მიერ. XVII საუკუნის დასაწყისის უკანასკნელი ბაგრატიონი მეფე თეიმურაზ I გამაოგნებელია თავისი პოეტური პიკერობლით. თეიმურაზი გახლდათ მეფე, რომელმაც რამდენიმეჯერ დაკარგა ტახტი, გაძევებული იყო სამშობლოდან და თან სდევდა აურაცხელი პირადული ტრაგედია, რომელთა გამო თეიმურაზმა სიცოცხლეშივე იძია შური ტიპური კავკასიური გაგებით, ანუ მან პოეზია გამოიყენა თავის დასამშვიდებლად; დევნილობა კი ამის საკმაოდ როს აძლევდა. მაგრამ ასეთი ცრემლიანი განცდები შეუფერებელი უნდა იყოს მეფისათვის („რად, სოფელო, სხუა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე? გლახ, ლახვარი სასიკვდიზე ვველა მე მკარ, და სად აგე“).

ეგებ მხოლოდ ქართველ პოეტს, ისიც მხოლოდ თეიმურაზ I-ს, შეეძლო შეექმნა პავიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც მთელი რელიგიაში ალწერს მისი დედის ქეთევან დედოფლის მარტვილობას (ქეთევანი ირანის შაჰის ბრძანებით წამებით იქნა მოკვდინებული, ვინაიდან უარი განაცხადა ისლამური სარწმუნოების მიღებაზე. იტალიელმა მისიონრებმა, რომლებიც ესწრებოდნენ მის წამებას, თეიმურაზს გადასცეს დედოფლის გული და რამდენიმე წვეთი შედეღებული სისხლი).

სინამდვილეში მეფე, როგორც თეიმურაზი იყო, დაუნდობლად უსწორდებოდა თავის მტრებს, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემოდა. მაგრამ პოეზიაში იგი მეტად თავმდაბლურად წარმოგვიდგა. ასეთი პარადოქსი თანამედროვეობაშიც შეიძლება დავებნით: ახალგაზრდა სტალინი, იგივე სოსო ჯუღაშვილი, რომელმაც უფრო მეტი სისხლი დაღვარა, ვიდრე საქართველოს ყველა მეფემ, 15-ს წლის ასაკში თეიმურაზის დარად მოთქამდა: ყმაწვილი სტალინი წერს, რომ „უმაღლური ბრბო აიძულებს პოეტს, შესვას საწამლაი“ და საკუთარ თავს ზატეს, როგორც ჭაღარა მოხუცს, რომლის რკინისებური სიმტკიცე ვატეხილია.

როდესაც პოეტი უმაღლეს ხელისუფლებას ალწევს, ეს ერისთვის უბედურების მომტანია: ასე დატრიალდა ტრაგედია სტალინის, ხოლო

ტრავიკომედია ზეიად გამსახურდიას შემთხვევაში. თუმცა სხვა, საპირისპირო მიმართება. - როცა მეფე იქცევა პოეტად, შედარებით უწინდელია. თეიმურაზ I-მა პირველად შემოიტანა საქართველოში თანამედროვე კონცეფცია ავტორის შესახებ, როგორც ინდივიდუალურ შემოქმედზე, რომლის პირადი ცხოვრება პირველად, დაუშუქებულ მასალას წარმოადგენს ლიტერატურისათვის. თეიმურაზმა გაათავისუფლა საქართველო ტიპური შუასაუკუნეობრივი იდეისაგან, რომ ავტორი ანონიმი უნდა იყოს, მსგავსად ბერისა, მსგავსად კოლექტივის შემადგენელი ნაწილისა, მსგავსად ერთი ჭინჭველისა ჭინჭველათა საბუღარში. ამით თეიმურაზმა წინასწარ განჭვრიტა მეფე-პოეტის მოდელი XIX საუკუნის დასაწყისის ბაგრატიონთა მთელი წყობისათვის; მეფე-პოეტისა, რომლის სამეფო დამყრობელთა მიერაა შთანქმული. ეს მოდელი ადლოფლებზეც ისევე ვრცელდებოდა, როგორც მეფეებზე. მეფე ერეკლე II-ის ასული მარიაში თეიმურაზის მსგავსად თავის მჭევრმეტყველურ ლექსში მოთქვამს „დროის უკომარობაზე, რომელმაც დააჭვნო აყვავებული ვარდები“. პოეტი წერს რუსეთის მიმართ ყოველგვარი ბოღმის გარეშე, რომელმაც მოკავშირეობის ნიღბით მოატყუა და დაიყრო საქართველო. ფაქტობრივად, ქართულ პოეზიაში აწმყო - უარყოფილი, წარსული კი ბრწყინვალეობით შემოსილი გვევლინება. ამის კვალობაზე XIX საუკუნეში ქართული კულტურა უმეტესწილად დარჩა წარმოსახვითი შუასაუკუნეების ტყვეობაში. პოეტებმა ხელი მოიკვეს დაკარგულ ნაწარმოებთა აღდგენას. პეტრე ლარაძემ, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონის, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილის, აღმზრდელი და მხსნელი იყო, მთელი ენერგია „დილარჩანის“ თავიდან დაწერას შეაღია; პოემისა, რომელიც თითქოსდა არსებობდა და შემდეგ, XII საუკუნეში, გაუჩინარდა. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში იოანე ბატონიშვილის მიერ გაწეულმა უზარმაზარმა შრომამ, რათა ერთ დიდ ნაწარმოებში გაეერთიანებინა საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მეცნიერება და რელიგია, და თან სატირის მეშვეობით გაეკიცხა მტრები, დაგვიტოვა წიგნი („კალმასობა“), რომელიც ისევე დიდებულია და თან ისევე მოსაბუზრებელი წასაკითხავად, როგორც ჯეიმს ჯოისის „ფინეგანის ალაპი“. უფრო ადრე სამეფო ჩამომავლობის კათალიკოსი ანტონ მჭორე ცდილობდა შუასაუკუნეობრივი ქართულის უკვდავყოფას თანამედროვე სალიტერატურო ენის უარყოფით, რასაც არაერთი ბაგრატიონი სწაფილიდა თითქოს უგუნური განცალკევების მწვერვალზე მტკიცედ დგომათ, რაშიც მათ რუს დამყრობელთა მიერ შემოტანილი ევროპული რეალობისაგან თავშესაფარი პოვეს. აღსანიშნავია ბაგრატიონების უკანასკნელ წარმომადგენელთა უნდობლობა სტამბის მიმართ: XIX საუკუნეშიც კი თავიანთ ნაშრომთა გასაურცელბლად ისინი ირჩევენ შუასაუკუნეების ხელნაწერთა ტრადიციებს. მიუხედავად ყველაფრისა, ქართულმა კულტურამ გამძლავანა უნარი იმ იმპერიათა გავლენების ათვისებისა, რომელიც მის მონათქმას ცდილობდნენ ადრეული კლასიკური საქართველო ისე ჰგავდა ბიზანტიურ ქრისტიანობას, რომ ძალზე მცირე სხვაობა თუ არსებობდა ქართველ და ბერძენ ბერებს შორის ბიზანტიის იმპერიის მონასტრებში. ქართული რელიგიური ლიტერატურის უმეტესი ნაწილი შექმნილი იყო არა საქართველოში, არამედ საბერძნეთისა და ანატოლიის სამონასტრო ცენტრებში. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულად, რა ცოტაა თქმული საქართველოს ბუნების შესახებ ქართულ თხზულებებში. მხოლოდ ზოგიერთ მამათა ცხოვრებაში, როგორიცაა ბასილი ზარზმელის „ცხოვრება და აღსასრული ნეტარი სერაპიონ ზარზმელისა“ (IX ს.) ან გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (XI ს.) ვგვხვდებით, რომ თხრობისას გეოგრაფიულად მართლაც საქართველოში ვიმყოფებით. ბასილი ზარზმელი წერს: „რამეთუ აღკვევით პირსა მის მდინარისასა და მივიწიებით ხევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების. და ფრიად ძლით შევედით მას შინა,

კინაიცა სიხშირისა მისგან მყოვარ ჟამ ვერლარა ვიხილეთ ცაი ანუ მზისა შარავანდელი, რომლისათვისცა ჭირით და შრომით დაყოვნებულნი, ვითარცა სიზრქით აღმურისაით ანუ სიღრმით უყისაით აღმოშობილნი, აღვედით რაი თავსა მის ხევისასა და ვიხილენით მცირენი რაიმე ფანობირნი და მცირე დაბაი“. გიორგი მერჩულე წერს: „კეთილ არს უდაბნო იგი მზისა მცხინვარებითა და პაერისა შეზაგებითა ყოვლით კერძო და აქეს მას წყაროი მდიდრად გამოშინარეი, შვენიერი, გრილი და ჰამოი. და მალხართა სიმრავლეი ურიცხვი და მცირედი რაიმე სხვაიცა ნუგეშინის საცემელი ძალიხაებრ მის უდაბნოსა. ზოლო სათესავი ყანაი და სათიბელი ქვეყანაი რაითურთით არა არს, არცა იქმნების ლირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწვერვალთა მათ დადოთასა“. ამ მცირერიცხოვანი გამოჩაგისების გარდა, როგორც ჩანს, ქართული ლიტერატურა სასულიერო მწერლობის პერიოდში (V-XI საუკუნეები) სიერცობრივ ეკუთვნის იმყოფებოდა. ბიზანტიური კულტურისადმი მორჩილების გამო მან უკუავდო თავისი კავკასიური გარემო. ცოტამ თუ იცის, რომ ოღესმე საქართველოს სამეფო სხვა კავკასიელ ხალხებსაც აერთიანებდა. მხოლოდ არაბმა და თურქმა მოგზაურებმა და საისტორიო ძეგლებმა შემოგვინახეს ცნობები იმის შესახებ, რა მრავალფეროვანი იყო საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა ყველა ეპოქაში. ქართველი მწერლები აზვიადებდნენ თავიანთი ხალხის ერთიანობას, უნიკალურობას, რაც დასაბამი გახლდათ შფოთისა როგორც პოლიტიკურ, ისე შემოქმედებით ცხოვრებაში. განსხვავებულ აზრს წაუწყებდით მთის ხალხთა შესახებ დავით გურამიშვილის ავტობიოგრაფიულ პოემაში. 1728 წელს დ. გურამიშვილი დაღესტნელმა ლეკებმა მოიტაცეს, რომლებიც თბილისში ტყვეთა შესაყრობად დამრწოდნენ. ტყვეობიდან რუსეთში გაქცევამდე დავით გურამიშვილმა თავი ვერ შეიკავა და წამოსცდა: „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო, ქისტა, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაქკრა თვითო ქიშტი“.

ლიტერატურისთვის საკმაოდ უცნაურია, მაგრამ ქართულმა ფოლკლორულმა პოეზიამ რეალობის ფაქტების აღიარება შუა საუკუნეებიდან დაიწყო. რუსულისა და ქართლის გარდა, ძალზე ცოტაა ისეთი კულტურა, რომლისთვისაც ამხელა ნაპარლი არსებობს ელიტის მწერლობასა და ხალხის მიერ შექმნილ პოეზიას შორის, რომელიც იმპერიული კულტურის გავლენას წინააღმდეგობას უწევდა. მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებელმა შექმნა სამეფო, რომელშიც ყველა რელიგია (ქრისტიანული, მუსლიმანური, ებრაული, წარმართული) შეწყნარებული იყო, როგორც ამას იმ დროის მონეტები მოწმობს. მაგრამ ამ სამეფოში აღმოცენებულ ლიტერატურას თვალთ იმ იმპერიებზე უჭირავს, რომელთა წინ გასწრებაც საქართველოს ამ ოპტიმისტურ პერიოდში სურვილად ჰქონდა. მხოლოდ ამ პერიოდის ზეპირი პოეზია, რომელიც ასი წლის წინანდელი ჩანაწერებით გადაარჩა, აბათილებს წერილობითი კულტურის მითებსა და მიპერბოლებს. მაგალითისთვის ავიღოთ ყივჩაღები, რომელთაგანაც დავით აღმაშენებელმა თურქული მოდემის რანგები ჩამოაყალიბა - კახაკების ადრეული ქართული ვარიანტი. ამ პერიოდის ქრონიკებში ყივჩაღთა შესახებ ძალზე ცოტაა თქმული. ზეპირსიტყვიერება კი, რომლის ლაკონიზმი ძლიერ დამახასიათებელია ჩრდილო კავკასიელი ხალხისათვის, ეთნიკური კონფლიქტის რეალურ სურათს წარმოადგენს. ხალხურ ლექსში „შემომეყარა ყივჩაღი“ ვკითხულობთ:

„შემომეყარა ყივჩაღი  
 საზღვარსა მუხრანისასა,  
 პური მთხოვა და ვაჰმე,  
 უურჩევდი თათუხისასა,  
 ხორცი მთხოვა და ვაჰმე,  
 უურჩევდი ზოზობისასა...  
 ღვინო მთხოვა და ვასმე,



კურჩევი ბდავისასა.  
 ცოლი მოხოვა და ვერ მიეცა  
 მიმყავდა სიღვრიისასა...  
 ხელი მოჰკიდა, აკოცა,  
 მოზიდნა ნაწნავს თმისასა,  
 შესტირა საბრალო ქაღმა:  
 „ვაი, ცოლს ცუდის ყმისასა“.  
 მეც გულმა ველარ გამიძლო,  
 მოეზიდნე ვადას ხმლისასა...“

ამ ლექსის ყველა ვარიანტის მიხედვით, კადნიერი ყოჩაღი კვდება. უფრო ძველი ვარიანტების მიხედვით, კვდება ქართველი გმირიც, რომლის მრისხანება ნაკვიანევია, ღუნა. თამარის დროინდელ ეპიკურ ნაწარმოებებში, ადრეულ XIII საუკუნეში, გმირი ბევრად უფრო გამბედავია, ყოველგვარი ადამიანური სისუსტის გარეშე, და მისი სიკვდილი უკვე ნამდვილი ტრიუმფია. ის არ უცდის ქალის საყვედურს: „ამირანდარეჯანიანის“ და „ეფთხისტყაოსნის“ წარჩინებული მოყმენი შუა საუკუნეების დაუჯერებლად პიჰერბოლური რაინდული სულით არიან გამსჭვალულნი, რაც ძალზე წააგავს ამ პერიოდის საფრანგეთის, გერმანიის ან ირანის სამეფო კარის პოეზიის განწყობილებას.

1054 წ. მანასკერტის ბრძოლის შემდგომ ბიზანტიის ძალაუფლებამ და გავლენამ რღვევა დაიწყო. ამრიგად საქართველოს შესაძლებლობა მიეცა მიეღწია ნამდვილი თავისუფლებისა და ბრწყინვალე სახელმწიფოებრივი მდგომარეობისთვისაც კი მთელი ორი ასწლეულის მანძილზე (ჩინგიზ-ხანის შემოსევამდე 1225 წ.). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისთვის ქართული კულტურა განთავისუფლდა დაპირისპირების სულისკეთებისაგან, მაგრამ თვითგამომსახველობა იგივე დარჩა, მიიღო მხოლოდ ზედაპირულად განსხვავებული ფორმები. ბუნების სურათები, ნადირობისა და ბრძოლის სცენები, რომლებიც ასეთი ენთუზიაზმითაა აღწერილი „ამირანდარეჯანიანისა“ და „ეფთხისტყაოსნისა“, ახლა ბერძნულის მაგივრად ირანულია. რომ არ ყოფილიყო საკუთრივ ქართული პიჰერბოლა გმირთა განცდებში ან თავისებურება სიუჟეტისა, რომელიც ასე დაუდევარია დროისა და რეალობის მიმართ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ეპიკური თხზულებანი წარმოადგენენ დაკარგული სპარსული ხელნაწერების თარგმანებს.

უცნაურია, როცა ლიტერატურა მცირედ ინტერესდება სამყაროს კონკრეტული რეალობით ან ადამიანის ინტელექტუალური მიღწევებით. შუა საუკუნეებში ქართული ლიტერატურის დიდებულების ძებნა საღიაც ხვავან გვიწევს. ერთადერთი, რითაც აღფრთოვანება შეიძლება, ენის მუსიკალობა და მისტიური ხასიათია, რომელიც ძირითადად საკუთარ თავზე მოგვითხრობს. X საუკუნის დასასრულს სინას მთაზე ზოსიმეს მიერ ჩაწერილი თუ დაწერილია პიმნი. მისი ახსნა ძნელია, მაგრამ იგი ასახავს საკუთრივ ქართულ მისტიციზმს:

„დამარხულ არს ენაი ქართული  
 დღედმდე მეორედ მოსლვისა მესიისა საწამებელად  
 რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.  
 და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე  
 და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქვიან.“

და ესე ენაი,  
 შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა,  
 მდაბალი და დაწუნებული,  
 მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა“.

იმპე რქმენას გადაეწყვლებით განსვენებულ პრეზიდენტ  
 გამახზურდიას ესეებში, რომლებიც მან ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი

წლის მერე გამოაქვეყნა; ხელისუფლებაში, რომელიც დაკარგა პოეტური ენის შხამით დაბრმავებულმა.

თუკი შეიძლება, ენა ისე იყოს საკრალიზებული ბერის მიერ, როგორც იოანე ზოსიმეს შემთხვევაშია, ეს ნიშნავს უარის თქმას ადამიანურ გონებასა და თვით წერილობით მემკვიდრეობაზე. დაკავშირებულია ეს იმასთან, რომ ქართველ მწერლებს ნაკლებ აინტერესებთ სიზუსტე ან კონტროლი; აგრეთვე ახასიათებთ ტენდენცია, ისაუბრონ საგნებზე, რომელთა მნიშვნელობა არ განუჭკერტიათ. XX საუკუნეში, როცა ფუტურისტები ამავე ავტობატურ თვალსაზრისს მიჰყვნენ პოეტებისა და ენის თაობაზე, მოულოდნელ დიდებას მიაღწიეს. ფუტურისტმა სიმონ ჩიქოვანმა (მოგვიანებით ორთოდოქსი საბჭოთა პოეტი) დაწერა „გაორკესტრებული პოეზია“, რომლის შემდეგ სიტყვებს ვერცერთ ლექსიკონში ვერ მივაგნებთ, მაგრამ რომელიც მკითხველში ქვეცნობიერად ფანტასტიურ აღმგზნებ ეფექტს იწვევს:

„ბაღე ბაიღებს, ბუღე ბაიღებს,  
ცირა მუხლებზე გულ-ფილტვს დაიდებს,  
აიდა-ბაიღებს, აიღო ბაიღებს,  
ცაკუთხედი, ცაკუთხედი“.

ეს მართლაც გახლავთ ვერლენისეული „მუსიკა საგნებს მიღმა“. მივიღეთ ვიფური, უფრო კი უგუნური ფუტურისტული გავლენა ქართველ პოეტებზე, რაც იტალიიდან მოდიოდა, დანუნციოსაგან, რომელმაც ტრიესტი ბრიტანული ფლოტისაგან ერთი ქვეშევრდითა და ოცეულით დაიკა. ასეთმა უკიდურესმა შესტებმა ალაგისე ქართველი პოეტები, განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძე და ტიციან ტაბიძემ კარწყენით, რომ პოეზია და ძალაუფლება პარალელური პროფესიებია. ეს იყო ტრაგიკული შეცდომა, რაც ნათლად გამოჩნდა მაშინ, როცა სტალინმა გადაწყვიტა ფაშინშვილის წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყო და 1937 წელს დახვრიტა მთელი ქართველი პოეტები, რომელთაც, როგორც იტალიური ფუტურისტების თაყვანისმცემლებმა, შეირქვეს: პაოლო, ნიკოლო, ბენიტო კი. თუმც სიკვდილის განაჩენგამორტანდილმა უბედურმა ტიციან ტაბიძემ თავისი მიპერბოლური უძლეველობის რწმენა არ უარყო:

„მაგარი, როგორც სარგის ჯაყელი,  
და ნაზი, როგორც ექსინის პონტი,  
ტრიალებს ჩემში რალაც სათქმელი  
და გაღადრული მიშრება ყრონტი“.

30-იან წლებში ტიციან ტაბიძე და მისი მეგობრები იმაზე მეტი ენ-თუზიაზმით უჭერდნენ მხარს სტალინის პოლიტიკას, ვიდრე ამას პარტია ითხოვდა: ტიციან ტაბიძემ თვითონ მიიღო მონაწილეობა მწერალთა კავშირის „ერტიკოს“ კოლექვათაგან გაწმენდაში და მოითხოვა იმ ძველ ბოლშევიკთა სიკვდილით დასჯა, ვისთან ერთდაც ერთ დროს სკოლაში სწავლობდა. ქართველი პოეტები, რომელთაც ძალა არ შესწევდათ განუჭკერტათ ან აღუქვათ მაინც ის გროსესული სიტუაცია, რომელმაც აღმოჩნდნენ, იმეორებდნენ შუა საუკუნეების წინამორბედთა შეცდომებს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ პოეტს, ხელისუფლის მსგავსად, უფლება აქვს, თავის ხელობას ყველა და ყველაფერი შესწიროს; შთამომავლობა კი გამოასწორებს ყველა შეცდომას, რაც მათ სინდისს აწევს. ეს იყო ძალზე გაზვიადებული შეფასება საკუთარი ღირსებისა. მხოლოდ რამდენიმე პოეტმა თუ შეძლო, მსგავსად ვრ. რობაქიძისა, გაქცეოდა ბერიას საიდუმლო პოლიციის შურისმაძიებლურ ღვენას. არის მართლაცა დიდი განსხვავება ტიციან ტაბიძის, რომ აწამეს და მერე თბილისის ჯურღმულებში მოუღეს ბოლო, პაოლო იაშვილის, რომ თავი მოიკლა მწერალთა კავშირში იმ დროს, როცა კოლექვატი მის გაქვევებაზე ბჭობდნენ და გრიგოლ რობაქიძის ბედს შორის, საკუთარ ლოვინში, კომფორტულ შეიციარულ სახლში რომ დაღია სული

და სიკვდილის წინ სტატიით „Adolf Hitler von einem fremden Dichter gesehen“ თავი დაირწმუნა, თითქოს ფიურერი თავყანისცემის ღირსი იყო? ჰიქერბოლის სიყვარულმა და სიტყვებისადმი არაფრთხილმა დამოკიდებულებამ ყველა ეს პოეტი დალუა.

მთელი ქართული ლიტერატურის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ღირებულებებსა და ხარისხის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ბოლო 150 წლის მწერლობა. ამ პერიოდზე რუსეთის გავლენა გადაწყვეტია. იგი პოზიტიურიცაა და ნეგატიურიც. კრიტიკული საზღვარი სამხრეთსა და დასავლეთზე კი აღარ გადის, არამედ ჩრდილოეთზე: მდინარე თერგი, რომელიც ცენტრალური კავკასიიდან კასპიისაკენ მიედინება, გახდა დომინანტი კულტურის მიჯნა. „რუსეთი მიექანება, მიაჭენებს ევროპაზე და სისხლიანი, შებოჭილი გვამი, რომელსაც იგი თოკით მიათრევს, საქართველოა...“ - ეს სიტყვები 30-იან წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა თავის ერთ ერთ გმირს ათქმევინა, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა 1937 წელს. როცა მწერალი ასეთი სასოწარკვეთილი თვალთ უყურებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, მას მრავალი იმედგაცრუებისა და ღალატის გამოვლა მოუწევს.

XIX და XX საუკუნეებში ახალგაზრდა ქართველები სამხედრო გზით, კავკასიის გადავლით დაემხენ დარიალის ხეობაში, გადაკვეთეს თერგი და სამშობლოდან რუსეთს გაემგზავრნენ. აქედან მოდის მათი დაბრუნების შემდგომი სახელი - „თერგდალეულები“.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა დიდი ხნის მანძილზე შეფერხებული იყო სტეპების ხალხთა გამო. ხაზართა იმპერიის (IX ს.) და ალანთა (XIII ს.) დაცემის შემდეგ ქართველებს მცირე შანსი გაუჩნდათ თანამორწმუნე მეზობელთან, ჩრდილო სლავებთან კონტაქტის დამყარებისა; ვინაიდან შეუძლებელი იყო სტეპების გადალახვა, სადაც მომთაბარე ტომები დაძრწოდნენ. ამ ორ ქვეყანას შორის იმ პერიოდისათვის მხოლოდ რამდენიმე საშფოო ქორწინება და დაზვერვითი საელოზო არსებობს. ყველა შემთხვევაში, რუსეთი საქართველოსთან შეღრებით, რომელიც განვითარების მწვერვალზე იმყოფებოდა, ბარბაროსულ სახელმწიფოდ ჩანდა თვით მე-18 საუკუნემდე. მხოლოდ ივანე მრისხანის მეფობის დროს გააყნობიერეს სრულიად საქართველომ და რუსეთმა ერთმანეთის არსებობა; ქართველი მეფეებისათვის, მთელი საზღვრები ურწმუნო ტომთა ჯარებით რომ ჰქონდათ გამაგრებული, რუსი მეფე, ვინც წარმატებით დააკვირვინა თავისი ქვეყნის გაერთიანება, თურქ-მონღოლთა უკუვადება, თვით ირანელებთან ბრძოლის დაწყებაც კი პირველი რუსი იყო, ვის მიმართაც იგრძნეს, მისგან რაღაც რომ უნდა ესწავლათ.

ამ თავდაპირველ იმედებს უმნიშვნელო მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ XVII საუკუნიდან საქართველოს მეფეები მკვეთრად შემობრუნდნენ რუსეთისაკენ თავშესაფრის საძებრად. სამშობლოდან დევნას და თავშეფარებას საელოზების დაარსება მოჰყვა მოსკოვსა და ასტრახანში. მას მერე, რაც რომაოვებმა ევროპასთან დაამყარეს კავშირი, ქართველებმა იმის შეგნება დაიწყეს, რომ დასავლურ ცივილიზაციასთან ურთიერთობა მხოლოდ ჩრდილოეთის გზით, მოსკოვზე გავლითაა შესაძლებელი. ამავე პერიოდში

\* ავტორი უშვებს არსებით შეცდომას: ვრ. რომაქიძის წიგნი „ძილოფი ბიტლერი. უცხო პირის მიერ დანახული კონტურები“ გამოქვეყნდა 1939 წელს, II მსოფლიო ომის დაწყებამდე და არა 1962 წელს, უშუალოდ დიდი მწერლის გარდაცვალების წინ. ცხადია, წიგნის ასეთი არასწორი დათარიღება პრინციპულად ცვლის საქმის ვითარებას.

მსგავსი შეცდომები სტატიაში სხვაც გვხვდება, მაგრამ ხათითაოდ აღარ აღვნიშნავთ, რადგან შემდეგ ნომერში კვლით გამოხმაურებებს წერილში დახსულ პრობლემებზე.

თურგის ნაპირებზე დასახლდნენ კახაკები და კონტაქტი დაამყარეს საქართველოს ჩრდილოელ ტომებთან ფშაველებსა და ხევსურებთან, პირველ ქართველებთან, რუსულის სწავლა რომ დაიწყეს, და კახაკებთან შეკავშირებით შეუტეეს ქედმოხრულ ჩეჩნებსა და ინგუშებს. XVIII საუკუნის ბოლოს ხევსურები უკვე ისევე კარგად საუბრობდნენ რუსულად, როგორც თურქულად და ჩეჩნურად. ასე რომ, თარჯიმანთა კასტაც წარმოიშვა. ამის თაობაზე დავით გურამიშვილთან შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომელიც აღწერს, როგორ გადაარჩინეს რუსებმა დალესტანში ტყვეობისაგან:

„ხლება“ რა მესმა, დაშეცა მე სიხარულის თავზარი, მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექმნა ზანზარი, ველარ დავიგნეს სვეტებმა და გარდაიქცა ტაზარი. რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო... ამ სიხარულმან დამშალა ჯაგირით შეკრული კონაო. როგორც რომ ერთმან წაზახმან მე მაშინ მამიარაო, როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო, შეებრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო, სწრაფად მოუნედ მომგვარა ფხოვლელი იანგარაო“.

მრავალი ქართველი წარჩინებულის მსგავსად, დ. გურამიშვილმა მადლიერება რუსეთის ჯარში სამსახურით გამოხატა და შემდგომ საცხოვრებლად დარჩა უკრაინაში, სადაც მან ქართული წყლის წისქვილები აავო, ეარმიფებოდა ვლუხის გოგობებს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ შექმნა ქართული რელიგიური პოეზია, რუსულ და კახაკურ ძალზე არარელიგიურ მოტივებზე რომ იძლეოდა. მისი ერთ-ერთი განთქმული ლექსია „ზუბოვკა“. აქ ჩამოლილი ეროტიკული ინტრიგა რელიგიური ეგზალტაციის განმძღველ მოთქმაში გადაიზრდება. ლექსის ქვესათური მიუთითებს, რომ იგი წაკითხულ უნდა იქნეს რიტმით რუსული ლექსისა - „კახაკი მართალი სულია“. გურამიშვილი სულაც არ ხუმრობდა: თურგის წყალმა იგი საკმარისად დაათრო, ექსტრაორდინალური ურცხვი პოეზიის შესაქმნელად რომ აღეძრა.

საქართველოში დარჩენილ პოეტებს, რომელთაც თურქთა და ხპარსთა მუქარის წინაშე უხლებოდათ დგომა, უფრო მწვავე დამოკიდებულება ჰქონდათ თავიანთი რუსი „მხსნელებისადმი“. ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) უფრო გათვითცნობიერებული პოეტი იყო, თითქმის ისეთვე დიდი შემოქმედი, როგორც გურამიშვილი. იგი აღმფოთებული იყო ქართველთა სამინელი დამარცხებით თურქთა მიერ ასპინძის ბრძოლაში 1770 წელს, როცა რუსები, დაპირების თანახმად, თითქოსდა ქართველთა დასახმარებლად უნდა მოსულიყვნენ და ერეკლე II და მისი ხარდალი დავით ორბელიანი წააქეხეს, ყველაფერი გაერიკათ. ბესიკი იმედგაცრუებული დარჩა რუსული „მხარდაჭერით“:

„უაი, მას დღისა მომხსენმან ვითარ ვინ რით განვაქიქო?! ცილი დასდევს მეფეს რუსთა: ჩვენთვის კეთილს არა იქო! ღრაფი ჯარით გამობრუნდა - მით სახელი ვერა იქო-სხვა პასუხი არეის მისცა: სითაც მოველ, წავალ იქო!“

მეტისმეტი სიმარტივე იქნებოდა, რუსული პოლიტიკა სატანურ თავბრუდამბვევ ქმედებად მოგვენათლა, დასუსტებისა და მანიპულირების გზით რომ იპყრობდა ქართველებს. ყოველ შემთხვევაში, ქართული სამეფო კარი არც ისე გულუბრყვილო იყო, დაეჯერებინა, რომ რუსები ალტრუისტული პრინციპით მოქმედებდნენ ერთმორწმუნე ქრისტიანთა მხარდასაჭერად. XVIII საუკუნის ბოლოს ქართული სამეფო ისეთი სისწრაფით ნადგურდებოდა, რომ რუსეთის მონობა უკეთესი ჩანდა, ვიდრე თურქეთის ან ხპარსეთის ხელით გაცამტვერება. რუსეთის მხრიდან ქართველებს არ ემუქრებოდათ რელიგიის შეცვლა, თუმც მათ მალე დაკარგეს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართველი გლეხი ყმად იქცეოდა, მაგრამ



არა მონად. ვინც წინააღმდეგობას გასწევდა, გადასახლებდნენ, მაგრამ არც თავს მოაკეთდნენ და არც დასაჭურისებდნენ. უპირველეს ყოვლისა, რუსებმა წაახალისეს ქართველი სამეფო შთამომავლობა: მათგან გამოზარდეს სენატორები, სწავლულები, პოლიცის მეთაურები. რუსეთი ისევე ექცეოდა საქართველოს, როგორც პოლონეთს მოეყარა; როგორც უფროსი ძმა, რომელიც გზასაცდებოდა უმცროსს მფარველობს.

მართალია, ყოველთვის მწელი იყო ქართველი ინტელექტუალები სათვის, შეენიშნათ ცინიზმი რუსულ პოლიტიკაში, იმდენად შემადრწუნებელი თავისი მარტივობით, რომ შემლო მოეტყუებინა ისეთი გამოცდილი მელაც კი, როგორც ედუარდ შევარდნაძეა. ჩრდილო კავკასიის ხალხთა დასაყრბად რუსები ყოველთვის ლიქნიდნენ ქართველთა სიამაყის წინაშე; ანალოგიურად, ქართველთა ევროპასთან პირდაპირი კავშირების დამყარების აღსაკეთად კავკასიელ ხალხს ნება დართო საქართველოს თავს დასხმოდნენ. როგორც კი დაღესტანსა და ჩეჩნეთში მშვიდობა დაამყარეს, ლიალური პოლიტიკა საქართველოს მიმართ გაემაკრდა.

დავით ბაგრატიონს, ერეკლე მეორის ძეს, თავი საქართველოს უკანასკნელ, თუმც უტახტო მეფედ მიაჩნდა. მისმა დედამ, მარიამმა, ხმლით განვშირა რუსი გენერალი ლაზარევი, რომელიც დედოფალთან გადასახლების უწყებით მივიდა. (მარიამმა სიცოცხლე უკრაინის ერთ-ერთ მონასტერში დაასრულა). დავითმა სატირული თვალით შეხედა ოჯახის განადგურებას:

„რა იქნება ჩვენი ვიყვნეთ სენატორი?“  
 „ვინ შევიძვებს, თუ გასვრილი გაქვს ფეხი“  
 „მეტადრე როდესაც გუქამოს ხორი“.

პარადოქსია ის, რომ რუსული მმართველობის მორჩილებაში ქართველთა შემდეგი თაობა დიდი ალტაცებით შეხვდა რომანტიზმს. მხოლოდ საქართველოში თუ იპოვით რუსეთის არმიის სამ გენერალს, რომელნიც პერდერის, ფიხტესა და ლამარტინის რომანტიკული პრინციპების მიმდევრები იყვნენ. მათ შორის ყველაზე შთაბეჭდავი ალექსანდრე ჭავჭავაძე გახლდათ (რუსი დრამატურგის გრებოედოვის სიმაში). იგი იყო ვაჟი ქართველი ელჩის გარსევან ჭავჭავაძისა, რომელმაც ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს და საქართველო ამით მონობისათვის გაწირა. ალექსანდრე დაუდევარი, შეამბოხე ახალგაზრდა იყო სკოლაში, მაგრამ შემდეგ, მრავალთა მსგავსად, მაინც უღალატა ბავშვობას. 1827 წელს იგი ეხმარებოდა რუს გენერალ პაულიჩს აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყების ჩაქრობაში. მას პრინციპების დაღატი არასოდეს უღიარებია, მაგრამ მთელი მისი ბოლოდროინდელი პოეზია ძალისა და ნიჭის ამო ხარჯვაზე მიგვანიშნებს. მისი სიკედილიც კი ნებაყოფლობით მონანიებას მოჰგავს: გადმოვარდა ეტლიდან და მისივე ცხენებმა გადათელეს. მისი ლექსი გოგჩის ტბის შესახებ, ბოლო ლექსი, გვიამბობს დაგვრულ მხარეზე, სადაც უკვე აღარავინ სახლობს. ყველაზე ორიგინალური ლექსი - „გუთნისღელა“, რომელშიც მიწის მუშაკი თითქოსდა თავის საქმიანობას ემშვიდობება, ფაქტიურად ხანში შესული მამაკაცის დამშვიდობება მამაკაცობასთან, რაც ისე თავზარდამცემი იყო ვაჟკაცური ქართული პოეზიისათვის, რომ ეს ლექსი მხოლოდ უკანასკნელი ათი წლის წინ დაიბეჭდა, მაგრამ, როცა პოეტი ამბობს:

„თუ ადგილი არ მომწონს, ეჯავრობ, ეშფოთავ, ვლონდები,  
 მაგრამ ლბილ ხოდაბუნებს კვლავად ისევე ვეწყობი  
 და იმათაც ასეთთა, რომ აბრეშუმებ ბალახს  
 კრძალვით ძლივ გაებედნოსთ თავის ჩენა იმ ალაგს.  
 ეჰ, ნეტა რაღად მინდა რჩევა ალაგებისა,  
 რადგანც ღონე არა მაქვს არც ხენის, არცა თუქვისა“.

ალბათ, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე სექსუალური ძალის დაკარგვას.

ორმა დანარჩენმა რომანტიკოსმა გენერალმა: ეახტანგ და გრიგოლ ორბელიანებმა, იცხოვრა თითქმის მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე. როგორც ძველი დროების კაცებს, მათ არ სწამდათ ქართველთა ახალი თაობებისა. გრიგოლი ბრალს სდებდა ახალგაზრდებს, რომ ისინი სამშობლოს უღირსი შვილები იყვნენ, რადგან „ცარიის“ მტრებს შეეკრენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მთელი ეს არისტოკრატიული ნაკადი, ბავრატონების გვართან დაკავშირებული, იცვლებოდა თურვის გადაღახვის შემდეგ. ნებით თუ უნებურად თითქოს იგი ყოფილიყო მდინარე სტიქსი ან ლეთე, რაც ხსნის ამ წარჩინებულთა ინტელექტუალურ ლეთარგიას.

ის, ვინც შემდგომ თაობას თურვის გადაღახვისა და უკან მუხამბოხე იდეებით დაბრუნებისაკენ უბიძგა, თბილისში რუსეთის ნაცვალე გრაფი ეორონცოვი იყო. არც ეორონცოვს სურდა ქართველი ინტელიგენციის თავისუფლება. მას მხარდაჭერა სჭირდებოდა დალესტანში აჯანყებული შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, მას ასევე ჰქონდა ლიბერალური განზრახვა: დაეკავშირებინა ქართველი ახალგაზრდები მათ რუს თანამედროვეებთან. ქართველი მოღვაწენი, რომელნიც 1850-იან წლებში ახალ ყოველკვირეულ ჟურნალს გამოსცემდნენ, ბაძაენდენ რუს რაზნოჩინცებს, რომლებთან ერთადვე სწავლობდნენ ხანკატ-ჰეტერბურგში, მოსკოვსა და ხარკოვში. შედეგი ის არ აღმოჩნდა, რაც ეორონცოვს სურდა. მოხდა რაღაც რადიკალური. წარსული დიდების ნოსტალგია თანდათან გაქრა ქართული ლიტერატურიდან. ახალგაზრდა ტოლსტოიმ, სალტიკოვ-შჩედრინმა დიდი გავლენა მოახდინეს აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის თუ ალ. ყაზბეგის პროზაზე. ესენი თურვის გზით დაბრუნდნენ სამშობლოში, ანთებულნი და ძალამოკრებილნი, მამათა თაობის თვითკამყოფილებს წინააღმდეგ საბძოლველად მზადყოფნენ. რუსეთიდან მათ მცირე მხარდაჭერა ჰქონდათ, ვინაიდან პროგრესულად მოაზროვნენი რუსეთში ზედმეტად ინტერნაციონალისტები იყვნენ, ხოლო კონსერვატორები - ზედმეტად იმპერიალისტები, რათა მხარში ამოსდგომოდნენ ქართულ ნაციონალიზმს. დიდი ხნის შემდეგ ქართველებს პირველად დაუდგათ დრო, თვითონ ეფიქრათ, თუმც ძალიან მცირე ნაწილი ბედავდა ამას.

როდესაც ამ ლიბერალ-ნაციონალისტთა რიცხვი გაიზარდა, მესამე თაობამ გადალახა თურვი და უფრო რადიკალური იდეები ჩამოიტანა, როგორც იყო: მარქსიზმი, ნაროდნიკობა და ტოლსტოი. ზოგი მათგანი, მაგ. ნიკო ნიკოლაძე, მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსულ რადიკალურ მემარცხენეობასთან. ერთი შემთხვევა, რომელიც, ჩემი აზრით, უნიკალურია კაცობრიობის ისტორიაში, ამჟღავნებს, რა „საფუძვლიანად თურგდალელულები იყვნენ ქართველები“. 1905 წელს ცარისტული მმართველობა იძულებული გახდა, გაეუქმებინა ტერორისტ გელაშვილისათვის ჩამოხრჩობის აღსრულება, ვინაიდან თბილისში არავინ ისურვა ჯალათის როლის შესრულება, ისე იყო ხალხი ატაკებული ჭავჭავაძის მოძრაობით სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში თურვის წყლებიდან მორალურად ჯანსაღი ნაკადი მოედინებოდა. ქართული პოეზია აქვიაოდა, ბაძაედა რა რუს სიმბოლისტებს: გრიგოლ რობაქიძემ გუმბილიოვისაგან გადმოიღო ვაგნერის გიმირის კულტი, და სიმბოლიზმიც - მაგიური გველის პერანგი, რაც გუმბილიოვისაც ჰქონდა ანემებული. პაოლო იაშვილი ანდრეი ბელის და მაქს ვოლოშინს ბაძაედა. ვოლოშინის მსგავსად მან შექმნა პოეტი ქალის სახე, ვისაც მიაწერა მთელი რიგი ლექსები, რომელთაც არარსებული, იდეალური ქალის კულტი წარმოშეეს. ანალოგიურად, ქართული თეატრის პირველმა რეჟისორებმა მარჯანიშვილმა და ახმეტელმა ურცხვად მოიპარეს სტანისლავსკისა და მეიერჰოლდის მეთოდები

იმ თეატრალური სკოლების დასაარსებლად, რომლებსაც მართავდნენ ტოტალიტარული ხაზით.

მხოლოდ 1921 წელს, როცა ბოლშევიკებმა გაანადგურეს დამოუკიდებელი საქართველო მისი არსებობის მეოთხე წელს, ქართველებმა გააცნობიერეს კულტურის მოღვაწეთა ვერაგობა და მუხანათობა, თუმცა ბევრი მათგანი ამას ფარულად სჩადიოდა. პაოლო იაშვილი თეთრ ცხენზე ამხედრებული შეეგება დამპყრობლებს თბილისის კარიბჭესთან. სხვა ქართველ პოეტთა მსგავსად იგი სკოლაში ქართველ ბოლშევიკებთან ერთად სწავლობდა (ლომინაძე, აღნიაშვილი) და ფიქრობდა, რომ მათით მანიპულირება შეეძლო. რეჟისორი სანდრო ახმეტელი თავს ბოლშევიკად ასალებდა, რათა პარტიული წესრიგის სახელით ზეწოლა მოეხდინა მსახიობებზე. მსახიობს პირობა უნდა დაედო, რომ თეატრს ოჯახზე ძალა დააყენებდა; წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი და დაუნდობელი სასჯელი ელოდა. ქართველმა პოეტებმა ნეოსიმბოლისტთა ჯგუფი „ციხფერი ყანწების“ ლიდერობით იწყეს სხვა დაჯგუფებების და თვით საკუთარი ჯგუფის წევრების დევნაც კი. უმცირესი მიზეზის გამო აძევებდნენ მათ და ბეჭდვის საშუალებას უსაძობდნენ.

რუსეთიდან დაბრუნებული ბოლშევიკები ისინი აღარ იყვნენ, აქ რომ სკოლაში სწავლობდნენ. მათ ახლა რუსული ლაპარაკი და ღვინის მაგიერად არყის სმა ერჩიათ. ეს ხალხი გამოყენებულ იქნა მეგობართა დასმენისა და დახვერტიისათვის. დახვერტილ იქნა საქართველოს უდიდესი პოეტის ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი; ქართველი პოეტები ამაოდ ითხოვდნენ მის შეწყალებას. მე-18 საუკუნის შემდეგ პირველად შეილება ალაზანი სისხლით. ვინც 1923-ში ელეტას გადაურჩა, სიცოცხლე გადასახლებაში დაასრულა (არქიტაში, სოლოუკის კუნძულებზე).

1930-იანი წლების დასაწყისში თითქოსდა კვლავ მშვიდობამ დაისადგურა. ქართველები იმედოვნებდნენ, რომ შემარცხენები ტროცკისტან ერთად დამარცხდნენ. ქართველი პოეტები კვლავ რუსეთით იყვნენ მოხიბლული სტალინმა ბოლო მოუღო მოკამათე დაჯგუფებებს და ყველა მწერალი ერთ „მწერალთა კავშირში“ გააერთიანა. კლასიკოსთა თხზულებები კვლავ იბეჭდებოდა, მიუხედავად ილია ჭავჭავაძის „ფეოდალიზმისა“ და „ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა“. მოსკოვი უფრო ახალგაზრდა, ენერგიულ აქტივისტებს გზავნიდა საქართველოში. ახლა უკვე ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველი ინტელიჯენცია ალტაკებით შეხვდა 1931 წელს ბერიას დაწინაურებას კავკასიის სატრაპად, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ სჯეროდათ სტალინის მოწყალებისა.

ქართველი მწერლები ისე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მოსკოვთან, რომ თავიანთ ნაწარმოებთა ქართული ორიგინალების პარალელურად ქმნიდნენ რუსულ ვერსიებს; ისე, რომ ძნელი გასარჩევი იყო ორიგინალი და თარგმანი. თერგის გადაძლახავი მწერლები უხვად ჯილდოვდებოდნენ: სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებში მოგზაურობებით, მუდმივი შემოსავლიანი თარგმანებით, აგარაკებით, მწერალთა კავშირის „ფორდებით“ (მანქანებით). კონსტანტინე გამსახურდია ბანაკებიდან ისე სასოწარკვეთილი დაბრუნდა, რომ ხელი მიჰყო დანტეს „ჯოჯოხეთის“ თარგმნას; იქცა ბერიას უახლოეს მეგობრად და უყვარდა კოლეგებისათვის ტვიფრიანი რევოლუციის ჩვენება, ბერიათ რომ უსახსოვრა. ეს მეგობრობა გამსახურდიამ თავისუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენა, რაც სხვებს არ ღირსებიათ. ბერია ნებას აძლევდა საკუთარ თავს კავშირი ჰქონოდა თვით ხალხის მტრებთანაც კი. ეს კავშირები წმინდა წყლის ინტიმური ურთიერთობანი იყო. კ. გამსახურდიამ მოახერხა დაებეჭდა რომანი „მთვარის მოტაცება“, რომელშიც პარტიის მდივანი საკუთარ დედას აუპატიურებს. 1937-38 წლების დიდი რეპრესიების დროს, რომელმაც კომუნისტური პარტიის სამი მეოთხედი და მწერალთა კავშირის სამი მეოთხედი მოისრა, გამსახურდიას

ყოფნის გამბედაობა თქვას: „ინტელექტუალთა ციხეებში გამომწვევდა პიძლერის მიბაძვა“-ო, და დასცინის მეთოდებს, რომლითაც ქართველი კომუნისტები „სხლავენ კაკალს, როგორც რუსები - ნაძეს“. მიუხედავად ყველაფრისა, გამსახურდიამ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა მოახერხა.

ქართველი ჩეკისტები საღისტები იყვნენ, განსაკუთრებით თავიანთი ხალხის მიმართ. ბურია დიდი ენთუზიაზმით ასმენდა, აწამებდა და ხოცავდა. მისი ბოროტება იმდენად აშკარა იყო, რომ ოპტიმიზმით ისე დაბრმავებულმა პოეტმაც კი, როგორც ტიცთან ტაბიძე იყო, განჭვრიტა თავისი აღსასრული და წყველა შეუთუალა მდინარეებს, რუსეთში რომ ჩაიყვანეს. იგი ძალზე გვიან მივიდა იქამდე, კავკასიური ფოლკლორის მკაცრი რეალობა რომ შეეფასებინა და გმირულ აღსასრულთან პირისპირ დგომისას საჭირო სიმამაცე ეპოვა:

„მინდა, რომ ეყო მწირი გულადი,  
საშინელ ღამეს ეუფხვი რომ დაბდღუნა.

-----  
მინდა მოვიფრთხნა ამ შარავზაზე,  
მინდა გაუიხსნა გული ალალი,  
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,  
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი“.

სხვა მსხვერპლნიც თავს ხალხურ გმირებად აღიქვამდნენ, იცოდნენ რა, რომ სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი მეომართა და მთის ყაჩაღთა მსგავსად. პირველად შეძლო ქართულმა ლიტერატურამ საკუთარი კავკასიური ძირების პოვნა და თერგის იქითა მხარესთან ყალბი მსგავსების ძებნის აღკვეთა. დღესდღეობით საქართველო პოლიტიკურად ისევე რუსეთზეა დამოკიდებული, მაგრამ ქართული კულტურა - რაც დარჩა მისგან სამოქალაქო ომისა და ინტელექტუალური სასოწარკვეთილების შემდეგ, თერგის მიღმეთიდან აღარ საზრდობს. თუნდაც ქართულს დღესაც აჩნდეს რუსული ლიტერატურის კვალი (მაგ. სოლჟენიცინის გავლენა ამირეჯიბის „გორა მბორგალზე“), თუნდაც ქართველი მწერლები ადვილად ემორჩილებოდნენ გავლენას, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი ქრისტიანულ სამყაროსთან ახლა პირდაპირ გზებს ეძებენ, არა რუსეთის გავლით.



## პერსონალია

თამაზ ჯოლოგუა

### დემიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობისათვის

დემიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობა არ ყოფილა უცვლელი და ერთგვაროვანი. 1830-იან წლებში იგი მონდობებით იყო ჩაბმული ცნობილ მეთქმულებაში და აქტიურად უჭერდა მხარს დამოუკიდებლობის აღდგენას შვიარალბული აჯანყების გზით. ამასთანავე, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, იგი მოძბრე უზღა ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოებრივი მოწყობისა. 1830-1840-იანი წლებს მიჯნაზე გადასახლებიდან ახალდაბრუნებული დემიტრი ყიფიანი კი უკვე პოლიტიკურ რეჟიმს შეგუებულ სახელმწიფო მოხელედ და ორთოდოქს მონარქისტად გვეკლინება. როგორც ჩანს, გადასახლებაში ყიფიანს (1834-1837 წლები) მან ღრმად და საფუძვლიანად გაანალიზა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უკიდურესად ნეგატიურ შედეგებთან ერთად (სახელმწიფოებრიობის სრული მოსპობა, ნაციონალური ინსტიტუტების შეეწროება-აღმოფხვრა, ოფიციალურ ენად რუსულის დამკვიდრება და ა. შ.) პოზიტიური მომენტები და კულტურულ-ინტელექტუალური ძალების მობილიზებისა და სათანადო მიზანმიმართული მუშაობის ჩატარების შემთხვევაში რეალურად შესაძლებელი სასიკეთო პერსპექტივებიც დაინახა (ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანება და ამ გზით საუკუნეთა მანძილზე დაშლილი საერთო-ეროვნული თვითმეგნების აღდგენა, გარეშე მტერთა თარეშისა და სისხლიანი შინააშლილობის აღკვეთა, მშვიდობიან პირობებში კი კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინება და განვითარება, საზოგადოებრივი, საზოგადოებრივ-კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ევროპეიზაცია, მუსლიმანური გარემოცვის გარღვევა, ქვეყანაში სამოქალაქო ყოფის დამკვიდრება, რუსული იარაღის შემეუებით დაკარგული ისტორიული ტერიტორიების შემოერთების პერსპექტივა და ა. შ.).

საერთოდ, დემიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობის მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი, ღირძისეული ანალიზისას უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული: ა) ნაციონალური ხსნის პროგრამა, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1840-იან წლებში - ჩვენი ისტორიის ამ უმძიმეს მონაკვეთში, როცა საქართველოში ფაქტობრივად „დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“ (ა. ჯორჯაძე) და ბ) პოლიტიკური შეხედულებები რუსეთთან მიმართებაში.

ნაციონალური ხსნის დემიტრი ყიფიანისეულ პროგრამას საფუძვლად ედო თავად ზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგია, რომელსაც პერმანენტულად ავითარებდა იგი და ნერგავდა კიდევ პრაქტიკული მოღვაწეობით. დ. ყიფიანის შეხედულებით, არსებულ ვითარებაში სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო პოლიტიკური რეჟიმის

პირობებშივე ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების გაშლა და ამ გზით ქართველთა საერთო-ეროვნული თვითშეგნების აღდგენა, რაც, თავისი მხრივ, უნდა გამბდარიყო რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ ფარგლებშივე ქართველი ერის ეთნიკური, ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველი. „განათლებალა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი“ - ამ სიტყვებით გაფორმდა 60-იან წლებში ის უნივერსალური მოდელი, რომელიც 40-იან წლებშივე დაუღო საფუძვლად დ. ყოფიანმა თავის სამოქმედო პროგრამას და რომელშიც ზედმიწევნით იყო გათვალისწინებული იმდროინდელი პოლიტიკური რეალობები. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ამ გზის სისწორე.

უნდა ითქვას, რომ დ. ყოფიანის საპროგრამო დებულებები არ აღმოცენებულა ცარიელ ნიადაგზე გაეხსენოთ, როგორ მოძღვრავდა „ჭეშმარიტი ძე მამულისა“ გენერალი ივანე აბაზია 1831 წელს გრიგოლ ორბელიანს: „თქვენ, ახალგაზრდანო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოვლის ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა იმსწავლოთ, გონება განინათლოთ და მამის დაინახეთ და გამართეთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმა ნუ ინებოს საქართველოს დატყვება რუსთაგან ას წლამდის; მამინ აღარა მეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგარბოს ყოველსავე საჭიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყობილობა ადვილად აღსრულდების; ახლა ეინ იკისრებს ან ვინ გაუგონებს. აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკედარ მამულისათვის ... ქართლი, კახეთი, იმერეთი, საათაბაგო, ღურია მის დროთ აქამომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხეოდა მოუწყვეტელ-აწ ძლივს შეერთდნენ და ამიერითგან უნდა შეერთხორცდნენ და შეადგინონ ერთი მთელი: წებოთი მიკრული არ დადგებიან დიდს ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადულებს მას. ჩვენი მზე არს დრო; დრომან უნდა განგე-ანათლოს, გვასწავოს ურთიერთთა და მამულისა შეყვარება და შეგვეერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოსანი; მამინ იქმნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი, გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღვრისა. გარემომოზღუდულ არს რა საქართველო მტერთაგან, ჯერ-არს, რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითუღმან აღირჩიოს გზა ღლეინდისა ... კვალად ვამბობ, რომელ დრომ, დრომ, უნდა აღადგინოს საქართველო“.

თუ დამოწმებული თვალსაზრისი ივანე აბაზიის კერძო პოზიციის გამომხატველი იყო, ღიმიტრი ყოფიანმა იგი მთელი თავისი სამოქმედო პროგრამად ჩამოაყალიბა და, ვინაიდან 1832 წლის კატასტროფის<sup>1</sup> შემდეგ

<sup>1</sup> ვინაიდან სიკვდილით არავენ დაუსჯიათ და გადასახლებულთა აბსოლუტური უმრავლესობაც რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდა სამშობლოს (არც დაუსჯულად დატოვებულ და მეთვალყურეობა დაწესებულ მთქმული უგრძობათ, სხვათა შორის, განსაკუთრებული დეენა-შეიქრობას), მთქმულების დამარცხების შეფასება, როგორც კატასტროფის<sup>1</sup>, ერთი შეხედვით შესაძლოა გადაჭარბებული ჩანდეს, მაგრამ ეს ამოთლაც კატასტროფა იყო თავი რომ დაეანებოთ სამშობლოს დამოკიდებულობასა და თავისუფლებაზე ოცნების დამსხრეველ ილუზიებად ქვეყნის მტკიცე მტკიცე ქართველ პროცესს, ნიკოლოზ ის „წყალობამ“ მთქმულებზე, - ინდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის ინტელექტუალურ აჯანგარდზე, - ძალზე დამორგუნელებლ იმოქმედა თუ მთქმულთა ერთმა ნაწილმა ზურგი აქცია საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზს და ჩადენილი ცოდვა“ რუსული იარაღის საიდუმლოდ დაღვრილი სისხლით ან სახელმწიფო სისტემის ურთულესი სამსახურით გამოისყიდა, მეორე ნაწილმა ხელი ჩაიქნია, მუხსიერებიდან ამოძალა მისთვის საბედისწერო თარიღი, იმედებსა და ოცნებებს ყრუ გალაყანი შემოარტყა, იმ გალაყანშივე ჩაიკეტა და „ჩაწუქარი“ სიცოცხლის ზიფდით დაღლილი და დაორგუნული ჩაიდა საფლავში მხოლოდ მცირე

საზოგადოებრივი განწყობილება და სულისკვეთება საამისოდ ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა, 1840-იანი წლებიდან საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება და აზრი, არსებითად, ამ მიმართულებით განვითარდა. ამ მხრივ ჩვენ საკვებით მართებული გვეორნა მიხეილ გაფრინდამეილის თვალსაზრისი: დიმიტრი ყოფიანი იყო XIX საუკუნის „ქართული პოლიტიკური რომანტიზმის უკანასკნელი იდეოლოგი და პოლიტიკური რეალიზმის უპირველესი დამფუძნებელი“.

დიმიტრი ყოფიანის გვეგებში შედიოდა აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის სისტემაში აქტიური მოღვაწეობა, დაწინაურება და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ (თვითონ დიმიტრი 1840-1850-იან წლებში წვერი იყო იმ ადმინისტრაციული ბირთვისა, რომელიც კავკასიას მართავდა). აკაკი წერეთლის მართებული შენიშვნით, დ. ყოფიანს „დიდაკობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში შეტი გაეღუნა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსათვის“ (ამ მხრივ საგულისხმო ფაქტია - 1880-იან წლებში ხელისუფლებასთან დ. ყოფიანის შეტაკების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ საქართველოში ქართველებს სახელმწიფო სამსახურში მიღება-დაწინაურება გაუძნელეს).

განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება დიმიტრი ყოფიანის პროგრამის ხორცშესხმისთვის შეიქმნა 1840-1850-იან წლებში, მეფისნაცვალ მიხეილ ეორონცოვის მმართველობის პერიოდში. მ. ეორონცოვი კავკასიაში ფართო რეფორმისტული (მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროშიც) გვეგებებით ჩამოვიდა და „ყველა ამ გარდაქმნათა განხორციელებისას თავის უახლოეს თანამშრომლად აირჩია დ. ი. ყოფიანი, რომელიც მთავარი სამმართველოს საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის შესრულებისას, სინამდვილეში მამნიდელი ადმინისტრაციული მოღვაწეობის ერთი უმთავრესი ლეიძთაგანი იყო“ (ნ. ნიკოლაძე). საბედნიეროდ, კავკასიის მეფისნაცვლისა და დ. ყოფიანის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები გარეგნულად ერთმანეთს დაემთხვა. კერძოდ, ორივე დიდად იყო მოწადინებული ქართველ ხალხში განათლების შეტანითა და მისი კულტურული დაწინაურებით. ოღონდ მათ მიზეზები ჰქონდათ დიამეტრულად განსხვავებულად ბრიტანულ დიპლომატიაზე აღზრდილ<sup>2</sup> ციერ და შორსმკვრეტელ ეორონცოვს რუსულ და ევროპულ კულტურასთან ზიარებით ქართველთა რუსიფიკაციის დასრულება ჰქონდა განზრახული, დ. ყოფიანს კი სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღორძინებით სურდა ქართველთა ნაციონალური თვითშეგნების გამთლიანება და განმტკიცება. ეს მძაფრი (თუმცა ფარული) „ომი“ დიმიტრი ყოფიანმა მოიგო<sup>3</sup> - აღნიშნულ პერიოდში იგი (თანამოაზრეებთან ერთად, რასაკვირველია) ზრუნავდა საქართველოში მწიგნობრული ინტერესების ვალეიებაზე, ეროვნული ეურნალისტიკის აღორძინებაზე, პროფესიული ქართული თეატრის დაარსებაზე, განათლების

ნაწილმა, - მათ შორის დ. ყოფიანმა, - შეძლო დამარცხების, როგორც ვაკეთილის გააზრება და უკვე ლეგალურ სამოქმედო ასპარეზს ახალი ნაციონალური პროგრამით დაეპრუნდა.

<sup>2</sup> მ. ეორონცოვის (1782-1856) მამა - სიმონ რომანის ძე ეორონცოვი (1744-1832) - 1785-1806 წლებში ინგლისში მსახურობდა დიპლომატიურ თანამდებობებზე (რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი) და გადადგომის (1806 წ.) შემდეგაც იქვე დარჩა სიცოცხლია პოლომდე თვითონ კავკასიის მომავალმა მეფისნაცვალმა ბაქუშელმა და ყრბომა გაატარა ლონდონში, სადაც, სხვათა შორის, ბრწყინვალე განათლება მიიღო.

<sup>3</sup> უნდა ითქვას, რომ დ. ყოფიანი (ისევე, როგორც მისი თაობის აბსოლუტური უმრავლესობა და მომდევნო თაობის თვალსაზრისით წარმომადგენლებიც: ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვა) დარწმუნებული იყო - მეფისნაცვალს ქართველთა სიკეთე სურსო იგი მ. ეორონცოვს იდეალურ მმართველად თვლიდა, მისი გულწრფელი პატივისმცემელი იყო და საუღავემ ჩატანა ნატურა „ეორონცოვის დროების“ აღდგენისა.

სისტემის მოწესრიგებასა და გაუმჯობესებაზე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე, მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაზე იცავდა ქართული ენის ინტერესებს, იღვწოდა სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაციისთვის, თარგმნიდა დასავლეთევროპულ მხატვრულ ლიტერატურას და ა. შ. ერთი სიტყვით, 1840-1850-იან წლებში დიმიტრი ყოფიანმა, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, იღვწოდა და პრაქტიკული საქმიანობით განმსაზღვრელი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით წარმართვაში. დაბეჯითებით უნდა განუცხადოთ, რომ დიმიტრი ყოფიანი ღირსეული მემკვიდრე იყო სოლომონ დოდაშვილისა (ყერძოდ. ს. დოდაშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკისა) და წინამძღობელი ილია ჭავჭავაძისა, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიმიტრი ყოფიანის აზროვნება, მისი პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენ წარმოგვიდგება, მართალია, პოლიტიკურად ტრანსფორმირებულ, მაგრამ კულტურული თვალსაზრისით შემკაცემირებულ ეტაპად ამასთანავე, მსოფლმხედველობრივ „ხიდად“ „ოცდათორმეტიანელობასა“ და „თერგდალეულობას“ შორის.

დიდად სავალისძეობა, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესეკური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, როგორც ახალი, უფრო პროგრესული მსოფლმხედველობისა და ნაციონალური იდეოლოგიის მესაძირკველი, 1860-იანი წლების დასაწყისში მოველინა ჭეყანას - ამ დროს უკვე წარსულს ბარდბოდა მ. ეორონცოვის მიერ გატარებული გარეგნულად ლოიალური სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ღია რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება. ამგვარ პირობებში კი მეტიმეტად ძნელი იქნებოდა კულტურულ-იდეოლოგიური აღმშენებლობის გაგრძელება ეორონცოვისდროინდელი მეთოდებითა და არსებული ინტელექტუალური „რესურსებით“. ასე რომ, ეროვნულმა ენერგიამ, რომელიც იმ დროისთვის საბედნიეროდ სიცოცხლისა და მოქმედების უნარიანი აღმოჩნდა, ილია მაინცდამაინც მაშინ წარმოიშვა, როცა ამის აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ი. ჭავჭავაძე ზოგადად აღნიშნავდა, - „გენიოსი ნაყოფია თავის დროებისაო“, - თითონ ამ სიტყვების ავტორზეც შეიძლება გავრცელდეს - ილია ჭავჭავაძე ნაყოფია „თავის დროებისა“! ზოლო ამგვარი ხელსაყრელი „დროების“ მომზადებაში დიმიტრი ყოფიანის, როგორც 1840-1850-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მეთაურის, წვლილი მართლაც რომ ფასდაუდებელია. უფრო მეტიც ი. ჭავჭავაძის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა, არსებითად, დ. ყოფიანის მიერ შემუშავებული და პრაქტიკულად განხორციელებული პროგრამის ორგანული გაგრძელება, მისი განვითარებული და სრულყოფილი ფორმაა.

„თერგდალეულთა“ გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე დ. ყოფიანისული პროგრამის უდავო გამარჯვება იყო. მართალია, მას ახალი თაობის წარმომადგენლებთან ქჷონდა პრინციპული ხასიათის პოლემიკა ქართული სალიტერატურო ენის (ძირითადად გრამატიკულ-ორთოგრაფიულ) საკითხებზე, მოგვიანებით კი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გარშემოც, მაგრამ ეს კამათი არ გადაზრდილა მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში. პირიქით, დიმიტრი მაშინვე „ჩაირიცხა ახალ მოღვაწეებში, სიტყვით, კალმით, საქმით, სულით და გულით მათთან იყო“ (ს. წერეთელი).

დიმიტრი ყოფიანი თვლიდა, რომ საქართველოს შეერთება რუსეთთან, - ობიექტური ვითარების გათვალისწინებით, - უადრესად პოზიტიური

ისტორიული ფაქტი იყო. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს იგი უმნიშვნელოვანეს ტეხილად მიიჩნევდა ქართველი ხალხის ისტორიაში, ხოლო ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის ცნობილ მანიფესტს განიხილავდა არა როგორც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემამზადებელ პოლიტიკურ დოკუმენტს, არამედ გიორგი XII-ის პოლიტიკური ნების დაკმაყოფილებასა და საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებას რუსეთთან. ამასთანავე, ამ მანიფესტმა და მისგან გამომდინარე შედეგებმა, - დიმიტრი ყოფიანის შეხედულებით, - ბოლო მოუღო იმ ქაოსს, რომელიც გიორგი XII-ის სიცოცხლის ბოლო და გარდაცვალების პირველ წლებში შეიქმნა საქართველოს სამეფო კარზე. კერძოდ, მეფობაზე პრეტენზიის მქონე ბატონიშვილთა (როგორც ერეკლე II-ის, ისე გიორგი XII-ის ძეთა) სიმრავლე, ერთმანეთს მწვავედ დაპირისპირებულ ბანაკთა წარმოშობა და მათი ბრძოლა დაქერივებული ტახტის დასაუფლებლად ისედაც სისხლისგან დაკლოლ, დაუძინებელი მტრებით გარემორტყმულ ქვეყანას შორის სისხლისმღვრელ, დამღუპველ შინააშლილობაში ითრევდა. ამგვარ უმძიმეს ვითარებაში კი ალექსანდრე I-ის ნაბიჯს დ. ყოფიანი განიხილავდა, როგორც ერთმორწმუნე ქვეყნის ბედზე რუსეთის იმპერატორის ზრუნვის გამოხატულებასა და ერთადერთ გამოსავალს საქართველოს ფიზიკური გადარჩენისთვის, ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობასა და მისგან გამომდინარე არეულობებს, ყოველივე ამას დ. ყოფიანი ძირითადად მიაწერდა ადგილობრივ მმართველობასა და კერძოდ რუსული ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც, დიმიტრის აზრით, „მაშინდელ წესწყობილებით რუსეთში, ტიტულიარნი სოვეტნიკობის გარდა კერა ხარისხს ვერ მიღწევდნენ და, მაშასადამე, სწავლა-განათლებაც მცირე ჰქონდათ იმისათვის, რომ შეეძლებოდათ ღირსეული წარმომადგენლობა მთავრობისა და ასრულება ხალხის იმ იმედებისა და სასოებისა, რომლითაც ის აღსაქვე იყო რუსეთის სახელისაღმი“.

არჩილ ჯორჯაძე თვლიდა, რომ ის შეუსაბამოებები, რომელიც საკითხის დ. ყოფიანისეულ გააზრებაში ჩანს, „უხეზური იყო დიმიტრის მხრივ, წარსულ ისტორიის მეცნიერულად შეუსწავლელობის გამო“. საკითხის „მეცნიერულად შეუსწავლელობამ“, რასაკვირველია, გაელენა იქონია დიმიტრი ყოფიანის მსოფლმხედველობრივ მიმართებაზე რუსეთთან, მაგრამ აქ სხვა რივის განმსაზღვრელ ფაქტორებსაც უნდა მიეძქეს ყურადღება.

დიმიტრი ყოფიანს მტკიცედ სწამდა, რომ XVIII საუკუნის დასასრულს შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება, საქართველოს სახელმწიფოს ფიზიკური დაუძლურება და ტერიტორიული დაქსაქსულობა გადაულახავი, თავისი ხასიათით დამანგრეველი პარტიკულარული მისწრაფებები შეუძლებელს ხლიდა ჩვენი ქვეყნის, როგორც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ნაციონალურ-პოლიტიკური ორგანიზმის, არსებობას. უფრო მეტიც, რეალურ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნისა და ხალხის ფიზიკურ არსებობასაც კი. ამდენად, რუსეთის სახელმწიფოში გაერთიანება ისტორიის მოცემულ მონაკვეთზე აუცილებელი ვახდა საქართველოს ფიზიკური გადარჩენის, ტერიტორიული გაერთიანების, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის შენარჩუნებისთვის, მუსლიმანური გარემოცვის გარღვევისა და ევროპულ სამყაროსთან კონტაქტების აღდგენა და, შესაბამისად, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული იზოლაციისგან თავის დაღწევისა და საერთო-საკაცობრიო ცხოვრებაში ჩართვისთვის (დიმიტრი ყოფიანი, სხვათა შორის, აზროვნებისა და მოღვაწეობის ხასიათით ტაშური ევროპეისტი იყო



და რუსეთი მისთვის სიცოცხლის ბოლომდე სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ ცნებად დარჩა).<sup>4</sup>

დემიტრი ყოფიანი ორთოდოქსი მონარქისტი იყო. იგი საერთოდ „პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო ძველი ფეოდალური სისტემისა და მომხრე ერთმეფობის ცენტრალური მმართველობისა“ (ს. ზუნდაძე). ერთმმართველობა, დ. ყოფიანის რწმენით, საქართველოს გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო, რამდენადაც ქართველობას საერთო-ეროვნული ცნობიერების აღდგენა-განმტკიცება თუ იხსნიდა, რაც, თავისი მხრივ, პარტიკულარული. სულისკეთების აღმოფხვრისა და საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანების თვინიერ ვერაგზობით ვერ მოხერხდებოდა. ღვთიკურთხეულმა ქართველმა მეფემ (ვიორგი XII-მ), დემიტრის აზრით, ნებაყოფლობით გადასცა ეს ფუნქცია ერთმორწმუნე რუსეთის სამეფო დინასტიას. ამდენად არსებული პოლიტიკური სისტემა კანონიერია და, მამასადაძე, ქართველები ვალდებული არიან, აღასრულონ საქართველოს უკანასკნელი მეფის ნება და ქვეშევრდომული გრძნობებით განიძსკვალონ რუსეთის სახელმწიფოს განმგებლისადმი.

დემიტრი ყოფიანის „ფსიხიკაში და აზროვნებაში ძველი ტიპის მამულიშვილის მოტივები სჭარბობდნენ“ (ა. ჯორჯაძე) და მის შვებებაში შეურყეველად იყო დაცული „ძველი ტიპის მამულიშვილის“ სახელმძღვანელო პრინციპი: ღმერთი, ხელმწიფე, მამული (დრომ და ვითარებამ მხოლოდ ტერმინოლოგიაში შეიტანა ცვლილება - დემიტრი „ხელმწიფოს“ ნაცვლად უმეტესად „ხელმწიფე-იმპერატორს“ ხმარობს). „ხალხს, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი სასახელო ისტორია, შეუძლებელია მოეთხოვოთ მისი დავიწყება, ხოლო ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი ისტორიის ანდერძია: ღვთის რწმენა, ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულ-ქვეშევრდომობა და მამულისათვის თაღადება“ - ასე მეტყველებს დემიტრი ყოფიანი 1880-იან წლებშიც კი, როცა საბედისწერო ბრძოლა აქვს გაჩაღებული ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მონარქიზმის პრინციპებისადმი ლოიალური დამოკიდებულება და ქართველთა მეფედ რუსეთის იმპერატორის აღიარება გარკვეულ პერიოდში არც სამოციანებელთა მეთაურებისთვის იყო უცხო და ისინი ამაში ქართველი ერის ისტორიულ უფლებათა აღდგენის ლეგალურ გზას ხედავდნენ. ილია ჭავჭავაძე გარკვევით ეუბნებოდა არჩილ ჯორჯაძეს: „ახალმა თაობამ კარგად უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიულ პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოს (ხაზი ჩვენია - თ. ჯ.), ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპი“. ი. ჭავჭავაძე, „მართალია, მომხრე იყო

<sup>4</sup> ამ დებულების ნათელსაყოფად ჩვენ აქ დ. ყოფიანის მხოლოდ ერთი თხზულების ფრაგმენტს დავიმოწმებთ: „ჩვენ ეუბნათ, როგორათაც ევროპიელებს უცარსო თავიანთი მშობელი მამული და ცდილობენ მისს ამაღლებისათვის, ძლიერებისათვის და დიდებისათვის; ეუბნათ, როგორათაც ისინი მოუღალავედ მიელტვიან გონების განათლებასა, გულის განვითარებასა, ხელოვნების გამშენიერებასა და როგორათაც, ამიტომ, შეუპოვრად და თავიწიროვლობით ეპატიჟან ბუნებასა, გამოიკლვიან იმისს კანონებსა და კოდექსებს რა იმისს ხაიდულობასა, განავრცობენ მით სწავლასა სწავლა ნათელია და გვირეკნებს კაცის დიდ დანიშნულებასა -- ევროპელების მაგალითი გვასწავლის, რომ კაცმა უნდა მოუღალავედ აქუშოს გონება და ხელი, და უფრო საზოგადო სარგებლობისათვის -- ყოველივე მშათა გვაქვს ევროპიელებისაგან მოფიქრებული, გაკეთებული და საქმეში შემოტანილი ჩვენდა, რომელთაც არაფერზე შრომა არა გავგონებთარა, გერჩება მხოლოდ, რომ ეს მშათ შემუშავებული მივითვისოთ ჩვენ სასარგებლოდ“ (დ. ყოფიანი, ჩვენი ნაქარკვეთები, წიგნში რა ხალხია ქართველები?, თბ., 1992, გვ. 11-12)

საქართველოს ავტონომიისა, - დასძენს ა. ჯორჯაძე, - ხოლო ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისგან მოელოდებოდაო”.

დიმიტრი ყოფიანი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი-მართლმადიდებელი იყო. ამ თემაზე სიტყვა რომ არ გაგვივრძელდეს, აქ მხოლოდ გრივოდ შარვაშიძისადმი მისი კერძო წერილის ერთ ფრაგმენტს დავიმომწებთ: „მე ძველი კაცი ვარ და ლეთის სასოება ისე არის ჩემს გულში დამკვიდრებული, რომ შერყევა კერც ერთმა ახალმა იდეამ კერ შექლო“. დ. ყოფიანის მონარქისტული შეხედულებები ამოზრდილი იყო ქართველთათვის ტრადიციულად დამახასიათებელი მონარქიზმის თეოლოგიური კონცეფციიდან: ლეთის აბსოლუტური სიკეთე და სამართლიანობა არაა მტკიცებადი, ვინაიდან მტკიცება ხდება ლოგიკური მსჯელობის გზით, ღმერთი კი ლოგიკური კატეგორიების მიღმა დგას („ღმერთი არის ყოვლის შემოქმედი -- ყოველ ზომასა და განსაზღვრებას გარეშე მყოფი“ - წერს ერთგან დ. ყოფიანი). მონარქი ლეთის წარმოადგენელია, მისი ნების აღმსრულებელია ამქვეყნად. მაშასადამე, სამეფო ტახტისგან და შესაბამისად, მასზე მჯდომი ლეთიკურთხეული მონარქისგან მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე და ჭეშმარიტი (ლეთური) სამართალი შეიძლება მომდინარეობდეს. „საღმრთო ნება ხელმწიფე-იმპერატორისა უნდა მარადის აღსრულდებოდეს სიტყვის შეუბრუნებლად“ - ესაა ის პოსტულატი, რომელზეც დიმიტრი ყოფიანის მონარქისტული მსოფლმხედველობაა დაფუძნებული და, შესაბამისად, მისთვის ტახტი დოგმაა და არა ცნება. და აი, აქ იკვანძება ურთულესი პრობლემა დიმიტრი ყოფიანის აზროვნებისა- სამშობლოსა და ტახტის ურთიერთმიმართება.

ისტორიულად ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ისე განვითარდა, რომ XIX საუკუნეში რუსეთის მონარქისადმი ერთგულება, არსებითად, ნიშნავდა ერთგულებას რუსული ნაციონალური პოლიტიკისადმი, რასაც, თავისი მხრივ, უნდა გამოერიცხა ქართულ ეროვნულ ორგანიზმზე ზრუნვა. არადა სამშობლოსთან მიმართებაში დ. ყოფიანის ურყევ მრწამსს, - აღამიანის უპირველესი დიმიტრულაბა მამულის სამსახურია, - იმთავითვე უნდა გამოერიცხა ყოველგვარი კომპრომისი. „თუკი ჩემი სამსახური სასარგებლო იქნება, პირველ რიგში, იგი სასარგებლო უნდა იყოს ჩემი სამშობლოსთვის“, - სწერს იგი ცარსკოე-სელოდან გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში თავის მეუღლეს. სხვა ბარათში კი პეტერბურგიდან თბილისში სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ქალაქში ხმა დაუდრიათ, ყოფიანი პეტერბურგში რჩებაო, ამა და ამ ადვილს აძლევენ და ცოლ-შვილსაც იბარებსო. სხვამ იქნება არა, მაგრამ თქვენ, მგონია, ადვილად დამიჯეროთ, რომ ჩემი სამშობლო-ქვეყნის მიწა-წყალი ... ჩვეულება, ზნეობა, ზრდილობა, ათასნაირი სხვა და სხვა თვისება, რომელსაც კაცი ვერსადა კპოვებს, თუ არა შინა, ყოველივე ეს ისე ძვირფასად რადმე მიმაჩნია, რომ ვისაც კი ცოტაოდენი გრძობა შეპრჩენია, კაცმა თავისის ნებით არასდროს არ უნდა განუტევოს, თუ ძალით არ განატრევიან. ლეთის გულისათვის, რას დამახარებენ აქ ისეთსა, რომ ამაში გამაძკელებინონ... საქართველოს მომორება ღმერთმა მამორის ... ისე გუთანს მოუღვები, ნაბაღს მოვისხამ და ჩემს ქვეყანას კი ავრე ადვილად ვერ მოუქსცილდები...მე აქ რა დამაყენებს“ და ა. შ. „სამშობლო-ქვეყნისთვის“ იღვწოდა, მისი ინტერესებისთვის იბრძოდა დიმიტრი ყოფიანი მთელი სიცოცხლე, მასვე შესწიწა სამსახურებრივი კარიერა, პირადული კეთილდღეობა, ოჯახური სიმშვიდე, ფიზიკური თუ ინტელექტუალური უზრუნველყოფა და ბოლოს სიცოცხლეც. ისეთი მტკიცე პრინციპების, მთლიანი და ურყევი ნების პიროვნებისთვის, როგორც დიმიტრი იყო, ამგვარი მსოფლმხედველობრივი გაორება განსაკუთრებით მძიმეა და ტრაგიკული.

ბოლოს და ბოლოს, დიმიტრი ყოფიანმა ჩამოაყალიბა შეხედულება: იმ უკუღმართობებში, რაც საქართველოში ხდება და მიმართულია ქართველი ხალხის ნაციონალური თვითმყოფობის წინააღმდეგ, დამნაშავეა არა მონარქი,

რომელიც ყოვლად შეუძლებელია უსამართლო იყოს, არამედ მისი გარემოცვა, საქართველოში კი დამნაშავე ადგილობრივი მმართველობაა. დ. ყოფიანი თავის მახელის უფოყმანოდ მიმართავს სწორედ ადგილობრივი, არსებობდა, რუსული ბიუროკრატიის წინააღმდეგ და ამით თავგანწირვით იცავს როგორც საკუთარ სამშობლოს, ისე, სხვათა შორის, ღირსებას „მოტყუებული“ მონარქისას, რომელიც თავისი მხრივ, როგორც ეს მის ხელმწიფურ დიდებას შეეფერება, თანაბრად ზრუნავს იმპერიაში შემავალ ყველა - მათ შორის ქართველ - ხალხზე. ეს იყო მძაფრი ტრაგიზმით აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი ჩიხი და დიმიტრი ისე ჩავიდა (ჩაიყვანეს) სამარეში, რომ ამ ჩიხიდან გამოსვლა ვერ შეძლო.

მართალია, დიმიტრი ყოფიანის მონარქისტობა არასასურველი (მეტი რომ არა ვთქვათ) ფაქტი იყო დაპყრობილ და ასიმილაციური მანიპულაციების ობიექტად ქცეულ საქართველოში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამას არ მოჰყოლია შესამჩნევი ნეგატიური შედეგები ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ დ. ყოფიანის ბრძოლა რუსული მმართველობის ფორმებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, ობიექტურად იყო ბრძოლა რუსეთის მონარქის პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში.

დიმიტრი ყოფიანის რწმენას, - ქართველობას შეუძლია და ევალება კიდევ ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება და კულტურული აღორძინება საერთო-რუსული სახელმწიფოებრიობის ფარგლებშივე, - განსაკუთრებით მძიმე გამორცდის ხანა 1870-1880-იანი წლების მიჯნაზე დაუღლა, როცა სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში დაუფარავი, უკიდურესი შოვინიზმით აღბეჭდილი გამარუსებელი პოლიტიკის განხორციელება კულმინაციას მიუახლოვდა, ხოლო კავკასიის მთავარმართლებლად ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნის (1882 წ.) შემდეგ ამ პოლიტიკამ საქართველოში „ნაციონალისტურ კაცოტამიობის“ (ა. ჯორჯაძე) სახე მიიღო. თანდათანობით „მოთმინების“ დ. ყოფიანისეულ თვალსაზრისშიც შესამჩნევი ბზარები ჩნდება. თუმცა მას, ჩანს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული ვითარების შეცვლის იმედი და პეტერბურგში მყოფი - იქაურ ქართველ სტუდენტობას ასე არიგებდა: „კარგი პატრონი სახლის შენებას რომ დააპირებს, ჯერ მასალის მომზადებას შეუდგება და მერე შენობას დაიწყებს. ჩვენი ქვეყანა პატარაა, მომუშავე ძალები ცოტა ჰყავს, სიფრთხილით უნდა მოიქცეთ. დიდ საქმეს ნუ ჰკიდებთ ერთბაშად ხელს, რომ არ დაიძალნეთ და ჩვენს სამშობლოს არ მოაკლდეთ“. იმავედროულად, დ. ყოფიანის პუბლიცისტურ წერილებში უკიდურეს აღშფოთებასთან ერთად ფარული მუქარის ტონიც იკვეთება: „საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მრთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია... ასე ვართ ქართველები და ასე ვიქნებით, მანამდისინ (ხაზი აქ და ქვემოთ ჩვენია - თ. ჯ.) ჩვენი ხალხოსნობა დაცული გექნებაო“. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კი დიმიტრი ოჯახურ გარემოცვაში ასეთი კილოთი ალაპარაკებდა: „ჯერჯერობით ჩვენი გაძლიერებისთვის საჭიროა, რომ ვემორჩილებოდეთ მთავრობას, რომ არ გაგვსრისოს ერთობითო“.

როგორც ეხებათ, სიცოცხლის ბოლო წლებში დიმიტრი ყოფიანისეული „ფილოსოფია“ „მეგობრობის, მოთმინების და მორჩილებისა“ მნიშვნელოვან რყევებს განიცდის და, კიდევ რომ დასცლოდა თუნდაც რამდენიმე წელიწადი, მნელი სათქმელია, დიმიტრის მსოფლმხედველობა და პრაქტიკული მოღვაწეობა რა სახესა და მიმართულებას მიიღებდა. თუმცა ამჯერად ვარაუდებს თავი უნდა დავანებოთ და ვიმსჯელოთ იმაზე, რაც თვალწინ გვიძევს. თვალწინ კი ის გვიძევს, რომ „ეს უანგარო ადამიანი



გახდა მსხვერპლად როგორც ვერაგ მოხელეებისა, ისე მსხვერპლად თავის საკუთარის პოლიტიკურის რომანტიზმისა“ (ა. ჯორჯაძე).<sup>5</sup>

ერთი სიტყვით, დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკური მსოფლმხედველობა (ვიმეორებთ, პოლიტიკური მსოფლმხედველობა და არა პრაქტიკული საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის ხასიათი და მიმართულება) წინააღმდეგობრივი იყო. იგი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია და, თვითონ ამ ეპოქის ურთულესი და მრავალწახნაგოვანი ხასიათიდან გამომდინარე, ზოგი რამ მისი ნააზრვეიდან ჩვენთვის დღეს ვერ იქნება მისაღები, მაგრამ, საერთოდ, ასეთ საკითხებზე მსჯელობისას, ჯერ ერთი, „მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შეილნიცა“ (ი. ჭავჭავაძე), ხოლო, როცა ამგვარი მსჯელობა კონკრეტულად დიმიტრი ყიფიანს შეეხება, უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული არჩილ ჯორჯაძის შეხედულება: „როდესაც ზედმიწევნით ვაყვესობით დიმიტრის აზროვნების ხასიათს, მის სოციალ-პოლიტიკურ სიმპატიებს და ლტოლვილებას, დავრწმუნდებით, რომ ამ ადამიანის დასაფასებლად არ გამოდგება ჩვეულებრივი საზომი, რომლითაც ევროპით ინტელიგენტ-მოღვაწის ფიზიონომიას ... თავი და თავი ნამდვილი დიმიტრის აღმოჩენა... და, თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ ჩვენ არაფრის უნდა გვეშინოდეს, რადგან ყოველი ნაკლი და აზრის შეცდომა დაიფარება იმ დიადის სულის სანახაობით, რომელიც გადმოსვლა ჩვენს თვალ-წინ“.

დასასრულ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი ყიფიანის აზროვნება, მისი საზოგადოებრივი, საზოგადოებრივ-კულტურული და სავანმანათლებლო მოღვაწეობის ხასიათი, მიმართულება არათუ ზუსტად ჯდება XIX საუკუნის ფუნდამენტური იდეის, - ქართველი ხალხის ნაციონალური, სოციალური და კულტურული კონსოლიდაციის, - პრაქტიკული რეალიზაციის კონტექსტში, არამედ დ. ყიფიანი თვითონვე წარმოგვიდგება ამ იდეის ერთ-ერთ მესაძირკვლედ.

<sup>5</sup> უნდა ითქვას, რომ ზეღისუფლება დ. ყიფიანს მანამდე უკურებდა ეკუთვნოდა თვალთ, ხანამ ეს უკანასკნელი ქართველთა ეროვნული ინტერესების დამორგუნველ პოლიტიკოსს და ამ პოლიტიკოსს განმავხორციელებელთ ამკარად დაუპირისპირდებოდა ასე, მაგალითად, 1864 წლის თებერვალში კავკასიის მუფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი პარონი აღ. ნიკოლაი პეტერსბურგს ატყობინებდა: „არსებობს აზრი, თითქოს ბნის ყიფიანი ავტონომიურ საქართველოზე მოცნებუთა რიცხვს ეკუთვნოდეს მე მოკლევადი ვარ სამუქლებას, დაბეჯითებით დაუდასტურო ან უარყო ეს ხმები“, მაგრამ ესეც უნდა ითქვას - „მას ჭოჭონის გონიერება და შეგნებული აქვს, რომ რუსეთის ზეღისუფლებისადმი უსიტვეო მორჩილება მისი სამშობლოს არსებობის ერთადერთი გარანტიაა“. აღსანიშნავია, რომ სარკვის კაკაბაძე ჯერ კიდევ 1850-იანი წლების დიმიტრი ყიფიანს თვლიდა „ავტონომიის იდეის ... თვალსაჩინო მოტრფილედ“.

## ვახტანგ იმნაიშვილი

„მათ სამთა გმირთა მნათობთა...“

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაში ცოდნის გასაღრმავებლად გაგზავნილ კიტა ჩხენკელს არ გაუშართლა: 1921 წელს საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა და, რაკი მისი უფროსი მამ აკაკი, ნოე ფორდანიას მთავრობის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, საფრანგეთში იყო განიხნული, კიტას თბილისში არ ჩამოესვლებოდა. რაღაც უნდა ელონა, რომ საარხებო საშუალება მოუპოვებინა. კიტა ფიზიკურ შრომასაც ეწეოდა და არც მეცნიერებას ღალატობდა - იგი კამპურგის უნივერსიტეტში მიიწვიეს რუსული ენის მასწავლებლად, ცოტა ხანში კი ქართული ენის სწავლების უფლებაც მოიპოვა. კოლეგები და მეგობრები შეუჩინდნენ - ქართული ენის შესასწავლო სახელმძღვანელო დაწერო. მძიმე ტვირთი იყო, მაგრამ მაინც შეუჭიდა. 5 წელიწადს ავროუება მასალებს, ბერე წიგნის წერაც დაიწყო და თითქმის ბოლოშიც გავიდა, მაგრამ ბედმა მძიმე დარტყმა აგება: 1943 წლის ზაფხულში კამპურგის დაბომბვისას კიტას სახლი მიწასთან გასწორდა, დიდი წვალებით შეგროვებული მისი ბიბლიოთეკა, ქართული ენის სახელმძღვანელოს ხელნაწერი და, სურთოდ, რაკ კი მოუპოვებოდა - განადგურდა. კიდევ კარგი, იღბლად იმ დღეს ქალაქში არ იმყოფებოდა და ამით სიკვდილს გადაურჩა.

გერმანიაში კიტა თავისუფლად ვერ იყო, ერთგვარ ზეწოლას განიცდიდა და 1945 წლის მარტში შვეიცარიაში გადავიდა მუდმივად საცხოვრებლად. ომი მალე დამთავრდა, ლუკმაპურის შიენა ქირდა, მაგრამ ჩხენკელის დიდმა ერულიცამ, საფუძვლიანმა ცოდნამ, შეუპოვრობამ და მისმა პიროვნულმა მოძიბილობამ მას საშუალება მისცა, ციურიხის უნივერსიტეტსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში ჯერ რუსული ენის მასწავლებლის ადგილი ეშოვა, მოგვიანებით კი უნივერსიტეტში ქართული ენის კურსიც წაეკითხა. მისმა ნაცნობებმა და კოლეგებმა არც აქ მოასვენეს და წააქეხეს - გერმანიაში დაწყებული საქმე, რომელიც თითქოსდა დაბომბვამ დაასამარა, გაეგრძელებინა: ხელახლა შესდგომოდა უცხოელთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნას.

ჩხენკელს მარტოს მალიან გაუჭირებოდა ამ მხელ საქმესთან შებმა. ამიტომ მან თავისი მსმენელებისაგან სამი ახალგაზრდა ქალიშვილი შეარჩია, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, მასთან ერთად ეზიდათ მუხლჩაუხრელი შრომის მძიმე ჭკაპანი. მისი პირველი თანამშრომელი იყო ლეა ფლური, რომელსაც ის ჯერ კიდევ გერმანიიდან იცნობდა, იმეამად კი ბიუროში მუშაობდა მდივნად. შემდეგ მათ შეემატნენ იოლანდა მარშევი და რუთ ნოიკომი. იოლანდას ციურიხის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული რომანისტიკისა და კლასიკური ფილოლოგიის განხრით, მაგრამ სერიოზულად მეცადინებოდა მუსიკაშიც ცნობილ მაესტროსთან, ანდრე რიბოპიერთან, კისთანაც ვიოლინოზე დაკრის ოსტატობას ეუფლებოდა, და ერთხანს მუსიკოსის კარიერაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ ენებისადმი სიყვარულმა გადასძალა და კიტა ჩხენკელს ამოუდგა გვერდით. რუთი კი ერთ-ერთ გამომცემლობაში მუშაობდა და ისიც იყო დაინტერესებული რუსული ენით.

ჩხენკელმა ხელმეორედ დაიწყო საშური საქმე - ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენა. მის თანამშრომლებს ქართულია იმხანად არაფერი გაეგებოდათ. ყოველ მათგანს თავისი სამსახური ჰქონდა, საკუთარი არსებობა მატერიალურად უნდა უზრუნველყო და მხოლოდ მაშინ, როცა ძირითად საქმეს შორჩებოდნენ და თავისუფალ დროს გამოჩნახებდნენ, იკრიბებოდნენ ერთად და თავიანთი მასწავლებლის დახმარებით ქართული



ენის ლაბირინთებში გარკვევას ცდილობდნენ შესაშური გულმოდგინებითა და სიბუჯითით. მაშინ ზომ ქართული ისეთ ენად ითვლებოდა, რომლის შესწავლაც მეტისმეტად ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო! რამ აიძულა ქალიშვილები, ასეთი მძიმე ცხოვრების გზას დასდგომოდნენ? ქართულის შესწავლას მათთვის მატერიალურად არაფერი მოქონდა. აკი თავიდანვე გააფრთხილა კიტამ თავისი თანაშემწეები, რომ მისგან ფულად ანაზღაურებას ვერ მიიღებდნენ. მათი დახმარების სანაცვლოდ მხოლოდ ენათმეცნიერებაში გაწაფვასა და დაოსტატებას ჰპირდებოდა. მაშ, რამ გადაადგმევინა სამ ახალგაზრდა ქალს თითქოსდა გაუმართლებელი ნაბიჯი? ლეა ფლური ასე ამართლებს თავის ნაბიჯს: „მე დავიბადე და გავიზარდე შეეცარიაში, ამ მშვენიერ ქვეყანაში, და შეამაყება, რომ ის ჩემი სამშობლოა. როცა ახალგაზრდობისას ვხედავლი, რომ მსოფლიოს დიდი პრობლემები აზანზარებდა, ხშირად მიფიქრია, რა უბედური უნდა იყოს ადამიანი, როცა ბედი მას სამშობლოს მოაშორებს, სწორედ ეს მიტრიალებდა თავში, როცა კიტა ჩხენკელის მონათხრობს ვისმენდი საქართველოს შესახებ. შეეცარიაში ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ჩვენი ქვეყანა წლების მანძილზე დახმარების ხელს უწყვიდია ბელისგან დევნილთ. საკმარისია გავიხსენოთ შეეცარიაში დაარსებული წითელი ჯვრის საზოგადოება ან შეეცარიელთა მიერ გაწეული სხვადასხვა სახის შემწეობა, დახმარება გაციოვებული თუ უბედურებაში ჩაყარნილი ქვეყნების მიმართ. მე ვაპირებდი მუშაობას წითელი ჯვრის საზოგადოებაში ან რაიმე მსგავს ორგანიზაციაში, მაგრამ კიტა ჩხენკელთან შეხვედრამ ჩემი ბედი შეატრიალა. კიტა იმხანად მეორე ემიგრაციას აპირებდა და მე მომეცა შესაძლებლობა, მისი დახმარებით რაიმე სასარგებლო საქმე მეეკეთებინა. მე მქონდა სამდივნო საქმის განათლება და ხანგრძლივი პრაქტიკა ან საქმეში, რაც შემდგომ ძალიან გამომადგა, ისევე როგორც უცხო ენების - ფრანგულის, ინგლისურისა და იტალიურის - ცოდნა.“

იოლანდამ კი ასე ახსნა თავისი თანხმობა ჩხენკელის წინადადებაზე. გამხდარიყო მისი ასისტენტი: „როცა უნივერსიტეტი დავამთავრე რომანისტიკისა და კლასიკური ფილოლოგიის განხრით, ჩემთვის მთლად ნათელი არ იყო, მომავალში რა გზას უნდა დავდგომოდი. რადგან თენეკაში ყოფნისას გამოჩენილი მეეიოლინის, რიბოპირის, გაკვეთილებსაც ეღებულობდი, დილემის წინაშე დაუდევქი - მუსიკა ან პირჩა თუ ენათმეცნიერება. ჩემი სურვილი იყო, ვინმე ენათმეცნიერთან ერთად შემუშავა ენებისადმი ჩემი მიდრეკილების შესაბამისად, მუსიკის სიყვარული კი ბავშვობიდანვე დამყვა. ჩემი მეორე ოცნება კი რუსული ენის შესწავლა იყო (რუსული მუსიკის ზეგავლენით)“.

ჩხენკელის ჯგუფის პირველი მიზანი „ქართული ენის შესავლის“ მომზადება იყო. ქალიშვილები ხარბად დაეწეფენ კიტას გაკვეთილებს ქართულში, ბევრს მეცადინეობდნენ პრაქტიკულ საკითხებში. ამასთან თითოეული მათგანი ინდივიდუალური მიდრეკილების შესაბამისად გარკვეული მიმართულებით ავითარებდა თავის შესაძლებლობებს. იოლანდა ენათმეცნიერულ ნიჭს აელენდა, რუთი მთარგმნელობით დაინტერესდა, ლეა კი ქართულ-გერმანულ ტექსტებს ბეჭდვად რთული სისტემის მქონე ამერიკულ ორენოვან საბეჭდო მანქანაზე. ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ წინ. თითქმის შეუსვენებლივ მუშაობდნენ, თუმცა ზოგჯერ წმინდა გრამატიკულ საბუთოს განზე ღებდნენ და მაშინ კიტა მათ გატაცებით უყვებოდა საქართველოზე, ბელის უკუღმართობის გამო საოცნებოდ გამხდარ სამშობლოზე, მის ხალხზე, ადამ-წესებზე, აცნობდა ქართულ ლიტერატურას. ლეამ თავი გამოიჩინა, როგორც ქართული ლექსების საუცხოო დეკლამატორმა. მან ჯერ კიდევ კარგად არ იცოდა ქართული, როცა ქართველ პოეტთა საუკეთესო ნიმუშებს დიდი მონდომებით იხეპირებდა. მას



დღესაც ახსოვს მაშინ ნანსწავლი ლექსები. პირველი ლექსი, რომელიც მას ჩვენსკლამა ასწავლა, ილიას „ტყემ მოისხა ფოთოლი“ ყოფილა. ჩვენსკლამა თავის მოწაფეებს ქართული კერძების მომზადებაც ასწავლა. ციურინში ლუასათვის დღესაც სპეციალურად მოჰყავთ ქინძი, რომელსაც ისე მიეჩნევა, რომ უმისოდ არ შეუძლია ქართული სუფრის სურნელის შესანარჩუნებლად კიტას ნანსწავლი სახეობლებს მომზადება. სხვათა შორის, ციურინში მათს სანახავად ჩასულ სტუმრებს აუცილებლად ქართულ სუფრას გაუშლიან ხოლმე.

1956 წელს წიგნი უკვე მომზადდა გამოსაცემად. წლების მანძილზე ბეჭდავდა ლუა ფლური ორტომიან შესავალს ორენოვანი სპეციალური საბეჭდო მანქანის - ვარიტაიურის - საშუალებით. ამ სპეციფიკურ მანქანაზე ბეჭდვა მეტად რთული და მძიმე იყო, რადგან მილიმეტრის მეთაღის სიზუსტით უნდა შეეთავსებინა სხვადასხვა შრიფტით აწყობილი ტექსტები ერთმანეთთან (მაშინ ეს დღევანდელივით ადვილი არ იყო). ბოლოს, 1958 წელს, წიგნის ბეჭდვა დასრულდა.

კიტა ჩვენსკლამა ქართული წიგნების (დაწერილისა თუ მომავალში დასაწერის) გამოსაცემად, მათს გასასაღებლად, საქმიანი მიმოძიების საწარმოებლად დააარსა გამომცემლობა, რომელსაც თავისი საშობლოს პატივსაცემად „Kolchis“ (კოლხეთი) უწოდა. ერთ დღეს მას შეკითხვა მისცეს, ხომ არ აქვს ამ სახელწოდებას რაიმე საერთო რუსულ „КОЛХОЗ“-თან. ამ შეკითხვამ ჩვენსკლამა შეაძრწუნა. მისმა პასუხსაც არ დაყოვნა: მან გამომცემლობისთვის ახალი სახელი შეარჩია: „ამირანი“, თუმცა ეს ძვირად დაუჯდა: უკვე დაბეჭდილი შუესტიტულის (რომელზეც გამომცემლობა იყო მითითებული) გამოცემა გახდა საჭირო, ტირაჟი კი 3000 ცალი იყო.

„ქართული ენის შესავლის“ გამოქვეყნებას აღფრთოვანებული გამოხატულება მოჰყვა. მრავალი ქვეყნიდან მოხდილიათ მილოცვის ბარათები. ეს დიდი გამარჯვება იყო. კიტა ჩვენსკლამის „ქართული ენის შესავალი“ დღესაც ყველაზე უკეთეს სახელმძღვანელოდ ითვლება ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის. სახელმძღვანელოს პრაქტიკული ნაწილისათვის ნიშნუშების თარგმანში ჩვენსკლამა იოლანდა ეხმარებოდა, რომელიც საქმარისად გაიწაფა ამ საშუალოს შესრულებისას. „მაგალითებზე მუშაობდა, ერთი და იმავე წინადადების ხშირად გადაწერამ, სანამ ყველა ნიუანსი ნათელი გახდებოდა, ძალზე წინ წაწა ჩემი ცოდნა ქართულში“ - ივინებს იოლანდა.

კიტა ჩვენსკლამის უსაქმოდ ყოფნა არ სჩვეოდა. ახლა მან ახალი მიზანი დაისხა: ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენა. ეს წინა საშუალოს გაგრძელებად ჰქონდა ჩაფიქრებული. განსაკუთრებულ სიმძელეს ქმნიდა ის გარემოება, რომ მაშინ მათ არკინის ფარდის“ წყალობით ეძნელებოდათ საქართველოდან საჭირო წიგნების მიღება, ვერ მხოლოდნენ ლექსიკონებსა და მხატვრულ ლიტერატურას, განიცდიდნენ სამეცნიერო ლიტერატურის ნაკლებობას. იმხანად „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მხოლოდ 5 ტომი იყო გამოსული და უკანასკნელი ასოებისათვის ჭირდა სალექსიკონო მასალების მოპოვება. დაადგინეს, რომ ყოველ წელიწადში 96-გვერდიანი 2 ნაკვეთი უნდა გამოეცათ. პირველი მათგანი 1960 წლის შემოდგომაზე დაიბეჭდა „ამირანის“ გამომცემლობაში. ქალები თანდათან მიეჩვივნენ ამ სახის საშუალოს, ყველაფერი განრიგის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ ბედმა მათ შწარე დარტყმა მოაყენა: 1963 წლის 22 ოქტომბერს კიტა ჩვენსკლამა ფილტვების კბობით გარდაიცვალა. საშუალო მარტოდ დარჩა. რა უნდა ექნათ - დაენებებინათ თავი დაწეებული მუშაობისათვის (ჯერ მხოლოდ 6 ნაკვეთი იყო დაბეჭდილი) თუ ბოლომდე მიეყვანათ ლექსიკონი? შეიძლება სხვა მათს ადვილას პირველ გზას დასდებოდა. ან კი ეინ ვამატყუებდა? ქართული მათთვის იმჟამად ერთგვარად ჰობი იყო, ისინი ხომ მხოლოდ თავისუფალ დროს მუშაობდნენ ჩვენსკლამის, ყოველ მათგანს სხვა, ძირითადი, საშუალო ჰქონდა, რითაც ირჩინდნენ თავს. მაგრამ

დიდმა სიყვარულმა, მოწინებამ თავიანთი მოძღვრის მიმართ, თანაგრძობამ მათი მასწავლებლის ქვეყნისადმი. უკვე ძვალ-რბილში გამჯდარმა ქართულმა ხელმა თავისი ქა - ისინი ერთი წუთითაც არ შეეცდნებულან და ლექსიკონზე მუშაობის წამქეზებლებს, კიტას კოლეგებს, სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც სისხლხორციულად იყვნენ დაინტერესებულნი ლექსიკონის შემდგომი ბედით, მტკიცედ განუცხადეს: ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას! ახლა მხოლოდ საერთო თავის ამარა დარჩნენ, თავიანთ თავს უნდა დანდობოდნენ მხოლოდ. „მაგრამ დიპრთი არ ვასწავრავს კაცსა შენგან განაწირსა“ - გაიხსენეს მათ, როცა კიტას დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ვიკტორ ნოზაძე ჩამოვიდა მათთან საფრანგეთიდან. კიტას სიყრმის შეგობარს ვერ მოეხერხებინა შეეცარიადი შესასვლელი ვიზის დროულად მიღება. „შე ვერ მოვესწრები ლექსიკონის დასრულებას, მაგრამ თქვენ ყოველთვის იპოვით ვინმეს, ვინც ამ საქმეში დაგეხმარებათ“ - უთქვამს კიტას სიკვდილის წინ. აქ აუხდა კიდევ ნათქვამი! ვიკტორ ნოზაძეს, რომელსაც თვითონ ჰქონდა უამრავი საქმე მოსავკარებელი და მეტად მოუცლელი იყო, რა თქმა უნდა, კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩხენკლის მიერ დაწყებული საქმის კეთილად დაბოლოებას. ვეროა, და არა მარტო ვეროა, საჭიროებდა სოლიდურ ქართულ-გერმანულ ლექსიკონს. ამან განსაზღვრა ნოზაძის შემდგომი საქმიანობაც: ამის შემდეგ 10 წლის განმავლობაში ვიკტორ ნოზაძე წელიწადში ორჯერ სამსაბით თვით ჩადიოდა ციურებისში და სალექსიკონო მასალების მოშაფებაში ეხმარებოდა ობლად დარჩენილ ქალებს. სალექსიკონო მუშაობას კი იოლანდა მარშეი ჩაუდგა სათავეში - მან იტვირთა ვეგუფის მეცნიერული ხელმძღვანელობა. 1974 წელს ბოლო, ოცდაშვიდეკე, ნაკვეთი გამოვიდა (თავდაპირველად კიტას 10-12 ნაკვეთი ჰქონდა ვათაღისწინებული, მაგრამ მასალა სავარაუდოზე ბევრად მეტი დაუგროვდა). ეს დიდი გამარჯვება იყო. ეს იყო მოწაფეების საწყარი მასწავლებლისადმი. ის დიდი სიყვარული, რაც მათ კიტამ ასწავლა და ჩაუნერგა, მოწაფეებმა ამ სახით დაუბრუნეს უკან. ლექსიკონის გამოცემას მოჰყვა აღფრთოვანებული გამოძახილი, გაუთავებელი მოლოცვები... სათქმელად ილია - მათ დაასრულეს ლექსიკონი, რომლის მასალების დიდი ნაწილი კიტას ჰქონდა დაღაგებული. ვისაც ლექსიკონის შედგენაზე უშუალოდ, ის ნათლად წარმოიდგენს, რა ფოჯობითური შრომაა ეს, რამდენი მართლაც თორბად გათერებული ღამე, რამდენი ათასი ფურცლის გაუთავებელი თვალიერება ყველაზე მაკური მკითხველის კრიტიკული თვლით! დაფასდა კიდევ ეს თავდაღებული შრომა - ციურიხის კანტონის ხელმძღვანელობამ ლექსიკონის „გამსრულებელი“ მათი ათეულწლოვანი სამგალითო შრომისათვის სავანგებო პრემიით დააჯილდოვა.

როცა „ქართული ენის შესავლის“ ფურცლები იწერებოდა, ჩხენკლის ვეგუფს ვერ კიდევ არ ჰქონდა წარმოდგენილი, სად და როგორ დაიბეჭდებოდა წიგნი. თავდაპირველად ვერც მაკვლეის გამოძეგმობას, ვინც ხელს მოაკიდებდა ქართულად აწყობილი წიგნის გამოცემას, და ერთხანს ოფიეტური წესით ფიქრობდნენ ხელით ნაწერის დაბეჭდვას (რუთს საუცხოო კალიგრაფია აქვს). იმხანად ისინი ახერხებდნენ ცოტაოდენი დღის გამოძახევას პარალელური საქმიანობისათვის. სწორედ ამ დროს კიტა ჩხენკელმა გადაწყვიტა „ვის-რამაინს“ მოკლე რედაქციის გერმანულად გადათარგმნა, რათა ამით ვეროპელი ლიტერატურათმცოდნეების ყურადღება მიექცა ქართული ენის ძველი ძეგლებისათვის. ამ საქმეში კიტას რუთი ეხმარებოდა, რომელმაც მთარგმნელობითი ნიჭი გამოავლინა. 1957 წელს მათი ერთობლივი თარგმანი გამოქვეყნდა. ეს ამგვარი საქმიანობის პირველი ნაბიჯები იყო. შემდეგ წელს მათ უფრო დიდ საქმეს შეაბედეს - „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანის მოშაფება დაიწყო. კიტას სიყვლილმა ეს სამუშაო შეაფერცა, მაგრამ რუთმა ისარგებლა „ვეფხისტყაოსნის“ საუცხოო მკვლევარის, ვიკტორ ნოზაძის, ეზობიტებით ციურიხში და. მისი კონსულტაციებით ფრთაშესხმულმა, 1974 წელს რუსთულის შედგერის გერმანული თარგმანი დაბეჭდა ციურიხში, მანამდე კი, 1970 წელს,

რომმა თანამედროვე ქართველი მწერლების რჩეული თხზულებები თარგმნა, რასაც სოლიდური გამოკვლევა დაურთო ბოლოთქმის სახით. კრებულში შესულა: მიხეილ ვაგანიშვილის სამი მოთხრობა („ყაბამ დაიგვიანა“, „ქემატის ქა“, „ტყის კაცი“), ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ზოგაის მიწა“, ლევან გოთუას „ქინწეისის ანგელოზი“ და „უფო ქარავანი“, გრიგოლ ჩიქვანის „დაბრუნება“. ამას გარდა, ციურიხის ყველაზე უფრო ავტორიტეტულ გაზეთში „Neue zürcher Zeitung“ 80-იანი წლების დასაწყისიდან რუთი აქვეყნებს წერილებს ქართული ლიტერატურის შესახებ. მთვან აღსანიშნავია „ქართული ლიტერატურა“ (1981), „ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართველი რომანტიკოსი პოეტი“ (1988), „ალექსანდრე ყაზბეგი, XIX საუკუნის ქართველი მწერალი მაღალმთიანი კავკასიიდან“ (1990), „მთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, შუა საუკუნეების ქართული ეპოსი“ (1991). ამას გარდა, გერმანიაში გამოშვებულ ჟურნალ „Georgica“-ში დაიბეჭდა ვაჟას „ველის მჭამლის“ მიხეული თარგმანი (№17,18). ციურიხის ზემოაღნიშნულ გაზეთში დაიბეჭდა რუთისა და იოლანდის ერთობლივი წერილები: „საქართველოს უცდავი ბუღბუღი“ (აკაკი წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა, 1982), „ვაჟა-ფშაველა, ქართველი პოეტი კავკასიის მთიანეთიდან“ (1985), „ილია ჭავჭავაძე, საქართველოს დიდი მოძღვარი“ (1986), 1990 წელს კი გამოქვეყნდა მათ მიერ თარგმნილი „ჩემი თავდასავალი“ აკაკი წერეთლისა. სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის რადიოშიც რეგულარულად გადიოდა ეთერში რუთის მიერ მომზადებული რადიოუცხადებები „ვეფხისტყაოსანზე“, ალექსანდრე ყაზბეგზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ვალაკტიონ ტაბიძეზე, ანა კალანდაძეზე, ლევან გოთუაზე. სხვათა შორის, რუთმა თარგმნა ქართული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებია. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ილიას ლექსები და „არდილი“, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები და ლექსები, ვალაკტიონისა და ანა კალანდაძის ლექსები, ყაზბეგის „ხეიხეური ვიწარ“. რუთმა დაამთავრა „მალავარიანის“ თარგმნაც, მაგრამ, რაკ ძალზე მომთხონინა თავისი თავის მიმართ, ფიქრობს, რომ თარგმანის დასაბეჭდად საჭიროა მისი კიდევ ერთხელ გულდასმით შემოწმება კრიტიკული თვალთ.

ლუა ფლური კიტა ჩხენკელის პირველი თანამშრომელი იყო. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ გერმანიიდან იცნობდნენ, სადაც ლუა მათი საერთო ნაცნობის ოჯახში აღმზრდელად მუშაობდა 1941 წლის შემოდგომიდან. ლუას ბიუროს მდივნობის სპეციალური კურსები ქჷონდა ვაჟაილი, იცოდა ენები. ისე მიხდა, რომ ციურიხში ის და კიტა ერთი სახლის სხვადასხვა სათაურზე ცხოვრობდნენ. ლუა ჩხენკელს უბეჭდავდა მისი წიგნის მასალებს და, საერთოდ, შვეიცარიაში ახალნასულ კიტას სხვადასხვა სახის ფორმალობის მოგვარებაში ეხმარებოდა. ამან ისინი უფრო დაახლოვა და, როცა ჩხენკელმა სიკვდილის მახლოება იგრძნო, სწორედ ლუას ჩააბარა „ამირანის“ ხელმძღვანელობა. „ქართული ენის შესავლისა“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ ტექსტების აწყობა ამერიკულ საბეჭდო მანქანა ვარიტაიპერზე კიტამ ლუას მიანდო. მეტად მძიმე, შრომატევადი და დამღლედი იყო ეს საქმიანობა. 19 წლის მანძილზე უკუკუნებდა ლუა ვარიტაიპერის კლავიშებს. 8000 გვერდზე მეტი დაბეჭდვა მისმა ნახმა თითქმის. მკითხველის თვალთაგან დაუნახავად კი, ვინ იცის, კიდევ რამდენი გვერდის აწყობა მოუხდა. საბეჭდო მანქანის სპეციფიკურობის გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორენოვანი ტექსტი მილიმეტრის მკათედის სიზუსტით უნდა ყოფილიყო გასწორებული! ამიტომ საუკეთესო შემთხვევაში დღეში მხოლოდ 6 გვერდის დაბეჭდავას ახერხებდა.

ხომ ამდენს აკეთებდნენ ქართული საქმისათვის, ხომ ყველაფერი დაივიწყეს ქვეყანაზე ქართულის გარდა (არც ერთს საკუთარი ოჯახიც კი არ შეუქმნია – კაცმა რომ თქვას, სამივე ერთად სწორედ რომ ერთ ოჯახს, ერთ მთლიანობას, მართლაც სპეციფიკურს, შუადგენდა), მაგრამ გულის სიღრმეში

ჩვეულებრივი ერთი ოცნება - ქართული მიწა-წყლისათვის, ქართული მთა-ბარისათვის თვალის შეკლება - აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. გულით ეწადათ, რუსთაველის ქვეყანაში გადაეღვათ რამდენიმე ნაბიჯი, ვაჟა-ფშაველას ხმელ წიფელსა და მაღალ მთათ მალაქრებოდნენ, ილიას, აკაკის, ყაზბეგისა და გალაკტიონის ნაფეხურებს გაჰყოლოდნენ - ისინი ხომ მეტად ახლობლები იყვნენ მათთვის, ისინიც ხომ მათი ცხოვრების ნაწილი ვახდენენ! აბოლოს, ერთი სული ჰქონდათ, ქუთაისის ქუჩებში გაეელოთ, სადაც კიტა დადიოდა ახალ-გაზრდობისას. ზოგჯერ სრულიად დაუცერებელი და აუხდენელი იოლად ასახდენი ხდება - როგორც ზღაპარში. 1968 წელს თბილისის უნივერსიტეტი დაარსების 50-ე წლისთავს ზეიმობდა. საყოველთაო ზეიმიში მონაწილეობის მიზალად სამი ციურიხელი ქართველოლოგიც მოიწვიეს. იმზანად საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ. ევროპაში მდგომარეობა დაიძაბა. საბჭოთაის ეს ნაბიჯი დაგმეს და ამიტომ, ყოველი შემთხვევისათვის, იოლანდამ გაიკითხა ციურიხის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში, სადაც ის ლექციებს კითხულობდა - ჩვენს წასვლას საქართველოში ამ სიტუაციაში უარყოფითად ხომ არ შეხვდებითო. „პირიქით, ჩვენ თქვენს ვიზიტს საქართველოსთვის სოლიდარობის გამოცხადებად აღვიქვამთო“ - დაუმშვიდებიათ იოლანდა. საქართველოში მათი ყოფნა ერთი კვირით იყო ვათვალისწინებელი, მაგრამ სტუმრების დიდი დაშასხურებისა და ღვაწლის აღსანიშნავად მასპინძლებმა მოახერხეს თითქმის შეუძლებელი - შევიცარიელ ქალთა დელეგაციას ვიზა დამატებითი ორი კვირით გაუზანგრძლივეს, რათა მათ საშუალება მიეცემოდათ, მოეელოთ კიტას სამშობლოს აღმოსავლეთი და დასავლეთი. ყველგან დიდი სიბოთ, სიყვარული, მოწინააღმდეგე, პატივისცემა იგრძნობოდა მათ ირგვლივ მყოფი ხალხის მხრიდან. დაუციწყარი იყო ის დღეები. თითქმის ყოველ შეხვედრაზე უხდებოდათ მისასალმებელი სიტყვების ქართულად თქმა - მასპინძლებს ახარებდათ შევიცარიული ქართულის მოსმენა ქუთაისური აქცენტით (კიტას გულწინათ), ისე რომ, ბათუმის ერთ კაფეში ვერაფრით დააჯერეს იქ მსხდომი ქართველები, რომ სამი ქალბატონი შევიცარიელი იყო და არა ქუთაისელი. „ეგონათ, გავმასხრეთ, და ნაწყენებმა დატოვეს სასწრაფოდ კაფეო“ - დიმილით იგონებს ლეა.

შევიცარიაში ქართული რომ ჩადის, ციურიხის იშვიათად თუ აუვლის გვერდს - დედაქალაქი კი ბერნია, მაგრამ ციურიხი ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქია, კულტურული და სამრეწველო ცენტრი. ეს როდი იზიდავს ქართველს - მთავარი ისაა, რომ ამ ქალაქში საქართველოსა და ქართველებზე თხებით ტრეფამდე შეყვარებული ქალბატონები ბინადრობენ, ისინი თავს მოვალედ თვლიან - მინ მიპატიჟონ კავკასიონის კალთებიდან ევროპის შუაგულში ჩასული თანამემამულეები მათი მოძღვრისა, ქართული სიტყვა გათვინონ კვლავ, ქართული სურფა გაუმალონ ვაოცებულ სტუმრებს, რომელთაც თვალზე ცრემლები მოსდვომათ - მე არ შემძლია ზუსტად ვთქვა, რისი ცრემლებია ეს - და ბოლოს საოჯახო ალბომში ორიოდ გულთბილი სიტყვა ჩააწერინონ მსურველთ სამახსოვროდ. ვის სახელს არ შეხვდებით ამ შთაბეჭდილებათა ალბომში? ვინ არ ყოფილა მათთან სტუმრად: კათალიკოს-პატრიარქით დაწყებული და უბრალო სტუმრით დამთავრებული... „ამ სახლში კიტას სული ტრიალებსო“ - უთქვამს აქ სტუმრად მყოფ რევაზ თაბუკაშვილს. სწორი შენიშვნაა. მათი ოთახების კედლებზე გაკრული ფოტოსურათებიდან კიტა ჩხენკელი იცქირება, ხოლო იოლანდას ვილის ეზოში დიდხანს იდო კიტას გაუქმებული საფლავის (იქაური წესის თანახმად) ქვა.

რამდენიმე წელია, შევიცარიაში დაარსებული „საქართველოს მეგობართა გაერთიანება შევიცარიაში“, რომელიც ციურიხში აწყობს ხოლმე წლიურ სხდომებს. გასულ წელს მეც დავესწარი ამ თავჯრილობას. 60-მდე კაცი შეიკრიბა, მათ შორის ხუთიოდე საქართველოდან ამა თუ იმ საქმეზე ჩასული სტუმარიც ვიყავით. ამ საზოგადოებაში გაერთიანებულნი საქართველოს ბედით არიან დაინტერესებულნი და სისტემატურად კითხულობენ საქართველოსთან დაკავშირებულ მეტად საინტერესო მოხსენებებს. ამ შეკრებების მონაწილეთა

შორის თავისი ღვაწლით ვერაინ გაუტოლდება ქართულის მოტრფიალე ქალბატონებს, რომლებიც ცდილობენ, რომ ის, რაც თავის დროზე კიტა ჩხენკელმა ჩანურგა მათს გულებში, ახლა თვითონ უწილადონ სხვას, რათა ისინიც აღანთონ საქართველოს სიყვარულით. ისინი საქართველოს ქომაგებიც არიან. რამდენიმე წლის წინ ერთმა შვეიცარიულმა ხელოვნებათმცოდნემ მოახერხა ციურინში ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენის მოწყობა. ერთმა გაზეთმა ფიროსმანიშვილი რუსად მოიხსენია და აუვიც დასცდა მასზე. იოლანდა მარშემა გაზეთის რედაქტორს გამანადგურებელი წერილი გაუგზავნა და ბოდიშიც მოახდევინა არაკომპეტენტურობისა და უეციობის გამოფენის გამო...

ჯერჯერობით უკანასკნელი დიდი საქმე, შეიძლება ითქვას, საშვილიშვილოც, რაც ციურინში განხორციელდა, არის გერმანულ-ქართული ფუნდამენტური ლექსიკონის მომზადება. იოლანდა მარშემა ამ ლექსიკონზე მუშაობა 1990 წელს დაიწყო. ბუნებრივია, მას ქართულ ნაწილში დამხმარე სჭირებოდა და თანადგომაც შვეიცარიის ეროვნული ფონდის მხრიდან, რომელმაც გაითვალისწინა ამ პროექტის დიდი მნიშვნელობა და ხელი შეუწყო მის ხორცშესხმას. ამ საქმის მოგვარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბერნის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელს პროფ. როლანდ ბილმაიერს, რომელიც სამოცდაათიანი წლების დასაწყისში თბილისში იმყოფებოდა ერთი წლით და ძველსა და ახალ ქართულს ეუფლებოდა ჩვენს უნივერსიტეტში, ახლა კი თვითონ კითხულობს ქართული ენის კურსს ბერნის უნივერსიტეტში. ლექსიკონის დასახვეწად და მისთვის საბოლოო სახის მისაცემად იოლანდა მარშემა და როლანდ ბილმაიერმა მე მიმიწვიეს ციურინში ერთი წლით. 1997 წლის სექტემბერში ლექსიკონმა დასრულებული სახე მიიღო და წლიულს ეს 600-გვერდიანი წიგნი კიდევაც დაიბეჭდა გერმანიაში.

სამი შვეიცარიული ქალბატონის ხაზითში ქართულ შტრიხებს შეაძინებს ჩვენებური კაცი, მათს შეგნებაში ძალუმადაა შეჭრილი ქართული ცხოვრების წესი, ხშირად ქართველივით ფიქრობენ და ქართველის დარად იქცევიან (ზოგჯერ იქაური მაცხოვრებლისათვის უწვეულოდ და გაუმართლებლადაც კი), რადგან კარგა ხანია მათი სული ქართულ სიბრძნეს ეზიარა. ერთ მაგალითს მოვიტან მხოლოდ: ვინც იოლანდა მარშეის ვილაში მეორე სართულის მისაღები ოთახის კარს შეაღებს, მის ყურადღებას უმაღლ მიიპყრობს სავარძლის საზურგეზე გადაფარებული დიდი თეთრი ტილო, რომელზეც ქართული ასოებით რუსთველის ბრძნული შეგონებაა ამოქარგული: „ვინ მოგვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.



## ხელოვანთა კაბადონი

თინა ჩხაიძე

### ყოფიერების მსხვერპლნი

(დავით კლდიაშვილის სამყარო თეატრის რეჟისორთა თვალით)

„თუ შენ იცი და გრძნობ, რომ შენში არის სული,  
ეცადე, იგი შენზე უწინ არ მოკვდეს“.  
პოლ ბურევე

დავით კლდიაშვილის ფენომენი ქართულ ლიტერატურაში ჯერაც ბოლომდე აუხსნელი რჩება. „სინამდვილის ფანატიკოსი“ უწოდა მას აკაკი ვაწერელიამ, უფრო ადრე კი გრიგოლ რობაქიძე განცვიფრებით ამბობდა: „ნატურალიზმი? თუ გინდ ნატურალიზმიც იყოს. ნატურალიზმი არაა მაინცდამაინც ხელწამოსაკრავი“. „დავით კლდიაშვილის ნატურალიზმი ობიექტივიზმია უფრო. სუბიექტი (ავტორი) მის ნაწერში თითქმის არ ჩანს“.

რამდენი ...„იზმი“ არსებობს ლიტერატურაში, რაც თითქმის ყოველთვის გულისხმობს წინასწარ შედგენილი მოდელით, სქემით, თეორიული ნააზრევით მიუდგე მასალას. დავით კლდიაშვილის რეალიზმი მთლიანად გამორიცხავს ამგვარ ფალობს. „დავით კლდიაშვილი არ „იგონებს“, იგი მხოლოდ „ასახავს“ (გრიგოლ რობაქიძე).

თურმე, აბსტრაქციონისტმა მხატვარმა კუფკამ, სანამ დაიწყებდა საგნის დაშლას და მის ხელახლა კონსტრუირებას, ბოდიში მოუხადა ბუნებას. რომ აღარ მოახდენდა მის კოპირებას. დავით კლდიაშვილს ამგვარი ბოდიში არ დასჭირვებია. მისი რეალიზმი მწერლის უნებურადვე მოიცავდა სხვადასხვა ლიტერატურულ სტილს. თუნდაც ის ფაქტი რადა ღირს, რომ მწერალს არც გროტესკი. არც პაროდია მოუპარჯებია ოდესმე. მის მიერ ასახული სინამდვილე კი, ხშირ შემთხვევაში, ფანტასტიკურად პაროდირებულია. ამიტომაცაა დავით კლდიაშვილის სამყარო თეატრალური ნიღბების უშრეტი წყარო.

მწერალს საოცრად ემარჯვება სიუჟეტის განვითარებაც. ისევ გრიგოლ რობაქიძის კომენტარი მოვიშველიოთ: თხრობისას „ყოველი შემდეგ დართული მომენტი ულოდნელია. ეს იწვევს დინამიურ უცხოობას“. ამითაც არის იგი მიმზიდველი თეატრისათვის. მაგრამ ამ საკითხზე, უმჯობესია, მაინც იმათ მოუხმინოთ, ვისაც სცენაზე გადაუტანია დავით კლდიაშვილის სამყარო და ჩვენც თანამოსაუბრეებად ქართული თეატრის ოთხი გამოჩენილი მოღვაწე ავირჩიეთ - თემურ ჩხეიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი და რობერტ სტურუა (საუბარს იმ

თანმიმდევრობით წარმართავთ, როგორცაღაც გაიმართა იგი). აქვე სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიზეზილ თუმანიშვილთან ჩვენი დიალოგი ერთ-ერთი უკანასკნელია სიტყვაძუნწ, მაგრამ საქმით გამორჩეულ დიდებულ მკვლევართან.

სხვაა რეჟისორის თვალთ წაკითხული დავით კლდიაშვილის მოთხრობები. სხვადასხვა ფოკუსში ექცევა სამყარო, იკვეთება ნაირნაირი დეტალი, ცნაურდება მისი მრავალფეროვნება...

\*\*\*

- ბატონო თემურ! რა გზიბლავთ დავით კლდიაშვილთან?

- დიალოგი. იმ წუთში ხვდები, ვინ ლაპარაკობს. დავით კლდიაშვილი ფლობს განსაკუთრებულ უნარს, მეტყველებით დაახასიათოს გმირი. როცა მის ნაწარმოებს ვდგამთ, ჩვეულებრივ მწერლის დიალოგებს ვეყრდნობით, იშვიათად თუ ჩაუვმატებთ რამდენიმე რეპლიკას. გავინსენებ ერთ ასეთ შემთხვევას სპექტაკლ „სამანიშვილის დედინაცვლიდან“. კირილე და პლატონი შაფათაძის ქორწილში არიან. ჩხუბის დროს კირილეს თავში მაგრად ჩაარტყამენ. კირილეს როლის შემსრულებელი რამაზ ჩხიკვაძე როცა მოსულიერდებოდა, უაზროდ იცქირებოდა აქეთ-იქით. ვუთხარი რამაზს, იკითხე რამე-მეთქი, რადგან სცენური დადგმა აქ ვერ იტანდა პაუზას, მოთხრობაში კი არ იყო ეს ადგილი. რამაზმა მაშინვე მოიფიქრა:

- პლატონ, სად ვართ, თუ იცი...

- არ ვიცი, - უპასუხა გაბრაზებულმა პლატონმა.

- არც ის იცი, ვისას ვართ?

დიალოგი ჩაჯდა სპექტაკლის მსვლელობაში. ჰგავდა კირილეს მეტყველების სტილს.

- ბატონო თემურ! მაინც ვინ არის ეს კირილე მიმინაშვილი, რა კაცია? როგორ განმარტავდით მის ხასიათს? ზუსტად არ მახსოვს, ვკონბ, გრიგოლ რობაქიძე „ატროვებულს“ ეძახის მას... ავად ატეხილს, ოღონდ სიხალისისაგან.

- ენერგიით მართლაც სავსეა კირილე. ნიჭიერია, რამდენი რამის მოფიქრება შეუძლია... ფეიერვერკია პირდაპირ... ოღონდ ფუჭად დახარჯული ენერგიაა. საბოლოო ჯამში კირილეს შეუძლია სხვისი ცხოვრება გააფუჭოს. როგორ ამბობს პლატონზე... ეგ უშვილო დედაბერს დაექებს. „დავდევ მეძებარი ძაღლივით“... თითქოს თვითონ არ ეხალისებოდეს ეს ღვენა...

მთერალი კირილე ზომ ისეთია, მტრისას... პიროვნების, სულ ერთია, მახლობელი იქნება თუ შორეული, აბუჩად ავდება შეუძლია.

სალონის ეპიზოდს (სტუმრად კირილეს მამიდის ოჯახში) რომ ვდგამდით, კირილე-რამაზ ჩხიკვაძე განსაკუთრებით იგიჟიანებდა თავს. პაუზაც იყო ერთ ხანს. გამძაფრებულ სიჩუმეში უფრო იგრძნობოდა, როგორ აბრიალებდა თვალებს მთერალი კირილე... ყველას ეშინოდა, აქეთ-იქით იმალებოდნენ. ერთმანეთს ეფარებოდნენ. არავის უნდოდა მთერალი კირილეს ხელში მოხვედრა. არისტო ქვაშავიძეს სახეს უჭმუჭნიდა... ან პლატონს რას უშერებოდა? საცეკვაო წრეში ხელის



კვრით შეაგდებდა და მიადახებდა: - ტაში, პლატონ! სრული განადგურებაა პლატონის... მოკლა კაცი!

დავით კლდიაშვილი ყველაფერს მზამზარეულად გვაწვდის, მაგრამ თეატრში ზოგჯერ მიზანსცენაა საჭირო, უნდა შემზადდეს ეპიზოდი: ...შაფათაძის ქორწილში მთურაღმა კირილემ ჩხუბი უნდა ატეხოს. ნაწარმოებში გაურკვეველია, რაზეა ჩხუბი. - მაგ სადღეგრძელო დალიეთ, - პლატონი გაივონებს კირილეს ყვირილს... რა სადღეგრძელოზეა ლაპარაკი, არ ისმის. რამაზს ვუთხარი რეპეტიციის დროს, რაიმე ტუტ-უცურ-პატრიოტული მოიფიქრე-მეთქი... - რა უნდა მოვიფიქროო, - ჩაიბუზღუნა. საათნახევრის შემდეგ კი განსაცვიფრებელი რამ მოხდა. იმავე ეპიზოდის თამაშის დროს უცბად დიდად პათეტიკურად წარმოთქვა: - ჩვენი სამშობლოს წყაროებს გაუმარჯოსო. პარტნიორს (კოსტაიას) ჩუგუაშვილი თამაშობდა. მისთვის იმდენად მოულოდნელი იყო ეს სადღეგრძელო, რომ პირი დაალო. - წყაროების? - ჰკითხა კირილეს.

- პო, ცივი წყაროების. დალევ მაგას და გახვალ კარში, - უპასუხა რამაზმა. - მართლაც მოულოდნელი იქნებოდა სიტუაციის ამგვარი შემოტრიალება. აქ აშკარა კომიზმია. კირილე მიძინაშვილს ზომ ხაერთოდ არ ესმის ცნება „სამშობლო“, თუნდაც პროვინციულ, როგორც თქვენ ბრძანეთ, „ტუტ-უცურ“ დონეზე. კირილე ერთი თავქეიფა კაცია. როგორ ამბობს? - ორი დღე ვიცოცხლო და იხიცი მწუხარებაში გავატარო... (ეს მისებური ფილოსოფიაცაა). ამ შემთხვევაში, უტყობა, ბატონი რამაზი დღევანდელ ქართულ ყოფასაც ვყრდნობოდა. სამწუხაროდ, რა გაყალბებულია ჩვენში ქართული სუფრის მშვენიერი ტრადიცია. რა ხაშინელ, მართლაც „პროვინციულ-ტუტუცურ“ სადღეგრძელოებს ამბობენ რომელიმე თამაძის ღარიბული თვალსაწიერის შესაბამისად. როდის ბრძანებდა დიდი აკაკი ჩვენს წინაპრებზე: „მთურაღობა და სადღეგრძელო სათითოო არ იცოდნენ, ჩვენი ღზინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწვოდნენ“.

- ქართული ყოფა უკვე გადაგვარებულია დავით კლდიაშვილის მოთხრობებში. ზუსტად ხატავს მწერალი, რა გარემოშია ქართული ხასიათი მოქცეული. სცენაზე ეპიზოდების აკებისას, როცა რეჟისორი საკუთარ ფანტაზიას აამოქმედებს, იმის ცოდნაც გვეხმარება, რომ დავით კლდიაშვილთან ყველაფერი ქართულია. აქ ერთი სახუმარო ამბავიც მახსენდება. სალონის ეპიზოდს ვდგამდით, ანუ სცენას ჯიმშერ სალობერიძის სახლში. თავდაპირველად არაფერი გამოგვიდიოდა. ერთხელ რეპეტიციაზე ბატონი მიხეილ თუშანიშვილი მობრძანდა. დაგვიწუნა ეს ეპიზოდი, რა გიქნიათ ეს, რას ჰვავსო... სულ უკან, სცენის სიღრმეში, ნარდს თამაშობდნენ გიგოლა თალაკვაძე და კარლო საკანდელიძე. ბატონ მიხეილს რატომღაც არ მოეწონა, სწორად არ თამაშობთო... (არადა, გიგოლა თალაკვაძეს, გურულ კაცს, ვინ ასწავლის ნარდის თამაშს?!).

გიგოლამ და კარლომ უფრო მაგრად ააჩხარუნეს კამათლები, თან ხელებს მუხლებზე ირტყამდნენ. - მაინც არ ვარგაო. - თქვა ბატონმა მიხეილმა... კამათლებია გამოსაცვლელი და მაშინდელი მომმარაგებელი ვალიკო ვაბისონია ჩავზავნა რეკვიზიტში, სადაც... რატომღაც კამათლები არ აღმოჩნდა. - ის რა თეატრია, სადაც კამათლებიც კი არ აქვთო, - ბატონი მიხეილი აშკარად გაღიზიანებული იყო და ვალიკო ახლა რუსთაველის თეატრთან ახლოს მდებარე სალონში გავზავნა კამათლების საყიდლად.

ვალიკო ცარიელი მობრუნდა. - ის რა ქალაქია, სადაც კამათლებს ვერ იშოვიო და ბატონმა მიხეილმა ვალიკოს უთხრა, წადი ქუჩაში, კენჭები ამოიტანეო. რუსთაველზე კენჭებს სად იპოვიდა ვალიკო, დაბნეული ამობრუნდა. ვეღარ მოითმინა რამაზ ჩხიკვაძემ, მე ვიცი ორი გამოსავალი: აგერ, ნახევარ საათში თვითმფრინავი გავა; გადაფრინდეს ვალიკო, ჩამოიტანოს ერთი ათი კენჭი ზღვიდან. ორს ჩვენ ვიხმართ, დანარჩენი რეკვიზიტში შევინახოთ, გამოგვადგება; ანდა, თირკმელში მაქვს კენჭები და ამომაცალეო, ბატონოო...

რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ სხეაც ბუერი რამ გვიამბო თეატრის კულისებზე, შემდეგ კვლავ დავით კლდიაშვილის სამყაროს დაუბრუნდა და პლატონ სამანიშვილს ბუნებით ინტელიგენტი კაცი უწოდა. ინტელიგენტი, რომელიც ცხოვრებამ ზნეობრივად დასცა.

\*\*\*

- ბატონო მიხეილ! გვანტერესებს, როგორ კითხულობთ დავით კლდიაშვილს...

- მომწონს ძალიან, მიყვარს!

- შაინც კონკრეტულად რა გზიბლავთ?

- არ მესმის. რას მეკითხებით?

- აი, მაგალითად, როგორაა დავით კლდიაშვილთან გამოხატული სილატაკისა და ზნეობრიობის პრობლემა?

- მე მასე არ ვკითხულობ დავით კლდიაშვილს. მე მომწონს... რომელი მოთხრობაა? ჰო, „მსხვერპლი“... საიქიოდან რომ ბრუნდება კაცი... ანგელოზი რომ ეუბნება, ჯერ ადრეა, უკან გაბრუნდიო... როგორ ჰყვება დაბრუნებული, ყვავილებია იქო, ბილიკი მიდისო... თქვენები ზევით არიანო, ერთად... ამას რომ ვკითხულობ, სიკვდილის აღარ მეშინია... არადა, მალე უნდა გავუდგე საიქეთო გზას.

... და საერთოდ, ძალიან მომწონს... ყველაზე ძალაა, გენიოსია.

- რით არის გენიოსი, ბატონო მიხეილ, სწორედ ამას გთხოვთ, გვითხრათ...

- რა ვიცი მე... გენიოსი კია და... არაფერს არ იგონებს... კლდიაშვილთან მე ჩემს მახლობლებს ვუძებ. მეზობლებს... მიყვარს მათთან შეხვედრა.

რა უბრალო კაცია... სურათები მაქვს მისი. პატარაა, მაგრამ რა შემაერთული ზის... (ბატონმა მიხეილმა თითქოს გამოაჯაგრა)... შინაგანად არტისტია. თვითონაც არ იცის, ისე.

...12 წლის წინათ დავდგი თეატრალურ ინსტიტუტში. სამი პიესა გავაერთიანე - „უბედურება“, „დარისპანის გასაჭირი“, „მსხვერპლი“, თუმცა მონტაჟს ვერ იტანს დავით კლდიაშვილი. სამივე სხვადასხვა მხრით არის გამოხატული. გამოვიყენეთ მისი წერილები. ფინალი შევცვალეთ: „ასე ცხოვრება არ შეიძლება“, - ამ რეპლიკით მთავრდებოდა სპექტაკლი. მოგვთხოვეს, სხვანაირად დაამთავრეთო. ჩვენ თავი იმით გავიმართლეთ, ეს სიტყვები დავით კლდიაშვილის წერილიდანაა ამოღებული-თქო... სერგო კლდიაშვილი დაესწრო წარმოდგენას, მოეწონა. მალე გავგანებეს თავი. ახლა, რა თქმა უნდა, არ გამოდგება ასეთი ფინალი.

- ბატონო მიხეილ! თელით თუ არა, რომ დავით კლდიაშვილი ზუსტად ხატავს ქართულ ხასიათს?

- არაფერს არ ვთვლი... არ ვუყურებ მაგ თვალით დავით კლდიაშვილს. მეტად თავისებურად წერდა. ერთხელ სერგოს უთქვამს მამისთვის: შენ რაღაც ძველმოდურად წერ... აი, ნახე, როგორ წერს მეტერლინიკო; ძალიან სწყყნია დავითს. ერთი კვირა ჩაკეტილა, გარეთ არ გამოდიოდა, თურმე... მეერ გამოუტანია „უბედურება“; ვითომდა, მეტერლინიკისებურად წერდა... არადა, მაინც თავისებურად დაწერა...

ძალიან ძალადი დონეა... რასაც ხედავდა, იმას წერდა, მაგრამ მთლად მასეც რომ არ არის? ფაქტობრივად მთელი პლანეტაა... რა ბუნებრივი დიალოგია... ახლა ერთ პიესას ვდგამთ, გაგვაწვალა პირდაპირ. მსახიობები ნერვიულობენ, ასე არავენ არ ლაპარაკობსო. დავით კლდიაშვილი შეიძლება შეადარო ბუნებას. მთელი მუსიკაა. მისი პიესების დადგმისას მუსიკა თვითონ მოდის. ახლა რომ პიესას ვდგამთ, იქ კი ძალიან გვიჭირს... ავერ შევკვირებე ახალგაზრდა მუსიკოსები, ვწვალობთ... ამ პიესის მუსიკა იმ რაღაცას ჰგავს, ახლა რომ ძალიანაა გავრცელებული...

- ჯაზს?

- არა, არა! ჯაზი მუსიკაა... მძიმე როკს... და საერთოდაც ბევრი თავსატეხი გაგვიჩნდა: ერთ ადგილას სანთელი უნდა ავანთოთ... ვკამათობთ, ვფიქრობთ, ავანთოთ? ახლა ყველგან ანთებენ სანთელს, საჭირო არის თუ არა... ღმერთსაც წარამარა ახსენებენ...

- ბატონო მიხეილ! ამბობენ, თეატრში პირველად თქვენ წაიკითხეთ ახლებურად დავით კლდიაშვილი.

- ამის პრეტენზია არა მაქვს... აი, ლილის ჰქონდა კარგად, იოსელიანს... გორში დადგა დავით კლდიაშვილი.

საერთოდ აღრე ცუდად იდგმებოდა დავით კლდიაშვილი. მაგალითად, კაროენა იყო კარიკატურა... ნილაბს უკეთებდნენ, კოჭლად გამოჰყავდათ. მაშინ რაღა გასაკვირი იქნებოდა, თუ ვერ გათხოვდა? მედიკო ვათამაშე კაროენას როლში, უღამაზესი იყო.

- თავის დღეებში გალაკტიონიც ხომ კაროენას მშვენიერს უწოდებს...

- ჰო. საერთოდ დავით კლდიაშვილს სჭირდება განსაკუთრებული მსახიობები: ჩარკვიანი ვათამაშე, ემანუელ აფხაიძე, ლენა ყიფშიძე, მედიკო ჯაფარიძე... კოლორიტიც ოსტატები... სწორედ მუსიკა გამოვიდა. მარჯანიშვილს დავით კლდიაშვილის მოთხრობებზე უწერია ტრაგიკომედია არისო; უფრო დრამა გამოდის.

საუბრის დახასრულს ბატონ მიხეილ თუმანიშვილს „შევახსენეთ“ მისი მშვენიერი წიგნი „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“, ხადაც დავით კლდიაშვილის მწერლური სამყაროს მართლაც ხაანალიზო შტრიხები მოცემული.

\*\*\*

- ქალბატონო ლილი! გაიხსენეთ თქვენი პირველი შეხვედრა დავით კლდიაშვილთან.

- ჩემს მოწაფეობაში „კლდიაშვილის აზნაურები“ ვოდვეილად იღვებოდით. გაშარებულნი იყო დავით კლდიაშვილის სამყარო, კაროენა გამოჰყავდათ „სულელად“, ოსიკოც... მერე, როცა წამოვიზარდე და ხელახლა წავიკითხე დავით კლდიაშვილი, ტირილი მინდოდა ზოგჯერ. მწერალი გვანჯენებდა გამოუვალ მდგომარეობაში, უსაშველობაში ჩავარდნილ ადამიანს, რომელსაც სწავდა, გამოვიდეს ამ უსაშველობიდან... ისე, უბრალოდ კი არა, ღირსეულად.
- თავისთავად ეს ვითარება ხომ პარადოქსულია. უსაშველობიდან გამო-სულა, და თანაც ღირსეულად, შეუძლებელია.
- სწორედ ეს ქმნის ტრაგიზმს. ასე დავინახე ტრაგიკული ღერძი დავით კლდიაშვილის შემოქმედებისა. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის დროს დავდგი „დარისპანის გასაჭირი“. მაყვალა ფლენტს ვათამაშე კაროენა, დარისპანი - ტარიელ კურცხალიას (ახლა გარდაცვლილია სა-წყალი!). კომისია მესწრებოდა, ზორავა იყო თავმჯდომარე. გაწყრა, როგორ შეიძლება ცრემლი მოგვევაროს კლდიაშვილმათ. 1953 თუ... 54 წელი იყო, ზუსტად არ მახსოვს. უნდა დავეცინა დავით კლდიაშვილის აზნაურებისთვის, გაგვიცხა ეს სოციალური ფენა; ასე იყო მიღებული მაშინდელი „აზროვნების“ შტამპის თანახმად. მე კი „იდეურად მოუმ-ზადებელი“ აღმოვჩნდი. საბედნიეროდ, დამიცვეს რეჟისორმა კონსტან-ტინე ანდრონიკაშვილმა და აკაკი ფალავამ.
- ქალბატონო ლილი! თუ იცნობდით მაშინ რობაქიძის წერილს დავით კლდიაშვილზე?
- როგორ შეიძლებოდა... არც ხელმისაწვდომი იყო. სახლში დამალული გვქონდა მხოლოდ „ლამარა“.
- გარდა ტრაგიკულის დანახვისა, კიდევ რა იყო ახალი დავით კლდიაშვი-ლის მოთხრობების წაკითხვისას?
- აქედან გამომდინარეობდა გაკომიკების მოხსნა. აშკარად ჩანდა, რომ დავით კლდიაშვილთან არ იყო რალაც „იმერლობას“ თამაში... სცენაზე როცა მწერლის გმირები იმერულად უქცევდნენ, ზედმეტად ისმოდა იმერული ინტონაცია, ლექსიკა; მასშტაბი იკარგებოდა და კუთხური გამოდიოდა. ახლა ყველამ იცის, რომ დავით კლდიაშვილივით არავის გადმოუცია ტიპური, განზოგადებული ქართული ხასიათი. ქართველია ოთარაანთ ქერივი. მაგრამ დავით კლდიაშვილის გმირები კიდევ უფრო მეტად არიან ქართველები.
- დაასახელეთ ერთი, რომელიმე კონკრეტული დეტალი ქართული ხასიათისა, რომელიც დავით კლდიაშვილმა გვიჩვენა.
- სწორედ ქართული ხასიათია ვე - არ უნდა, სხვას გაჭირვებული ეჩვენოს. სტუმრის გულისთვის ისესხებს, ივალებს და მაინც გაუმასპინძლდება. ჩემთან ჩამოსული იყვნენ რუსი რეჟისორი ეფროსი და მისი მეუღლე ნა-ტალია კლიმოვა. მეუბნებოდნენ. შეჩერდით, არაა საჭირო სტუმრის ასე ვადმერთება, ვერავინ ივებს ამას და ნუ აკეთებთო. ეს ჩვეულება ქართველს სისხლში აქვს გამჯდარი. შარდენი წერს: „Грузины обожают не быть“.

а казаться!<sup>1</sup> ეს კულტურა იყო. ამაში სასაცილო მომენტიც უსათუოდ არის. ერთი სიტყვით, ეს ამბავი ტრაგიკომიკურია...

ცერემონიულია ქართველი. გლეხიც კი საოცრად დარბაისლურად ლაპარაკობდა. ზემო იმერეთიდან ვარ წარმოშობით. ერთობ ლატაკი მხარე იყო. მაგრამ როგორ შეგატყობინებდა სილარიბეს. ერთხელ ერთი ცნობილი კრიტიკოსის ცოლი გვესტუმრა... (ნათესავად გვერგებოდა ეს "გაპარუსკებული" ქალი...); გაუწყვეს სუფრა, მიირთვა ისრიმში ჩადებული შებრაწული ვარია, კეცზე გამომცხვარი მჭადი, ხაჭაპურები...

- როგორ გაეძეხი! - თქვა ნასიამოვნებმა.

სოფლელებმა გადახედეს ერთმანეთს: - ბენა, რა ბრძანა, სად გაიზარდა ეს ქალი...

ქართული ხასიათის ეს დეტალები დავით კლდიაშვილთან მიყვანილია უკიდურესობამდე.

- რა კარგად ბრძანეთ კულტურაზე. მწერლის მოთხრობებში მართლაც თვალში ხაცემია ამ გალატაკებული ადამიანების თუნდაც პეწენიკი ჩაცმადახურვა: საგარეოდ გადაღებული ერთი ხელი სამოსი... მოლაზე გამოჭრილი კაბა... ფერუმარილით გალამაზებული ქალები; მობრძანდი-დამბრძანდით მიმატყეება, ზრდილობიანი მოკითხვა (თუნდაც ერთმანეთი ეჯავრებოდეთ...); ჭორაობაც კი დარბაისლური აქვთ. მიუხედავად ამისა, მაინც ვრღვევათ წონასწორობა დავით კლდიაშვილის გმირებს. ეს ყველაფერი ფასადია ხშირ შემთხვევაში. მათ ხულში კი ისეთი რამ ხდება, რომ ბეერი მათგანი უზნეობამდე მიდის.

- ეს ყველაფერი სილატაკის ბრალია. „გაფშიკებული კუჭი“ რას არ ჩაადენინებს კაცს. ზნეობრიობა მაშინ იკარგება, როცა ადამიანები პირუტყვის მდგომარეობაში არიან. დავით კლდიაშვილთან ყოველთვის ჩნდება სინანული, რომ გმირმა ცუდი რამ ჩაიდინა. შეწუხებული დარისპანი ებოდიშება პელაგიას...

- თქვენის ნებართვით, ქალბატონო ლილი, დაუმატებ სხვა მაგალითებსაც: გაჯავრებული სოლომანი მწარედ ამბობს, რომ ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობაა... ლევან ქამუშაძე სიკვდილის წინ იტყვის, „სირცხვილია“ ასე მოქცევაო... ესაა ზნეობრიობისაკენ მომწოდებელი სუსტი ხმა. აკაკი ბაქრაძის თქმით, გარემოხაგან ხულმოკლეულ, არსებობის შიშით გათანგულ ადამიანთა ტრაგედია გვიჩვენა მწერალმა. ესენი არიან უდანაშაულო დამნაშავენი. ამიტომ იმხანურებენ თანაგრძნობას.

საოცარი კომენტარი აქვს „მსხვერპლზე“ თვითონ მწერალს. იგი ამ მოთხრობის პიესად გადამკეთებელს ურჩევს, ალაპარაკოს ფეფენა არა როგორც მტარვალი, არამედ როგორც მსხვერპლი.

დავით კლდიაშვილის მდიდარი ხედვა და აზროვნების სტილი იქვეა გამოხატული, როცა ამბობს: საერთოდ უნდა მოვერიდოთ სწორხაზოვან გამოსახვას, რომ ზოგი მსხვერპლია და ზოგი - მტარვალი; ყველანი შავბნელი ცხოვრების მსხვერპლნი ვართ, მწერალი კი ყოველივე ამის გამშუქებასა და განათებაზე უნდა მუშაობდესო.

აღბათ, ამიტომაა, რომ დავით კლდიაშვილის მოთხრობებში არც გმირია და არც ანტიგმირი. აქაა ხინამდვილე რომანტიკის თვინიერ.

<sup>1</sup> ქართველს უყვარს გეგენოს იმაზე უკეთესი, ვიდრე სინამდვილეშია.



- მაინც მეტად მრავალფეროვანია ეს სინამდვილე, მიმზიდველი, საინტერესო...

- დიდ სცენაზე თუ დაგიდგამთ, ქალბატონო ლილი, დავით კლდიაშვილი?

- რუსთაველის თეატრში მოვამზადე „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“. რამდენიმე დღეში უნდა გამართულიყო პრემიერა, მაგრამ სერგო ზაქარიაძე გარდაიცვალა.

- სხვა კლასიკოსი თუ გიცდიათ?

- მრავალჯერ ვცადე ვაჟა-ფშაველა თეატრალურ ინსტიტუტში. ერთი სტუდენტი ვარგოდა მხოლოდ. იგი დიდ ემოციას მოითხოვს.

- ფილმ „ვედრებაში“ თუა გახსნილი ვაყვას სამყარო?

- ეს უფრო სახვითი ხელოვნებაა, არა თამაში, არამედ ფოტოკადრები. შეტაკება და კონფლიქტი, რაც ვაყვასთანაა, აქ არაა. ესაა კონცეფციის წარმოჩენა, ფილოსოფია ესთეტიური საშუალებებით არის ნაჩვენები. როცა რომელიმე მწერლის ნაწარმოებს ირჩევ, იქ რაღაც შენეული, ოღონდ ახალი უნდა აღმოაჩინო და აჩვენო.

\*\*\*

- ბატონო რობერტი! იქნებ გაიხსენოთ, როგორ დგამდით „სამანიშვილის დედინაცვალს“. თქვენს ერთ-ერთ მიგნებადაა მიჩნეული სპექტაკლის დეკორაციებისგან განტვირთვა.

- პატარა სცენა ვერ იტანს ბუტაფორიას. მიშა ჭავჭავაძემ მოიფიქრა სიმონეთში წასვლა. უნდა გვენახა ის გარემო, სადაც დაიწერა მწერლის მოთხრობები, სადაც მოქმედებენ დავით კლდიაშვილის გმირები.

მართლაც ჩაღიან მსახიობები სიმონეთში. აქ, სახლმუზეუმში, ხმამაღლა იწყებენ „სამანიშვილის დედინაცვლის“ კითხვას. გოგი გეგეჭკორს - მკითხველსა და პლატონს ხუმრობით აპყვება ბეკინა - ბუზუტი ზაქარიაძე და მერე მსახიობები თანდათან იწყებენ თამაშს. ამ ჩანაფიქრს თანდათან მიეცა ფორმა. ხელახლა დავამზადეთ დეკორაციები. სტენდები. ჩოხებსა და ძველ კოსტიუმებში გამოეწყვნენ მსახიობები. ერთი სიტყვით, სინამდვილისა და მუზეუმის ატმოსფერო ერთმანეთში ირეოდა. ყაბალახისა და კოსტიუმების ტანდემი დროის ფაქტორს აჩვენებდა. გამოვიყენეთ იმხნელების სიმღერები, სურათები საოჯახო ალბომიდან... ცხენების ნაცვლად სკამებზე იხსდნენ. მუზეუმში ხომ ცხენებს ვერ ნახავდით...

- ალბათ, დასანანი იყო, რომ თეატრალურ პირობითობაში იყარგებოდა დავით კლდიაშვილის სამყაროს ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი. თუნდაც ვინმე ლომიაშვილისაგან ნათხოვარი ჯაგლაგი... რამდენი რამაა მასთან დაკავშირებული: ღატაკი აზნაურის ავადმყოფური თავმოყვარეობა, ბეკინას გულმხიარული ხიცილი, მელანოს გაოცება, როგორ შეიძლება ამ ჯაგლაგზე შეჯდომაო. გვერდზე დაგვრჩა პლატონის ნათქვამი: - „ფხვფხვა“ მიუყვებიო. მოვინიღი ღირსების ეს მანიაკური გრძნობა უკვე მაღავე აჩვენებს, რა ხასტიად შეიძლება მოიქცეს, ერთი შეხედვით, თითქოს კეთილშობილი კაცი. გვერდევანიძის გამოჩენისთანავე გადაყვლეფილ ზურგზე მოაჯდება ჯაგლაგს პლატონი და მათრახსაც დაუზოგავად ურტყამს საცოდავ პირუტყვს.



- პლატონი მაინც შესანიშნავი ადამიანია. დავით კლდიაშვილმა გვიჩვენა, რა დამართა სილუზჭირემ პლატონს. თუმცა, რა სიტუაციაშიც არ უნდა იყოს. ადამიანმა სახე არ უნდა დაკარგოს.

დავით კლდიაშვილს არ აქვს განსჯის მომენტი, დიდაქტიკა არ უყვარს. ეს მისი სტილია. სპექტაკლში ზნეობრივი პრობლემა იყო წინ წამოწეული. სევდიანად თავდებოდა ეს ტრაგიკომედია. ადრე სატირულად დგამდნენ. თითქოსდა, დავით კლდიაშვილი დასცინოდა ამ საცოდავ ადამიანებს.

- კომიზმი უფრო მეტად, ალბათ, კირილესთან იყო დაკავშირებული...

- სპექტაკლში კირილეს სახეს გარკვეული სინანული ახლდა. კირილე უნიჭიერესი კაცია. ვერ მოძებნა მან თავისი ხარბიელი. კაცმა არ იცის, რისთვის იხარჯება. ვერ იყენებს ტემპერამენტს, ნიჭს. იგი ფაქტობრივად იმ იდეას იმეორებდა, რაც პლატონშია.

- უფრო ზომ არ დააზუსტებდით ამ ინტერპრეტაციას, ბატონო რობერტ-ვგონებ, ასეთი შედარება პლატონისა და კირილესი, უფრო სწორად დაწყვილება, არცერთ მკვლევართან არ შემხვედრია.

- კირილეს პლატონის გზა უკვე განვლილი აქვს. აქ უკვე შედეგია.

- კირილე ზომ დაუსაქმებელი კაცია?

- მან არ იცის, სად წაიღოს ზღვა ენერჯია. თვითონაც არ გაეგება, რატომ ტეხს ჩხუბს. არაფერი არ შეუქმნია, არ გაუკეთებია. ბოროტება იღვიძებს მასში. ამ გზით ცდილობს თვითდამკვიდრებას.

- თქვენის ნებართვით, თავს ნებას მივცემ, მცირეოდენ კომენტარს მივმართო. თუ კარგად ჩაუუკვირდებით, არც მიმინაშვილია კომიკური პიროვნება. მართალია, თვითონ ვერ გრძნობს, მაგრამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, იგი აშკარად გამოხატავს უკალაპოტო ენერჯიის, ფუჭად მიშვებული, გამოუყენებელი ნიჭის ტრაგედიას. სამწუხაროდ, რამდენი კირილეა საქართველოში.

ახლა ისევ შეკითხვით უნდა მოვმართოთ. როგორც ცნობილია, ბატონო რობერტ, სიუჟეტთა რიცხვი ძალიან მცირეა. „სამანიშვილის დედინაცვალს“ ერთობ ორიგინალური სიუჟეტი აქვს. გახდა იგი გასაგები უცხოელი მაყურებლისათვის?

- ძალიან მოსწონდათ. პრობლემა ამ მოთხრობაში ისაა, რომ მამამ უნდა გაყოს თავისი მცირე ქონება. გერმანიაში, მექსიკაში დიდი წარმატება ხვდა სპექტაკლს, განსაკუთრებით - მექსიკაში. იქ ბევრი შვილი ჰყავთ და იმიტომ. იუმორიც გასაგები გამოვიდა. ალალი მექსიკელი მაყურებელი გულწრფელად იცინოდა.

- ვის თვლით გამორჩეულ პიროვნებად „სამანიშვილის დედინაცვალში“?

- ერთადერთი ნორმალური პიროვნება ბეკინაა. მერე რა, რომ მოინდომა ოჯახის ხელახლა შექმნა. კაცია, რა ექნა... სპექტაკლში ბიჭის დაბადების სცენა პანაშვიდით იყო გაკეთებული. ბეკინა ტიროდა, ხელს ართმევდნენ მომსვლელნი: კიდეც ულოცავდნენ და კიდეც უსამძიმრებდნენ. ბოლოს ყველაზე მეტად მაინც ბეკინა გრძნობს თავის „დანაშაულს“.

- ბეკინასა და პლატონის დამოკიდებულებაში, ვგონებ, უნებლიეთ ერთი ქართული სენიც ჩანს. ჩვენ, ქართველნი, ზომ მშობლებს პირადული

ცხოვრების უფლებას არ ვუტოვებთ. მშობელმა შეიღისათვის უსათუოდ ყველაფერი უნდა გაიღოს. რატომ? ამას აღარ ვკითხულობთ.

- ეგ უკვე სხვა პრობლემაა. რაც შეეხება ბეკინას, მაინც მთლიანი პიროვნებაა იგი, არ შეხებია გადაგვარება. ბეკინა ტრადიციულის შენარჩუნებას ცდილობს.

- ჩანაწერები არც თქვენ შემოვრჩენიათ რაიმე, ბატონო რობერტ?

- არა. ასისტენტები იწერდნენ. მერე გვთხოვეს, გამოვაქვეყნებთ ამ ჩანაწერებსო. სრულიად სხვა რამ ეწერათ. ჩვენ ჩვენს ენაზე ვლაპარაკობთ ან ვუჩვენებთ. ძნელია ყოველივე ამის ჩაწერა.

\*\*\*

*მინაწერო:* ცნობილ რეჟისორებთან დიალოგი, მათი ინტერპრეტაციები ადასტურებს: დავით კლდიაშვილის შემოქმედება მართლაც „სიუხვის რქაა“.

მწერალს ბიოგრაფიაც საინტერესო ჰქონდა. თანამედროვენი მას ფიცხ, ალაღმართალ, უპატიოსნეს და გულმზურვალე პიროვნებად ახასიათებენ. ღვარძლის ნასახი არსად ჩანს მის ცხოვრებაში, არც პატივმოყვარეობისა და განდიდების სურვილს შეუწუხებია ოდესმე. სიცოცხლის ხალისით, ოპორის ნიჭითა და თანაღმობის უნარით შემეპული დაიბადა. მოყვასის სიყვარულითაა გამთბარი დავით კლდიაშვილის სამყარო. არ ქილიკობს, არ ფილოსოფოსობს, არც წუხიაა და არც ოლიმპოს კოშკიდან მაცქერალი; არც სკეპსისით აქვს გული გამოჭმული. ადამიანურ ნაკლსა და სისუსტეს ღმობიერად უყურებს. გულისტკივილით გვიჩვენებს „სილატაქის ბოროტებას“, რომელიც ზნეობრივად ხრწნის ადამიანს. დამოძღვრა არ უყვარს, მაგრამ ერთი თავისი მოთხრობისთვის მაინც წაუმძღვარებია პოლ ბურჟეს სიტყვები: „თუ შენ იცი და გრძნობ, რომ შენში არის სული, ეცადე, იგი შენზე უწინ არ მოკვდეს“.

თანამედროვე ჩეხი მწერლები, ცოლ-ქმარი ტომანოვები, სოკრატეზე დაწერილ რომანში მოგვითხრობენ: როცა ეს ლეგენდარული ფილოსოფოსი იბადებოდა, კამათი გამართეს ქალღმერთმა არტემიდემ და ღვარძლიანთა ღმერთმა მომემ. მომე იკეხნიდა იმით, რომ იწუნებდა იმას, რაც არ მოსწონდა. სხიემოსილმა არტემიდემ შენიშნა:

- მთავარია, როგორ იწუნებ: ქირდავ, ლანძღავ, თუ აბუჩად ივლებ? ხომ შეიძლება ისე დაიწუნო, რომ არც შეურაცხყო და არც მასხრად აივდო?

ქილიკა ღმერთმა ბუზღუნით იკითხა:

- მერედა, იცი ეგეთი ვინმე ამქვეყნად?

- არა, არ ვიცი, - აღიარა ქალღმერთმა, - ამგვარი არც ადამიანთა შორის მეგულება ვინმე და არც ღმერთთა შორის. დაწუნება იოლია. თუ ძალა შეგწევს, ისე მოუთითე, რომ თან ურჩიო, როგორ აქციონ ცუდი კარგად, - აი, ეს იქნებოდა ჩინებული! ვნახოთ, ვეგბ დაიბადოს კიდევ ვინმე ასეთი...

ასეთ კაცად დაბადება ღვთაების სადარ სრულქმნილებას გულისხმობს, მოკვდავთათვის მიუღწეველს. მაგრამ, თუკი „ვინმე ასეთი“ დაბადებულა ჩვენში, ეს უეჭველად დავით კლდიაშვილია. ზემოთ მოხმობილი პასაჟი საოცრად ესადაგება ქართველი კლასიკოსის გულმზურვალე ნათქვამს, მის პოზიციას: „მე არასოდეს არავისთვის არ დამიციანია. რასაც ვწერდი, ადამიანისადმი სიყვარული მაწერინებდა“.

## თემო ჯაფარიძე

### პეტრე ოცხელი

თემო ჯაფარიძე მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე მხატვარია. მისი ყოველი გამოფენა ნამდვილ მოვლენად იქცევა ხოლმე. თუკი დღეს ამის მიზეზი ნამუშევართა წმინდა მხატვრული ღირსებებია, ტოტალიტარიზმის პირობებში ამას ზედ ერთოვდა სრული შეუთავსებლობა სოცრეალიზმის პრინციპებთან, იდეოლოგიურად დაუპროგრამებელი ხედვა და ლამის დემონსტრირებული ინდივიდუალიზმი. მისი აბსტრაქტული, ექსპრესიონისტული, სიურრეალისტური ნამუშევრები, აგრეთვე „მუქა“ და „ნათელი ფერწერა“ დიდი ხანია საბჭოთა ანდეგრაუნდის კლასიკად არის მიჩნეული.

თემო ჯაფარიძემ თავისი შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო როგორც ნოველებისა და მინიატურების ავტორმა. ნოველა „პატრიოტი“ ჟურნალ „ციხკარში“ იბეჭდებოდა. აწყობილი ნოვერი სწორედ აღნიშნული ნაწარმოების გამო დაშალეს და ამ „სამიში ტექსტის“ ამოღების შემდეგ დაბეჭდეს. არანაკლები რისხვა დაატყდა თავს პირველ პერსონალურ გამოფენასაც. იგი 1968 წელს უნდა შემდგარიყო. ჯერ გადადეს მისი გახსნა, შემდეგ მთლიანად აკრძალეს. ავტორი კი მხატვართა კავშირიდან გარიცხეს. რელიეფური ფერწერის ტექნიკით შესრულებული მონუმენტური პანო „საიდუმლო სერობა“ 10 წლის განმავლობაში მეგობრის გარაჟში ინახებოდა, 1991 წელს ძმათამკვლელი ომის დროს „მხატურის სახლთან“ ერთად დაიფერფლა.

თემო ჯაფარიძე, ყველაფრის მიუხედავად, განაგრძობს ფერწერულ მივებებს. იგი თანაბრად არის დაჯილდოებული როგორც მხატვრული ინტუიციის ნიჭით, ისე ესთეტიკური წვდომისა და ანალიზის უნარით. საყურადღებოა მისი ვრცელი ესე „ნახატის სიჩუმე“. დარწმუნებული ვართ, რომელიმე ევროპულ ენაზე გამოქვეყნების შემთხვევაში იგი ფართო რეზონანსს გამოიწვევდა.

თემო ჯაფარიძე 1998 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოწყობილი პეტრე ოცხელის საიუბილეო კომპოზიციის ერთ-ერთი მოთავე და ექსპოზიციის ავტორი გახლდათ. ესე „პეტრე ოცხელის შემოქმედებითი ინდივიდუალობა“ მან სწორედ ამ გამოფენის კატალოგისთვის დაწერა. კატალოგმა მხოლოდ ნაწილი დაიტია. მკითხველს საშუალება ეძლევა მთლიანად გაეცნოს ამ საინტერესო ნაშრომს.

კოტე ჯანდიერი

\*\*\*

მხატვარი პეტრე ოცხელი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსხვერპლია. იგი 1937 წელს დააპატიმრეს და, როგორც ჩანს, დახვრიტეს, რადგანაც დაპატიმრების შემდეგ აღარავის უნახავს. 1956 წელს რეაბილიტირებულ იქნა, მაგრამ მხატვარი აღარ გამოჩენილა. თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე (1907-1937) მან მოასწრო ქართული კულტურისთვის ღირსეული შემოქმედებითი ინდივიდუალობის

განზორციელება. მისი ნახატების ესთეტიკა განუმეორებელ აქცენტს ქმნის ქართულ სახეით ხელოვნებაში. იგი უმეტესად ჩამოყალიბებული საკუთარი ხელწერისა და ოსტატობის შემოქმედად გვევლინება.

მხატვრის ახლობელთა გადმოცემით, ოცხელები წარმოშობით მესხეთიდან ყოფილან. მათი ნამდვილი გვარი მანანაშვილია. წინაპრებს კათოლიკური რწმენა მიუღიათ. ოჯახში კარგად სცოდნიათ ფრანგული ენა. პეტრე ოცხელიც მშვენივრად ფლობდა, თურმე, ფრანგულს.

პეტრე ოცხელი დაიბადა 1907 წლის 25 სექტემბერს ქუთაისში, შეძლებული ბიზნესმენის ოჯახში. ვაჭრობის საქმეში წარმატებული მამა მთელ ქუთაისში ცნობილი პიროვნება ყოფილა. ასევე ცნობილი მეწარმე ყოფილა ბაბუა, მამის მამა. მას მუდის ქარხანა ჰქონია მოსკოვში.

სიყმაწვილის წლები პეტრე ოცხელმა ნატიფი ფორმების მქონე ნივთების გარემოცვაში გაატარა. დასაშვებია, რომ კეთილშობილი მასალებისგან დამზადებულმა დეკორატიულად მოკაზმულმა ნივთებმა ესთეტიკური ზეგავლენა მოახდინა მომავალი მხატვრის ფსიქიკაზე. მისი მხატვრული სისტემის ნიშანდობლივი თვისება გეომეტრიული ფორმებისა და ელასტიური მქლოდიური ხაზების სინთეზია, რაშიც გარდა თეატრალურ-არტისტული აქცენტისა, ანტიკვარული საგნობრიობის ელემენტიც შეიგრძნობა. ბევრ ნახატში ქალის სხეულის მოყვანილობა აბსოლუტურად დაფარულია სრული კაბით, ასე ვთქვათ, სხეული გასაგნებულია კაბით, მაგრამ თავად საგანი - კაბა თავისი სიმსუქნითა და ფერადოვნებით ქალურობის შერგნებას იწყებს. იგივე ფაქტორი შეინიშნება კაცის ფიგურებშიც: სამოსით გასაგნებული სხეული სიმკაცრისა და სიმკვეთრის მთაბეჭდილებას ახდენს.

1913 წელს ოცხელების ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადადის. პეტრე მიაბარეს კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ფრანგულ გიმნაზიაში. ყმაწვილი ხშირად დაჰყავდათ თეატრში. ოჯახის წევრებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მსახიობებსა და რეჟისორებთან. შეიძლება სწორედ ამ დროს გასჩენოდა პეტრე ოცხელს თეატრისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ოცხელებს მთელი ქონება ჩამოართვეს. ისინი ლატაკებად აქციეს. ამის შემდეგ პეტრე ოცხელი ღარიბულად ცხოვრობდა.

1920 წელს ოცხელები დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნდნენ. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, მათი მრავალრიცხოვანი ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდა. პეტრეს ერთი ძმა და ორი და ჰყავდა. პეტრეს ურთიერთობა ძმასთან (ლევანთან) განსაკუთრებული სიფაქიზით გამოირჩეოდა.

1923 წელს პეტრე ოცხელი შევიდა ქუთაისის ყოფილ რეალურ სასწავლებელში. ის სკოლასთან არსებულ მცირე სახელოსნო სტუდიაში სამხატვრო ტექნიკას ეუფლებოდა. სწორედ ამ სტუდიაში მეცადინეობით დაიწყო პეტრეს სამხატვრო კარიერა.

1926 წელს პეტრე ოცხელი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტად ხდება. ის ნაყოფიერად სწავლობს ზუროთოძვერების განხრით. მისი ხელმძღვანელია პროფესორი შარლემანი.

1927 წელს ჯერ კიდევ სტუდენტი მუშაკთა თეატრში აფორმებს ა. ლუნარსკის პიესას „კეცხლის გამაღლებლეს“. უკვე ამ სპექტაკლის ესკიზებში გამოჩნდა და გამოვლინდა პეტრე ოცხელის ინტელექტუალიზმი, სივრცის აბსტრაქტიზმის უნარი და მხატვრული ოსტატობა. ამ ესკიზებში ჩაისახა გეომეტრიული არქიტექტურული ფრაგმენტებით შემდგარი აბსტრაქტული სასცენო კონსტრუქციებისა და მრგვლოვანი ადამიანური ფორმების სინთეზის ტენდენცია. ავტორი ქმნის ერთი რთულფორმიანი საგანივით გააზრებულ სამოქმედო არეს. ამ საგანივით მოცემულ არეში

კონცენტრირდება მთელი სასცენო სიერცე. ესკიზში სამოქმედო კონსტრუქცია შავი ან მუქი ტონის ფონზეა გამოსახული და გეომეტრიული აბსტრაქციონიზმისათვის დამახასიათებელი ფორმების მკაცრი წესრიგით გამოირჩევა.

მოვეიანებით ამ ესკიზში გამოვლენილ პლასტიკურ მიგნებებსა და ინტერპრეტაციულ პირობითობას შემოქმედი კიდევ უფრო დახვეწს და სრულყოფს.

მხატვრის საზოგადოებრივი აზროვნების სიმძლავრე და სიერცის ათვისების ნოვატორული ბუნება უმაღლესად შეაჩნია რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა. მან ახალბედა მხატვარი საკუთარ სცენურ დადგმებზე სამუშაოდ მიიწვია. მოუხდავად ასაკობრივი განსხვავებისა, ისინი მალე შეგობრები ზღვიან და ერთობლივი ძალისხმევით აყალიბებენ ახალ ესთეტიკურ ენას. მათი მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა „ურთელ აკოსტა“ (პიესა გუცყოვისა).

პეტრე ოცხელის მხატვრობამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. ესკიზები გამოირჩეოდა მანამდე არარსებული სტილით. სპექტაკლის წარმატება ვეულაზე მეტად სწორედ სტილის ამგვარმა თავისებურებამ განაპირობა.

ესკიზები დამოუკიდებელ სახვით ღირებულებასაც შეიცავს. მათში დასრულებული სახით გამოვლინდა პეტრე ოცხელის ოსტატობაც, აბსტრაქტული აზროვნების დიდი უნარიც და ინდივიდუალური მხატვრული სისტემაც. ასევე სრულად ჩამოყალიბდა მხატვრის კოლორისტული ინტელექტიც: შავი, თეთრი, ნაცრისფერი, და მუწწი ფერადონების შეხამებით იქმნება მკაცრი დრამატული გარემო. კონსტრუქციისა და დეკორაციის სტილი მოქმედი პერსონაჟებისაგან მოითხოვს მკვეთრად განსხვავებულ დრამატულ გრაციოზულობას. ნატიფი ესთეტიზმით ხასიათდება დეკორაციული ანსამბლიც. იგი არქიტექტურული ფრაგმენტებისა და აბსტრაქტული ფორმების ნაერთია. ერთ-ერთ დეკორაციაში კიბის ფრაგმენტებზე ჩამოღებული რკალისებრი ფორმა დამოუკიდებელ აბსტრაქტულ ღირებულებას ქმნის. იგი იფიქსირებს სავარძლის სახელით არის ცნობილი.

აბსტრაქტულ გეომეტრიულ კონსტრუქციებში იერსახეები მეტაფიზიკური სიმბოლოებით აღიქმებიან. სინათლე მისტიციზებული ელფერით ნაწილდება კონსტრუქტივისტული ქანდაკების მსგავს სამოქმედო არეზე. ესკიზებში დეკორაციები დამოუკიდებელი გეომეტრიული აბსტრაქციებით გამოიყოფება.

გუცყოვის პიესაში სულაც არ არის მითითებული, რომ სცენურ ვარიანტში დრამას მაინცდამაინც ის სტილი უნდა ჰქონდეს, რომელიც პეტრე ოცხელმა შემოგვთავაზა. წინდაწინ არც მარჯანიშვილმა იცოდა, რა სტილი ექნებოდა თეატრალურ სანახაობას. ასე, რომ პეტრე ოცხელის მიერ მიგნებული სტილი ინტერპრეტაციული ხასიათისაა. იგი არა მხოლოდ პიესისა და მარჯანიშვილისეული დადგმის გააზრებას იძლევა, არამედ საერთოდ ყოფიერებასაც და თვით ესთეტიკურ აზროვნებასაც განსაზღვრავს. სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორების საფუძველზე აღიქმება პეტრე ოცხელის ესკიზები ავტონომიური ღირებულების მქონე დაზგურ გრაფიკულ ნაწარმოებებად.

მსახიობები იმასაც მოვეითხრობენ, რომ კოტე მარჯანიშვილი ხშირად გადააკეთებინებდა ხოლმე ესკიზებს პეტრე ოცხელს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კოტე მარჯანიშვილმა პირველი ესკიზებიდანვე შეივარძნო სტილი და იმ სტილის მიხედვით მოითხოვდა მხატვრისაგან დეტალებისა და ფორმების სასცენოდ დაზუსტებას. მთავარი კი ის არის, რომ პეტრე ოცხელმა რეჟისორს სპექტაკლის სტილური გადაწყვეტა უკარნახა.

მხოლოდ 22 წლისა იყო პეტრე ოცხელი, როდესაც დასრულებული მხატვრული სისტემა და მოწიფული ოსტატის მკვეთრად გამოხატული სტილი შეიმუშავა. მხატვრობის ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, როცა

მხატვარი ადრეულ ასაკშივე პოულობს საკუთარ თავს ხელოვნებაში. მხატვრების უმრავლესობა ხანგრძლივი ძიების შედეგად აღწევს ამას. ცნობილია, რომ ლეონარდო და ვინჩიმი სიმამწეულშივე იპოვეს თავისი მხატვრული სტილი, ჯერ კიდევ ვეროკიოს სტუდიაში შევირდობისას მასწავლებლის ერთ-ერთ კომპოზიციაში ჩახატა ოქროსკულულებიანი გოგონას თავი, რომელშიც უკვე გამოავლინა თავისი ფერწერული სისტემა. ასევე ცნობილია, რომ პიკასომ 20-25 წლის ასაკში გაიარა თავისი „ლურჯი“ და „ყვარდისფერი“ პერიოდი. პეტრე ოცხელის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მან უწვალებლად ახალგაზრდობიდანვე აღმოაჩინა თავისი თავი ხელოვნებაში.

იმპრეტაციულობა პეტრე ოცხელის შემოქმედების მთავარი ესთეტიკური პრინციპია. იგი უპირისპირდება სცენის სიერცისა და ფორმის რეალისტური მოწყობის ილუზიურობას. თეატრი პირობითობით არის აღსაწევრი იგი მეტყველებს მეტაფორული სიერცისა და იერსახეების, ქმედებისა და სიტყვის საშუალებით. ამ მეტაფორულობის ნატურალისტურ სინამდვილედ ქცევის ცდა გამოირიცხავს თეატრის ნიღბურ ბუნებას. ელექტრა და კამლეტი მეტაფორული იერსახეები არიან და არა რეალობის რიგითი ფრაგმენტები. იმდენად, რამდენადაც მხატვრობა, უწინარეს ყოვლისა, ბრტყელი სანახარია, იგი მით უმეტეს მეტაფორულია სინამდვილის მიმართ. ისე რომ, პეტრე ოცხელის ესკიზების თეატრალური ფუნქცია პარამონიულად ერწყმის მათ სახეით მეტაფორულობას და მათი სტილის ინტერპრეტაციულობას, აგრეთვე მათ გრაფიკულ დამოუკიდებულობას.

კოსტიუმთა ესკიზებში გამოვლინდა პეტრე ოცხელის დამოკიდებულება მოდელის, ნატურისადმი. მათში სხვადასხვა მხატვრული აქცენტით ინტერპრეტირებულია უმანგი ჩხვიძისა და ვერიკო ანჯაფარიძის სახეები. მათი პროფილები, ნახევარპროფილები, ანფასები და საერთო ხაზის მოყვანილობები ხან გროტესკის პრინციპით არის უტრირებული, ხან კი დახვეწილია იდეალიზების პრინციპის მომარჯვებით. ისე, რომ პეტრე ოცხელის კოსტიუმების ესკიზებს, გარდა თეატრალური სტილის შექმნის ფუნქციისა, მოუპოვება პორტრეტული მნიშვნელობაც. კოსტუმების აბსტრაქტირებული სტილი უმანგი ჩხვიძისა და ვერიკო ანჯაფარიძის სახეებს თავისებურ დამატებულ გრაციას ან გროტესკულ სინამდვილეს ანიჭებს. საბოლოოდ მათი ჭკერებისას ჩვენ აღვიქვამთ შემოქმედის ინდივიდუალური ხელწერით შექმნილ პორტრეტებს, რომელნიც გამოირჩევიან მეტაფიზიკური სიმბოლოების დონეზე განზოგადებული ადამიანურობით. მათი მკაცრი არტისტული პოეტიკა, რა თქმა უნდა, თეატრის ნიღბური ბუნებით არის ნაკარნახევი. საერთოდ პეტრე ოცხელს თეატრი უყვარდა, როგორც ყოფიერების თავისებური პროცესი, როგორც სინამდვილის ერთ-ერთი სახეობა. ამიტომაც უყურებდა თეატრს, როგორც თავისი მხატვრობის მოდელს. ვერიკო ანჯაფარიძე მის საფარედ და, შეიძლება ითქვას, საშუალო ნატურად იქცა.

ქუთაისის თეატრში, გარდა „ურიელ აკოსტასი“, მარჯანიშვილმა დადგა სპექტაკლები: „შელის“ „ბეატრიჩე ჩენჩი“, ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა“, კ. კალაბის „ხატიჯე“. ყველა ეს დადგმა პეტრე ოცხელმა გააფორმა. „ბეატრიჩე ჩენჩის“ ესკიზებში შემოქმედი ავითარებს „ურიელ აკოსტაში“ მიგნებულ სისტემას. სიახლე ის არის, რომ გეომეტრიზებული კონსტრუქციები აქ უფრო არქიტექტურული მოტივით არის პირობადებული, ვიდრე აბსტრაქტულით. გარდა ამისა, კლასტიკურ ელემენტად გამოყენებულია სცენის შიდა თალიდან ჩამოშვებული ნაჭრის ნაკეციები.

1931 წელს შემოქმედმა გააფორმა ი. ჰაშეის „გულადი ჯარისკაცი შვიკი“ (ა. ჩხარტიშვილის დადგმა). ამ სპექტაკლის ესკიზებს მხოლოდ სცენური მნიშვნელობა აქვს, ნაკლებად გამოირჩევა აეტონომიური მხატვრული ელემენტით. სასცენო თელსაზრისით, ესკიზებში ჩანს მხატვრის

დიდი ფანტაზია და გამოძგონებლობა. იგი თანამედროვე აბსტრაქციული და შეგნებულად გამარტივებული ჰეიზაეების წინამორბედად აღიქმება.

1931 წელს კ. მარჯანიშვილი მოსკოვში ყოფილი კორმის თეატრში პ. იბსენის „მშენებელი სოლნესის“ დამდგმულად მიიწვიეს. რეჟისორმა თან წაიყვანა კოპოზიტორი თამარ ვახვანიშვილი და თავისი ახალგაზრდა მეგობარი და მარჯვენა ხელი პეტრე ოცხელი.

მხატვრის მიერ სასცენო სივრცის აბსტრაქციულმა გააზრებამ ამ სპექტაკლში ზენიტს მიაღწია. სასცენო კონსტრუქციების ესკიზები უელგანტურესი ესთეტიკით შესრულებულ აბსტრაქტულ ობელისკებსა თუ მემორიალებს მოგვაგონებს. შავ ფონზე მოთავსებული მრგვალი პლაცდარმები და მათზე აღმართული უაღრესად ლაკონური ფორმები სინათლის უკიდურეს კონცენტრირებას ახლენს. განსაკუთრებული გააზრებით გამოირჩევა ორსაფეხურიანი მრგვალი პლაცდარმიდან აღმართული ერთმოაჯირიანი ხვეული კიბე. ეს კონსტრუქცია მიწიდან ცაში ასვლისა და ციდან მიწაზე დაშვების მხატვრული სიმბოლოს დონეზე აღის. ამიტომ იგი დამოუკიდებელი გრაფიკული ნაწარმოების ღირსებას იძენს. რა თქმა უნდა, მას, ამავე დროს, თეატრალურ-დრამატული მნიშვნელობაც აქვს. კ. მარჯანიშვილი ელ. დონაურისადმი მიწერილ წერილში იტყობინება: „განსაკუთრებული ფურორი მოახდინა პეტრე ოცხელმა“. ამ სპექტაკლის სცენური კონსტრუქციები მსახიობს აიძულებს, იმოქმედოს და იმეტყველოს ღრმა შინაგანი ინტონაციით.

არანაკლები პლასტიკური მიგნებებით გამოირჩევა ესკიზები სპექტაკლისათვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ (გ. ბააზოვი), რომელიც 1932 წელს დ. ანთაძემ განახორციელა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. თუ მხატვარმა „მშენებელ სოლნესის“ ესკიზებში აბსტრაქტული აზროვნების სანიშნო დონე გამოავლინა, ახლა იგი რაღაც შინაგანი მისტიციზებული ინტელექტუალიზმისა და გამოძგონებლობის მწვერვალს აღწევს. სხვა საკითხია, რამდენად უბამს მხარს გ. ბააზოვის პეისის მხატვრული ღირსება ამ ნახატების ესთეტიკურ მასშტაბს.

ესკიზები დამოუკიდებლად, თეატრალური დადგმის გარეშეც ბრწყინვალეა, იმ შემთხვევაშიც კი შეიცავს დიდ ესთეტიკურ ღირებულებას, რომც არ გვეცოდნოდა, თუ რისთვის შესრულებიათ. სცენური კონსტრუქციები ქმნის აბსტრაქტული ფორმებისა და არქიტექტურული დეტალების რთულ სინთეზს. ისინი სივრცისა და სინათლის მეტად ორიგინალურ განწყობილებას ბადებენ. სივრცე დაყოფილია შრეებად. დამყოფი ერთეულები ბრტყელი და ვრცელი დისკოებია. ეს დისკოები ასოციაციურად ოდნავ გახსნილი მოლუსკის მდგომარეობას გვაგონებს. მოლუსკური შიდა სივრცე წარმოადგენს სამოქმედო ინტერიერს, რომელიც სიმბოლურად ადამიანის შინაგან სამყაროზე მიანიშნებს. არადა, ხომ სწორედ შინაგანი სამყაროდან გამომდინარეობს ადამიანის ყველა ქმედება და სიტყვა. ამ მოვლენის პლასტიკურ გააზრებას უკვე ვუწოდებ შინაგანად მისტიცირებული ინტელექტუალიზმი. მოლუსკის პრინციპით ცალი წიბოთი ურთიერთშეხებულ აბსტრაქტულ დისკოებს იმავე პრინციპით თავზე კიდევ ერთი დისკო ადევს. ერთ კონსტრუქციაში თუ იგი საზურავის აბსტრაქციულ მეტაფორას ქმნის, მეორე კონსტრუქციაში ზემო სივრცის კიდევ ერთ რთულ შრეზე მიანიშნებს. ერთ-ერთ კონსტრუქციაში ზემო, შესაძენ დისკოზე კრამიტებიანი სამკუთხა კონსტრუქციები აწყვეა. ქვემო მოლუსკური ტიპის შიდა სივრცე აქ მთელი სოფლისა თუ კვარტლის ადამიანურობის შინაგან პლასტად, წიალად აღიქმება.

თუ პეტრე ოცხელის გამოძგონებლობით ხალისს აკვებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოლუსკური ტიპის კონსტრუქციების მიხედვით შესანიშნავი თანამედროვე შენობა აიგებოდა, ეკლესიაც კი!

მხატვრის შემოქმედებითი სიახლე, რაიც მის ნამუშევრებში ჩანს, გუაფიქრებინებს, რომ ის შთაგონებული და ემოციებით დამუხტული ადამიანი იყო. ვერიკო ანჯაფარიძე მას ივონებს, როგორც უზომოდ ხალისიან პიროვნებას: „სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ყველას განუზომლად უყვარდა ის იყო ჩვენი მეგობარი, წამოძვრები ყველა სახალისო საქმისა, ადამიანი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე და, როდესაც მძიმე აუადმყოფობამ შეიპყრო, მაშინაც კი, თუმცა ძლივს დადიოდა, სიცოცხლის წყურვილი, ცხოვრების ინტერესი არ ჩაქრობია“.

დაპატიმრების წინა წლებში ხელოვანს ხერხემლის ავადმყოფობა შეპყრია და იძულებული გამხდარა, კორსეტით შებოჭილს ევლო. იგი ავადმყოფი იყო, როცა 1937 წელს დააპატიმრეს და ჩეკისტებმა ცინიკურად წაუყენეს „ხალხის მტრის“ ბრალდება.

ესკიზები სპექტაკლისათვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ პეტრე ოცხელის მორიგი გამარჯვება გამოდგა. ისინი შესრულებულია ნაზი და პეროვანი ფერებით.

კოსტიუმების ესკიზები ერთგვარად კამერული ხასიათისაა, მაგრამ ზოგიერთი განსაკუთრებული მონუმენტურ-სკულპტურული მოცულობით არის აღსავსე.

უნდა აღინიშნოს მხატვრის ისეთი ნამუშევრები, რომლებიც საგანგებოდ რომელიმე სპექტაკლისთვის არ არის გათვალისწინებული. ასეთი ნახატების ჯგუფს მიეკუთვნება აკადემიაში სწავლისას გაკეთებული ფერწერული პორტრეტები. მათში ჯერ კიდევ არ ჩანს პეტრე ოცხელისეული ინდივიდუალური ხელწერა. ესე იგი, ის მხატვრული ნიშანი, რომელიც მას განუმეორებელ შემოქმედებით ინდივიდუალობად წარმოაჩენს. ევ ნიშანი აკადემიის შემდგომი პერიოდის თავისუფალ ნამუშევრებში გამოიკვეთა.

როგორც ცნობილია, ჭაბუკი მხოლოდ ერთ წელს (1926-27) სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა, მაგალითად, აბსტრაქტული ფორმებით ინტერპრეტირებულ სიერცეში მღვდომი ქალი, რომელსაც აბაყურის ყაიდის განიერი კაბა აცვია. შორიდან ქალის კაბიანი ფიგურა აგებულებით მეფის გვირგვინს მოგვაგონებს. კაბა ფანტასტიურია მოყვანილობითაც და მონატულობითაც. მხატვარს თითქოსდა სურდა, სამოხის აბსტრაქციონის მიხედვით განესაგნებინა მღვდრის სხეული. მთლიანად კი „ქალი- გვირგვინი“ აბსტრაქტული ფორმების რიტმული კომპოზიციაა. აბსტრაქტულობა ამ ნამუშევარში თითქოსდა თვალშესახები მუსიკალობით გამოირჩევა. ასევე აღსანიშნავია „ვერიკო ანჯაფარიძე“, ჩანახატების სერია და სხვ.

1932 წელს პეტრე ოცხელმა შექმნა ესკიზები კ. მარჯანიშვილის განუზოცილებელი დადგმისთვის „ყაჩაღები“ (ფ. შილერი). კოსტიუმების ესკიზები იერსახეების გალერეას ქმნის. მათში მხატვარი მონუმენტურ ძალას გამოსახავს. ადრე ჩამოყალიბებული გეომეტრიუზებისა და ელასტიური ხაზების სინთეზი განსაკუთრებულ მკაცრ ექსპრესიულობას ქმნის „ყაჩაღებისათვის“ გაკეთებულ იერსახეებში. მოგვიანებით „ოტელოს“ ესკიზებში ეს მონუმენტალიზმი სრულყოფილ ოცხელისეულ მხატვრულ პოეტიკას შეიძენს. აბსტრაქტიზებული სამოსის გეომეტრიული გასაგნებით მხატვარი აგებს სახის თავისებურ ნიღბურ პორტრეტულობას.

1932 წელს ქუთაისში დაიდგა ნ. ზარხის „ჯოი სტრიტი“ (რეჟისორები - ა. ჩხარტიშვილი და გ. სულიაშვილი). სპექტაკლი პეტრე ოცხელმა გააფორმა. ესკიზთა შორის გამოირჩევა ქუჩების ხედები. მათ თვითმკარი მხატვრული ღირებულება მოუპოვებთ. ისინი არქიტექტურული პეიზაჟის გამოსახვის კულტურით იქცევენ ყურადღებას. მომხიბლველია პეტრე ოცხელის ხელწერისათვის დამახასიათებელი გეომეტრიული წესრიგი და ტონების ზუსტი განაწილება.





1933 წელს შემოქმედი აფორმებს ა. თაყაიშვილის დადგმას „სურამის ციხე“ (ს. შთვარაძე). წარმოდგენა გაიმართა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ესკიზებში გამოირჩევა ნახატი ხეებს შორის შეკუმშულ სინათლეში მყოფი კაცის დინამური ფიგურით. იმავე წელს პეტრე ოცხელმა შეასრულა შექსპირის „ოტელო“ ესკიზები. სექტაკლი დაღვაჭ მარჯანიშვილმა თბილისში, დრამის სახელმწიფო თეატრში. „ოტელოსთვის“ შესრულებულ ესკიზებში მხატვარი დიდ პლასტიკურ წარმატებას აღწევს. სრული ავტონომიური სახითი ღირებულება მოეპოვება ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტის საფუძველზე გადაწყვეტილ დეზემონანს იერსახეს, აგრეთვე ოტელოსა და იაგოს ფიგურას. სამოსის აბსტრაქციურობის ხარისხით ამ იერსახეებში მიღწეულია მონუმენტალიზმისა და პაეროვნების, სტატიურობისა და ვრაციულობის მშვენიერი სინთეზი. ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტებით ინტერპირირებულ იერსმერწყმული დედოფლური არისტოკრატიზმის სახეიმო იერი და სახის ტრაგიკული გამომეტყველება.

მამაკაცის მოსასხამიანი ფიგურები (ოტელო, იაგო) ყურადღებას იპყრობს გეომეტრიზებული სამოსში ჩართული პლასტიკური ხაზებით. მათი იერსახეები გამოირჩევა მკაცრი შეუვალობით, მბრძანებლური იერით, რასაც მათი სხეულების გეომეტრიული და მთლიანი მასა ქმნის. ეს ესკიზები ქართული პორტრეტული იერსახეების წიაღში ეწერებიან, როგორც დაზგური გრაფიკის ბრწყინვალე ნიმუშები.

ერთობ მნიშვნელოვანი გრაფიკული ნაწარმოებია „სამი დღის“ სახელით ცნობილი კომპოზიცია. მსაჯულებივით მკაცრსახიანი მჯდომარე ფიგურები იხეა შესრულებული, რომ იქმნება ერთი მთლიანი მასის შთაბეჭდილება. ნახატი უხალვან ოსტატობით არის შესრულებული. მუქი კოლორიტი ამჟღავნებს უწვერო უხუცესთა პირქუშ გამომეტყველებას. უხუცესთა სხეულების ერთმანეთზე გადაბმული გეომეტრიზებული სკულპტურული მასა რაღაც განსაკუთრებულ საიდუმლო აზრსა სძენს სამოსებზე ვერტიკალურად განლაგებულ დეკორატიულ ელემენტს. უდიდესი მონუმენტური ძალა, რაც სამეულს ატყეა, მიანიშნებს მისტიკურ უზენაესობაზე. ეს კომპოზიცია იმ ტიპის შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც სულ სხვაგვარი მხატვრული ხერხით განგვაცდევინებს ეკვიპტური სფინქსი. უხუცესნი იმგვარი მნიშვნელოვანი იერით იყრებიან, თითქოს მისტიკოსები იყვნენ ან მარადიული ქურუმები. რაღაც სფინქსისებური უთუოდ არის მათში. ისინი შეიძლება სულაც შეუვალი კანონების წარმომადგენელ მსაჯულებად შევარცხოთ, ანდა ინკვიზიტორების ბადალ სამინელ განმკითხავებად თუ ფსიქოლოგიურ ანალიზს მიუმართათ და პეტრე ოცხელის დალუქვის ხასიათს გაკითხვისწინებთ, მოგვეჩვენება, რომ მხატვარმა თავისი პირადი განწყობილება ინკვიზიტორ-ჩეიქისტთა მიმართ ამ პირქუშ ფიგურაში გაასაგნა. ფაქტია, რომ ამ ნახატში შემოქმედმა მამაფრი ტრაგიკული განცდა გამოხატა. მსაჯულები თუ სიკვდილის მიღმური იდუმალების პირქუში დარაჯები ყოფიერებაში არსებული ყველა უხილავი და ხილული სამინელების სახრისს ქმნიან. ამ ნაშუქვერის მხატვრული მეთოდი სიმბოლოურ-მიოლოგიურიც არის და სიურრეალისტურიც. მხატვრის მითიზებული ტრაგიკული განცდა ამ კომპოზიციაში სიურრეალისტურ სიმბოლოდ იქცა. აღსანიშნავია, რომ ევროპული სიმბოლისტური და სიურრეალისტური ესთეტიკა ამ ნახატის შექმნის დროს ჯერ კიდევ ნოვატორული თვითდამკვიდრების ფაზაში იმყოფებოდა. ნახატი იმგვარი შთაგონებული მხატვრული იმპულსით არის შესრულებული, რომ შეუძლებელია იგი მხოლოდ დეკორაციის ესკიზად ჩაეთვალოთ. მით უმეტეს, რომ „ოტელოს“ შინაარსისა და რეჟისორული დადგმის ჩანაფიქრისათვისაც იგი გაუთვალისწინებელი გამონაგონია. „ოტელო“ მხოლოდ თემატური ბიძგი გამხდარა იმისათვის, რათა პეტრე ოცხელს დამოუკიდებელი იერსახეები შეექმნა. ფაღმის ოსტატს ახასიათებს ამგვარი სააკტორო ინტერპრეტაციის

მქონე სახეითი პოზიცია. ზოგიერთი კონსტიტუციის ან იერსახის ესკიზს ის ისეთი მხატვრული გატაცებით, დასრულებული გრაფიკული სტილითა და ოსტატობით აკეთებს, რომ ნახატს ორმხრივი მნიშვნელობა ენიჭება — თეატრალურ-დეკორატიული და წმინდა მხატვრული. ეს ფაქტორი გეოფიქრების, რომ თეატრალური ელემენტი მის ნახატებში ესთეტიზებული გრაფიკული სტილის ნიშნად იქცა და ამით გათავისუფლდა დეკორატიული დანიშნულებისაგან. ახლა, როცა ოცხელის ესკიზების მიხედვით აღარ იდგმება მისი გაფორმებული სექტაკლები, მით უფრო თელსაჩინო გახდა მათი დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება. პეტრე ოცხელის ნახატები, უპირველეს ყოვლისა, ნახატებია და ამის შემდგომ არის ესკიზები. დეკორატიული ესკიზის ფაქტორი მის ნახატებში მხოლოდ ესთეტიზების თემად იქცა.

სიურრეალისტური ესთეტიკის ნიშნები სხვა ნაწარმოებებშიაც იგრძნობა, განსაკუთრებით კი ისეთ ნახატებში, სადაც აბსტრაქტული ფორმები ფანტასტიკური სტრუქტურით გამოირჩევა. ქალის ზოგ ფიგურაში სხეულის მოცულობა მიღწეულია ფანტასტიკური ფერადოვანი ფორმებით. მთლიანად სხეული სიურრეალისტურ შეგრძნებას იწვევს.

1933 წელს შესრულებული განუზოციელებელი დადგმის „სპარტაკის“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი) ესკიზები გამოირჩევა დახვეწილი ლაკონიზმითა და მონუმენტური ძალით. სექტაკლი აღარ დადგმულა, მაგრამ, ისევე როგორც მრავალ სხვა ესკიზს, ამ ნახატებსაც მოაუკება დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება.

1934 წელს ოცხელმა გააფორმა ი. ვაკელიის პიესა „აპრაკუნე ჭიშკიძე“ და ე. როსის „ჩვენ, ბაღი“ (ვ. ყუმიტაშვილის დადგმა), ხოლო

1935 წელს გააფორმა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით გაკეთებული შ. დადიანის ინსცენირება „ჩატხილი ხიდი“ (დადგმა ვ. ყუმიტაშვილისა).

1936-37 წლებში პეტრე ოცხელი კვლავ მოსკოვშია, მცირე თეატრის მიწვევით. იქ მან გააფორმა მილერის „ვერავობა და სიყვარული“, გუსევის „დიდება“. თეატრის ფილიალში დაიდგა მის მიერვე გაფორმებული ლოპე დე ვეგას „ცხვირის წყარო“. გუსევის „დიდებისათვის“ შექმნილი ესკიზები ექსპონირებულ იქნა 1939 წელს ლონდონში მოწყობილ მსოფლიოს დეკორატიურ-მხატვრულ გამოფენაზე. აქ პეტრე ოცხელის ნახატები დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

1937 წელს სტანისლავსკიმ თავისი განუზოციელებელი „რიგოლეტოსთვის“ შექმნილ ესკიზთა კონკურსი მოაწყო. მასში ოცი მხატვარი იღებდა მონაწილეობას. აქ ოცხელის მხოლოდ ერთი ნამუშევარი იყო გამოფენილი. სტანისლავსკიმ პირველი ადგილი ოცხელის ნამუშევარს მიაკუთვნა. ნახატი გამოირჩევა დიდი ოსტატობითა და გონებამახვილური კომპოზიციით. ეს ნამუშევარი ერთ-ერთი საუკეთესოა პეტრე ოცხელის გრაფიკულ-ფერწერულ ნაწარმოებთა შორის.

მხოლოდ ცხრა წელიწადი დააცადეს პეტრე ოცხელს მუშაობა. იგი 1937 წელს დააპატიმრეს მოსკოვში. თუ მხატვრის პროდუქტიულობას გავითვალისწინებთ, იოლი წარმოსადგენია, კიდევ რამდენ ბრწყინვალე ნახატს შექმნიდა. არადა, ისეთი რა უნდა დაეშავებინა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობაში ჩაფლულ აუადამყოფ მხატვარს უზარმაზარი „ბოროტების იმპერიისათვის“? მაგრამ სასტიკი და დაუნდობელი ცენზურა მტრულ გამოხდომად თელიდა თავისუფალ აზროვნებას, გამოკვეთილ ინდივიდუალიზმს, აბსტრაქტულ-ფილოსოფიურ ესთეტიკას, ყოველივე იმას, რითაც პეტრე ოცხელი, როგორც შემოქმედი ინდივიდი, გამოირჩეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ არ დასცალდა, პეტრე ოცხელმა მაინც მოასწრო ახალგაზრდობის წლებშივე შექმნა დასრულებული სტილისა და მოწიფული ოსტატობის მქონე მხატვრული სამყარი. მეტად მნიშვნელოვანია

ის ფაქტი, რომ მისი ესთეტიკური გეზი აბსოლუტურად დაემთხვა მსოფლიოს ახალი მხატვრული ეპოქის მიმართულებას. ეს იყო დიდი ცვლილებების, ძველისა და ახლის გამიჯვნის, ტრადიციულის გადაფასების, ნოვატორობის, ახალი მხატვრული იდეალის ჩამოყალიბების დრო ევროპულ ხელოვნებაში. პეტრე ოცხელიეული თანამედროვეობის მახვილი განცდა დაემთხვა ეპოქის ახალი მხატვრული იდეალის მოთხოვნებს. ამ მხრივ პეტრე ოცხელიეული ნოვატორი მხატვარია. მის შემოქმედებაში ტრადიციული ხელოვნების დიდი ცოდნა ინტერპირებულია თანამედროვე ხელოვნების პრინციპებით. ქართულ ხელოვნებაში პეტრე ოცხელიე დავით კაკაბაძის გვერდით აბსტრაქტული აზროვნებისა და ესთეტიკის გამომაკვინებლად და ჩამოყალიბებლად შეიძლება ჩაეთვალოს.

პეტრე ოცხელმა შექმნა საკუთარი მხატვრული სისტემა. ყალმის ბრწყინვალე ოსტატი სანიმუშოდ გრძნობდა სცენის სიურცესა და იერსახეებს, დრამატურგიასა და საზოგადოდ თეატრს, რომელიც მისი გრაფიკის თემას წარმოადგენდა. მისი ნახატები ახდენენ დრამატურგიის, სცენისა და საზოგადოდ ყოფიერების სახეთ ინტერპრეტაციას. მხატვარმა უშეტესად თეატრისათვის ილუწა, მაგრამ მისი ესკიზები, გარდა სასცენო-თეატრალური მნიშვნელობისა, ავტონომიურ მხატვრულ ღირებულებას შეიცავს. თეატრალური მოტივი პეტრე ოცხელის გრაფიკაში ფორმისა და იერსახის არტიტული ესთეტიზების ნიშნად იქცა. ამ ნიშნის საფუძველზე მხატვრის ბევრი იერსახე მეტაფიზიკურ სიმბოლოებად მოგვევლინა. აბსტრაქტული ზოგადობა, სიმბოლურობა და სიურრეალისტური მისტიციზმი, ფორმათა ელევანტური მონუმენტალურობა, იერსახეთა არისტოკრატიზმი პეტრე ოცხელის მხატვრობის თვალმისაცემი ფაქტორებია.

მხატვრული აზროვნებითა და სტილის დასრულებულობით ხელოვნმა მიაღწია დონეს, რაც უფლებას გვაძლევს, იგი ქართული ავანგარდული მხატვრობის ერთ-ერთ პიონერად ვაღიაროთ.

პეტრე ოცხელი, როგორც მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდუალობის მქონე შემოქმედი, თავისი მხატვრულ-ესთეტიკური დონის მიხედვით, ალბათ, ისეთი მხატვრობის გვერდით უნდა დადგეს, როგორებიც არიან შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი.

ირაკლი აბაშიძე-90

1999 წლის 23 ნოემბერს, ვიორგობას, ირაკლი აბაშიძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ზეიძით აღნიშნა პოეტის იუბილე.

ირაკლი აბაშიძე არა მარტო გამოჩენილი პოეტი იყო, არამედ საინტერესო პიროვნებაც. უფიქრობთ, ირაკლი აბაშიძის ბუნებასა და ხასიათს კარგად წარმოაჩენს იუმორით გაზავებული ამონარიდები რაინდ მეტრეველის მოგონებათა წიგნიდან — „იხ კაცი იყო...“

1972 წლის დეკემბრიდან უკვე დაიწყო ქართული ენციკლოპედიის პირველი ტომის მასალების დასაბეჭდად მომზადება. 1973 წლის 30 აპრილს ხელი მოეწერა ტომს. ეს რიტუალი ბატონმა ირაკლიმ და მე შევასრულეთ. შემდეგ იქ მყოფნი (ირაკლი აბაშიძისა და ჩემს გარდა, ამ ცერემონიაში მონაწილეობდნენ: თ. ხოშტარია, ი. ვარდოსანიძე, ლ. ბოლქვაძე, მ. აბაშიძე, ნ. ებრაელიძე, თ. პირველი) ვუამბორეთ სასტამბოდ გამზადებულ ნაბეჭდ ხელნაწერს და გზა დაველოცეთ...

ბევრი ჩვენი კოლეგა, გამოჩენილი მოღვაწეები ეჭვით უყურებდნენ ენციკლოპედიის გამოცემას, არ ხეუროდათ, რომ სათანადო სიმაღლეზე, ეპოქის მოთხოვნათა დონეზე გამოვიდოდა იგი. ეს დავეკება ხშირად ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაშიც იყო გამოხატული. ქილიკ-ქირქილი არ ცხრებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1974 წლის მარტში ენციკლოპედიის რედაქციის შემოწმება დაიწყო. ამ დროისათვის უკვე ხელთ გაქონდა პირველი ანაწილები, მაგრამ ეს არავინ იღო ყურად. შემოწმების მასალებში, სხვათა შორის, ერთი ასეთი „ბრალდებაც“ იყო — ენციკლოპედიაში ძალიან ბევრი მენშევიკის შესახებ მზადდება მასალები. როგორც ჩანს, ეს თვალში მოხვდა იმდროინდელ ერთ-ერთ არაქართველ ხელმძღვანელს და მანაც მაღალი პათოსით განაცხადა, ენციკლოპედიაში 400-მდე მენშევიკია შესული. ირაკლი აბაშიძემ ჩვეული იუმორით (და არა მხოლოდ იუმორით) უპასუხა: მაგდენი მენშევიკი რომ საქართველოს ჰყოლოდა, თქვენ აქ არავინ მოგიშვებდათ.



ბატონი ირაკლი ხშირად შემოდიოდა ჩემს კაბინეტში. მე, როცა ამის საშუალება იყო, მაღალი ხარისხის თეთრ ქაღალდზე ვწერდი. ბევრჯერ იტყოდა თავისთვის: ამ თეთრ ქაღალდს რომ უყუერებ, წერა მინდება.

მქონდა პატყვი, რომ ყველა ახალად დაწერილი ლექსი, ვერ კიდევ მელანშეუმრალ ქაღალდზე, პირველს მე წამეკითხა. ძალიან უყვარდა სხვისი აზრის დაფასება — გათვალისწინება. დიდი რიდი მქონდა ირინასი — თავისი ქალიშვილისა.

ერთხელ ახლად დაწერილი ლექსი შემომიტანა და წამეკითხა. მშვენიერი ლექსი იყო. იქ ასეთი სტრიქონები ამოვიკითხე:

„ჩემთან მთავრდება პოეტური თაობა ერთი, როგორც თავდება ქსნის ნაპირთან მცხეთის საზღვარი“.

მე უთხარია, რომ ძალიან კარგი ლექსია, მაგრამ, მგონი, ქსნის ნაპირთან არ მთავრდება მცხეთის საზღვარი-მეთქი. სიცლით მოკვდა: რომელი ვახუშტი ბაგრატიონი მე ვარ, გეოგრაფიას რომ ყურადღება მივაქციო.



ქართული ენციკლოპედიის პირველი ტომის გამოსვლის შემდეგ, რაკია დარწმუნდნენ, რომ ეს გამოცემა ვანზორციელებოდა და საკმაოდ მაღალ დონეზეც. გახშირდა მწერლების მხრივ (სხვა კატეგორიის პერსონალიაზე მტკიცე კრიტიკიუმი გვექონდა დაწესებული) მოწოლა. აშკარად ითხოვდნენ, ენციკლოპედიაში შეგვიყვანეთო. ჩვენ საკმაოდ შორს ვიყავით წასული: პრაქტიკულად 1976 წელს 5 ტომის მასალა მზად გვექონდა და მასზე მუშაობა მიდიოდა. კორექტურაში ცელილების შეტანა, ცხადია, რთული საქმე იყო. ერთხელაც, როცა ირაკლი აბაშიძე (მწერლების შეტანა-არშეტანის საქმეს კომისიასთან ერთად ბატონი ირაკლი განაგებდა) უხასიათოდ იყო, მასთან მივიდა ენციკლოპედიაში მოხედრის მოსურნე ერთი მწერალი. ბატონმა ირაკლიმ მოუსმინა და შემდეგ ნერვიულად უთხრა: ბატონო, ეს ენციკლოპედია და არა ხონის დილიგენსი - ხელს რომ აუწვევ, სადაც გინდა გააჩერებ და ჩაჯდებიო.



ირაკლი აბაშიძე გამჭირავი ვინების კაცი იყო და კონკრეტულ სიტუაციაში სწრაფი რეაგირების უნარი ჰქონდა. ერთხელ მოსკოვის ტელევიზიაში - „ოსტანკინოში“ მიიწვიეს. მაშინ ამგვარი შეხვედრები მიღებული იყო. სცენაზე, სკარბელში ბატონი ირაკლი იჯდა... დარბაზი ხალხით იყო სავსე. გადაცემა პირველი არხით მიმდინარეობდა და პრაქტიკულად ნახევარი მსოფლიო უყურებდა. უამრავი შეკითხვა მიიღო პოეტმა და იგიც სიამოვნებით, ზოგჯერ თუმორით მას უხებდა.

უცებ ერთი შეკითხვა წაიკითხა:  
 „Как вы относитесь к славе?“  
 ირაკლი აბაშიძემ სწრაფად მოუგო:  
 Как к женщине... не надо надоедать“  
 დარბაზში ტაშმა იგრიალა...



ბატონი ირაკლი შესანიშნავად მღეროდა. ხმაც კარგი ჰქონდა და სმენაც. კარვად იყო შეწყობილი აკაკი ძიძიგურიან, შოთა ძიძიგურიან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, დიდად აფასებდა ტუპია იაშვილის ბანს. მას შემდეგ, რაც ეკლის ოპერაცია გაიკეთა, იგი ვეღარ მღეროდა, სიმღერის მოსმენა კი ძალიან უყვარდა. ერთხელ საინტერესო მოვლენის მოწმე ვახვდით. სტუმრად იყო ჩამოსული ცნობილი მიღვაწე ირაკლი ანდრონიკოვი. ბატონმა ირაკლიმ სახლში ვახშამი ვაუმართა. და აი აქ, ორთავემ საოცარი ოსტატობით, სტვენით, შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერა „მოხვეის ქალო“.



ერთ დღეს ირაკლი აბაშიძე ძალიან კარგ ვუნებაზე შემოვიდა ენციკლოპედიაში. იცინოდა: ბაზარში ვიყავი ვაშლის საყიდლად, გამყიდველმა ვაშლი

ამიწონა და ფული არ გამომართვაო. ბატონ ირაკლის კეთილი გამყიდველისთვის მორიდებით უკითხავს: მიცანიო? გამყიდველს ამაყად უპასუხია: კარგად ვიცნობთ, თქვენს ხმას რა დამაეიწყებს, ვახუშტი ხართ, კოტეტიშვილიო. ირაკლი აბაშიძე ხუმრობდა: ასევე წარმატებით ჭაბუა ამირეჯიბიც შეიძლება აყოფილიყავით.



ენციკლოპედიის ყოფილი თანამშრომელი - ბანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა. ბატონ ირაკლის დაურუკე, აბაშუ შევატყობინე. შემდეგ მანაშეიღზე მივედი; მეორე დღესაც წავედით პანაშეიღზე. ვასკენებში წასასვლელადც გაუარე. ბ-ნმა ირაკლიმ ღიმილით მითხრა: ნამეტანი მოგვივიდა სიარული, ამ კაცის მოკვლა ჩვენ არაფერ დაგვაბრალოსო.



ერთხელ „ციხფერ დუქანში“ ვეპაშობდით. 1980 წლის დეკემბრის მიწურული იყო. ბატონი ირაკლი დარდიანი ჩანდა. უგუნებობის მიზეზი ვკითხე. შეწუხებულმა მიამბო: წუხელ სიზმარში ორდღ დგებუაქე ენახე, ასე მითხრა: 12-ში გამოვივლი და წავიყვანო. ირაკლი აბაშიძეს სიზმრისა განსაკუთრებით სჯეროდა. მაგრამ იმ საღამოს ვახუშტი ისე წარიმართა, რომ ყველას დააეიწყა მისი მონაყოლი, თვითონ ბატონ ირაკლისაც კი. შემდეგ ახალი წლის პირველი დღეები მოვიდა... ცხორება თავისი გზით მიდიოდა.

ერთ დღეს, საათის ოთხზე ენციკლოპედიაში დაირეკა ზარი. ყურმილი ავიღე-- ბატონი ირაკლი იყო. მისაყვედურა, აქამდე რატომ არ შემობეზმინაო. ძალზე დათრგუნული, ყრუ ხმა ჰქონდა, შეეწუხდი. მართლაც აქამდე არ მისაკლისებია. ახალი წლის დღეები იყო და მაინცდამაინც სავალდებულოდ არ მიმიჩნევია ბატონი ირაკლის მოსვლა ენციკლოპედიაში. ადრეც ყოფილა ასეთი შემთხვევა, მაგრამ ბატონი ირაკლი არ განაწყენებულა ჩემგან მოუკითხაობის გამო. მორიდებით ვკითხე, რატომ არ მოხვედით-მეთქი. რატომ და ველოდებით. დაუფიქრებლად ვკითხე: ვის ელოდებით-მეთქი. ვისა და ორდღს ველოდები, დგებუაქესო. დღეს 12 იანვარია და ასე დამიბარა, უნდა გამოძიაროს წასაყვანადო.

მე გამეცინა და ვუთხარი: ბატონო ირაკლი, რაღა ორდღს მიჰყვებით, ილია ჭავჭავაძეს და გალაკტიონს დაელოდეთ-მეთქი.

ბატონი ირაკლი უკებ გამხიარულდა. იმავე დღეს შეეხვედით ერთმანეთს და ეს სიზმარიც დავიწყებას მივცა.

P.S. ადრე არ მიმიტყევია ყურადღება...

ირაკლი აბაშიძე 12 იანვარს წაიყვანეს საკადემოფოში, 1992 წელს, ზემოხსენებული სიზმრის ნახვიდან 12 წლის შემდეგ. მაინც საოცარია... ბატონი ირაკლი საკადემოფოში გარდაიცვალა.

### პალესტინის მისტერია

ირაკლი აბაშიძე სიცოცხლეზე შეყვარებული პოეტია. ეს, რა თქმა უნდა, ბანალური ფრაზაა, რომელიც შეიძლება უსასრულოდ გაიმეორო მრავალი შემოქმედის მიმართ, თუმცა ყველა შემთხვევაში დასჭირდება დასაბუთება, რადგან სიცოცხლის სიყვარული სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს!

ირაკლი აბაშიძე წერს, რომ მას მარად ახლდა „ხმა მიწიერი, ხმა აქაური“. მისი შემოქმედება მართლაც სავსეა მიწიერი ტრფობის ეშხით. გავიხსენოთ:

„მე აედექი პირველ თოვლზე, განთიადში  
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს“.

მაგრამ პირველი თოვლით ალტაცების მიუხედავად პოეტი მაინც გაზაფხულს უხმობს. თოვლით მოვერილი ემოციური განცდაც გაზაფხულით ალტაცებასთანაა გატოლებული:

„ასე თეთრად, გულუბრველოდ ჰყვავის ასე  
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული“.

ირაკლი აბაშიძეს ვერავენ ათქმევენებს, რომ მას ოდესმე მოსწყინდება ამ ფერუთეალავე ქვეყნით ტკობდა და, თუ ოდესმე სიკვდილი უწერია, სჯობს განშორდეს წუთისოვლს მამინ, როცა სუსხითა გათოშილი ქვეყანა, რათა გაზაფხულზე კვლავ დაუბრუნდეს ამაღორძინებულ საწყისს. გაზაფხულზე იგი სიცოცხლეს ვერ დათმობს:

„ო, არა გაზაფხულზე,  
ამ მზეში, ამ ღარში,  
ო, არა გაზაფხულზე...  
ზამთარში... ზამთარში!“

როცა კვდება მიწაც,  
კვდება ნელა, ნელა;  
როცა გარეთ ბნელა,  
როცა შიგაც ბნელა.

როცა სუსხი მეფობს,  
ამ ბარში, ამ მთაში...  
ო, არა გაზაფხულზე,  
ზამთარში... ზამთარში!“

ირაკლი აბაშიძე მარადისობის აღმომჩენი პოეტია. იგი დროს სავსებით სხვაგვარად აღიქვამს და ეკამათება ეკლესიასტურ გაგებას. ამაოების ფილოსოფოსთა ძლევა სურს პოეტს ამ სტრიქონებით:

„თუ ყველაფერი არის სიზმარი,  
თუ ბინდისფერი არის ყოველი,  
მაშინ რატომ დევას დღეს მცხეთის ჯვარი,

\*სიტყვა წარმოთქმული ირაკლი აბაშიძის საიუბილეო საღამოზე.

რატომ დვას ისევ სვეტიცხოველი?\*

პოეტი ფიქრშიც არ დაუშვებს - ოდესმე ფაში ისე შეტრიალდეს, რომ აღარც მცხეთის ჯვარი იყოს და აღარც სვეტიცხოველი: ასე ეწინააღმდეგება იგი მსოფლიო ხველის პოეტთა მოთქმას.

არავის პოეზიაში არ დასმულა იმდენი კითხვა, რამდენიც ირაკლი აბაშიძის ლექსებში. დაჯვარდით მის სტრიქონებს, რომლებიც კითხვის ნიშნებითაა აჭრელებული და ამ უსასრულო შეკითხვებში უცებ გამოიკვეთება ერთი უმთავრესი კითხვა, რომლის არსს ალბათ, ვერასოდეს ვანჭვრეტს დაუკმაყოფილებელი კაცობრიობა:

„რამ არს იგი, რასაც ვლიეთ, ჩემო უფალო,  
ო, ჩემო ღმერთო, თქვი, რამ არს ჭეშმარიტება?“

ეს სტრიქონები უმალ ეცნობა მკითხველს, რომელმაც შეიყვარა ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“... ლექსების ციკლი, რომელმაც გამოარჩია პოეტი მისსავე შემოქმედებაში. პოეტური თხზვის თვალსაზრისით, აქ განხორციელდა ის დიდი მიხტერია, რაც ერთხელ, სრულიად სხვა ვითარებაში, მოხდა დამასკოს გზაზე, როდესაც კაცი წუთისოფლია, კაცი ყოელად ამქვეყნიური ღვთაებრივ პაველდ იქცა.

„პალესტინა, პალესტინა“ თვისებრივად განსხვავებული საფეხურია ირაკლი აბაშიძის პოეზიაში. ესაა ცეცხლოვანი სიტყვები აბრალებულ მაცვლის ბუქთან: „ო, ჩემო ღმერთო, თქვი, რამ არს ჭეშმარიტება?“

ამ კითხვას არ დასაჰდა უფლით აღსავეს რუსთაველი, რომლის ლოგოსური ბუნება სიყვარულით იყო გაჯერებული. ესაა შეკითხვა ევზისტენციალური ყოფით დაღდასმული კაცისა, რომელიც დაკარგულ უფალს ეძიებს. „პალესტინა, პალესტინაში“ ჭრება „ხმა მიწიერი, ხმა აქაური“ და ჩნდება უფალი... ისე როგორც დამასკოს გზაზე მაცხოვრის ტანჯული სახის გაელვება.

„პალესტინა, პალესტინა“ ირაკლი აბაშიძეს ტრავიკული განცდის პიროვნებად წარმოაჩენს, რომელიც დიდი წინაპრის ნაკვალევს მიჰყვება და ამბობს აღსარებას უდაბნოს გზებზე, რადგან ეპოქამ მოუსაჯა, თვითონ ეცხოვრა სულიერ უდაბნოში.

„მე ჩემს გონებას,  
ცნობას ვთვლიდი ჩემს ღიღ საუნჯედ,  
რადგან არსთაგანს მე მებოძა ეს საბოძველი,  
შენ მთხოვდი თავყანს,  
მხოლოდ თავყანს, თავყანს განუსჯელს,  
მე მხოლოდ განსჯის,  
მხოლოდ განსჯის ვიყავ მლოცველი“.

ამ სინანულში ღხვება თვით ისეთი დარდიმანდულ-ბოქმური სტრიქონებიც კი, რომლებშიც შორეულად ხმანებს ტიცინანის - „და ალიონზე თეთრ ღუქანთან ტირის არღანი“.

„და ლურჯ ფილაქანს ასწყდა კარეტა -  
ჭომას ფხიხული გუყავს მამობილი...  
და ალაუიძის ღუქნის კარებთან  
მიწას დააკვდა ავტომობილი...“

ჯერ ფრთას ბინდუნდღად,  
გაუღვიძებლად,  
შლიდა გუმათი, შლიდა სიარბოში...



და ბრმა მყარონემ ჩვენს სადიდებლად  
დახლთან დაგუდა „740“.

ესაა „ხმა აქაური, ხმა მიწიერი“, რომელიც სავსებით ჩაჩუმდება პალესტინის მწველ სივრცეებში და მას შეუნაცვლება „ხმა კატაპონთან“. ასე გაიხსნება ცის თავანი და აღსრულდება რელიგიის წმინდა საზრისი, რომელიც ღმერთთან სულის ცოცხალ კავშირში მდგომარეობს – ირაკლი აბაშიძე იხილავს გამოცხადებას, უფალს, ლოგოსს და დაწერს უკვდავ სტრიქონებს:

„ო, ენავ ჩემო,  
დედაო ენავ,  
შენ, ჩვენი ნიჭო,  
სრბოლავ და ფრენავ!“

ბედნიერი კაცი იყო ირაკლი აბაშიძე, რამეთუ პალესტინის მიწაზე მის ცხოვრებაშიც განმეორდა დამასკოს მისტერია!

## გრიგოლ კიკნაძე-90

*ჯუმბურ ჭუმბურიძე,  
ლადო მინაშვილი,  
იუზა ევგენიძე*

### დიდი სიცოცხლის უკვდავება

გრიგოლ კიკნაძე მრავალმხრივი მეცნიერი და მოღვაწე იყო. პირველ ყოვლისა, ყურადღებას გრიგოლ კიკნაძის პიროვნება იქცევს. მეოცე საუკუნის ქართულ სინამდვილეში თუ ვინმეს მიმართ შეიძლება თქმა, პიროვნება იყო, ეს, პირველ ყოვლისა, გრიგოლ კიკნაძეზე ითქმის. გრიგოლ კიკნაძის პიროვნება მომწიფდა 20-იანი წლების მიწურულს და 30-იანი წლების დასაწყისში, ხოლო მისი პიროვნული ცხოვრება მიმდინარეობდა XX საუკუნის ყველაზე ძნელ მონაკვეთში. ეს იყო ხანა პიროვნებაზე ლაშქრობისა, როცა ყველაფერი მიმართული იყო პიროვნულის ჩანასახშივე ნაკვლისა და გათელვისაკენ. ამ დროისათვის ძალიან ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი „ტალახისა და ჭუჭყის ლელვა-ტორტმანი“, მწერალს, მეცნიერს თავისი ტვირთი ისე ეტარებინა, რომ „არც ფეხი და არც ხელი არ გაესვარა“ და ისე მიეტანა ყველაფერი საქვეყნო საქმის „სამსხვერპლოზე“ (ნ. ლორთქიფანიძე). ეს მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს და მათ შორის იყო გრ. კიკნაძე ... და ეს მაშინ, როცა მას, ვითარცა გამორჩეულს, მებრძოლი უშეცრების რიგებიდან მტრები უმრავლდებოდა, რომლებიც მზად იყვნენ მისი ფიზიკური განადგურებისთვისაც კი.

გრ. კიკნაძე გაბედული იყო. ეკება სიტყვების პერიფრაზას რომ მიუძღროთ, მას მამაკურად აზრის ტარება ამშვენებდა. ახალგაზრდობას განსაკუთრებით მისი ეს პიროვნული თვისება ხიბლავდა, ასე იშვიათი და ამდენად ძალიან დასაფასებელი.

ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, ადრე სათქმელს ვერ ვამბობდით, ახლა მოგვცა სიმართლის თქმის შესაძლებლობაო. ამას უფრო ხშირად იმათგან მოისმენთ, ვისიც ხალხს ადრეც სჯეროდა; გულსატკეპნია მაკანთა ამგვარი აღიარება, აღამიანის რწმენას ბზარს უჩენს, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც ჩანს, მხოლოდ ამგვარად ვისმენთ მათ გულწრფელ აღსარებას. გრიგოლ კიკნაძე, მათგან განსხვავებით, არასდროს იტყოდა, აქამდე სათქმელს ვერ ვამბობდი, ახლა მომეცა ამის შესაძლებლობაო. მას არასოდეს არ უთქვამს, არ დაუწერია ის, რასაც არ ფიქრობდა, არ გრძნობდა. მისთვის არ არსებობდა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, საშინაო და საგარეო აზრი. როცა მას უესმენო, მის ნაწერებს ვკითხულობთ, ვერ ვგრძნობთ, რომ წინააღმდეგობა არსებობდეს სათქმელსა და თქმულს შორის. მას უკან არაფრის წალბა არ დასჭირვებია. მის ნაწერს, ამ აზრით, არსად არ ამჩნევია დროის დაღი. მისი ყოველი სტრიქონი წარუვალობის ნიშნითა აღბეჭდილი. ვერ ვიტყვით, რომ თავისი არც თუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მან სრულად არ გამოავლინა თავისი თავი, სრულად არ დაინარჯა თავისი სასიცოცხლო საქმეში. მართალია, იგი ხშირად იყო შეუკირებელი. მას უპირისპირდებოდნენ, ებრძოდნენ და ყოველთვის აკრძალული ხერხებით, უპატიოსნოდ, რადგან სხვაგვარად, პოლემიკაში, მისი დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მით უმეტეს მათთვის, ვისაც ვრ. კიკ-



ნაძესთან პოლემიკის სურვილი ჰქონდა. გრ. კიკნაძე მაღალი მისწრაფებებიდან, იდეალებიდან ძირს არ დაშვებულა, არც თავისი მოკამათები დაუტოვებია პასუხგაუცემლად. ყველას სათანადოდ მიუზღო, „დამსახურებისამებრ“, საჯაროდ ცხადი გახადა, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი, თუ ვის რა „მეცნიერული ინტერესები“ ამოძრავებდა. დამარცხებული, გარემოებათა გამო ქედმოხრილი გრ. კიკნაძე არავის ახსოვს. გრ. კიკნაძის გარემო, როგორც ითქვა, სუსხიანი იყო, მხოლოდ არაჩვეულებრივი მონაცემებით დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო ასეთ პირობებში ასულიყო თანამედროვე მეცნიერების ინტერესთა დონეზე. იგი მაინცდამაინც არ ექვემდებარებოდა გარემოს. თავს არ უღებდა მას. მისი არსებობის დასახასიათებლად ყველაზე უფრო შესაფერისი იქნებოდა გვეთქვა, რომ იგი ლიტერატურული ცხოვრებით ცოცხლობდა.

გრ. კიკნაძეს ჰქონდა თვითგანცდა, რომ იგი ძლიერი პიროვნება იყო. ეს განცდა მის შინაგან ძალებზე იყო დამყარებული და, ერთი მხრივ, საზრდოს მძლავრი ინტელექტიდან ლებულობდა, ხოლო, მეორე მხრივ, ეყრდნობოდა მის დიდ ნებას. პირადი ძალის განცდილსათვის უცხოა ყოყმანი. გრ. კიკნაძე გამართულად მიდიოდა მიზნისაკენ. მისი პიროვნული ძალა იმდენად მკაფიო იყო, რომ ვადამღებ ხასიათს ატარებდა. მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ის იყო, რომ არაჩვეულებრივი სიმყარისა და სიმტკიცის გამოჩენა შეეძლო არასასიამოვნო სიტუაციაში.

გრ. კიკნაძე აზრის მოტრფიალე პიროვნება იყო. მისთვის უცხო იყო თვითგამოჩენისაკენ სწრაფვა. მისი აზრით, „თუ ყველა იმას გააკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია, მის საყვედური არ ეთქმის“. მან კარგად იცოდა, რისი გაკეთებაც შეეძლო. იცოდა, ისეთი პიროვნება იყო, რომელსაც უკნისათვის მოღვაწეობა მოუთხოვებოდა და ფიზიკურ და სულიერ ძალთა დაუზოგავად იღწვოდა. სხვათა შეფასებისას ამ კრიტიკრიუმს იმარჯვებდა და წყენას ვერ ფარავდა, როცა საუკუღმართოდ, ნიჭის საწინააღმდეგოდ მომართულ ძალებს ხედავდა.

გრ. კიკნაძე იყო ტიპი საზოგადო მოღვაწისა, რომელიც სრულ კმაყოფილებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ერთი მიზნისაკენ წარმართავს მეცნიერთა დიდი ჯგუფის საქმიანობას და ერთ ამოცანას უქვემდებარებს. ეს უიშვიათესი უნარია. მისმა ამ ნიჭმა ჯერ კიდევ მაშინ იჩინა თავი, როცა ჭაბუკი მისი მასწავლებლის დიმიტრი უზნაძის ინიციატივით ბათუმში დაარსებულ პედაგოგიურ ლაბორატორიას თავკაცობდა. ხოლო სრულად მაშინ გაიშალა, როცა თავისი მეცადინეობით უნივერსიტეტში გენიალური ეაფას კაბინეტი დაარსა და მის სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობას სათავეში ჩაუდგა. გრ. კიკნაძის უშუალო ხელმძღვანელობით თორმეტი წლის მანძილზე ამ კაბინეტმა ბევრი რამ გააკეთა ეაფა-ფშაველას მემკვიდრეობის სიღრმეებთან მისაახლოებლად. კაბინეტის ღვაწლი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების, ახალი სამეცნიერო კადრების დაუკვაკების საქმეში ახლა სათანადოდაა აღიარებული.

გუგმაზომიერი და წინასწარმოაზრებული მოქმედება გადააქცია გრ. კიკნაძემ საკუთარი არსებობის ერთადერთ ფორმად. თავისი გამორჩეული ცხოვრების წესით გრ. კიკნაძე მაგალითისა და მიბაძვის საგანი იყო მის ახლობელთათვის.

გრ. კიკნაძის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა ხუთ-ექვს ტომად, რისი განხორციელებაც უკვე დაიწყო, ყველასა და განსაკუთრებით ახალგაზრდობას დაანახვეებს, რას ნიშნავს იყო დიდი მოაზროვნე ლიტერატურისმცოდნე და გაუზარავი პიროვნება, ჭეშმარიტი ერისკაცი.

სიკვდილი ბოლო დიდი აქტია, რომელიც აფორმებს ადამიანს პიროვნულ ბიოგრაფიას. როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, „სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა სულისა, მისი სიმძლიისა თუ სიმდაბლის, სიმამაცის თუ სიმხდალის ბარომეტრი“. გრ. კიკნაძის სიკვდილშიც იყო

უდიდესი აზრი. თითქოს ცხოვრებამ მის პიროვნებას უმკაცრესი გამოცდა მოუწყო.

ბატონი გრიგოლი განუკურნებელი, ფიზიკური ტკივილების მომყენებელი მტანჯველი სნეულებით იყო ავად. მან ეს კარგად იცოდა, მაგრამ არაუვის არ უნახავს იგი ავადმყოფობას დამორჩილებული. არადადამიანური ტკივილები ხანგრძლივი დროის მანძილზე სტიკურად გადაიტანა. ვარშემო მყოფთ თავის უიმედო მდგომარეობაზე არაფერს ეტყოდა, მოძალების გვემებს უსახავედა, დაეალებებს აძლევდა, საკვლევ საკითხებს ურჩევდა, ტკივილზე შემოქმედებით მუშაობით მალღლებოდა. როგორც კი ოდნავ შეუბა იგრძნო მცირე ხნით, უნივერსიტეტს მიაშურა. ეაფას კრებულის მორიგი ტომის მომზადებას შეუდგა; ეაფას მუდმივმოქმედ სემინარებზე კრებულში შესატანი ნარკვევებისა და სტატიების მოსმენარეცენხიზრება დაიწყო. სიკვდილის წინა დღეებში დაამთავრა (ბოლო გვერდები უკვე შეუღლეს უკარანას) კრკელი გამოკვლევა, რომელიც ახლა ამშვენებს ეაფას კაბინეტის მიერ გამოცემულ და მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ დიდებულ წიგნს „ეაფა-ფშაველას ხუთი პოემა“.

გრ. კიკნაძეს ბევრი მოწაფე ჰყავდა. ბუნებრივია ყველანი ლიტერატურათმცოდნეები არ არიან; მის მოწაფეებად თვლიან თავს მწერალი და ლიტერატურისმცოდნე, ჟურნალისტი და ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ხელოვნებათმცოდნე, მსახიობი და კინორეჟისორი - გრ. კიკნაძემ არსებითი ზემოქმედება მოახდინა მათი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე, საერთოდ მათ სულზე ... გრ. კიკნაძის მოწაფეობა გამოიხატება იმაში, რომ იგი ამანთებელი პიროვნება იყო, სააზროვნოდ, სამოქმედოდ განაწყოდა მის გარშემო შემოკრებილთ. გრ. კიკნაძის ნააზრევი, მისი პიროვნება გახდა ერთგვარი ბიძგის მიმცემი მათი ცალკეული ქმნილების თუ მთელი შემოქმედების შექმნის გზაზე დიდი მოძღვრის სიტყვას, საქმეს, მის მოღვაწეობას ჰქონდა მაგალითის ძალა. იგი ზნეობრივი მაკონტროლებელი იყო მათი პიროვნული თუ საზოგადო ცხოვრებისა.

გრ. კიკნაძე მთელი თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ახალგაზრდებისათვის გაესივრებოდა ადამიანის მოვალეობა და განემტკიცებინა ადამიანური ღირსების გრძნობა.

საგანგებოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრ. კიკნაძის მეცნიერული მოღვაწეობა მოწოდებული იყო დამკვიდრებისათვის. ძალიან ბევრი მკვლევრისაგან ბატონი გრიგოლი იმით გამოირჩა, რომ მას სრულიად გარკვეული თვალსაზრისი ჰქონდა, მის კვლევაძიებით საქმიანობას ნათელი ამოცანა განსაზღვრავდა და მიზანმიმართული იყო.

ერთია გყავდეს მრავალრიცხოვანი მოწაფეები სულ სხვადასხვა სფეროში, მაგრამ სულ სხვაა, შექმნა სკოლა. გრ. კიკნაძე სწორედ იმით გამოირჩა სხვათაგან, რომ მან სკოლა შექმნა. სკოლის შექმნა გულისხმობს არა მარტო დიდი ზემოქმედების მოხდენას, დიდ პიროვნულ ხიბლს, არამედ იგი გულისხმობს სწორედ გარკვეული მყარი თვალსაზრისის ქონას, კვლევის გზას, რომელზეც სხვებიც შეგაძლია დააყენო. გრ. კიკნაძის სკოლა გულისხმობს მისი თვალსაზრისის, მისი კვლევაძიების ხერხების მომარჯვებას, მის მიერ შემუშავებული ცნებებით ოპერირებას და, რაც მთავარია, მეცნიერებაში მისული ხედვის დამკვიდრებას.

\*\*\*

გრიგოლ კიკნაძემ ღრმა კვალი გაავლო ლიტერატურისმცოდნეობის, საზოგადოდ და კერძოდ, ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში. კვალი, რომელიც ორიგინალობის ნიშნითაა აღბეჭდილი, მის დიდ ეროვლიცას და ნიჭს მოწმობს, მხოლოდ მას შეეძლო გაეგლო და სხვას არაუვის.

იმთავითვე მისთვის დამახასიათებელი დიდი სინათლით გამოკვეთა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცმა თავისი პოზიცია, ლიტერატურული კვლევის მეთოდოლოგია. გრ. კიკნაძის გამოჩენისას ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ბატონობდა უულგარული სოციოლოგიზმი. გრ. კიკნაძემ ერთერთმა პირველმა ენერგიული პრინციპულობით და დიდი მეცნიერული გამბედაობით თვალნათლივ აჩვენა ამგვარი მიდგომის მომაკვდინებელი ხასიათი, საზოგადოდ გაამიშველა მისი არსი. მან უჩვენა, რომ ლიტერატურა, საერთოდ ხელოვნება, არ იყო არც ეკონომიკისა და არც სოციოლოგიის დანამატი. გრ. კიკნაძის აზრით, ამოუწურავი და საბოლოოდ ამოუხსნელიცაა მხატვრული ფენომენი; მაგრამ მისი ასეთი ბუნება მეცნიერული პესიმიზმის წყარო კი არაა, არამედ პირობა უცდალებსა და ლიტერატურულ ფაქტთან. ნაირნაირი ასპექტით მიახლოების პირობაც. გრ. კიკნაძემ ერთერთმა პირველმა ჩვენში მეცნიერულ ენაზე მიუთითა ხელოვანის პიროვნების გათვალისწინების მნიშვნელობა მხატვრული ფაქტის შესწავლისათვის.

ყოველივე ამის აღიარება ოცდაათიანი წლებისთვის და შემდეგისთვისაც და პრაქტიკულადაც ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობა ფაქტობრივად ლიტერატურისმცოდნეობაში ე. წ. მარქსისტული მეთოდის მომარჯვებზე ამჟამა უარის თქმას, მის საფუძვლიან კრიტიკას ნიშნავდა და ზნეობრივი გმირობის ტოლფასი იყო.

გრ. კიკნაძემ თვალნათლივ ცხადყო, რომ მხატვრული ქმნილება სრულიადაც არ წარმოადგენს უაპრაე კომპონენტთა ჯამს და რომ ცალკეულ კომპონენტებად მისი დაშლა-გაანალიზება და შეკრება არა თუ მიგვაახლოებს ხელოვნების ქმნილებასთან, არამედ კიდევ უფრო დაგე-ამორებს მას, რადგან ჩვენზე მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედებას, როგორც მთლიან შთაბეჭდილებას, არა თუ ვერ ახსნის, არამედ მის დან-აწვერება-გაბუნდოვანებას შეუწყობს ხელს. მხატვრული ნაწარმოები, ისე, როგორც მწერლის მთელი შემოქმედება, მთელი ისტორია ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურისა, ცალკეული ლიტერატურული მიმართულება ერთი მთლიანობაა ... და ასეც უნდა იქნას იგი შესწავლილი. ბუნებრივია, ალნიშ-ნული არ გულისხმობს ანალიზის უგულვებელყოფას საერთოდ. ანალიზი გა-ცნობიერებაა მოუღენის შედეგინლობისა, მაგრამ ყოველ შემადგენელი ნაწილის მთლიანი მოვლენისადმი დაქვემდებარების პირობებში. ასეთია ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის წინაშე წაყენებული მოთხოვნა. ყოველ ცალკეულ ნაწილში ჩანს მათელი. ლიტერატურული ანალიზიც ცალკეულში მთლიანის სულის წედომისაკენ უნდა მიიმართოს.

მართალია, ეს თვალსაზრისი თავისი დიდი დამარწმუნებელი ძალით ბევრისათვის გახდა შემდეგ დამაჯერებელი, მაგრამ პრაქტიკულად მისით ხელმძღვანელობა არ აღმოჩნდა ადეილად შესაძლებელი. გაირკვა, რომ ლიტერატურისმცოდნეობა ევგების ყველა სხვა მეცნიერებაზე მეტად ჰვავს თავის საკვლევ ობიექტს და ისევე როგორც არ შეიძლება შეიქმნა, არამედ უნდა დაიბადო მწერლად, ასევე უნდა დაიბადო ლიტერატურის მკვლევარად. რომ ბევრი, ძალიან ბევრი თვისების ერთიანობაა საჭირო ასეთ შემთხვევაში. ... საჭიროა ფლობდე სულიერ სიმშვიდეს და წონასწორობას, მხატვრული ნაწარმოები არ მოგვეწვედო, თავის მშვენიერებას არ გაზიარებს, თუ თავად არ გაქვს სული დაწმენილი, მალალი, გემოვნება გაფაქიზებული....

თავის კვლევა-ძიებით საქმიანობაში გრ. კიკნაძე, რომელსაც სპეციალისტის განათლება ჰქონდა მიღებული სულ სხვადასხვა საგანში, არა მარტო წარმატებით ეყრდნობოდა მოსაზღვრე დისციპლინათა მონაპოვარს, არამედ ამდიდრებდა კიდევ მათ. ამდენად მისი ნაშრომები მნიშვნელოვანია არა მარტო ლიტერატურისმცოდნეობის თვალსაზრისით, არამედ ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის... თვალსაზ-რისითაც.



გრ. კიკნაძე ქართულ მწერლობას არ განიხილავდა განცალკევებულად და მოწყვეტილად მსოფლიო ლიტერატურული პროცესებიდან. მან იცოდა, რომ ქართული მწერლობის ღირებულება დიდად სცილდება ეროვნულ ფარგლებს, ამიტომაც იგი ჩვენი მწერლების ნიჭისა და დიაპაზონის დახასიათებას მსოფლიო ლიტერატურის ცნობილ ნიმუშებთან შედარების ნიადაგზე ახდენდა. ამ თვალსაზრისით არის მის ნაშრომებში მოხმობილი შექსპირის, გოეთეს, ბაირონის, ბუშტინის, ბალზაის, გოგოლის, ტოლსტოის, სალტიკოვ-შჩედრინისა და სხვათა სახელები.

გრ. კიკნაძე იმთავითვე აერიდა ყოველგვარ სქემატიზმს. იგი წინასწარმდარეგებული, ზოგადი თვალსაზრისით კი არ მიდიოდა ლიტერატურულ ფაქტთან, არამედ მხოლოდ კონკრეტული ლიტერატურული ფაქტის საკულდავგულო ანალიზის შედეგად აკეთებდა ზოგად დასკვნებს. გრ. კიკნაძემ კვლევის ამგვარ წესზე დაყრდნობით ბევრი საყოველთაოდ აღიარებული და განმტკიცებული თეორიული მოსაზრება დააყენა ეკვს ქვეშ და უაღრესად მნიშვნელოვანი, არსებითი ხასიათის კორექტივები შეიტანა ამ თეორიებში. ასეთ შემთხვევაში იგი ყოველთვის დამარწმუნებელია, რამდენადაც, როგორც ითქვა, კონკრეტული ლიტერატურული მასალის ანალიზიდან ამოდის, მას ეყრდნობა. ამ აზრით დიდად მნიშვნელოვანია სატირისა და იუმორის ტრადიციული განსაზღვრებები გრ. კიკნაძისეული კრიტიკა და მათი ახლებული გააზრება, მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი პრაქტიკის ურთიერთობის გრ. კიკნაძისეული ინტერპრეტაცია, ტიპისა და ტიპურის ცნობილი განსაზღვრებების კრიტიკა და მათი სრულიად ახლებური გააზრება-განსაზღვრა, „კლასიკური ფსიქანალიზის“, როგორც ლიტერატურული თეორიის, კრიტიკა ეკვა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძველზე და ა. შ.

გრ. კიკნაძე თავის გამოკვლევებში ზოგადთეორიული საკითხებზე მსჯელობისას ბევრი მოაზროვნისაგან განსხვავებით, რომლებიც კონკრეტული მასალისგან ერთგვარი მოწყვეტილობის გამო თავს ვერ აღწევენ ბუნდოვანებას, საერთოდ განერიდა სქემატიზმს. მის ნაშრომებში მხოლოდ განცდილია გააზრებული და აზრი მხოლოდ საკუთარ ნაგრძნობსა და განცდილს განმარტავს, ამიტომ არაფერი არ ტოვებს მასთან სქემატიკის შთაბეჭდილებას.

ლიტერატურის კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა კონკრეტულ ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობისას ამავე კონკრეტულის ფარგლებში რჩებიან, აჯაკვავენ რა მწერალს, ლიტერატურულ ნაწარმოებს გარკვეულ ისტორიულ ვითარებას, გარკვეულ მომენტს, გარკვეულ სოციალურ-საზოგადოებრივ წყობას და ა. შ. ვერ ახდენენ მხატვრული მასალის განხილვის საფუძველზე განზოგადებას. ამიტომაცაა, რომ მათი ნაწერები ბევრს არაფერს არ მატებენ ჩვენს სულს და საუკეთესო შემთხვევაში ამ კონკრეტული მწერლისადმი მიმართულ ცნობისმოყვარეობას თუ აკმაყოფილებენ განსხვავებით - გრ. კიკნაძე ყოველი კონკრეტული მწერლის, ნაწარმოების ანალიზისას განზოგადებას მიმართავს, ასე რომ, ყოველი კონკრეტული მასთან დიდ განზოგადებას აღწევს და ამდენადაც უპასუხებს ნაირნაირ ლიტერატურულ მოთხოვნებს, თვისებრივად ამდიდრებს მკითხველს, სააზროვნოდ განაწყობს მას. ყოველივე ამის გამოც გრ. კიკნაძის გამოკვლევები საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის, კონკრეტულად აღ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ე. ორბელიანის, გ. ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეკვა-ფშაველას, ვალაკტიონის, ვიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის... შესახებ არა მარტო ამ მწერლების, საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველის მოთხოვნებს პასუხობს, საინტერესოა და უაღრესად საჭირო ყველასათვის, ვისაც კი ლიტერატურა უქცევია თავისი

სერიოზული ინტერესის საგნად. სწორედ ამიტომაც გრ. კიკნაძის გამოკვლევების მსგავსი ნაშრომები „ხშირად არ ჩნდება ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის ჰორიზონტზე“ (კ.კეკელიძე), სწორედ ამიტომაც „ასეთი გამოკვლევები დაამშვენებდა ლიტერატურამცოდნეობას რაგინდა რა ენაზე“ (არნ. ჩიქობავა).

გრ. კიკნაძის ნაშრომებში არაფერია ისეთი, რაც მისი შინაგანი რწმენიდან ოდნავი გადახვევის შთაბეჭდილებას დატოვებდა.

გრ. კიკნაძის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ზნეობრივი სიფხიზლის ნათელი დასტურია, ამიტომაც ჰქონდა მის ყოველ ნაბიჯს, მის ყოველ საქმეს ნიმუშის, მაგალითის ძალა მოაოვებელი.

ღრმა და გამძლე მემკვიდრეობა, შეუბღალავი რწმენა და საკუთარი ღირსების გრძნობა უკვდავყოფს გრიგოლ კიკნაძეს ჩვენს მეხსიერებაში.

### შეხვედრები ვაჟა ფშაველასთან

მე ერთი იმ ბედნიერთაგანი ვარ, რომლებიც პირადად იცნობდნენ მთის არწივს ვაჟას, იმ ვაჟას, რომელმაც თავისი გენიალური ნაწერებით შორს გაუთქვა სახელი ქართულ ლიტერატურას და ასახელა ქართველი ერი.

ვაჟას მე პირველად 1908 წლის ზაფხულში შევეხვი სოფელ ხორხში, მის ცოლეულთან, დიდებანთ ჰურმარილიან ოჯახში. ხორხი - ეს არის სოფელი, რომელიც თინათს ზემოთ 10-12 კილომეტრის მანძილზეა. იქ ცხოვრობენ ფშაველები და მთიულები. ხორხში მოვხვდი იმიტომ, რომ ერთ წემს ბიძას ხორხელი ქალი ჰყავდა ცოლად. ეს ბიძაჩემი ბესო ერთი შემთხვევის გამო დასახლდა არაგვის ხეობაში. იგი, ისე როგორც მისი უფროსი ძმები, გურიის უდაბნოში მისცა პაპაჩემმა ოქროპირმა სასწავლებლად, მაგრამ მისთვის იქ შეურაცხყოფა მიუყენებია ევეკენ ბერს, რომელსაც ავი ხასიათი ჰქონებია.

ამის შემდეგ მას უდაბნოში აღარ ედგომებოდა და შინ გამოქცეულა, მაგრამ პაპაჩემს ბერის ცემა მეტად სწყენია და შვილი სახლიდან გაუვლია. ბესო ვილატებს გამოჰყოლია ჰაჯაყახოვანს სამტრედიამდე და იქედან თბილისამდე. დამდგარა ვილატ სომეხთან, რომელიც მას აგზავნიდა სოფლებში წერილმანი საქონლით. ჩარჩობაში ბესოს ფშავის ხევეები დაუვლია, ხორხში ყოფილა და იქ მოსწონებია ზუკურაულის ქალი ნინო და ცოლად შეურთავს. პირველად მან ხორხში იცხოვრა, მაგრამ შემდეგ საუკურო დუქანი გამართა ფშავის არაგვეზე. ჰყვოდა ფართალს და წერილმან საქონელს. მისი დუქანი მღებარეობდა 8-ოდე კილომეტრზე თინალიდან, სადაც იყრება თიანეთიდან და თინალიდან ფშავსა და ხევსურეთს მიმავალი გზები.

აქ მან გაიცნო ვაჟა-ფშაველა, დაუმეგობრდა მას და შვილებსაც ანათელინებდა და დიდ პატივსაც სცემდა. ბიძაჩემი ბესო ნიჭიერი კაცი იყო. ვაჟას ლექსები ბევრი იცოდა ზეპირად და განსაკუთრებით მოსწონდა მისი „სისხლის ძიება“. ხორხში დიდებანი ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ზუკურაულები - მეორეში გადაგვიპატივეს სადილად. ვაჟა იქ დაგვხვდა თავის ცოლეულთან. სადილის შემდგომ გამოვედით ეზოში, იქ გამოიჩინა ვაჟას ბავშვა ვახტანგმა, რომელიც მაშინ ოთხი წლისა იქნებოდა. ვაჟა გაეხუმრა შვილს: - აბა, გვიამბე, როგორ იყო, რომ ფუტკარმა დაგკოდაო. ბავშვს შერცხვა და თავი დაღუნა.

ვაჟამ ეზოში საუბარი ჩამოაგდო საქართველოს სეპტემბრულ და ძალიან ცხარედ ილაპარაკა სომხის ბურჟუაზიისა და ქართველ თავადაზნაურთა შორის ატეხილ საკითხზე. მეტად არ მოსწონდა მას ეს გადაყიდება, რომელიც ორივე ერისათვის საზიანოდ მიიჩნა. შემდეგ ვაჟას მე შევეხვი თვალისმომხილად 1909 წელს, ზაფხულში. ვაჟა და ბიძაჩემი ბესო შეხუბრებულები იყვნენ ერთმანეთთან. ბიძისვე თანდასწრებით მან მიაშობო მის შესახებ შემდეგი:

„პირველად რომ გამოჩნდა ეს ბიძაშენი ჩვენში, ხმა გააერცელა, რომ მე თავადი კაცი ვარო. მე შანიძე გვარად არ ვამეგონა, მაგრამ დავიჯერე და შორიდან შორიდებულ სალაშს ვაძლევდიო. შემდეგ აეხედ-დაეხედე და, რაღაც ვერ ვიცანი თავადად, მაგრამ აზნაური მაინც იქნებაო, ვიფიქრე და მაინც დიდად მორიდებული ვიყავიო. შემდეგ კი გამოირკვა, რომ არც აზნაურია და მხოლოდ მღვდლის შვილიშვილი ყოფილაო“. - ეს ისეთი ზუმრული კილოთი



მაიბო ვაჟამ, რომ მეცა და ბიძაჩემმაც, სხვებმაც, ვინც იქ იყო, ძალიან ვიცინეთ.

განსაკუთრებული სიამოვნებით ვიგონებ ვაჟას ოჯახში წვევას 1911 წელს და მასთან ერთად მოგზაურობას ფშავის ხევში. საქმე ასე იყო მე ვსწავლობდი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. როდესაც 1911 წელს ლექციების კითხვა შეწყდა, მე ფაკულტეტის დაკავლებით გამოვემგზავრე ფშაურისა და ხვესურული კილოს შესასწავლად. ჯერ ბიძაჩემთან მივედი თვალღებში. ბიძაჩემმა ნაბადი მომცა და თბილი ქართუკი, შეიძლება სიცხეების იყოს ზემოთ და დაგჭირდესო, თან გამომაყოლა თავისი ვაჟი ლადო, მამინ გიმნაზიელი და შემდეგში ექიმი. 18 ივნისს, სამშაბათ დღეს, დღით ადრე გავედით თვალღებში მე და ლადო ორი ცხენით. მეგზურად გაგვყვა გუდრუხელი ბეწინა. გზაში დავინახეთ კოპალას ხატი, რომელიც არაგვის მარჯვენა მხარეს არის. ბეწინას სიტყვით, ის წარმოადგენს ვეებერთელა ქვას, რომელსაც დევის ხელის მონაკილი ამჩნევიაო. დღეს მოქონდა, თურმე, ის ქვა, მაგრამ დასცემია კოპალა, ლახტი დაუკრავს და ქვა გაუგებდებინებიაო. იქვეა დევების საფლავებიო. ავიარეთ მალაროსკარი და ავედით ჩარვალში. ჯერ არაგვში გავედით, რომ მთავე წყალი დაგველია. შემდეგ კი ავედით ვაჟა-ფშაველასთან, ვაჟა შინ დაგვხვდა. მე უკაბე ჩემი მოსულის მიხანი. უთხარი, რომ მსურდა ფშაური და ხვესურული შემესწავლა და შემეკრიბა ხალხური სიმღერები. მას ეს ამბავი ძალიან სასიამოვნოდ დაურჩა. ვაჟასთან დაგვხვდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი მისსკის გუბერნიიდან, რომელსაც ხვესურეთი დავულო, მოსულიყო ვაჟასთან და უნდოდა მასთან ერთად ფშავეც დაველო და ხატობა ენახა. ამ დროს ფშაური სალოცაუების დღეობები მოდიოდა და ვაჟასთვის ეთხოვა, წამყე, მიჩვენე და ამიხსენი აქაური ამბებიო. ვაჟა მე დამეკითხა: - რა უქნათო. მესწორი მოგახსენოთ, პირველად განზრახული მქონდა შემესწავლა ქვემო ფშაური ჩარვალსა და სხვა სოფლებში და შემდეგ აველოდი ზემოთ, მაგრამ, რაკ ასეთი ვითარება დამიხვდა, მე უთხარი ვაჟას: კარგი, წავიდეო, ხატობის ამბები მეც ძალიან მაინტერესებს მეთქი. ჯერ ვისადილეთ. ვაჟა მუღლუ თამარი ძალიან ცდილობდა სტუმრების კარგად გამასპინძლებას. ხინჯალი, მოგეხსენებათ, სადილზე აუცილებელი რამ არის მთაში და მშვენიერად იყო გაკეთებული. სადილზე რომ ვისხედით, ვაჟამ ამ რუსს უამბო: გველის მჭამელი! რუსულად, რის გამოც ეს რუსი მეტად ნასიამოვნები დარჩა. ნასადილევს გაუდევქით გზას ორწყლისსაყენ. ჩარვალს რომ ჩამოვდით, ვაჟამ მიჩვენა ერთი ადგილი გორაზე, რომელიც არაგვს დაკურებს და მითხრა: მე აქ უნდა დავიმარხო! მე უკასუხე: თუმცა ეს კარგი ადგილია, მაგრამ თქვენი სამარხი ადგილი მთაწმინდაა თბილისში, რომელიც ჩვენი პანთონი უნდა გახდეს-მეთქი. არა მგონია, რომ ჩემი პასუხი სწყენილეს ვაჟას, მაგრამ ერთბაშად სიტყვა სხვაზე გადაიტანა. ეს რუსები რომ მოდიან ჩვენში, ენა არ იციან, გზა-კალი არ იციან და მაინც მოილტვიან. ჩვენებს რა ღმერთი უწყრებათ, რომ აქეთ არაგვი მოიღის სანახავად და ზოგმა არ იცის, რა ხილია ფშა-ხვესურეთიო. მართალი იყო ვაჟას გულისწყრომა.

ფშავის გზაზე რომ ჩამოვედით, არაგვთან, ერთი ცხენი უკან გაუაბრუნეთ თვალღებში და ჩვენ ოთხნი-ვაჟა, რუსი სტუდენტი, მე და ჩემი ბიძაშვილი ლადო გავეყვით არაგვს. დავილაშქრე ხორხში. იქ ცოტა პური ვკამეთ და, რადგანაც ცხენისათვის საძოვარი უნდა გვემოვა, წავედით და ცხენები გაუშვით საძოვრად. ჩვენ კი დაეწვექით მინდორში თბილიანის პირას. ღამით რუსს ჭიანჭველები დახვეოდა, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით კარგ მღვდომარეობაში. შუალამისას წამოწვიმა. გამოშეღვიმა, გაუღვიძე სხეუმი, ნაბადი რომ ძირს გვეგო, ახლა ზემოდან გადავიფარეთ და ისე დავიძინეთ, მაგრამ მოტყუვდით: წვიმა არ მოსულა.



29-ს, ოთხშაბათს, დილით ადრე აკიყარნით, ბარგი-ბარხანა ცხენებს აკიდეოთ და გაუდქით გზას. მალე ორწაღში აუედით. იქ ჩაი დაულოთო. კოვები არ გვეყო და ვაჟამ ხეს მოსტეხა პატარა ტოტი, გათალა და ის დაურია ჩაის მაქრის გასაღნობად.

ორწაღში ერთდება ხეესურეთისა და ფშავის არაგვი. ხეესურეთი მარჯვნივ მოვიტოვეთ და აკვეით ფშავის არაგვს. გავიარეთ შუაფხო, რომელსაც ძველად შუა ფხოვი უნდა რქმეოდა. ფხოვის სახელით ძველად ცნობილი იყო ფშავი და ხეესურეთი ერთად აქედან იყო ნაწარმოები ფხოველი. ფხოვი და ფხოველი გადაეარდა და შეცვალა ფშავე და ფშაველმა, მაგრამ მისი მნიშვნელობა დაეწროვდა. ფშავეში ხეესურეთი დღეს აღარ შედის, მაგრამ საყურადღებოა, რომ ქისტები ხეესურეთს ფხიეს ეძახიან. სადაც შუა ფხოვი იყო, უნდა ყოფილიყო აგრეთვე წინა ფხოვი და უკანა ფხოვი, მაგრამ ამით ნაცულად დღეს არის სოფლები წინა ფშავი, ფშავი და უკანა ფშავი. შუა ფხოვს ხეშოთ არის სულ რამდენიმე კომლისაგან შემდგარი სოფელი მუქუ, რომელიც ერთ კათობია ნახსენები. კათია უმთავრესად შეკამათებაა ლექსად ორი პირისა, რაც ძალიან გაკრცელებულია ფშავეში.

შუა ფხო და მუქუ არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს და გზაც მარჯვენა მხარეს მიჰყვება, მაგრამ თამარ მეფის ნიში, სადაც უნდა მივსულიყავით, მარცხენა მხარეს არის, გორაზე. გავედით წყალში და აკვდით მაღლობზე, რომელსაც მშვენიერი მდებარეობა აქვს. გარშემო ტყით იყო ყველაფერი დაფარული. ერთ გორაზე სხვადასხვა ადგილას 4 სალოცავია. ყურადღება მიიპყრო ირმის რქებმა, რომლებიც ბლომად იყო სამლოცველობზე.

ოთხშაბათი იყო, საკლავის დაკლა არ შეიძლებოდა ამ დღეს. ამიტომ ღამის გასათევად თამარში დაერჩით, ილარიონ ბერის სენაკში. ღამარში წასვლა კი ხელისთვის გადაედით. ღამარი სამიოდე კილომეტრის მანძილზე იქნებოდა თამარისაგან დაშორებული.

ღამარში რომ აველით, იქ დაგვხვდა ქართლიდგან ამოსული ორი ოჯახი. თეთონ ფშაველანი კვირას მოუღწერო, გვიტხრეს. მათ დაკლეს ცხვარი და კურატი, ე. ი. ხატისათვის შეწირული დაუყოლია ხარი. უკანა ფშავიდან მოსულიყო მღვდელი. მოსულიყო აგრეთვე ღამარის ხევისბერი ახანელი ელიზბარ გოდერძაული-ქეროშვილი. ქერო ელიზბარის პაპს რქმეოდა. მოხარშეს ხორცი, ააგეს მწუადები და მიგვიპატივეს ყველანი სადილად. სადილად ცხერის ხორცი ჰქონდათ, ხოლო სასმელად ღვინო და არაყო. ელიზბარ ხევისბერმა გვიტხრა, რომ ღამარის ჯვრის წიგნები მაქვს, მობრძანდით და წაუკითხოთო. ამის გამო ვაჟამ გადაწყვიტა დარჩენა. ღამის გასათევად ისევ თამარში ავედით.

პარასკევს დილით, 1 ივლისს, ვაჟა, რუსი სტუდენტი და მე წავედით ხატში. ელიზბარ ხევისბერი შინ დაგვხვდა. მოიტანა სხვადასხვა ნაწერები, რომელთა რიცხვი 200-ზე მეტი იყო. ამას გარდა, 52 სხვა დოკუმენტი რუსულ ენაზე კი სხვაგან მაქვს გაგზავნილი.

ვაჟამ და მე გადავთვალა ერთ ღამარის ის დოკუმენტები, რომლებიც უშეტესად ახალი დროისა აღმოჩნდა, XVIII- XIX საუკუნეებისა.

შუადღისას ვაჟა და მისი სტუმარი რუსი დაბრუნდნენ ჩარგალში. გამოთხოვებისას მე დიდი მადლობა მოვახსენე ვაჟას და ჩემი ცხენი თან გავატანე. მე დაერჩი ხატში. გადმოვიწერე სამი სიგელი. ერთი მათგანი იყო 1699 წლისა და ჩავიწერე ორიოდ ხალხური ლექსი.

უკანასკნელად ვაჟა ენაზე 1915 წელს, ზაფხულში, როდესაც პეტროგრადიდან თბილისს დაებრუნდი. იმ აკად გამხდარიყო და მოეთათვისებინათ სამხედრო ლაზარეთში, რომელიც ქართული გიმნაზიის შენობის, ე. ი. ახლანდელი უნივერსიტეტის, მთავარი კორპუსის სამხრეთის ფრთის მეოთხე სართულზე იყო მოთავსებული. საუბრის დროს ვაჟამ მოიგ-

ონა თავისი იმერეთში ყოფნა და კმაყოფილებით აღნიშნა მიღება, რომელიც მას ქუთაისმა გაუმართა. სხვათა შორის მითხრა: აკაკის იმერეთი ფშავს მგვანებია, მთავორიანი ქვეყანა ყოფილაო. ჩამოეარდა საუბარი ომიანობაზე. ვაჭამ თქვა, რომ არ შეიძლება ასე დიდ ომს დიდი ამბები არ მოჰყვესო. ამას რომ ამბობდა, მას მხედველობაში ჰქონდა საქართველოს მომავალი ბედი.

საუბედუროდ, ვაჭამ უდროოდ დახუჭა თვალები და დიდ ამბებს ვეღარ მოესწრო. სამაგიეროდ, ჩვენ მოვესწარი დიდ ამბებს და დღეს სამუალება გვაქვს დიდი ვაჭას დაბადების 100 წლის თავი ბრწყინვალედ ეიდღესასწაულოთ და სათანადო პატივი ვცეთ ადამიანს, რომელმაც თავისი ნაწერებით შორს გაითქვა სახელი და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში მრავალი გენიალური თხზულება შეიტანა.

დიდება ვაჭას სახელს!

საქართველოს სახელმწიფო არქივი,  
 № 6141 ფონოჩანაწერი

გადიცა საქართველოს რადიოთი  
 1961 წლის 24 ივლისს

## სხვათა საუნჯე

პაველ ფლორენსკი

### მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი

მამა პაველ ფლორენსკი ერთ-ერთი უდიდესი რუსი თეოლოგია (1882-1943). მან ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილება (1904), ხოლო შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემია (1908) დაამთავრა. 1912-1917 წლებში იგი ამ აკადემიის პროფესორია. 1911 წელს მღვდლად ეკურთხა. ფლორენსკის სამეცნიერო ინტერესები ძალზე ფართო იყო - იგი მოიცავდა ლინგვისტიკას, ხელოვნებას, მათემატიკას, თეორიულ ფიზიკას, სემიოტიკას, თავისთავად ცხადია - ლეთისმეტყველებას.

მართალია, პაველ ფლორენსკის სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ათეული წელია გასული, მაგრამ, ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა არა მხოლოდ ქრისტოლოგიური, არამედ ზოგადკულტუროლოგიური თვალსაზრისითაც. ამასთანავე, პაველ ფლორენსკის ნააზრევი საინტერესოა ქართული მწერლობის ტიპოლოგიური შესწავლის ასპექტითაც.

\*\*\*

სხვადასხვა გზით აზრი ისევ ერთისა და იმავეს შეცნობამდე მიიღს: სამყაროსა და ადამიანის იდეალური მსგავსების, მათი ურთიერთგანპირობებულობის, ერთურთით გამსჭვალვის, ერთმანეთთან არსებითი შეკავშირების აღიარებამდე. გნოსეოლოგიურად ეს ასეა - ყოველივე, ჩვენ მიერ შეცნობილი, ჩვენ მიერ შეთვისებადი და საკუთარ თავში გარდასახვადია (ფიზიკეს აზრით, ყველაფერი არის „მე“. შეცნობის აქტით იგი ჩვენი მსგავსი ხდება). ბიოლოგიურად - ყოველივე, რაც ჩვენს გარშემოა, ჩვენი სხეულია, ჩვენი სხეულის გაგრძელებაა, ჩვენი დამატებითი ორგანოების ერთობლიობაა.<sup>1</sup> ეკონომიკურად - ყველაფერი, ჩვენ მიერ დამუშავებული, წარმოებული და გამოყენებული, ჩვენი შეურნებებაა. ფსიქოლოგიურად - ყოველივე, რასაც კი შევიგრძნობთ, ჩვენი შინაგანი ცხოვრების სიმბოლური ხორცშესხმაა, ჩვენი სულის სარკეა. მეტაფიზიკურად - სამყარო ჭეშმარიტად იფიქვა, რაცა ვართ ჩვენ, ვინაიდან, სხვა რამ რომ იყოს, ის ვერ იქნებოდა ჩვენთან დაკავშირებული. დაბოლოს, რელიგიურად - სამყარო, სოფიას სახე<sup>2</sup>, არის დედა, სძალი და ცოლი ქრისტეს ხატისა - ადამიანისა, მისი მსგავსი, რომელიც ზრუნავს მასზე, ალერსსა და სულით განაყოფიერებას მოეღოს მისგან. ადამიანს - მამის მართებზე უკუარდევს სამყარო - მღვდლი, იყოს მასთან ერთობაში (-) და ზრუნავდეს მასზე, მართოს იგი, მიჰყავდეს გასხვივებისა და გასულიერებისაკენ და მართავდეს მის სტიქიურ ძალასა და ქოსურ სწრაფვას შემოქმედისაკენ, რათა გაცხადდეს დაბადებულში მისი



დასაბამიერი კოსმოსი. ადამიანი ყველა დაბადებულის მეუფეა, - მეუფე და არა ტირანი და უზურპატორი და ღვთის, დაბადებულის დამბადებლის, წინაშე მოუწევს ავოს მასუბი მისთვის მინდობილის გამო: „ უწყით, რამეთუ ყოველი დაბადებული ჩვენ თანა თანა-კუნესის და თანა-უღმის მოაქამდე... და შეიღებასა მას მოველით, გამოხსნასა მას ხორცთა ჩვენთასა“ (რომ.მ, 22-23). ქრისტემ ასე უაღრესად თავის მოწაფეებს: „უქადაგეთ... ყოველს დაბადებულსა“ (მარკ. 16,15). მაგრამ ვანა დასავლური ცივილიზაცია ყოველი დაბადებულისათვის ქადაგებაა? ვანა ის აღფრთოვანია და ფერიცვალების ხარებაა? ვანა ეს სიტყვა აღთქმულ მიწასა და განახლებულ ზეცაზეა? სამჯერ დამნაშავეა მტაცებლური ცივილიზაცია, ქმნილებს არც შეწყალება, არც სიყვარული რომ არ იცის, არამედ ეძიებს დაბადებულისაგან ოდენ სათაისო ანგარებას, რომელიც მიმართულია არა იმ წადლით, რომ დაეხმაროს ბუნებას მასში შეფარული კულტურის გამჟღავნებაში, არამედ თავს ახვევს იძულებით და პირობით ფორმებსა და გარეგნულ მიზნებს; და, მიუხედავად ამისა, ამ გარსს მიღმაც, ცივილიზაციის ბუნებაზე რომ აღბეჭდილა, მაინც მოჩანს, რომ ბუნება ტექნიკური თვითნებობის გულგრილი გარემო კი არ არის, რომელიც გარკვეულ დრომდე იტანს კიდევ თვითნებობას, არამედ ადამიანის ცოცხალი მსგავსებაა.

რა კუთხითაც არ უნდა მიუღწევთ ადამიანისა და მისი გარემოს მიმართებების საკითხს, ყოველთვის ვამჩნევთ, რომ გარემოზე ძალმომრეობით ადამიანი საკუთარ თავზე ძალადობს და თავისი ანგარებისთვის ბუნების მსხვერპლად მიტანით საკუთარ თავსეუ სწირავს სტიქიებს, მისი ენებებით რომ აღძრულან. ეს გარდაუვალია, რამეთუ ადამიანი და ბუნება არიან ურთიერთმსგავსი და შინაგანად ერთიანი. ადამიანი მცირე სამყაროა, მიკროკოსმოსი. გარემო - დიდ სამყაროა, მაკროკოსმოსია. ჩვეულებრივ ასე ითქმის. თუმცა არაფერი გვიშლის, რომ პირიქითაც განვაყაზადოთ, თუ ადამიანს მაკროკოსმოსს, ხოლო ბუნებას - მიკროკოსმოსს ეუწოდებთ; თუკი ორივე უსასრულოა, მაშინ ადამიანი, ვითარცა ბუნების ნაწილი, შეიძლება იყოს თანაბარ-ძალოვანი თავისი მთელისა, და იგივე უნდა ითქვას ბუნების, როგორც ადამიანის ნაწილის, შესახებ. შეუძლებელია განვაყაზადოთ ერთი სანტიმეტრიანი გვერდის მქონე კუბზე, რომ მასში წერტილები სხვადასხვა მიმართებებით ერთმანეთს შორის მტეია, ვიდრე ათი სანტიმეტრის გვერდის მქონე კუბში: ისინი იქ იმდენივეა, რამდენიც პირველში. ბუნება და ადამიანიც უსასრულოა; და თავიანთი უსასრულობით, როგორც თანაბარ-ძალოვანი, შეიძლება იყვნენ ერთმეორის ურთიერთნაწილები, - მეტსაც ეიტყვი, შეიძლება თავიანთი თავის ნაწილები იყვნენ, თანაც ეს ნაწილები თანაბარ-ძალოვანი არიან ერთმანეთისა და მთლიანის მიმართ.<sup>3</sup> ადამიანი სამყაროშია, ვარნა ადამიანი ისეთივე რთულია, როგორც სამყარო. სამყარო ადამიანშია; მაგრამ სამყაროც ისევე რთულია, ვითარცა ადამიანი. თუკი ფიზიკური კატეგორიის ფარგლებშიც კი ვიკით, რომ ატომზე საუბარი ოდნავადაც არაა იოლი, ვიდრე მზის სისტემის შესახებ, და რომ ნამდვილად არაფრით არ შეიძლება ითქვას, პირველი მეორეზე უფრო მარტივიაო, მაშინ კიდევ მეტად საჭიროა დაეინებით მოვითხოვოთ, რომ არ დავამცროთ სამყაროს ადამიანში ვადისკლის სირთულე, როდესაც არ შეგვიძლია ანგარიში გაუწყოთ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ოკულტურ, სულიერ კატეგორიებს: ჭეშმარიტად იფანტება გაგების უნარი, განჭვრეტისას ვერ ჩასწვდება გონება ადამიანის უსასრულო სირთულეს, სწორედ უსასრულოს, რადგანაც მთლიანად ნაწილებზე, ნაწილებიდან - ნაწილთა ნაწილზე, ამ უკანასკნელთაგან - საკუთრივ მათ ნაწილებზეც დასკლის კვალად, ჩვენ არათუ გამარტივებას ვაძევენებთ თვალს, არამედ, პირიქით, უხედავთ, თუ როგორ იზრდება და მატულობს სირთულე და ადამიანის სირთულის მოჩვენებითი ჩაწვდომისას ხელახლა ვამჩნევთ, და, სახელდობ, წარმოებული წყდობით,



რომ სირთულე გეომეტრიული პროგრესით იზრდება, თუკი პირველს არითმეტიკულად ჩავთვლით. ამოუწურავ მორევად იზილება ცნობიერების წინაშე ადამიანის სირთულე, და ყოველივე ის, რაც მის შესახებ ვიცით, ან, უფრო ზუსტად, რის მცოდნეებადაც ვთვლით თავს; სწორედ რომ წვეთია ზღვაში, თუმცა კი ასეთი შედარებაც ფრიად ბევრს აღიარებს ჩვენი ცნობიერების მიღმა, რამეთუ წვეთი მსგავსია ზღვისა, ხოლო ჩვენი ცხოვრება და რეალობა შეუდარებლად განსხვავებულია. ადამიანი არის უსასრულობა. მაგრამ არაფორმალური ნიშნის მიღმა ადამიანი და სამყარო ერთმანეთის ურთიერთამსახველედ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ადამიანსა და ბუნებას შორის არის ნამდვილი მსგავსება, ნაწილისა - ნაწილთან, გვერდისა - გვერდთან, ჭრილისა - ჭრილთან. ბუნებაში არაფერია ისეთი, რაიც შემცირებული სახით, ჩანასახბუნად მაინც არ ჰქონდეს ადამიანს: და ადამიანში არაფერია ისეთი, რაც, ვთქვათ, დროებით გადიდებული ზომებით, მაგრამ დაკალკეებულად არ აღმოაჩნდეს ბუნებას. ადამიანი არის სამყაროს ჯ ა მ ი, მისი შემოკლებული კონსპექტი; სამყარო არის ადამიანის გახსნა, მისი პროექცია. ეს აზრი ადამიანზე, როგორც მიკროკოსმოსზე, მზარელ გვხვდება სხვადასხვა რელიგიის, ხალხური პოეზიის ყოველნაირ ძეგლში, ძველ ბუნებასმცოდნეობით და ფილოსოფიურ შეხედულებებში. იგი ყველა ქვეყნისა და ხალხის პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივია, ყოველ შემთხვევაში, ლოგიკის საფუძვლისეული წანამძღვარია.<sup>4</sup> რა თქმა უნდა, უფრო იოლი იქნებოდა ამ აზრის მტკიცება თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში თანამედროვე ბიოლოგია მაქვს, მაგრამ ნებისმიერი სიძლიერის ქარისაგან ცვალებად დროში, და თანაც როცა დღევანდელობაში ეს ცვალებადობა დაჩქარებულია, ბუნებათმცოდნეობითი ლებულებანი ფილოსოფიური ანთროპოლოგიისთვის ერთობ ნაკლებმყარი საძირკველი იქნებოდა; ამ აზრით, შეუდარებლად საიმედოა ლირიკის ძირითადი ინვარიანტები, და მითუმეტეს - ურყევეა რელიგიის მტკიცე სიმბოლოები; მიუხედავად იმისა, რასაც ჩვეულებრივ მეცნიერებისმოყვარეთა შორის ამტკიცებენ, განა მეცნიერული „ჭეშმარიტებანი“ მაინც ფრიად ხანმოკლენი არ არიან და თანამედროვე მეცნიერების დაჩქარებული პროცესით კიდევ უფრო უღლეურნი არ ხლებიან? და, ვარადა ამისა, ეს „ჭეშმარიტებანი“ მეტისმეტად სუბიექტურია, თუმცა კი არა ინდივიდუალურ-სუბიექტური, არამედ ჯგუფური. თუ აღარაფერს ვიტყვით მათს შეზღუდულობაზე, რასაც ოდენ ცალკეულ დისციპლინათა და დისციპლინების სხვადასხვა დარგთა სფეროში გამოიყენება განსაზღვრავს. პირიქით, რელიგიის ჭეშმარიტებანი და სიმბოლოები საერთო-ადამიანური და საყოველთაო-ისტორიულინი არიან, თავიანთი საფუძვლით საყოველთაოდ გასაგებნი და საყოველთაოდ მიხალებნი; იგი რჩება ისტორიის ურყვე ღერძად და ცისარტყელის მსგავსია, რომელსაც დრო-ჟამის გრივალი ვერ განაქარავს.

ღრმად მწამს, რომ რელიგიისა და პოეზიის აღიარებას თუკი დაეფუძნება აქ გამოთქმული აზრები, მაშინ მათ საზოგადოდ უზრუნველყოფილი ექნება თანამედროვეობა და ნებისმიერი ცოცხალი სული პოეზებს თავის თავში მათ გამოძახილს მაშინ, როდესაც ბუნებათმცოდნეობითი დებულებანი ოცი წლის შემდგომ მიამიტური და მიკერძობული ხდება, როგორც სასაცილო ძველმოდური ქუდი. ამჯერად, გარკვეული პირობების უქონლობის გამო, საჭირო დასაბუთებისას იძულებული ვარ შემოვიფარგლო მხოლოდ იმ რამდენიმე შემთხვევითი მაგალითით, რომლებიც-კი ხელთ აღმოაჩნდა.

I „თუკი ხალხი ადამიანის ორგანიზმს სრულ მთლიანობაში ცხოველური სიცოცხლის სხვადასხვა სახეობებისა და ფორმებისაგან აწარმოებს, მაშინ ადამიანის სხეულის ცალკეული ორგანოებიც ხალხისგან დედამიწის წიაღიდან, მისი სინოტივიდან და ელემენტებიდან წარმოქმნილად



მოიაზრება. ამ შეხედულებას საფუძვლად უდევს პრიმიტიული (? - პ. ფ.) ადამიანის საყოველთაო წარმოდგენა დედამიწაზე, როგორც ცოცხალ არსებაზე, ადამიანის მსგავსზე, - წერს ა. აფანასიევი. - ასეთი შეხედულების თანახმად, ხალხი ხმელეთის უყოფელანო სიურცებს ადარებს ვეებერთელა სხეულს, ხალ კლდეებსა და ქვებში ხედავს დედამიწის ძელებს, წყლებში - სისხლს, ხეთა ფესვებში - ძარღვებს, ბალახებსა და მცენარეებში - თმას<sup>14</sup>. აქ დროული იქნებოდა შეკვეხსენებინა, რომ ჩვენც თმასა და ფლორის სამყაროს ერთნაირად მცენარეულობად - თმად (растительность) სახელდება. ზემომოყვანილი თანასწორობის მტკიცება, რომელიც ა. აფანასიევმა მიანიშნა, ურიცხვი რაოდენობით შეიძლება მოვიძიოთ. აი, ერთი, შემაჯამებული მაგალითი „ელუციდარიუსიდან“ (ლათ. „Elucidarius“): „დედამიწა შექმნილია, ვით ადამიანი; სხეულად ქვანი აქვს, ძელების ნაცვლად - ფესვები, ძარღვთა მაგიერ - მერქანი და ბალახეულობა, თმის წილ - მხალი“<sup>15</sup>.

2. „თუკი დედამიწა, ხალხური წარმოდგენებით, ადამიანის სხეულის დარადაა მოწყობილი, - წერს იგივე მკვლევარი, - მაშინ, პირიქით, ამ უკანასკნელსაც თავის ორგანიზაციაში მოეპოვება ახლო მსგავსება დედამიწის ორგანიზაციასთან“. და ეს სავსებით გასაგებია: იმიტომაც ადამიანის სხეული დედამიწის სხეულის მსგავსი, რომ ის იქიდანაა აღებული და მასშივე ბრუნდება სიკვდილის შემდეგ. აპოკრიფულ „ეპარდამოკემაში, თუ როგორ შექმნა უფალმა ადამი“ ნათქვამია, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი „აქში მიწის მტკრისაგან“. ამ „აქშიდან“ გამოისახა მისი „სხეული“ (უფრო სწორედ, ხორცი ან რბილი), „ქვათაგან - ძელები“, „ზღვისაგან - სისხლი“<sup>16</sup>.

3. ცნობილ „სავალობელში მტრედის წიგნზე“<sup>17</sup> ვკითხულობთ:  
 „სამყარო - ხალხი ადამისაგან მოგვენიჭა,  
 ძვალნი მაგარი ქვათაგანაა,  
 სხეული ჩვენი - ხორცი მიწისაგან  
 და სისხლი ჩვენი - ზღვის სიშვიისაგან“<sup>18</sup>.

4. ერთ შელოცვაში ნათქვამია: „ძვალი - ქვისა, ძარღვი - აბრეშუმისა“<sup>19</sup>.

5. „პროშანის“ სახელწოდებით ცნობილ XVII საუკუნის ხელნაწერში ი. დ. ბელიაევის<sup>14</sup> კოლექტიიდან 439-ე ფურცელზე პირველადამიანის შესახებ დასმულ სხვადასხვა კითხვას შორის ასეთი შეკითხვაა: „რამდენი ნაწილისაგანაა შექმნილი ადამი? თარგმანება: შეიდი ნაწილისაგან. კითხვა: რა ნაწილებია ესენი? თარგმანება: მიწისაგანაა სხეული, ზღვისაგან - სისხლი, მზისაგან - თვალნი, ქვათაგან - ძვალნი“<sup>15</sup>.

6. „უწორა უფალმა პირველ ადამიანს ადამი ... ებრაულ ენაზე ადამი ასე ითარგმანება: კაცი თიხისა ან წითელი მიწისა, რამეთუ წითელი მიწისაგანაა იგი შექმნილი. ბერძნულად ადამიანი იწოდება მიკროკოსმოსად, რაც მცირე სამყაროა, რადგან დიადი სამყაროს ოთხივე კუთხისაგან აქვს თავისი სახელდება მიღებული“<sup>16</sup>.

ასე იწყება ერთი ხელნაწერი „ოთხიღურთიანი ჯვრის შესახებ“ ა. ი. ვახრამევის კოლექტიიდან (№952, გვ. 49).

ძველ რელიგიათა განხილვისას იმავე მოძღვრებას ვაწყდებით, ძირითადად სამყაროზე, როგორც ადამიანის ასახვაზე - დიადი ადამიანისა, ანთროპომორფული ღვთისა. აქ ჩვეულებრივ მრჩობლი მსგავსება იგულისხმება:

ღმერთი	მსგავსია ადამიანისა
სამყარო	მსგავსია ღვთისა

აქედან:

სამყარო	მსგავსია ადამიანისა
---------	---------------------

და პირიქით

აღამიანი მსგავსია სამყაროსი  
სამყარო არის ანთროპომორფული ასახვა ბრაჰმასი - ინდუსებთან, რასი - ვევიპტელებთან, დიონისეი - ბერძნებთან, ახამოტიასა - გნოსტიკოსებთან და ა. შ. და ა. შ. პარალელები ერთობ მრავლად შეიძლება შევევჩინა, - ყველაფერი ეს კონკრეტულ-რელიგიური გამოხატულებაა კვლავაც ზემოთქმული საერთო აზრისა სამყაროსა და აღამიანის ურთიერთმსგავსების შესახებ. მოვიყვანო რამდენიმე თითქმის შემთხვევით მაგალითს:

7. „იაჯნავალქია, - ეკითხება ბრძენ იაჯნავალქიას (Jajnavalkia) მეორე ბრძენი ჯარათქარავა ათაბათა (Jaratkarava Atabhata), - ოდეს გარდაიცვლება აღამიანი, მაშინ ხმა მისი ცეცხლში მიდის, სუნთქვა მისი - ქარად წარმართება, თვალნი მისი - მზისკენ, ფიქრნი - მთვარისკენ, მისი ყურნი - სამყაროს მხარეთაკენ, სხეული მისი - მიწაში, მისი მუცელი - ეთერში, მისი სხეულის თმა - მცენარეებში, თავისა - ხეებში, წყლებში პოუვებენ თავშესაფარს სისხლი მისი და თესლი მისი. მაშ, სადღაა საკუთრივ აღამიანი?“<sup>17</sup> ინდური სიბრძნით, ასე და ამგვარად უკავშირდება აღამიანის არსის ყოველი მხარე სამყაროს ყოფიერების ამ თუ იმ მხარეს.

8. საყოველთაოდ ცნობილია ინდური წარმოდგენები სამყაროზე, ვითარცა აღამიანის მსგავს რაობაზე და აღამიანის შესაქმნეზე ბრაჰმას - სამყაროს მიერ თავისი საკუთარი ორგანოებისაგან<sup>18</sup>.

„ბრაჰმანები, - ეკითხულობთ ათანასე კირქერის ერთ-ერთ გამოკვლევაში „Chine illustree“<sup>19</sup>, - გადმოგვცემენ, რომ პირველი სამყარო, ცის ქვეშ არსებული, შეიქმნა (fait - შექმნა, ჩამოყალიბება. წარმოქმნა, გაკეთება, გამოსახვა) ბრაჰმას ტეინისაგან, მეორე - თვალისაგან, მესამე - ბაგეთაგან, მეოთხე - მარცხენა ყურისაგან, მეხუთე - სასისა და ენისაგან, მეექვსე - გულისაგან, მეშვიდე - მუცლისაგან, მერვე - გამანაყოფიერებელ ნაწილთაგან, მეცხრე - მარცხენა ბარძაყისაგან, მეათე - მუხლებისაგან, მეთერთმეტე - ქუსლისაგან, მეორმეტე - მარჯვენა ფეხის თითთაგან, მეცამეტე - მარცხენა ტერფისაგან, მეოთხმეტე - ქაერისაგან, ბრაჰმას რომ შემოხვევია. ბრაჰმანები მიიჩნევენ, რომ არსებობს კავშირი ამ თოთხმეტე სამყაროსა და ბრაჰმას სხეულის ნაწილებს შორის; ისინი დასძენენ, რომ ყოველი აღამიანი ამ სხუადსახვა სამყაროშია წარმოშობილი, ითვისებენ მათგან ხასიათსა და მიდრეკილებებს, რომელთაც ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე იუნჯებდნენ: „ვინც პირველი სამყაროდან არიან გამოშობილნი, ბრძენნი და სწავლულნი არიან; ისინი, ვინც მეორედან მოდიან - არიან გამჭირიანნი; მესამედან - მჭევრმეტყველნი; მეოთხედან - დახვეწილნი და ცბიერნი; მეხუთედან - ხარბნი; მეექვსედან - დიდსულოვანნი და შესანიშნავნი, მეშვიდედან - ღუჭჭირნი და ა. შ.; მერვედან - სიამოვნებას, განსაკუთრებით სამიჯნუროს, თავმინებებულნი არიან; მეცხრიდან - მრომისმოყვარენი; მეათედან - სოფლები და ქალაქელები; მეთერთმეტიდან - ხალხის ნადირლები და ყველაზე უარესი სისამაგლით დაკავებულნი; მეორმეტიდან - დამნაშავენი და გამოუსწორებელი არამშაღებნი; მეცამეტიდან - უსამართლონი და უწყალონი; მეოთხმეტიდან - მოსაზრებულნი და მოხერხებულნი არიან. ბრაჰმანები ამ საწყისებზე ამყარებენ ფიზიოგნომიკის ყველა წესს და დარწმუნებულნი არიან, რომ ნებისმიერი აღამიანის სახეზე შესაძლებელია დაინახოთ, თუ რომელი სამყაროდანა იგი წარმოშობილი; ხოლო ამის შემდეგ ბრაჰმანები თამამად მსჯელობენ იმისი ხასიათისა და მიდრეკილებების შესახებ, ვისი სახეც მათ შეისწავლეს“<sup>20</sup>.





9. სამყარო დიდი ადამიანია, - ეს წარმოადგენს ნებისმიერ დროში კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითოლოგემა, რომელ ხალხსაც უნდა მიემართოს. პოლინეზიელებს, პოტენტილებს, ბუშმენებსა თუ სხვა, კულტურის არასაყოველთაო წრის ტომებს, ან ამ კულტურის ყველაზე უფრო ნიჭიერადღებულ წარმომადგენლებს, ყოველთვის და ყველგან ეპოულობთ სამყაროსა და ადამიანის ერთსა და იმავე შეთანასწორებას. ასეთივეა, კერძოდ, ორფიკულ საგალობელთა წარმოდგენები<sup>21</sup>. ზევისი ყველაფერია, - იმღერებოდა ერთ-ერთ საგალობელში, - და შემდგომ სახელდობრ იყო ჩამოთვლილი:

„რამეთუ ყოველივე მყოფობს ზევისი დიად სხეულში.  
სახილველად მშვენიერი თავი მისი და სახე წარმოადგენენ  
ნათლიერს ცას, საიდანაც ყოვლგნით დაეცილება  
მგზებარე ვარსკვლავების უმშვენიერესი ოქროს თმები;  
ხოლო ორი მხრიდან ხარის ორი ოქროს რქა ადგას:  
ადმოსავლეთი და დასავლეთი, - ციურ ღმერთთა გზანი;

სახელდებლი მისნი კი არიან მზე და მეტოქე მზისა - მთვარე“<sup>22</sup> ...

10. და ზემოთყვანილ ციტატებთან თანხმებრად ფერს ზემთავგონება უფრო გვიანდელი ელინისტური ანტიკურობისა:

„მე თავად გავიმხელ, - ასე აუწყებდა ალექსანდრიელი სარაპისი<sup>23</sup> კვიპროსის მეფეს ნიკოკრესს, ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვეს, - მე თავად გავიმხელ, თუ რა ღმერთი ვარ. ციური სამყარო თავია ჩემი, ზღვა - მუცელი; ჩემი ფერხნი მიწაშია, სასმენელნი - პაერში, ხოლო სახედველნი ჩემნი - ელვარე მზეში“<sup>24</sup>.

(ხოლო პლატონი და მის კვლად კი გოეთე<sup>25</sup> ამტკიცებენ, რომ თვალნი მზიური ბუნებისაა, მოიცავს რალაც მზისეულს, (მღრ. გრ. რობაქიძე მზერა-ში მზეს ხედავდა - გ. ა.)

11. მსგავსი დამოწმებების არანაკლები რაოდენობით მოძიება შეიძლება „კაბალაშიც“<sup>26</sup>. მაგრამ, რომ არ გადავიტვირთოთ მაგალითებით, მოვიყვანო მხოლოდ ერთს, რომელიც კი გაგვახსენდა: „ადამიანი მრავალი ასოსაგან შედგება, რომლებიც ერთობლივად მხოლოდ ერთ სხეულს ქმნიან და ასევე ყოველი ქმნილება დედამიწისა ერთადერთ დიად სხეულს წარმოადგენს“<sup>27</sup>.

12. „უწყოდე, - ამბობს მაიმონიდი<sup>28</sup> XII საუკუნის მიწურულს, - რომ მთელი სამყარო, ანუ ყველაზე ზენა სფერო ყოველივესთან ერთად, რაც მასში მოცემულია, სხვა არა არის რა, თუ არა ინდივიდუალური მთელი, მსგავსი ინდივიდებისა - სიმონისა და რუბენისა, და მათში მდგომარე არსთა განსხვავება მსგავსია ადამის მოღვმის რომელიმე ინდივიდის ორგანოთა სხვაობისა. და როგორც რუბენი, მაგალითად, ცალკე პიროვნებაა, აღნავი სხვადასხვა ნაწილთაგან, როგორებიცაა: კუნთები, ძვლები, სისხლძარღვები, სხვადასხვა ორგანო, სითხე და ვაზი - ასევე სამყარო სფეროთაგან, ოთხი ელემენტისა და მათგან წარმოქმნილი ნაერთებისგან შედგება“. შემდგომ მაიმონიდს დაწერილებით მოჰყავს მაკრო და მაკროკოსმოსების მის მიერ აღნიშნული ანალოგია. „ამგვარად, - აჯამებს იგი თავის მსჯელობას, - სამყარო უნდა წარმოვიდგინოთ ერთიან ცოცხალ ინდივიდად, რომელიც მოძრაობს სამშენილის<sup>29</sup> მეოხებით, მასში რომ მდგომარეებს“<sup>30</sup>.

13. აღორძინების ხანის შეხედულებებში მაკრო და მიკროკოსმოსების პარალელი საკმაოდ ხშირადაა მოტანილი. მაგალითად, აგრიპა ნეტესაიმელის<sup>31</sup> ტრაქტატში „საიდუმლო ფილოსოფიისათვის“ გატარებულია აზრი, რომ „ადამიანი, ვითარცა ღვთის სრულყოფილი მსგავსება, წარმოადგენს უმშვენიერესს უფლის ყველა ქმნილებას შორის. ამიტომ იგი მიკროკოსმოსია და თავის თავში მოიცავს ყველა რიცხვს, საწყაოს, საზომს,

მოდრაობასა და ელემენტს. ამის საფუძველზე ძველები ციფრებს თითებით აღნიშნავდნენ, ხოლო ადამიანის სხეულის ყოველ ნაწილში პოუვდნენ ყველა რიცხვს, საწყაულს, პროპორციასა და პარპონიას. ადამიანის სხეულის პროპორციების გათვალისწინებით ისინი ავებდნენ ყველა ტამარს, სახლს, თეატრს, ხომალდსა და მანქანებსაც კი და სხვა ნებისმიერი სახის ნაგებობას, აგრეთვე მათ ყოველ ნაწილს. ასე მაგალითად, უფალმა ნოეს ასწავლა კიდობნის აგება ადამიანის სხეულის ზომებისდა მიხედვით. ამ მიზეზის გამო სამყაროს ეწოდება „დიდი სამყარო“, „მაკროკოსმოსი“, ხოლო ადამიანს - „მცირე სამყარო“, „მიკროკოსმოსი“<sup>12</sup>.

14. გნოსტიკოს ვალენტინუს<sup>13</sup> ქჷონდა პოეტური მოძღვრება პლერომას წიაღიდან დაცემული ახამოტიხაგან სამყაროს წარმოშობის შესახებ; ზღვა ახამოტის ცრემლები, ცისკარი - მისი ღიმილი და ა. შ., - გვასწავლიდა ვალენტინე. ამ მოძღვრების გადმოცემისას წმინდა ირინეოს ლიონელი დასცინობდა გნოსტიკოსებს, მაგრამ ამოდ ეს მოძღვრება ზომ ანალოგიურია პველ მოციქულის მოძღვრებისა ქრისტეზე, როგორც მეორე ადამზე და, გარდა ამისა, საეკლესიო მწერლობასთანაც პირდაპირი პარალელი მოეპოვება. ასე, მაგალითად ტერტულიანტესთან<sup>14</sup> გარკვევითაა ნათქვამი: „ჩვენი სხეული წარმოიშვა (ჩამოყალიბდა) ორი ელემენტისგან მიწისაგან - ხორცი, წყლისაგან - სისხლი, რადგან, თუშცალა თვისობრიობის სხვა სახეობაც არსებობს, ანუ ის, რაც ერთიდან სხვად გარდაიქმნება, მაგრამ რაღა სისხლი, თუ არა წითელი სითხე, რაღა ხორცი, თუ არა იგივე მიწა, ოღონდ თავისი საკუთარი სახით?“ შემდეგ ტერტულიანე ავითარებს აზრს, რომ ჩვენი სხეული იგივე მატერიალური ბუნებაა, იგივე სამყაროა, ოღონდ თავისი რაგვარობით. „განიხილუ ცალკეული ნაწილები: კუნთები ჰგავს მიწის ბელტებს; ძელები - ქეებს; ძარღვების გარშემო არის პატარა კენჭები; შეხედე აგრეთვე განტოტეილად განლაგებულ სისხლძარღვებს, ისინი წყაროების დაკლაკნილი ღინებაა. რბილი თმა ბეწვეულია, თავის თმა - კორდი; ტვინის ფარულად განლაგებული მასები - ესაა სხეულის მადნიანი არხები“<sup>15</sup>.

ოღონდ ტერტულიანეს სიტყვები არ უნდა ჩაითვალოს თავისებურ გამონაკლისად. ხანგრძლივი საეკლესიო ტრადიცია საუკუნეთა მანძილზე ავითარებს აზრს სამყაროსა და ადამიანის ანალოგიისა და ურთიერთსახეის შესახებ, და საყურადღებოა, რომ არა ერთადერთ, არამედ სხვადასხვა ადვოკატს და სხვადასხვა თხზულებაში ეკლესიის ერთი და იგივე წმინდა მამა და საეკლესიო მოღვაწე გადმოგვცემს ამ აზრს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, არაშემთხვევითი თანამიმდევრობით ჩნდება იგი რომელიმე აუტორის ერთიან აზრში. მაგალითისთვის დავასახელებთ თუნდაც წმინდა მამების - გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ლეთისმეტყველის, ბასილი დიდის, იოანე დამასკელის, ისიდორე პელუსიელისა და სხვათა სახელებს, რათა ნათელეყოთ, თუ რაოდენ ხშირად გვხვდება ამგვარი თვალთახედვა.

წმინდა გრიგოლ ნოსელი

„მაკრინა: ბრძენნი ამტკიცებენ, ადამიანი რაღაც მცირე სოფელიაო, თავის თავში იმავე სტიქიებს, რომ მოიცავს, რომლითაც აღესებულია სამყარო. თუკი ეს დებულება მართალია (რაც სარწმუნოა კიდევ), მაშინ ევბა ალარც გვპირდებოდეს სხვა წანამძღვარი ჩვენ მიერ აღიარებული მტკიცებისათვის სულის შესახებ. ზომ ვირწმუნეთ, რომ იგი თავისთავად არსებობს, განსაკუთრებული არსით, განსხვავებულით ხორციელი სისაკისაგან ვინაიდან, როგორც მთელი სამყარო შეიცნობა გრძნობათა მეშვეობით, ასევე ჩვენი გრძნობების საკუთრივი ქმედებით ეკვლიანდებით იმის ჩასაწვდომად, რაც საქმით და გაგებით გრძნობებსა და სახედველზე მალა და ჩვენივის ყოვლისშემძლე სიბრძნის განმარტებად და სამყაროს განმშკერტად იქცევა, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, ვისაც სიბრძნით

ხელთ უპყრია სამყარო; ასევე სამყაროს შემყურეებს, რომელიც ჩვენშია, არ გვაქვს ნაკლები საფუძველი ხილულიდან უხილაკზე, იღუმალზე ფიქრისა. იღუმალი კი ისაა, რაც საკუთრივ თავის თავშია, მთაზროვნე და სახის უქონელი, რაც გაურბის გრძნობით გაგებას<sup>36</sup>.

წმინდა კრიგოლ ღუთისმეტყველი:

„მაგრამ ჯერ არ ყოფილა გონებისა და გრძნობის შეზავება, საპირისპიროთა შეთვისება - უზენაესი სიბრძნის ამ გამოცდილების, არსთა გამოსახვის ამ გულუხვობისა. ამის ჩვენების სურვილით შემოქმედი სიტყვა ქმნის ცოცხალ არსებას, რომელშიც ერთქმნილია პირველიცა და მეორეც, ანუ უხილაეი და ხილული ბუნება; ვამბობ, რომ ქმნის ადამიანს და უკვე შექმნილი საგნებისაგან იღებს სხეულს, ხოლო, თავის მხრივ, მასში დებს სიკოცხლეს (რაც ღუთის სიტყვაში ცნობილია გონიერ სულად და ღუთის ხატად), ქმნის თითქოს რაღაც მეორე სამყაროს - დიადში მცირეს; ადვენს დედამიწაზე სხვა ანგელოზს, აღნავს სხვადასხვა ბუნებისაგან, თაყვანისმცემელს, ხილულ ქმნილებათა მჭურეტელს, გონებითმჭურეტი ქმნილების სამალავს, მეუფეს იმათზე, რაც ამა სოფლადაა, რაც მაღალდასაჯდომელ სამეუფოს ემორჩილება; მიწიერსა და ზეციერს, ფამიერსა და საუკუნოს, ხილულსა და გონებით განსაკურეტს, ანგელოზს, რომელიც იკავებს შუასქელს დიდებასა და სიმდაბლეს შორის; ერთი და იგივე არის სულიცა და ხორციც - სული მაღლისათვის, ხორცი - ამაღლებისათვის; სული, რათა აკვირდეს და აღიღებდეს კეთილისმყოფს, ხორცი, რათა იტანჯოს და ტანჯული იხსენებდეს და ასწავლიდეს, რაოდენ გულუხვადაა დაჯილდოებული სიდადით; ცოცხალი არსება ქმნის, აქ ის წინათვანშადებული და სხვა სამყაროში გარდასვლილია და (რაც საიდუმლოს დასასრულს შეადგენს) უფლისაკენ სწრაფვით განღმრთობის მიმღწევა<sup>37</sup>.

წმინდა ბასილი დიდი:

„საერთოდ კი საკუთარ თავზე ზედმიწევნით დაკვირება განიჭებს შენ საკმარის წანამძღვარს ღუთის შესაცნობად. რადგან, თუკი ყურს მიაპყრობ საკუთარ თავს, არ დაგჭირდება ეძიო სამყაროს შესაქმეში დამბადებლის კვალი, არამედ საკუთარ თავში, თითქოს რაღაც მცირე სამყაროში, იხილავ შენი შემოქმედის სიბრძნეს<sup>38</sup>.

ღირსი მამა იოანე დამასკელი:

„იმის შესახებ, რომ ადამიანს უსულო საგნებთან, უტყვ არსებებსა და გონებამძაღლებულებთან აქვს საერთო. უნდა აღინშნოს, რომ ადამიანს აქვს რაღაც საერთო უსულო საგნებთან, თანაზიარია უგონო ქმნილებათა სიკოცხლესთან და ფლობს გონიერ არსთა აზროვნებას. უსულო საგნებთან ადამიანს ის მსგავსება აქვს, რომ აქვს სხეული და შედგება ოთხი სტიქიისაგან; მცენარეებთან იგივე და ისიც, რომ აქვს კვების, ზრდის, თესლის წარმოებისა და შობის უნარი; ხოლო უგონო ქმნილებებთან აკავშირებს ყველა ზემოდასახელებული მსგავსება და დამატებით ის, რასაც აქვს სწრაფვა, ანუ მრისხანებისა და ნდობისათვის მისაწვდომია, რაც წილდებულია გრძნობით და შინაგანი ენებებით მოძრაობის უნართან (...) . უსხეული და სულიერ არსებებთან ადამიანის თანამსგავსება გონების მეშვეობით ხდება; განსევა, ყოველ საგანზე ცნებათა და მსჯელობათა შექმნა სათნობისკენ სწრაფვით და იმის სიყვარულით აღესრულება, რაც ყველა სათნობის მწვერვალს - ღუთისმსახურებას წარმოადგენს; იმიტომ, რომ ადამიანი არის კიდევ მცირე სამყარო<sup>39</sup>.

ანალოგიურად მსჯელობს ნემესიოს ემესელიც:

„ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ (ადამიანი) უსულოთაცა ეზიარების და უტყუთა ცხოველთაჲსა-თანა აქუს ცხოველობისა და სიტყვიერთაჲსა-თანა მიუღიეს გაგონებისა (ძალი) რამეთუ ეზიარების უსულოთა ვიდრემედ

სხეულთა და ოთხთა ასოთაგან შეზავებითა, ხოლო ნერგთა - ამითცა და მოზარდობისა და მთესველობისა ძალითა; ხოლო უტყუთა - ამათ შორისცა უკუე, მაგრა ნაწლოვნობით და დახუდომისაებრ მიმართებულთა და მხებელობითა და წყრომითა და მგრძნობლობითა და მუშუქინველობისა ძალითა, რამეთუ ესე ყოველი საზიარო კაცთა და უტყუთა არს, დაღათუ არა ყოველთა ყოველთა. ხოლო თანამეხებების სიტყვიერებისა მიერ უსხეულოთა და გონიერთა ბუნებათა, ვითარცა მსიტყუელი და განმგონე და განმსჯელი და თუთულისა მიმდგომი და, თხემისა მის- სათნოებისამთა, კეთილად მსახურებისა შემტკობელი; რომლისთვისცა ვითარ შორის საზღვართადაცა არს კაცი: გონიერთა და გრძნობადთა არსებათადაცა, თანამეხებელი უკუე სხეულთა და სხეულეანთა ძალითა უტყუთა ცხოველთა და უსულოთა, ხოლო სიტყვიერებათა უსხეულოთა არსებათა, ვითარ ისიტყუა პირველვე. რამეთუ, ვითარ ჰგავს, შემოქმედი უმცირესთაგან ურთიერთას შეახებს განთიესებულთა ბუნებათა, რათა ერთ ფოს და თანატომ ყოველი აგებული; რომლისაგან უფრომასად იწუნების ერთფოფამ ყოველთა მყოფთა შემოქმედისა<sup>40</sup>.

წმინდა ისიდორე პელუსიელი:

„და თავად განერიდე ყოველგვარ გმობას; და ჩვენი გადაწყვეტილებაა, რომ, რაც დაგაყენებს საღუთო წერილში, მოითხოვე მკაცრი თანმიმდევრობით. ყველაფერი საითთაოდ რომ დაწერილიყო, კვონებ, ქვეყანაც ვერ დაიტყუდა დაწერილ წიგნებს უფლის სასწაულების შესახებ“, - ამბობს იოანე მახარებელი (ი. 21,25); იმიტომ, რომ ადამიანი, თავის თავში სამყაროს შემადგენელი ყველა სტიქიონის მოციით, თავადაა შემოქმედებული სამყარო. ამიტომ იმ სასწაულებზეც, რომლებსაც, ვითარცა ზებუნებრივს, ღვთაებრივს, ყველა ოდესმე არსებულზე აღმატებულს და ყველაზე მეტად დიადს, ვერ დაიტყუდა ადამიანი, უფრო ხშირად ურწმუნო რომ აღმოჩნდებოდა, მახარებელმა დაასკვნა, სამყარო მათ ვერ დაიტყუოს<sup>41</sup>.

(ალარ გადავიტვირთებით მაგალითებით, რომლებიც სრულად ათვალსაინოებენ ანთროპომორფულ და ანთროპოპათიკურ ხასიათს ძველი და ხალხური აზროვნებისა, უფრო ზუსტად - სამყაროზე საერთოადამიანურ აზროვნებას).

### შენიშვნები

ქართული წარმართული რელიგიისა და მითოსის, აგრეთვე ხალხური პოეზიის წარმოდგენებში ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართება ანალოგიურად ერთმანეთისადმი გამჭოლად და დასახული: ადამიანი და ბუნება არის ურთიერთმსგავსი და შინაგანად ერთიანი. ადამიანი ცის შეილია, მისი მშობლები და და-ძმანი კოსმიური მნათობები არიან:

„მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი,

მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი“.

ასეთი ლექსის შექმნის წინაპირობა, პირველ ყოვლისა, ალბათ, ის წარმართული რელიგია იყო, რომლის შესახებაც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში ვკითხულობთ: „რომელნიმე უგდებდეს ცასა და სხუანი მზესა და რომელნიმე მთვარესა, რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე მფრინველთა და რომელნიმე ქვეყანასა და მხეტთა და ნადირთა და ხეთა“ (გვ. 107). მაგრამ ეს არ არის მხოლოდ წარმართული თვალთახედვა. ადამიანისა და სამყაროს ურთიერთშერწყმის ხაკითხი ქრისტიანულ მსოფლხედვაში და, კერძოდ „ქართულ“ ეგზეგეტიკაში ასეა წარმოდგენილი: ადამიანი „საცნაურ“ არს ზიარ ... ვითარ ქვეყანითა და წყლითა და ჰაერითა და ცეცხლითა“ (ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, იოანე პეტრიწის თარგმანი, გამოსცა ს. გორგაძემ, ტფ., 1914, გვ. 6).

ადამიანი ბუნებით წარწყმდება და ბუნებითვე ცხოვრდება. ამაზე მეტყველებს ბიბლიური ტრადიცია: კეთილისა და ბოროტის ხის ნაყოფის ჭამით ადამ-კადმონში შედის „ხრწნადი კაცის... ხატება“ (რომ. I, 23). თუმცა საკუთრივ ვაშლი, ღვთისავე განგებით, წმინდა სამების „მსახვებელი“ (ნიკოლოზ გულაბერისძე) შეიძლება იყოს: „იხილეთღა ერთისა მის მრავალთა თანამსა ნურგისა, რომელ არს ვაშლი, თუ რომელსა საკურეულებასა საცნაურ-ჰყოფს; რამეთუ რაჟამს რეცა დამბადებელისა მისისა წმიდისა სამებისა სახესა დაგვსახედეს, ერთად რაჟამს სიტურფესა ზედა შუენიერებისასა განგუაკურებდეს და მეორედ გემოს ხილვითა სასასა დაგვტკობდეს, ხოლო მესამედ სურნელებისა ყნოსითა სულთა შუებულ ჰყოფდეს და უტყუ იგი უენოთა ბავითა ჩუენ მიერ დამბადებელსა ხმა მალლად აკურთხევდეს, ვის არა უკვირდეს კაცთმოყვარებითი ევე სიბრძნე და განგებულება შენი, მუჟუფო და ღმერთო ყოველთაო, ხოლო არა ვიდრემე შეუძლებელ ვგონებ უმეტერებისა ჩუენისაგან თუთოულისა ხელოვნებისა ნასიბრძნისა წარმოჩენით საცნაურ ქმნაჲ“ (ნიკოლოზ გულაბერისძე, „სკეტიცხოვლის საკითხავი“ - მიხეილ საბინი, „საქართველოს სამოთხე“, პეტერბურგი, 1882, გვ. 70).

სამყაროს მთლიანობის პრინციპი და გზა საკუთარ თავში, როგორც მცირე სამყაროში, შემოქმედის სიბრძნის ხილვისა, სატანის დამორგუნველი სიყვარულით, „ვეფხისტყაოსნის“ პირველივე ორ სტროფშია მოცემული:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,  
ჩუენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გუაქენ უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოული ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ქე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნეად მე სატანისა,  
მომეც მიჯნურთა სურელი სიკვდილდე გასატანისა,  
ცოდვითა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.

ახე რომ, ღმერთი-სიყვარული („ღმერთი სიყვარული არს“-I. ი. 4,8) ეს არის შემაკავშირებელი მიკრო და მაკროკოსმოსებისა და, ამასთანავე, ბოროტების დამორგუნველიც (ამ კონტექსტში ავთანდილის პლანეტებისადმი მიმართუაც შეიძლება და გაგვეხსენებინა).

აქედან გამომდინარე, პაველ ფლორენსკის მოსაზრება ადამიანისა და სამყაროს, ანუ მიკრო და მაკროკოსმოსების, ურთიერთმსგავსების, ერთურთით გამსჭვალვის შესახებ, გარკვეული აზრით, კიდევ უფრო ღრმავდება. ახალ აღთქმაში წერია: „რაც შეიძლება იცოდე ღმერთზე, ცხადია მათთვის იმიტომ, რომ ღმერთმა გამოუცხადა მათ („უღმერთობისა და უსამართლობის მოქმედ კაცებს, უმართლობით რომ ახშობენ ჭეშმარიტებას“). რადგან ის, რაც უხილავია მასში, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა მისი, სამყაროს შექმნიდან მისსვე ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება... და უხრწნელი ღმერთის დიდება ხრწნადი კაცის, ფრინველთა თუ ქვეწარმავალთა ხატებაზე გაცვალეს“ (რომ. I, 19-20,23). ეს კი იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ ბუნების კანონებსა და მორალის კანონებს ერთი წყარო აქვთ. ამიტომ მაკროკოსმოსსაც, თავის მხრივ, მორალური განმარტება მოეპოვება.

1. იხ. Флоренский П. Органопроскшия (თავი ნაშრომიდან “У водоразделов мысли”. 1922) - “Декоративное искусство СССР”, 1969, №145, 39-42.

2. იხ. აგრეთვე პაველ ფლორენსკის ნაშრომი “София” /319-392/ წიგნიდან “Столп и утверждение Истины. Опыт православной теодицеи в двенадцати письмах священника П. Флоренского. М., “Путь”, 1914.

3. ცნება „მთლიანი“ განხილულია მე-3 გამოცემაში შრომისა “У водоразделов мысли” (იხ. პროექტი წიგნი: Павел Флоренский. Минимости в геометрии. Расширение области двухмерных образов геометрии. Опыт нового истолкования минимостей. - М., “Поморье”, 1922).

4. აი, მაგალითები ახალი ლიტერატურიდან: „რალას ელი, რისი იმედოღა უნდა გქონდეს ამგვარი გაგებით მოშაკდევს... მოუნანიებლად? - ეკითხება ქვენიინ დორუარდი ბომა პაირადინგს (მოქმედება ზდება ლუდოიკო XI-ის დროს XV ს-ის მეორე ნახევარში). - ბუნებასთან შერწყმის, - პასუხობდა (იგი). - მწამს, ვიმედოვნებ და ველი, რომ ჩემი იდეაალი ადამიანური ვარსი ბუნების საერთო მასაში დადნება, რომლიდანაც ბუნება ყოველ საათში ამოკრეფს იმას, რაც სჭირდება და აღადგენს ყოველივეს სხვადასხვაგვარი ახალი ფორმით, რათა ისინიც თავის მხრივ გაქრნენ და აღორძინდნენ. ამ რწმენით უცხოურობ, ამითვე აღვესრულები...“ (უოლტერ სკოტი. Собрание сочинений Вальтера Скотта. Т. 8. Квентин Дорвард. Глава 34 “Казнь”, СПб., 1897).

5. ლექციაში ეს ადგილი შემდეგნაირადაა გადმოცემული: „მე არ მაქვს საშუალება, მოგაწოდოთ საკმარისი რაოდენობის მაგალითი უბრალოდ დროის უქონლობის გამო. ამიტომ მოვიყვან იმას, რაც ალალებდზე ხელთ მომხელა“.

6. აღექსანდრე ნიკოლოზის ძე აფანასიევი (1826-1871 წწ.) იყო რუსული ხალხური პოეზიის, რწმენისა და წეს-ჩვეულებების მკვლევარი.

7. იხ.: Афанасьев А. Н. Поэтические воззрения славян на природу. Опыт сравнительного изучения славянских преданий и верований, в связи с мифическими сказаниями и верованиями других родственных народов. Т. 1. М., 1865, 139.

8. „ელუციდარიუსი“ შუა საუკუნეთა ნატურფილოსოფიური ტრაქტატია, რომლის თარგმარებული ლათინური ვარიანტის ავტორად ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109 წწ.) ითვლება. რუსულ ენაზე, ევროპაში დიდად გავრცელებული ეს თხზულება, გადმოღებულ იქნა გერმანულიდან XVI ს-ის დასაწყისში, 1525 წლამდე. თარგმნა ფსკოვის მეფისნაცვალმა გ. ი. ტოკმაკოვმა. რუსეთში ეს ტრაქტატი სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი. რუსული რედაქციის „ელუციდარიუსი“ მცირე მოცულობისაა და რამდენიმე დამატება აქვს. ამ წიგნს გმობდა ეკლესია, მაგრამ პოპულარული იყო XVI-XVII საუკუნეების რუსეთში

„ელუციდარიუსი“ ითვლება აპოკრიფულ კრებულად იგი თავისებური ენციკლოპედიაა, რომელშიც განხილულია ღვთისმეტყველების საკითხები, სამყაროს შესაქმნის პრობლემები, ბუნებრივი მოვლენები და სხვა. მასში ხშიანდება ალორძინების ეპოქის ჰუმანიზმისა და რაციონალიზმის იდეები.

9. იხ.: Афанасьев А. Н., დასახ. ნაშ, გვ. 139.

10. იხ.: Памятники старинной русской лит-ры, изд. Г. Гущелевым-Безбородко. Вып. 3. Ложные и отреченные книги русской старины, собранные А. Н. Пыпиным. СПб., 1862, 12.

11. „მტრედის წიგნი“ ძველი რუსული ხალხური სასულიერო ლექსების კრებულია.

12. იხ.: Бессонов П. А. Калекы переходис. сб. стихов и исследование, Вып. 2. М., 1861, 301.

13. იხ.: Ветухов А. В., Заговоры, заклинания, обсерги и другие виды народного врачевания, основанные на вере в силу слова (из истории мысли).

Вып. 2. Варшава, тип. Варшавского учебного округа, 1907. Отт. из "Русского филологического вестника". 247.

14. იბ.: Викторов А. Собрание рукописей И Д. Беляева. М., 1881. Собрание рукописей И Д. Беляева (1810-1873), ныне хранится в отделе рукописей ГБЛ.

15. იბ.: Памятники старинной русской литературы, изд. Г. Кушелевым - Безбородко, 9,29, 433.

16. ნეტარი ავეუსტინე /Fr. G. super Ioann/ და მანამღე კიპრიანე /Comment. de saineit Line/, ხოლო მათ შემდეგ Boda Venerabilis /Commctaria super Johannes/ მიიჩნეოდნენ, რომ პირველ ადამიანს ადამი /ADAM/ იმიტომ ღაერქუა, რომ მიწა, რომლისგანაც იგი გამოისახა, ღმერთმა ქვეყნის ოთხი მთაყარი მხარიდან აიღო, რაც მისი სახელის ოთხ ასოს შეესაბამება, სხვანი ფიქრობენ, რომ ამ ოთხი ინიციალით ... ადამის სახელში აღნიშნულია, რომ მისი მთამომავლობა განაწილდება ქვეყნის ოთხ კიდეში. ასეთი თარგმანება სიბილას ორაკულებსეულია.

17. იბ.: Трубецкой С. Н. Учение о Логосе в его истории, собрание сочинении в шести томах. Т. 4. М., 1906, 216-217.

იბ.: Боголюбов Н. М. Философия религии. Т. I. Историческая, Киев. тип. ун-та св. Владимира, 1915. Отт. из "Университетских известий" за 1915 г., 152.

18. „მარადიულმა შეხელა ამ არსებას (ბრაჰმას) და განახუნა მან თვისი ბაგენი, როგორც კვერცხი; ბაგეთაგან გადმოვიდინა სიტყვა, სიტყვისაგან წარმოიქმნა ცეცხლი. გაფართოვდნენ ნესტოები, მათგან გადმოვიდინა სუნთქვა, სუნთქვისაგან წარმოიშვა ჰაერი. განიხუნენ თეაღნი, მათგან გამოვიდა ნათელი სხივი, ამ სხივისგან იქმნა მზე. განიხუნენ ყური, მათგან წარმოიშვა სმენა, სმენისაგან - სივრცის სფერო. განივრცო კანი, იქიდან ამოვიდა თმები, თმათაგან წარმოიქმნა ბალახეულობა და ხეები. გაიხსნა მკერდი, მკერდიდან გამოვიდა სული, სულისგან იქმნა მთაყარე. გაირღვა ჭიპი, ჭიპისაგან წარმოიშვა ყლაპვა. ყლაპვისაგან - სიკვდილი. გამოიჩნდა შობის ორგანო, მისგან გამოვიდა მწარმოებელი თესლი, ხოლო თუსლისაგან იქმნა წყლები“ /Новицкий О. М. Постепенное развитие древних философских учений в связи с развитием языческих верований. ч. I. Религия и философия Древнего Востока. Киев. Унив. тип. 1860, 162-163; /შენიშვნა პველ ფლორენსკის ხელნაწერიდანა მოყვანილი/.

19. ათანასე კირაკერი (1602-1680 წწ.) გერმანელი სწავლულ-ენციკლოპედისტი, ავტორი წიგნისა "China monumentis illustrata" (1667).

20. Picart Bernard. Ceremonies et coutumes religieuses de tous les peuples du monde representees par des figures dessinees de la main ... Avec une explication historique ... guelgues dissertations curieuses. T. I. Amsterdam, 1723-1733, p. 109-110.

რაც შეეხება ფიზიოგნომიკას: ესაა ანტიკური და შუა საუკუნეთა ეპოქების მეცნიერება, რომლის მიხედვითაც, მთელი ცხოველთა სამყარო მორალური სიკეთისა და მორალური ბოროტების თვალთხილულ ემბლემათა გალერეაა. ჩვეუა ადამიანის ხილვისა ცხოველში შევლებს აიძულებდათ ადამიანში დაენახათ ივაური ცხოველი.

ფიზიოგნომიკას ანტიკურმა ტრადიციამ მეცნიერების სტატუსი მიანიჭა და თანაც ფრიად სერიოზულისა და პატივსაცემისა. ფიზიოგნომიკით დაკავებულნი იყვნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც არიან პიპოკრატე და

არისტოტელე. ეს მეცნიერება არაა მაგიური დისციპლინა. ცხოვრებისეული გამოცდილება გვარწმუნებს ფიზიკურ ნიშნებსა და ხასიათის თვისებებს მორის კაცშიის რეალურებაში. ანტიკურობისა და შემდგომ შუა საუკუნეებისათვის ფიზიკონომიკა არის ისეთივე სრულფასოვანი მეცნიერება, როგორცაა, ეთქვათ, განმანათლებლობისათვის ნეუტონისეული ფიზიკა (ს. ავერინცევი).

გვიანანტიკური და ადრებიზანტიკური ფიზიკონომიკის თანახმად, ადამიანის გარეგნობა და ცხოველის გარეგნობა პრინციპულად, როგორც „ზნისა“ და „ბუნების“ გასაგნება, გათანაგვარებულია. ამას ემატება ქრისტოლოგიური თვალთახედვა, რომლის მიხედვითაც, ადამიანი არჩევანისას თავის-უფალია. სწორედ ნების თავისუფლება განასხვავებს ადამიანს „სიტყვიერი“ არსების სახით „უტყვი“ ცხოველებისაგან. მხეც არ ძალუძს შეცვალოს საკუთარი ბუნებრივი „ზნე“, თავისი „გონება“, ადამიანს კი ეს ხელუწიფება. „გონების შეცვლა“ - ესაა ბერძნული სიტყვის „მონანიება“ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა. არ არსებობს ცოდვილი, რომელსაც არ შეეძლოს მონანიება, ისევე როგორც არაა რჩეული, რომელიც არ შეიძლება დეეცს. თავისუფალი ნების ქმედება, რითაც ადამიანი ცხოველისაგან განსხვავდება, შეიძლება ნადირთა სახით წარმოდგენილიყო. მაგალითად, პაულე მგელია, რომელიც ცხვარი გახდა, ხოლო იუდა იყო ცხვარი და მგელი შეიქნა. ამ შემთხვევაში ქართული ორიგინალური მწერლობიდან პარალელის მონახვა არ ჭირს. „შუშანიკის წამების“ მიხედვით, ვარსკენი თავისი ნებით მგელი, ხოლო შუშანიკი - კრაკი ხდება. ასეთი მაგალითები მონახვა სასულიერო ლიტერატურაში არ ძნელდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდინარე, ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველებისაგან, რომ ირჩევს, თუ რომელი ცხოველი გახდეს: ცხვარი თუ მგელი, კრაკი თუ დათვი, მტრედი თუ გველი. გაეიხსენოთ ახალი აღთქმისეული სიტყვები: „ულმერთობისა და უსამართლობის მოქმედმა კაცებამო“ „ღმერთის დიდება ზრწნადი კაცის, ფრინველთა თუ ქვეწარმავალთა ხატებზე ვაკვალეს“ (რომ. I, 23). ამიტომ სწორედ თავისუფალი ნება ანიჭებს ადამიანს „გონებით ღმერთის წედლობის“ (რომ. I, 28) მადლს.

ფიზიკონომიკის მიმართ რომ შუა საუკუნეთა აზროვნება დიდ ინტერესს ამფლავნებდა, ამაზე მეტყველებს IX ს-ის დასაწყისში ნათარგმნი ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი“, ანუ „მკეტათეს სახისა სიტყუაჲ“, რომელიც შეტანილია ქართული მწერლობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თხზულებაში „შატბერდის კრებული“. სხვა ნაწარმოებებთან ერთად „მკეტათეს სახისა სიტყუაჲ“ ამ კრებულში იმ მიზნითაცაა მოთავსებული, რომ გაარკვიოს და დააზუსტოს „მოქცეუაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში მოხსენიებული ცხოველების ემბლემატიკა და სიმბოლიკა.

21. ორფიკული კიმნები სრულფებლოა ორფიკოსთა შეკრებებზე ანტიკური მისტერიების მონაწილეთა მიერ. ორფიზმის, ძველი საბერძნეთის რელიგიურ-მისტიკური მოძღვრების, დამაარსებლად ითულება მითოსური პოეტი ორფეუსი, ძე მდინარის ღვთაება ეაგროსისა (ზოგი ვარიანტით, აპოლონისა) და კლიოპეს - მუზების მეთაურის, სიმღერების ღმერთქალის ვაჟი. ორფიზმი ვრცელდება ძველ საბერძნეთში ქრისტეს შობამდე VIII ს-დან.

22. იხ.: Корсунский И. Н. Судьбы идеи о Боге в истории религиозно-философского миросозерцания Древней Греции. Харьков, 1890. Отд. отт. из Журнала „Вера и разум“, 98.

Orphica. Vol. 1-2. Recensuit G. Hermannus, Lipsiae. 1805, ss. 457-458.

Lobeck Chr. Aug. Aglaophamus, sive de theolog. mysticue graecorum causis. T. 1-2. Regimontii, 1829, ss. 521-525.



Mullach Fr. Quil. Aug. Fragmenta philosophorum graecorum. Vol. 1-2. Parisiis, 1867-1875. Vol. 3. 1881, s. 169.

23. სარაპისი (სერაპისი) ცისა და ქვესკნელის ეგვიპტურ-ბერძნული ლუთაბაა. სარაპისის კულტი წარმოიშვა ქრისტეს შობამდე IV ს-ში ეგვიპტური და ბერძნული რელიგიური წარმოდგენების შერწყმის შედეგად.

24. იხ: Macrobius Auz. Theodos. Saturn. - [Opera... vol. 1-2. Biponti, 1788]. 1. p. 20.

25. „მზესავით ელვარე რომ არ ყოფილიყო თვალი, ვერ შეძლებდა ადამიანი მნათობის ზილვას, ჩვენში რომ არ ყოფილიყო ძალა ღვთიური,

ვით შევძლებდით ოდესმე ღმრთივ აღფრთოვანებას“. / Göthe. Zahme xenien. III , s. 279. შენიშვნა აკველ ფლორენსკის ხელნაწერიდანა მოყვანილი .

26. კაბალა (ძველებურად „გარდმოცემა“) მისტიკური მიმდინარეობაა იუდაიზმში. მასში შერწყმულია ბიბლიური წარმოდგენები სამყაროს სიმბოლოებზე, აღმოსავლური გნოსტიციზმის, პითაგორიზმის ელინისტური ფილოსოფიისა და ნეოპლატონიზმის შეხედულებები. III-VIII საუკუნეებს შორის შექმნილი ტრაქტატი „სეფერ ჰაიცერი“ / „Sefer Yezirha“, „წიგნი შესაქმნეთა“, რომელიც წარმოადგენს აბსტრაქტული ჰერმეტიკის პირველ ცდას, ებრაულ ენაზე უკვე შეიცავს სამყაროს იმ პირველ კაბალისტურ 32 ელემენტს, რომელთაც განეკუთვნება ძირითადი 10 ციფრი (სეფიროთი) და ებრაული ანბანის 22 ასო. მოგვიანო პერიოდში (აღორძინების ეპოქაში) კაბალაში ინტეგრირებულია მაგიისა და ოკულტიზმის ელემენტები. როგორც ვარაუდობენ, „კაბალას“ ფუძემდებლური ძეგლი „ზოჰარი“ / „Zohar“, „ციალი“ / XIII ს-ის ბოლოს კასტილიაში არამეულ ენაზე დაწერა მოშე დე ლეონემ და შრომის ავტორად II ს-ის თაღმუღისტი რაბინი შიმონ ბენ იოხაი გამოაცხადა. კაბალას მთავარი თხზულებების - „ციალისა“ და „წიგნი შესაქმნეთა“ სიმბოლური განმარტებანი თითოეულ სიტყვასა და ციფრს განსაკუთრებულ მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს.

27. იხ: Nork F. Rablinische Quellen und Parallelen zu neutestamentlichen Schriftstellen. Leipzig, 1839, S. 231.

28. მაიმონიდი (მოსე ბენ მაიმონი, 1135-1204 წწ) შუა საუკუნეთა ებრაელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და ექიმი. მაიმონიდის ციტირებული ტრაქტატი „მერყეეთა მოძღვარი“ („Doctor perplexorum“) დაწერილია არაბულ ენაზე 1190 წელს, 1204 წელს ნათარგმნია ებრაულად და შემდეგ - ლათინურადაც.

29. თანამედროვე ქართულ ფილოლოგიაში ამ ტერმინისა და მისი აღდგენის მიმართ არაერთხელ გამოიხატა დამოკიდებულება. ჩვენი აზრით, მისი დამკვიდრება მეცნიერულ გამოკვლევებში აუცილებელია, მითუმეტეს, რომ „სამშეინველს“ „სულისავან“ გაშიჯენა ხშირად ტექსტების მიხედვით ჭირდა, არ ხერხდებოდა და არ ხერხდება ხოლმე. ამიტომაცაა, რომ შუა საუკუნეთა ქართველი მთარგმნელები - ბიბლიის გადმომღებნი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი თუ სხვანი - არცთუ იშვიათად ხმარობდნენ ტერმინ „სამშეინველს“.

ებრაულად „სამშეინველი“ არის „ნეფეში“, რაც ნიშნავს „დაბერვას“, „მსუბუქ ქროლვას“. მართლაც, ქროლვა ან სუნთქვა ცოცხალი არსების უსულო სავანათაგან განმასხვავებელი ნიშანია. გავიხსენოთ ბიბლიის პირველივე წიგნი „დაბადება“: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმან ქუეყანისავან. და შთაბერა პირსა მისსა სული (ნეშამახი) სიცოცხლისაჲ, და იქმნა კაცი იგი სულად (ნეფეში) ცხოველად“

(დაბ 2,7). ახალქართულ თარგმანში ასეა: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტკერიზაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“. ასე რომ, იყო ცოცხალი, ნიშნავს, ჯიონდეს სუნთქვა: „პარამური ბნელისა დახვეულ არს თუალთა ჩემთა და სული ჩემი იარების გეჰმას ჩემსა“ (III მფუ. 1, 9); „სული მისი მის თანა არს“ (საქმ. 20, 10). როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, სული ამოხდება მას (დაბ. 35, 8). ამიტომ სამშენველი - ესაა არსობრივი საწყისი, რომელიც სხეულისაგან დამოუკიდებლად არსებობს, თუმცა კი მასში მდგომარებს. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ფსალმუნში ერთგან (71, 14) სამშენველი სისხლთანაა გაიგივებული; „სისხლშია ხორციელის სული“ (ლევ. 17, 11), „სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია, მის სულშია იგი“ (17, 14), „სისხლი სულია და სული ხორციან ერთად არ უნდა ჭამო“ (მეორე რჯ. 12, 23). ამგვარად, სამშენველი ყოველი ხორციელისაა არს სისხლი თვისი“.

რაც შეეხება სულის სამშენველთან მიმართებას: სულხან-საბა ორბელიანი „სამშენველს“. „საფშენველს“ „უტყვ სულად“ განმარტავს და იმონუმებს ესაია წინასწარმეტყველს: „და დახცხრებით კაცისაგან, რომლისა სამშენველი მისი ცხვირთა შინა მისთა არს, რამეთუ რაღას შერაცხილ იქმნა მათდა?“ (ესაია, 2, 22. აბ. თარგმანი: „პარემ გაეცალეთ ადამიანს, ნესტოებში რომ უდგას სული, რადგან რაღა ღირსება აქვს მას?).

„სულს“ კი ასეთ განმარტებას ურთავს: „სული - ნერგნიცა სულიერად ითქმინა, რამეთუ აქვს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვანებისა ძალი. ხოლო სული პირუტყვთა, რომელ არს სამშენველი, სისხლისაობითი და სიცოცხლითი განმატფელობითი, მოძრაობითი ნივთიერებისა ძალისა მოქმედება და გრძნობის ქონება; ხოლო კაცთა სული - სიტყვიერი, არსება-გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი და უკვდავი, არსებაწეული, უსახო, ხატი და მსგავსი ღეთისა; სული ანგელოზი - სიტყვიერი და გონიერი და მეორე ნათელი; და ემმაქინცა, რომელთაცა თვით დაიბებულეს თავნი თვისნი ამაჰარტაენებითა; და სული - სული წმინდა - დამბადებული ამათ ყოველთა, პირველი ნათელი და მიუწვდომელი; ქარნიცა სულად უთქვამთ (ითქმის, აღუწერიათ)“.

სხვა ხელნაწერშიც არანაკლებ საინტერესოადაა ეს სიტყვა განმარტებული: „სული გულისხმა-იყოფების ორგვარად: სული - სულიწმიდა უნიეთო; სული - ანგელოზი, სახიერი; სული - ემმაქი; სული - სულიცა ჩვენი. ხოლო არს, ოდესმე გონებაცა სულად ითქვას ქარისა, ხოლო განეყოფვის სული სიტყვიერი სულსა პირუტყვთასა: არს სული სიტყვიერი, არსება-გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი ხორციცა ცხოველსყოფელობითი და მდგომარეობისა მიმცემელობითი; სული არს - არსებაწეული, უსახო, ხატი და მსგავსი ღეთისა; ხოლო პირუტყვთა სული არს სისხლისაობითი სიცოცხლითა და განმატფეობელობითი და მოძრაობითი ნივთიერისა სულისა მიერ მოქმედება და ძალი ნივთიერი მოქმედებითი და გრძნობითი და ხორცი შემამტკიცებელობითი“.

არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ფაქტობრივად ესაა გამოკვლევა ერთ-ერთ უმთავრეს თეოლოგიურ ტერმინ „სულზე“. ასეთი ვრცელი ციტატის მოყვანა იმისთვის დაგვიკირდა, რათა გვეჩვენებინა, თუ რაოდენ უუსტად აქვთ გაცნობიერებული ჩვენს წინაპრებს მიკრო და მაკროკოსმოსების ერთიანობა, სამყაროს ანთროპომორფულობა. ამასთანავე, სულხან-საბა ორბელიანის ზემომოყვანილ მსჯელობაში სწორედ ის სხვაობა ჩანს, რომლითაც სამშენველი და სული ემიჯნებიან ერთმანეთს; „თავადმან ღმერთმან მშვიდობისაძამ წმიდა გვენინ თქუნე ყოვლითა სრულებითა და ყოვლითა სიცოცხლითა, სული თქუენი, სამშენველი და გუამი უბიწოდ მოსლესა მას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა დაჰმარხენინ“, - წერია ახალ აღთქმაში (1 თესალ. 5,

23) (ახალ თარგმანშიც განსხვავებულია „სული“ და „სამშინველი“). „სამშინველისაგან“ განსხვავებით, „სული“ არის არა სუნთქვა, უტყვი ან სისხლი (ლევ. 17, 11), არამედ შიშის (დაბ. 41, 8), მრისხანების (მსაჯ. 8,3), სიზარულის (დაბ. 45, 27), სიამაყის, ბოროტების, შურის, ეჭვიანობის (რიცხვ. 5,30), სიძულვილის (მსაჯ. 9,23) ანუ ერთიანად, ადამიანის, ვითარცა მიკროკოსმოსის, ცნობიერების გამოხატულება. უფლისათვის ამ სულის შევედრება (ფს. 30,6; ლ. 23,46) ერთდროულად ნიშნავს უკანასკნელი სუნთქვის აღმობდომას და ლეთისათვის საკუთარი ერთიანი სასუნჯის, საკუთარი არსის ჩაბარებას. ასე რომ, სული შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, „არსება-წვლილი უნიუთო, უსახო, ხატი და მსგავსი ლეთისა“, და, მეორე მხრივ, ეშმაკის სულის მსგავსად, „თუთ დაბნელებული თვის ამპარტაუნებითა“, შემოსილი „ხრწნადი კაცის... ხატებით“ (რომ. 123).

30. რუსში „Столп и утверждение Истины“ ციტატა გრძელდება: „ასეთი წარმოდგენა ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან, ჯერ ერთი, მას, როგორც ქვემოთ დავინახეთ, ღვთის ერთობის მტკიცებამდე მივყავართ; მეორეც, იგი გვიჩვენებს, რომ ერთი ნამდვილად ერთიანს ქმნის“ /იხ. Павел Флоренский, Столп и утверждение Истины: 280; Базилевский М. Влияние монизма на развитие знания- Киев. 1883, 20/.

31 აგრიპა ნეტესპაიმიელი (ქენრიხ კორნელიუს აგრიპა ნეტესპაიმიდან, კიოლნის მახლობელი სოფლიდან, 1486-1535 წწ.) გერმანელი მოაზროვნე, მედიკოსი ოკულტიზტია. იგი რეფორმაციას თანაუგრძობდა.

ტრაქტატი „საიდუმლო ფილოსოფიისათვის“ /"De occulta philosophia libri"/ 1531-1533 წლებშია დაწერილი.

32. იხ.: Лсман А.тьфред Георг. Иллюстрированная история суеверий и волшебства от древности до наших дней. Пер. с немцц, изд. Пемсрссна. Просмотр. автором книги под. ред. В. Н. Линд. - М., 1900, 207; Agrippa von Nettesheim Heinrich Cornelius. La philosophie occulte ou la magie de Henry Corneille - Agrippa, divisee et trois livres et augmentee d' un guatrieme. apocryphe attribue a' p' autcur.. 1-re trad. Francaise compl' etc. T. 1, livre 2, chapitre XXIII. Paris, 1910 (yes classiques de l' occulte), S. 322.

33. ვალენტინე გნოსტიკოსი ფილოსოფოსი, ეროტიკოსია. დაიბადა ეგვიპტეში II ს-ის I ნახევარში; რომში ჩავიდა 140 წელს, გარდაიცვალა კვიპროსზე დაახლოებით 181 წელს. ვალენტინეს თხზულებებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, გარდა იმ ფრაგმენტებისა, რომლებიც დაცულია მისი თანამედროვის, წმინდა ირინეოს ლიონელის (202 წ.) ცნობილ შრომაში „მხილება და დამხობა ცრუ ცოდნისა“ („წვალებათა წინააღმდეგ“). ვალენტინეს სისტემის საფუძველში ღვთაებრივი შესაქმის აბსოლუტური სისავისის საერთოგნოსტიკური იფეა ძეგს, რომელიც ოცდაათი ძალის - ეონის (საუკუნოდ მყოფი) ემანაციის წყაროს წარმოადგენს. მათგან წარმოიშობა და ვიბრუნდება ყველა აღსაქმელად შესაძლებელი ქვემარტება. ადამიანში სამი საწყისია: მატერიალური, სამშინველური (მშენიერი), დემიურგისგან მიღებული; სულიერი, ჩადებული სოფია-აზამოტის მიერ; ა. ლოსევის გამოკვლევით, ვალენტინეს გნოსტიციზმი წარმოადგენს „ქრისტიანობის მითოლოგიზაციას, რომელიც თითქოსდა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის გარდამავალი რგოლია“.

მსგავსი მსჯელობა არც მოგვიანებითაა უცხო ეკლესიის ისტორიაში. თუმცა მრავალი მოღვაწე თავისი მოძღვრების გადმოცემისას სჯულისკანონს არღვევდა და წმინდა მამათა მიერ მწვალებლად ცხადდებოდა. მაგალითისათვის მოვიყვანთ IV ს-ის მოღვაწის, პლატონის სკოლის მიმდევრის, აპოლინარ ლაოდოკიელის მსჯელობას, მითუმეტეს, რომ ეს

მოღვაწე შუა საუკუნეთა ქართული აზროვნებისთვის კარგადაა ცნობილი. აპოლინარის მოძღვრებით, კაცი შედგება სხეულისაგან, ცხოველობით სულისაგან და გონიერი სულისაგან. რადგან ადამიანის გონიერი სული ცვალებადი და ცოდვილია, ამიტომ მაცხოვარმა არ მიიღო იგი. ამ სულის აღვლით ქრისტეში კვირა ღვთაებრივ ლოგოსს ანუ სიტყვას. ამ მოძღვრებისათვის 381 წლის კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ აპოლინარ ლაოდოკიელი შეაჩვენა (ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, გვ. 223).

34. კვინტუს სექტიმუს ფლორენს ტერტულიანე (დაახლ. 160 წ., კართაგენი - 220 წ. იქვე) ქრისტიანი ღვთისმეტყველი და მწერალია. მიღებული ჰქონდა იურიდიული და რიტორიკული განათლება.

35. იხ.: Тертулиан К. С. Ф. Творения Кв. Септ. Флор. Тертулиана, пер. с библиогр. и комент. Н. Щеглова. Т. 1, Киев, П. Барский, 1910. Б-ка творений святых отцов и учителей Церкви, западных, издаваемая при Киев. дух. акад. Кн. 31, გვ. 189.

36. იხ. Творения святого Григория Нисского, "О душе и воскресении. Разговор с сестрою Макриною" - Ч. 4. М., 1862 (Творения святых отцов в русском пер., издаваемые при Московской дух. акад. т. 40), გვ. 212-213.

37. იხ. Слово 38: "На Богоявление или на Рождество Спасителя" - Творения иже во святых отца нашего Григория Богослова, архиепископа Константинопольского. Ч. 3. М., 1844 (Творения святых отцов в русском пер., издаваемые при Московской дух. акад. т. 3), გვ. 242-243.

გრიგოლ ღვთისმეტყველის „სიტყუაჲ შობისათვის მაცხოვრისა“ ძველქართულ მწერლობაში რამდენჯერმეა თარგმნილი: 1. ტაო-კლარჯეთის უცნობი მთარგმნელის მიერ IX-X სს-ში; 2. ექვთიმე მთაწმინდელის მიერ (983-991 წწ) და 3. ფურემ მცირის მიერ (XI ს-ის უკან. მეოთხ.).

38. იხ.: Бесседа 3-я на слова: "Внемли себе" - Творения иже во святых отца нашего Василия Великого, архиепископа Кесарии Каппадокийския. Ч. 4. М., 1846 (Творения святых отцов в русском пер., издаваемые при Московской дух. акад. т. 8), გვ. 44.

39. Точное изложение православной веры. Книга 2, глава 12 "О человеке" - Полное собрание творений Иоанна Дамаскина. Пер. с греч. Т. 1. СПб., 1913. 214-215. იხ. აგრეთვე: Точное изложение православной веры святого Иоанна Дамаскина. Пер. с греч. А. Бронзова, СПб., 1894 г., გვ. 82.

იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“ ძველქართულ მწერლობაში ორჯერაა ნათარგმნი: პირველი თარგმანი ფურემ მცირეს ეკუთვნის, ხოლო მეორე - არსენ იყალთოელს.

40. ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, იოანე პეტრიწის თარგმანი, გამოსცა ს. გორგაძემ, ტფ., 1914, გვ. 6-8. იხ. აგრეთვე: Немезий, епископ Емесский. О природе человека. Пер. с греч. Ф. Владимирского, Почаев, 1914, გვ. 21-22.

41. Творения святого Исидора Пелусиота. Ч. 1. М., 1859 (Творения святых отцов в русском пер., издаваемые при Московской дух. акад. т. 34), გვ. 155-156.

დასასრულ, მოვიყვანდით პარალელს XIX ს-ის ქართული მწერლობიდან, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან. მწერლის მიერ „უსულო საგნებისთვის სულის ჩაბერვა“ ამგვარი ანთროპომორფული წარმოდგენებიდან მოდის, რის საფუძველსაც ხალხური გადმოცემები და

ბიბლიური თვალთახედვა ქმნის. თუ ასეთი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ბუნების უსულო საგნებზე პოეტური სინატიფითაა აქცენტირებული, მაგალითად - „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“ ან „დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები“, - მეორე მხრივ, ის მისტიკურ ან ჰეროიკულ შინაარსს იძენს: ხელმოცარულ თვარელისგან განკურნებული კუფხვი, რომელმაც „იწინო თვარელი მონადირისა წეს ზედა“, სათოფეზე ნადირს მიუღწის ხოლმე მას:

„კლდის თავს გადმოხდა ხარ-ჯიხვი,  
გამოქცეული ქვეითა.  
თვარელმა მოკლა ისიცა,  
ჩამოაგორა ხეშეა.  
ჯიხვის ნადგომზე კუფხვს ჰხედავს,  
კუფხვი ტოტს იცემს მკერდშია...  
თვარელი მიძხვდა ეხლა კი,  
სოქვა: „გენაცვალე ლმერთშია!“

ამ კუთხით (გარკვეულწილად, ფიზიონომიკური წარმოდგენითაც) ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ვუფიქრობთ, ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია.

თარგმნა და შენიშვნები დაურთო

გიორგი ალიბეგაშვილმა

## სამომავლო ფიქრები

კახა კაციტაძე

### კავკასია დამოუკიდებლობასა და მოდერნიზაციას შორის (წერილი პირველი)

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში რუსმა ეკონომისტმა კონდრატეევმა წამოაყენა იდეა ეკონომიკის განვითარების გრძელ და ზვერძელვადიან ციკლთა შესახებ. კომუნისტური ხელისუფლების მიერ ეს იდეა მარქსიზმის რევიზიად იქნა აღქმული. გრძელვადიანი ციკლების მკვლევარი გრძელ გზას გაუყენეს. მაგრამ კონდრატეევის სახელი მეცნიერებას მაინც შემორჩა. მეტიც, გრძელვადიანი ციკლების იდეამ სხვა მეცნიერებებშიც, მათ შორის პოლიტიკურშიც, გადაინაცვლა.

გრძელვადიანი ციკლების კვლევის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მოვლენად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მასიურად ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც არცთუ მოლად ზუსტად, მაგრამ მიახლოებით მაინც შეიძლება დახასიათდეს იმით, რასაც დეკოლონიზაციას უწოდებენ. ესაა პროცესი, რომლის დროსაც ადგილი აქვს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას (როგორც წესი, სამხედრო ფორმით განხორციელებულს), სისხლიან ექსცეზებს, მეტროპოლიების მცდელობას (როგორც წესი, უშუალოდ), რათა შეინარჩუნოს ისტორიის მიერ განწირული იმპერიები. ამ პროცესების შედეგად ზღბა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღმოცენება, რასაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობათა ძირეული ცვლილება მოსდევს.

თუ ბოლო ორი საუკუნის პოლიტიკურ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ადგილი აქონდა მასიური დეკოლონიზაციის რამდენიმე ციკლს. პირველი მათგანი უკავშირდება უკვე გამოფიტული, ფეოდალური იმპერიების — ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, რასაც XIX საუკუნის პირველ მეთხედში მოსდევს ლათინური ამერიკის კონტინენტალურ ნაწილში ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება; ეს, თავის მხრივ, ძირულად ცვლის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას დასავლეთ ნახევარსფეროში. უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში კი მსოფლიო დონეზე (აშშ-ს განსაკუთრებით დაწინაურების შედეგად, რასაც ძალიან შეუწყობდა ხელი ლათინურ ამერიკაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნამ. ეს აშშ-ს პოლიტიკური კურსის ისეთ საფუძველმდებარე დოკუმენტში აისახა, როგორც მონროს დოქტრინა იყო). ამავე პერიოდში ოსმალეთისგან დამოუკიდებლობას აღწევს ეგვიპტე, აგრეთვე მოლდოვა და ვალახეთი (რომლებიც მოგვიანებით ერთ სახელმწიფოდ რუმინეთად ერთიანდებიან), სერბია, სისხლისმღვრელი ომის შედეგად საბერძნეთიც. თუმცა უფრო დაწინაურებული

კოლონიური იმპერიები ახერხებენ სტატუს-კოს შენარჩუნებას. ავსტრია ინარჩუნებს გავლენას იტალიის დიდ ნაწილზე, უნგრეთზე და სლავურ მიწებზე, ხოლო რუსეთი სისხლში ახშობს პოლონეთის 1830 წლის აჯანყებას. ჩრდილო კავკასიის მრავალწლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და ჩვენი 1832 წლის შთქმულება სწორედ ამ ციკლებში ჯდება.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის მეორე მასიური ტალღა უკავშირდება პირველ მსოფლიო ომს, რომლის შედეგად იშლება ავსტრია-უნგრეთი და ოსმალეთი, რის შედეგადაც ძირულად იცვლება ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. ჩნდება რამდენიმე ათეული დამოუკიდებელი სახელმწიფო, მათ შორის საქართველოს პირველი რესპუბლიკა. ბოლშევიკები ახერხებენ ახალი იდეოლოგიით და ძალის გამოყენებით აღადგინონ რუსეთის იმპერია, ოღონდ პოლონეთისა, ფინეთისა და ბალტიისპირა რესპუბლიკების გარეშე.

მესამე ციკლი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეპოქაზე მოდის და უკავშირდება ბრიტანეთის, საფრანგეთის, პოლანდიის და ბელგიის იმპერიების დეკოლონიზაციას, რასაც აგრეთვე მოხდევს რამდენიმე ათეული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. ბოლოს, მეოთხე ციკლი იწყება საბჭოთა კავშირის რღვევით და იუგოსლავიის დაშლის პროცესით, რასაც აგრეთვე შედეგად მოჰყვა რამდენიმე ათეული (უფრო ზუსტად ოცამდე) დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, რამაც აგრეთვე ძირულად შეცვალა ევროპის პოლიტიკური გეოგრაფია.

ძნელი სათქმელია, სადამდე გასტანს ეს ციკლი და რა ბედი ეწევთ არა მხოლოდ ისეთ მრავალჯეროვან წარმონაქმნებს, როგორებიც არიან რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი, არამედ კანადასა და თვით ბელგიასაც კი, მაგრამ ამ ტენდენციის კვლევა ამჟამად მნიშვნელოვნად სცილდება ჩვენს ამოცანებს. ჩვენი მთავარია გარკვეული მოგონების გამონახვა იმ პროცესების უკეთ გასააზრებლად, თუ რა ხდება დღევანდელ კავკასიაში.

ოთხივე ციკლისათვის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლის იდეოლოგია ძირითადად წარსულზე იყო ორიენტირებული. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ მათ შორეული ოქროს ხანა გააჩნდათ, რომელიც გამოა სიავით და კოლონიზატორთა სიმუხთლით დაკარგეს და დამოუკიდებლობის აღდგენა ესახებოდათ, როგორც ამ ოქროს ხანის ხელახალი აღდგენა. ეს იდეოლოგია მრავალი სახით ვლინდებოდა: მაგალითად, ლათინურ ამერიკაში მოსახლე ერეოლები უარს ამბობდნენ თავიანთ ესპანურ თუ პორტუგალურ წარმომავალზე და ყალბ გენეალოგიებს იგონებდნენ, რომელთაც მათი გვარები ინკებიდან ან აცტეკებიდან გამოჰყავდათ. ხოლო XVIII საუკუნის ბოლოს ესპანელთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ტუპაკ-ამარუ დაირქვა, ავივე სახელი, რაც ეწოდებოდა XVI საუკუნეში ესპანელთა წინააღმდეგ მებრძოლ ინკთა ბელადს. იტალიის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი, ცხადია, რომის აღდგენის, ხოლო ბერძნები ძველი ელადის აღდგენისათვის იბრძოდნენ, პოლონელები რეი-პოსპოლიტაში პოვედნენ იდეალს. ასეთი განწყობა არც ქართველთათვის იყო უცხო. განსაკუთრებით რომანტიკოსებისათვის, მაგალითად, გრ. ორბელიანისათვის, რაც ნათლად გამოსჭვივის მის სტრიქონებში:

„დაენატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე, თვისა მამულსა  
შემსწირა მსხვერპლად,

დავნატრი დროთა, როს აქენდათ ტრფობა მამულისადმი  
გულს აღბეჭდილად,

როს ერთგულება, საჩუქნობა,  
ივერთ თვისებას შეადვინებდენ,  
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა  
მათსა ხახელსა განადიდებდენ...

ერთი სიტყვით, ეს განწყობილება საყოველთაო იყო და მას ორი მთავარი წყარო ჰქონდა: ერთი მხრივ, კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ ერთა მენტალობის თავისებურება. ხოლო, მეორე მხრივ ის, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების პირველ და მეორე ციკლებში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით სჭარბობდა რომანტიკული თუ ნეორომანტიკული განწყობები. მაგრამ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ყველა ერთ დგებოდა ახალი სიტუაციის წინაშე. ირკვეოდა, რომ წარსულის ოქროს ხანის აღდგენა შეუძლებელი იყო. ხოლო თავად წარსული ოქროს ხანა ხშირად მთით აღმოჩნდებოდა ხოლმე და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოველი ერის თუ სახელმწიფოს წინაშე დგებოდა ახალი პრობლემა-მოდერნიზაცია, ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფო მოწყობის დროის მოთხოვნისებთან შესაბამისობაში მოყვანა. უამისოდ დამოუკიდებლობას მოქალაქეთა დიდი ნაწილისათვის არც კეთილდღეობა მოჰქონდა, არც უსაფრთხოება (რომ აღარაფერი ვთქვათ „ძველი დიდების აღდგენაზე“, ვინაიდან ლატაკ და უსუსურ სახელმწიფოებს ანგარიშს არავენ უწყვედა).

მოდერნიზაციის სირთულეს იწყვედა ის, რომ ახლადდამოუკიდებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა უპირატესად ტრადიციულ, პატრიარქალურ პრინციპებზე აგებულ საზოგადოებაში ცხოვრობდა. ეს არა მხოლოდ აფრიკულ ხალხებს ეხება, არამედ ბალკანულებსაც და ისეთ დაწინაურებულ ევროპულ ხალხსაც კი, როგორც ირლანდიელები არიან. ახლა არ არის იმის ადგილი, აღუწეროთ სოციოლოგიიდან კარგად ცნობილი განსხვავება ტრადიციულ და მოდერნულ საზოგადოებებს შორის. აღვნიშნავთ მხოლოდ მათ შორის არსებულ ყველაზე თვალშისაცემ განსხვავებებს: ტრადიციული საზოგადოება არის: პატრიარქალურობა, კოლექტივის პრიმატი ინდივიდზე, წარსულზე ორიენტირებულობა, დაუწერელი ადათის ბატონობა დაწერილ სამართალზე, ხელისუფლების პერსონიფიცირებულობა და ქარიზმატულობის დიდი როლი, ცეკვი ყოველივე ახლისა და უცხოისადმი, ჩაკეტილობა, „ჩვენისა“ და „სხვისი“ მკვეთრი გამოყენება და ა.შ. მოდერნულობა ნიშნავს დინამიურობას, ინდივიდის პრიმატს კოლექტივზე, მომავალზე ორიენტირებულობას, ხელისუფლების საჯარო-ანონიმურ ხასიათს, ნოვაციებისადმი ინტერესს, ქარიზმატულობაზე უარს (რაც ზოგჯერ ბრბოს უსახურობის ბატონობად იაზრებოდა), გახსნილობას, „ჩვენსა“ და „სხვას“ შორის საზღვრის წაშლას და ა.შ.

ეს მანსიათებლები სრულიად საკმარისი უნდა იყოს, რათა ინტუიციურ დონეზე მაინც გააზროთ განსხვავება საზოგადოების მდგომარეობას (რომელშიც ივენინ ახლადდამოუკიდებელი ქვეყნები) და მათ ყოფილ მეტროპოლიებს შორის (იგულისხმება ინგლისისა და საფრანგეთის ტიპის მეტროპოლიები, თორემ ოსმალეთი და რუსეთი. ან თუვინდ უსასნეთი და პორტუგალია ისეთივე ტრადიციული საზოგადოებებით იყო წარმოადგენილი, როგორიც მათ კოლონიებში იყო).

რასაკვირველია, აბსურდულია დავა იმაზე, რომ მოდერნული საზოგადოება „უკეთესია“. ვიდრე ტრადიციული, რომ ეს უკანასკნელი ჩამორჩენილი და ლამის „გოიმურია“. ტრადიციულ საზოგადოებას გააჩნია რიგი თვისებები,





რომელთა დაკარგვას ვერაფერითა პროგრესი და მოდერნულობა ვერ შეეძლებს. მაგრამ მოდერნულ საზოგადოებას ერთი აშკარა უპირატესობა გააჩნია: ის ბევრად უფრო ახერხებს საზოგადოებრივი რესურსების მობილიზაციას, რასაც შედეგად მოხდევს სახელმწიფოს კეთილდღეობა, უსაფრთხოებისა და გავლენის ბევრად უფრო მაღალი დონე, ვიდრე — ტრადიციული (თუ, რასაკვირველია, ტრადიციული საზოგადოება, ნათობით უწყველად მდიდარი არაა, როგორც ზოგიერთი არაბული ქვეყანა).

ერთი სიტყვით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოდერნიზაციის საკითხი დგება. წარმატებული მოდერნიზაცია ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტიაა. აქ სიტყვა „დამოუკიდებლობა“ ნორმალურ კონტექსტში ვიღებთ, და არა ისეთ პიერტროფიურული აზრით, რომელიც ქვეყნის სრულ იზოლაციას, გარე სამყაროდან მოწყვეტას და ყოველგვარი გარე გავლენების აღკვეთას გულისხმობს. ეს რომ დამოუკიდებლობის იდეალი იყოს, კიმ ორ სენის ჩრდილო კორეასა და ენვერ-ხოჯას აღბანთზე დამოუკიდებელი სახელმწიფო თვით ამერიკის შეერთებული შტატები არ იქნებოდა. მაგრამ გარე გავლენებიდან ხელეფერ იზოლაციას სახელმწიფოებრივი ორგანიზმი სტაგნაციამდე და მოკვდინებამდე მიჰყავს. საყოველთაოდ ცნობილია, რა მოუტანა ჩინეთსა და იაპონიას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოვგან იზოლირების პოლიტიკამ: სტაგნაცია და დამოუკიდებლობის დაკარგვა. ტიბეტმა საერთოდ აკრძალა მის ტერიტორიაზე ვეროპელთა შესვლა და შედეგი სახეზეა. დაღაილამ მთელ დასავლეთს სთხოვს ტიბეტის არათუ დამოუკიდებლობის, არამედ ნამდვილი ავტონომიის მიღებაში დახმარებას.

ამიტომ მოდერნიზაციის პროცესის ალტერნატივას ჩამორჩენა, სტაგნაცია და გავლენის დაკარგვა წარმოადგენს. ამ ფაქტის დასამაღად ხშირად არამოდერნულ სახელმწიფოთა დიქტატორები საზღვრებს ეტავერ და ზოგჯერ ისე წარმატებულად, რომ ჩრდილო კორეელებს დღესაც ჰკონიათ, რომ მსოფლიოში ყველაზე აფავებულ ქვეყანაში ცხოვრობენ. მაგრამ ვფიქრობთ, ეს არაა საქართველოს და მოლიანად კავკასიის გზა. ამიტომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოდერნიზაციის პროცესის საჭიროება ექვეყნს არ უნდა დგებოდეს. ამას სხვათა შორის ადასტურებს ისიც, თუ გაეხსენებთ, რომელმა ქვეყნებმა მოახერხეს დეკოლონიზაციის შემდეგ სწრაფი მოდერნიზება და რა მოუვიდათ მათ, ვინც ეს პროცესი ვერ განახორციელეს.

დეკოლონიზაციის პირველი ციკლის სახელმწიფოებმა, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა, მოდერნიზაციის (იმდროინდელი გაგებით) განხორციელება ვერ შეძლეს, ვერ მოახერხეს უამრავ მიზეზთა გამო. ვერ ერთი, ერთმანეთთან კონსენსუსის მიღწევა არ გამოუვიდათ და ხშირი კონფლიქტები ხელს უშლიდა ერთიანი მოდერნიზაციის სტრატეგიის შემუშავებას (მოდერნიზაციის პროცესი ბევრად უფრო ადვილი განახორციელებულია, როდესაც მას რამდენიმე მეზობელი სახელმწიფო ატარებს, ვიდრე მასში, როდესაც ის ერთ ქვეყანაში ხდება). შემდეგ მათ ვერ შექმნეს ეფექტური პოლიტიკური რეჟიმები მოდერნიზაციისათვის. ასეთს კი დემოკრატია წარმოადგენს. მარტო ბოლივიამი მისი დამოუკიდებელი არსებობის 190 წლის განმავლობაში 200-ზე მეტი სამხედრო გადატრიალება მოხდა. ამ სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ხელი შეეწყით პირადი ინციტაციის განვითარებისათვის ეკონომიკის სფეროში, რასაც არსებული სტრუქტურების კორუმპირებულობა უშლიდა ხელს (შდრ. ვითარებას პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში). ამ და სხვა მიზეზებს შედეგად ის მოჰყვა, რომ მათ ფაქტობრივად დაკარგეს მოპოვებული დამოუკიდებლობა და სხვათა ხელში მარიონეტებად იქცნენ. დღესაც კი, სულ სამი თუ ოთხი ლათინურამერიკული სახ-

ელმწიფოა, რომელსაც მსოფლიო ანგარიშს უწევს. აქედან ერთს, ბრაზილიას, არა იმდენად წარმატებული მოდერნიზაციის გამო, არამედ მისი გიგანტური მასშტაბების გამოისობით. სრულფასოვან მოდერნიზაციასთან მეტ-ნაკლებად მი-  
 ახლოებული კი მხოლოდ არჯენტინა და კიდევ უფრო მეტად ჩილე, მექსიკამ, ამერიკასთან მეზობლობის მიუხედავად, მხოლოდ სანახევრო მოდერნიზაციის განხორციელება შეძლო.

კიდევ უფრო გაუძნელდათ მოდერნიზაციის პროცესის განხორციელება პირველი მსოფლიო ომის შედეგად წარმოქმნილ არაბულ სახელმწიფოებს. მათთან მოქმედებდა ყველა ის ფაქტორი, რომელიც ლათინურ ამერიკაში. ამას დაუმატეთ ისეთი ადგილობრივი „მომხიბლავი“ მოვლენები, როგორიც იყო რელიგიური ექსტრემიზმი და სხვა მისთანანი. შედეგი აშკარაა: მრავალრიცხოვანი საშხედრო მარცხი ისრაელთან ომებში, რომელთაც არაბული სახელმწიფოები, როგორც წესი, ან თავად იწყებდნენ, ან მათ პროვოცირებას ახდენდნენ. ერთი შეხედვით ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ფუნდამენტალიზმის გაჩენა ან აღორძინება ამჟამად მიმდინარე სისხლისმღვრელი ომი წარუმატებელი მოდერნიზაციის შედეგია.

სამაგიეროდ სულ სხვაგვარად წარიმართა ვითარება იმ ცენტრალურ ევროპულ სახელმწიფოებში, რომლებიც ავსტრიის დაშლის შედეგად წარმოიშვნენ ან მოახერხეს თავი დაეღწიათ რუსეთის გავლენისათვის. ამ ქვეყნებს, განსაკუთრებით ყოფილ ავსტრია-უნგრეთში შემავალთ, მოდერნიზაციისათვის კარგი სასტარტო პოზიციები ჰქონდათ. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, ამ ხალხებს, განსხვავებით ლათინულამერიკელთაგან და არაბთაგან, გაჩნდათ არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის, არამედ სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის გარკვეული ტრადიცია (რაც განსხვავდება ტომობრივი მმართველობის იმ ტრადიციისაგან, რომელიც, ვთქვათ, არაბ ბელეჯინებსაც ჰქონდათ). მეორე, ისინი ახლოს იმყოფებოდნენ ევროპის ძირითად მოდერნიზაციულ ცენტრებთან და განიცდიდნენ მათგან მომავალი ნაკადების გავლენას. მესამე, მათში სხვა პოსტკოლონიურ ქვეყნებთან შედარებით ძალიან მაღალი იყო განათლების, წერა-კითხვის მკოდნეთა დონე (სხვათა შორის, საქართველოში პირველი ნაბიჯი მასობრივი მოდერნიზაციისაკენ სწორედ მაშინ განხორციელდა, როდესაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ შეიქმნა). მეოთხე, ავსტრია-უნგრეთის იმპერია ჩამორჩენილი იყო ინგლისსა და საფრანგეთთან შედარებით, თორემ დაწინაურებული იყო რუსეთსა და ოსმალეთთან მიმართებით. ეს კი ზეგავლენას ახდენდა მასში შემავალი ისეთი ხალხების მდგომარეობაზე, როგორებიც იყვნენ პოლონელები, ჩეხები, უნგრელები და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკრაინელებიც კი (არ უნდა დავივიწყოთ, რომ დასავლეთი უკრაინა, რომელიც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფლაგმანი იყო, თავის დროზე ავსტრია-უნგრეთში შედიოდა და აქედან გამოიყოლა უკრაინული კულტურა და მწიფობდა, აგრეთვე ეროვნული თვითშეგნება. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობა იმან, რომ დასავლეთ უკრაინელებს ავსტრიაში კულტურული ავტონომია ჰქონდათ). ამიტომ მათ (უკრაინელებს გარდა) მოახერხეს დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ შექმნათ შედარებით მოდერნული სახელმწიფოები. რომელთაც საბჭოთა კავშირისაგან თავის დაძვრების და მეორე მოდერნიზაციის შემდეგ მოახერხეს დასავლეთის სტანდარტების მიღწევა თუ არა, მახლოება მაინც, რასაც მოჰყვა ამ სახელმწიფოთა გაწვევრიანება ნატოში და მომავალი გაწვევრიანება ევროკავშირში. იგივე ითქმის ბალტიის რესპუბლიკებზე.

სამაგიეროდ ძალიან მძიმედ წარიმართა დეკოლონიზაციის მესამე ტალღის უმეტეს სახელმწიფოთა ბედი, თუ არ ჩავთვლით ისეთი ტიპის გიგანტებს, როგორცაა ინდოეთი, ან უფრო მოკრძალებული ადამიანური რესურსების (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) მქონე ქვეყნებს, როგორებიცაა პაკისტანი და ინდონეზია. მათ ვერ მოახერხეს მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის მომხდენი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცენტრების შექმნა. ამ ქვეყანათა გავლენაც მათ ექსტენსიურ პარამეტრებს ეყარება და არა წარმატებულ მოდერნიზაციას (პირიქით, ყველა ეს გიგანტი უაღრესად ტრადიციულია). სხვებმა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე აღმოსავლეთაზიურ სახელმწიფოს (სამხრეთი კორეა, ტაივანი, სინგაპური და სხვა), ვერ მოახერხეს მოდერნიზაციული პროცესის განხორციელება. ამის შედეგად ისინი უიმედოდ ჩამორჩნენ. ამ ჩამორჩენას ხელი შეუწყო ყოფილ კოლონიათა უმრავლესობაში სახელმწიფოებრივი ტრადიციების სრულმა არარსებობამ, უწიგნურობის შალალმა დონემ, იქ სხვადასხვა ევზოტიკური იდეოლოგიების გავრცელებამ პოლიტიკურ ვლიტაში (არ დავივიწყოთ, რომ მათ დამოუკიდებლობა „ცივი ომის“ ხანაში მოიპოვეს, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა იდეოლოგიების ბრძოლა), პოლიტიკური ვლიტის არაკომპეტენტურობამ, კორუფციამ და ა.შ.

თუ დეკოლონიზაციის პირველი სამი ტალღის შედეგებს განვაზოგადებთ, შევვძლება რამდენიმე საინტერესო კანონზომიერების გამოყოფა:

1. მოდერნიზაციის პროცესის წარმატებულობისათვის მნიშვნელოვანია (მაგრამ არა გადამწყვეტი), თუ რამდენი ხნის განმავლობაშია მოპოვებული დამოუკიდებლობა. სამხრეთ კორეამ, რომელიც დამოკიდებული მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა, ბევრად უფრო ეფექტური მოდერნიზების პროცესი განახორციელა, ვიდრე ვთქვათ, პერუმ, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, თითქმის ორასი წელია არსებობს.
2. დიდი მნიშვნელობა აქვს მოდერნიზაციის კერებთან სიახლოვეს. ასეთ კერებთან გეოგრაფიულად უფრო ახლო მდგომი სახელმწიფოები, როგორც წესი, უფრო სწრაფად გადიან მოდერნიზაციას (აღმოსავლეთ აზიის შემთხვევაში მოდერნიზაციის ხელშემწყობ კერებად გამოდიოდა აშშ-ს წყნაროკეანისპირეთის სანაპირო, იაპონია და ავსტრალია).
3. დიდი მნიშვნელობა აქვს კოლონიზატორის ხასიათს ან, უფრო ზუსტად, იმას, თავად კოლონიური იმპერია მოდერნულია თუ არა.
4. დიდი მნიშვნელობა აქვს კოლონიურ ერში სახელმწიფოებრივი ტრადიციის არსებობას, უპირველეს ყოვლისა კი, ისეთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განვითარების დონეს, როგორიც თვითმმართველობაა, რაც ახალისებს პიროვნულ ინიციატივას.
5. დიდი მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის, ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების დონეს.
6. ნებისმიერი ევზოტიკური იდეოლოგიები, რომელიც, როგორც წესი, „დიადი წარსულის“ აღდგენას ან „დიადი მომავლის“ შენებას ეყარება (ან ორივეს ერთად, როდესაც დიადი მომავალი გაიანზრება, როგორც ახლადადგენილი დიადი წარსული, რასაც მათს ჩინეთის შემთხვევაში ჰქონდა ადვილი) მომაკვდინებელია მოდერნიზაციის პროცესისათვის.

7. მოდერნიზაციის პროცესზე ზეგავლენას ახდენს სიერციით მასშტაბები. ბუნებრივია, რომ პატარა სინგაპურის მოდერნიზება უფრო იოლია, ვიდრე ასმილიონიანი ნიუერიის.
  8. მოდერნიზაციის პროცესზე ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა მოსახლეობის ოდენობა, მისი ასაკობრივი სტრუქტურა, ქალაქებსა და სოფლებში მოსახლეობის კონცენტრაციის ხასიათი. ბუნებრივია, ქალაქებში კონცენტრირებულ, უფრო ახალგაზრდა სტრუქტურის მქონე სახელმწიფოში მოდერნიზაციის პროცესი უფრო იოლად წავა, ვიდრე ისეთში, -სადაც ასაკოვანი ხალხი და აგრარული მოსახლეობა სჭარბობს.
  9. მოდერნიზაციის პროცესს ხელს უწყობს ან აფერხებს მოსახლეობის ცივილიზაციური მახასიათებლები. ამ ტერმინში ვგულისხმობთ იმას, თუ როგორ აღიქვამს ესა თუ ის საზოგადოება დროს, სიერცეს, ბუნებას, შრომას, სიცოცხლეს, სიკვდილს, თავის თავს, სხვებს და ა.შ.
  10. მოდერნიზაციის პროცესზე (ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, და შეიძლება ითქვას კიდევ მეტადაც) პრიორიტეტულ გავლენას ახდენს იმ პოლიტიკური სისტემის ხასიათი, რომელიც მყარდება დამოუკიდებლობამიღებულ ქვეყანაში. ბუნებრივია, რომ იქ, სადაც გად-აწყვეტილებები კონსენსუსით მიიღება, სუფევს სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, ხელი ეწყობა პირად ინიციატივას, დაბალია კორუფცია და ა.შ. ერთი სიტყვით, დემოკრატიის ან დემოკრატიათან მაქსიმალურად მიახლოებული რეჟიმის პირობებში მოდერნიზაცია ბევრად უფრო ადვილი განსახორციელებელია, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში. თუ გვიანინდუსტრიულ ერამი კიდევ შეიძლება მოდერნიზაციის პროცესი დიქტატურის პირობებში (მაგალითად, როგორც ამას ადვილი აქონდა ჩილეში, სამხრეთ კორეასა და ტაივანზე), ახლა, ინტერნეტისა და პოსტინდუსტრიულ ერამი ეს შეუძლებელია. ამასთან, თუ რაღაც მიზეზთა გამო არ არსებობს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნება მოდერნიზაციის. გატარებისა, იგი არც არასოდეს მოხდება და ქვეყანა შეიძლება ათწლეულების და ასწლეულების განმავლობაშიც კი იმყოფებოდეს სილატაკის და ჩამორჩენილობის პირობებში.
  11. უფრო ადვილია მოდერნიზაცია გატარდეს რამდენიმე მეზობელ ქვეყანაში, ერთი რეგიონის მასშტაბით, ვიდრე ცალკე აღებულ სახელმწიფოში. ბუნებრივია, ამ რეგიონში იარსებებენ ლიდერები და აუტსაიდერები.
  12. მოდერნიზაციის პროცესისათვის აუცილებელია კოორდინირებული კურსის გატარება ამ გზაზე მდგომ სახელმწიფოებს, მოწინავე ქვეყნებსა და რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ამისათვის კი თამაშის ერთიანი წესების შემუშავება და დაცვაა საჭირო.
- ამრიგად, მოდერნიზაცია არის პროცესი, რომლის აუცილებლობა მუდამ თან სდევს დამოუკიდებლობის მიღებას. თავისი დამოუკიდებლობის კარგად გამოყენებას მხოლოდ ის ქვეყნები ახერხებენ, ვინც დამოუკიდებლობას კარგად უთავსებენ მოდერნიზაციას. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს საქართველომ. ასევე უნდა გაითვალისწინოს ისიც, თუ რამდენად არსებობს მოდერნიზაციისათვის მზაობის პოტენციული კავკასიასა და საქართველოს მიმდებარე რეგიონებში.

## არმია და რელიგია

მიხეილ ღანიშაშვილმა ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მოწოდებით პოეტი, რამდენიმე კრებულის ავტორი, ამჟამად თავდაცვის სამინისტროში მუშაობს.

ქართული არმიის მომავლის მისეული ხედვა მეტად საინტერესოდ გვეჩვენება, რადგან იგი დაკავშირებულია ქართულ კულტურაში გაცხადებულ ზნობრივ და მორალურ იდეალებთან. კერძოდ, წმინდა მხედრის იდეალმა უდიდესი როლი შეასრულა ქართველი კაცის მსოფლმხედველობის, ზნობრივ-ეთიკური სისტემის ფორმირებაში. მეომრის, მეზობლის სარწმუნოებრივი პოზიცია, მისი სულიერი სიმტკიცე, შემართება და სიმშვიდე სამშობლოსათვის თავგანწირვის მყარი საფუძველი იყო მუდამ. ვაჟას „ბახტრიონშიც“ წმინდა გიორგი მოუძღოდა წინ თუმშემავ-ხვესურთა ლაშქარს. ამგვარი რწმენით და სულიერი სიმტკიცით მიდიოდნენ ქართველი მეომრები დიდგორის ველზე. ამიტომაც მიხეილ ღანიშაშვილის წერილში გამოხატული პოზიცია მხოლოდ არმიის მომავალს კი არა, ჩვენი აზრით, მთელი საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ქართველი ერის მომავალს უკავშირდება.

ჟურნალის სხვა ნომრებშიც ვაპირებთ მსგავს საკითხებზე მსჯელობის გაგრძელებას და ველით გამომხატურებას.

\*\*\*

რელიგიასა და მხედრულ საქმეს შორის ურთიერთკავშირი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ყალიბდებოდა, რაც თანამედროვე პირობებშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი მრავალსაუკუნოვანი რელიგიური ტრადიციები, რაც მხედრული კოლექტივების ყოფაცხოვრებაზე შესამჩნევ კვალს ტოვებს. გარდა ამისა, სამხედრო სამსახური სპეციფიკურია, დაკავშირებულია სასიკვდილო რისკთან როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს. ამას თან ერთვის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დატვირთვა პირადი შემადგენლობისა, რაც მუდმივად თან სდევს მის ცხოვრებას, დღითიდღე ზრდის მორწმუნეთა რიცხვს იმ ადამიანებს შორის, ვისაც სამხედრო ფორმა აცვია. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის არმიაში ყოველთვის განსაკუთრებული როლი ენიჭება რელიგიის, რწმენისა და სამხედრო მოძღვართა ინსტიტუტების არსებობის ფაქტორს. თანამედროვე მსოფლიო არმიებში სამხედრო მოძღვართა (ე.წ. კაპლანთა) ინსტიტუტები ჩვეულებრივი მოვლენაა. არც რელიგიურობისა და რწმენის საკითხი დაუფიქრებია ვინმეს ოდესმე ეპიკატემ, რადგანაც ყველას კარგად ესმის ამ უძლიერესი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლი სამხედრო მოსამსახურეთა სულიერი, გინდაც ფიზიკური მოღვაწეობის თვალსაზრისით.

განურჩევლად ქვეყნებისა და რელიგიური კონფესიებისა, რელიგიური მოღვაწეობის ძირითადი ფუნქცია საზღვარგარეთის არმიებში ისაა, რომ დაემაყოფილდეს სამხედრო მოსამსახურეთა სულიერი მოთხოვნილებანი და აღმოფხვრას მოსალოდნელი კონფლიქტი მათს ცნობიერებასა და შესასრულე



ბელი ამოცანის ხასიათს შორის. უფრო მეტიც, მიზანმიმართული აღზრდა ეხმარება დიციპლინის განმტკიცებას, პოლიტიკური ლოიალობის უზრუნველყოფას, ექსტრემალურ სიტუაციებში (განსაკუთრებით საომარი ვითარებისას) მორალურ-საბრძოლო სულისკეთების ამაღლებას.

რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობაზე მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში კარგად შეტყველებს სამხედრო მოძღვართა (კაპლანთა) ინსტიტუტების არსებობა, მაგალითად, გერმანიაში მათი რიცხვი 300 კაცამდე აღწევს, პოლონეთში - 200, საფრანგეთში - 500, იტალიაში - 180, კორეაში - 370-მდე; ესპანეთში, პორტუგალიაში, ინგლისში, კანადაში, დანიასა და ნორვეგიაში სამხედრო მოძღვრები შედიან თითქმის ყველა შენაერთში ბრიგადის ჩათვლით; რელიგიურ საქმეთა საგანგებო სამართლებლოა შექმნილი საბერძნეთის შეიარაღებულ ძალებში. სამხედრო მოძღვრები (მოლები) ჰყავთ აგრეთვე ირანის არმიაში; რელიგიურ ფაქტორს დიდ ყურადღებას უთმობენ ე.წ. „მორალური ორიენტაციის“ (აღზრდის) ორგანოები მაროკოს, ალჟირის, ლიბიის, ეგვიპტის, სუდანის, თურქეთის, სირიის, ერაყის, იორდანის, საუდის არაბეთის, კუვეიტის, კატარის, ბაჰრეინის, არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და ომანის შეიარაღებულ ძალებში.

განსაკუთრებული რიცხოვნობითა (3000-მდე კაპლანი-ოფიცერი და მათდამი დაქვემდებარებული 2000-მდე თანაშემწე სერჟანტებისა და რიგითების შემადგენლობიდან) და მრავალმხრივობით ხასიათდება აშშ-ის შეიარაღებული ძალების კაპლანთა სამსახური. სამხედრო-რელიგიური სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და პირადი შემადგენლობის საკითხებში თავდაცვის საბჭო. საბჭო შედგება 6 კაცი-საგან; მათ შორის სამი კაპლანთა სამსახურების უფროსებისაგან (მთავარი კაპლანებისაგან) შეიარაღებული ძალების სახეობათა მიხედვით და გენერალ-მაიორის (კონტრ-ადმირალის) წოდებით, რომლებიც მორიგეობით, ყოველწლიური ცვალეზადობით, იკავებენ საბჭოს თავმჯდომარის (მთავარი კაპლანის) თანამდებობას. გაერთიანებულ შტაბში არსებობს კაპლანთა განყოფილება, შენაერთში - ქვეანყოფილება, ხოლო ნაწილებსა და ქვედანაყოფებში - შტატიანი კაპლანები (ერთი მოძღვარი 700-800 მორწმუნეზე). ისინი წარმოადგენენ შტაბის ოფიცრებს, ატარებენ ფორმას, აქვთ საგანგებო განმასხვავებელი ნიშნები, შეუძლიათ ჰქონდეთ სამხედრო წოდება ლეიტენანტიდან გენერალამდე და სარგებლობენ არცთუ მცირე ხადისციპლინო უფლებებით. კაპლანთა უზთავრეს მოვალეობას წარმოადგენს რელიგიური მსახურების დროული აღსრულება და წესების დაცვა შესაბამისი რელიგიური კონფესიის ტრადიციების მიხედვით; მორწმუნე სამხედრო მოსამსახურეებისათვის, მათი ოჯახის წევრებისა და სამოქალაქო პერსონალისათვის სასულიერო განათლების მიღების შესაძლებლობათა უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში არის 140-ზე მეტი რელიგიური კონფესიის წარმომადგენელი.

როგორც ვხედავთ, კაპლანთა, ანუ სამხედრო მოძღვართა, ინსტიტუტს მყარად აქვს მოედებული ფეხი როგორც ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის წევრი, ისე მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. საქართველოში, ისევე როგორც ათეისტური, პოსტსაბჭოური სივრცის სახელმწიფოთა არმიებში, ეს ინსტიტუტი დღემდე არ არსებობს და ამას კიდევ მოეხებება ახსნა. ცხადია, ეს მიზეზები ისედაც ვველასათვის ნათელია და მათი აქ განხილვა, ალბათ, არც იქნებოდა მიზანშეწონილი, მაგრამ რა უშლის ხელს ამ სასიკეთო საიხლის ჩვენი შეიარაღებული ძალების სინამდვილეში დანერგვას?

თუ თვალს ზერელედ მაინც გადავავლებთ საქართველოს ისტორიულ წარსულს, აღმოჩნდება, რომ ეკლესიისა და მოძღვრის როლი ქართული ჯარის სინამდვილეში არცთუ ისე უცხო ყოფილა. მართალია, დღევანდელი, კლასიკური გაგებით, საქართველოს არმა არ ჰყოლია და შესაბამისად არც ამ ე.წ. სამხედრო მოძღვართა ინსტიტუტს უარსება, მაგრამ ისტორია ადასტურებს, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას და ქართველ საეკლესიო იერარქებს სამხედრო სფეროშიც უაღრესად დიდი როლი ეკუთვნოდათ.

საკამათო აღარ არის და მეცნიერულადაც დადგენილია, რომ ქართველი ეპისკოპოსები მხედართმთავრულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ და ომებშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ, თანაც ეს მონაწილეობა შემთხვევითი და ეპიზოდური კი არ ყოფილა, არამედ სისტემატური ხასიათი ჰქონდა და ეს საქმიანობა მათს ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა. ამ დებულებების საილუსტრაციო მაგალითები ბევრია, გვიცხსენათ ზოგიერთი მათგანი: XI საუკუნის მოღვაწე, ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ აწილ ეპისკოპოსთან ერთად უაღრესად მძიმე დროს ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანებისას, როდესაც სამხრეთ საქართველოს ბიზანტიელები დაებუქნენ, სამშობლოს დაცვის უშუალო ხელმძღვანელობა იკისრა და მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქარი უგუაქცია; ქართლის მეფე ლუარსაბ პირველს 1556 წელს სპარსელებთან ომში ბრძოლის ველზე გვერდით ედგა რომელიღაც ქართველი ეპისკოპოსი; შემონახულია ცნობები მანყვერელის, ცაგარელის, ჯუმათელისა და სხვა მღვდელმთავართა ომებში უშუალო მონაწილეობის შესახებ; უაღრესად საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესებს, მოუხდევად იმისა, რომ ისინი სასულიერო პირები იყვნენ, ეკითხებოდათ სამხედრო საქმეც, ხელში ხმალი ეჭირათ და ომებში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ. ცნობილია, რომ ქართველთა იმ ჯარის ნაწილს, რომელმაც 1115 წელს თურქებს ქ. რუსთავი წაართვა, დავით აღმაშენებლის სახელოვანი თანამებრძოლი გიორგი ჭყონდიდელი სარდლობდა; თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით შამქორის ომში ხმალს იჭრედა ანტონ ჭყონდიდელი; სხვათა შორის, ფრესკებზე სასულიერო პირთა ტანსაცმელზე ჩამოკიდებული ხმალიც მათი ომებში მონაწილეობის აშკარა მოწმობაა; საინტერესო მოვლენაა აგრეთვე ფეოდალურ საქართველოში ე.წ. საყდრისშვილების ინსტიტუტის არსებობა, რაც საეკლესიო ლაშქრის უდავო მარეზერვია. ისინი აზნაურ-მოლაშქრეთა ფენას ეკუთვნოდნენ და არა მარტო ეკლესიის სამოხელეო სამსახურს ასრულებდნენ, არამედ მის ლაშქარსაც შეადგენდნენ. ასეთი ლაშქარი ჰყოლია თითქმის ყველა დიდ ეკლესიასა და მონასტერს; ეკლესიას საქართველოს ერთიანობის ხანაშიც ჰყოლია თავისი განსაკუთრებული ლაშქარი, რომელიც ომის დროს ჩვეულებრივ მეფის სადროშოს უერთდებოდა; უფრო მეტიც, კახეთში, გვიანფეოდალურ ხანაში, უმაღლესი სასულიერო პირები (ეპისკოპოსები) ხელმძღვანელობდნენ მთელ სამეფო ლაშქარს, კახეთის ოთხივე სადროშოს.

აღბათ, არავისთვის საცქიო არ უნდა იყოს, რომ ზემოდასახელებული მოვლენები განპირობებული იყო სათანადო ტრადიციით, რომელიც საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა.

ამ კუთხით კიდევ შეგვეძლო გვესაუბრა რუსთველის სადროშოსა და ე.წ. „ღმრთაების გუჯარის“ შესახებ, მაგრამ კმარა. მოცანილი ისტორიული ფაქტებიც კარგად მოწმობენ, რომ სამხედრო ცხოვრებისა და მოღვაწეობისაგან განეწებულად არასოდეს მდგარან ქართული ეკლესია და ქართველი საეკლესიო მოძღვარნი. პირიქით, ეს კავშირი ყოველთვის მჭიდრო იყო და ის ფუნქცია, რომელსაც დღეს ე.წ. კაპლანები ასრულებენ უცხო ქვეყნების არმიებში, აღ-

ბათ, ასევე ორგანული უნდა ყოფილიყო სასულიერო პირთათვის ძველ საქართველოშიც. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, შეუძლებელი არ უნდა იყოს ვთქვათ, და არ არის გამორიცხული საკითხის ამ კუთხით უფრო ღრმა ანალიზმა უფრო გაბედულად გვარქმევინოს, რომ სამხედრო მოძღვართა ინსტიტუტის შემოღება თანამედროვე ქართულ არმიაში არ იქნებოდა ოდენ რომელიმე უცხოური მოდელის გადმომღერება, არამედ გარკვეულწილად ეს შეიძლება ძველი ქართული ტრადიციის აღდგენადაც კი მიგვეჩინა.

დოკუმენტური მასალების სიმწირის გამო ვერაფერს ვიტყვით საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921წწ.) არმიისა და რელიგიის ურთიერთობის შესახებ. მაგრამ დღევანდელი რეალობის შესახებ კი შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ: დღიდან თანამედროვე ქართული არმიის დაარსებისა, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას გულგრილობა არ გამოუმჟღავნებია მის მიმართ. ურთიერთობა და თანამშრომლობა ყოველთვის იყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მჭიდროსა და ინტენსიურს მას ვერ ვუწოდებთ. ამ საკითხით დაინტერესება, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, არ გამოუმჟღავნებიათ სხვა რელიგიური კონფესიების მიმდევართ. არადა, „სამკალი ფრიად არს“. როგორც ჩანს, ამ ინტელუბლასაც ჰქონდა თავისი მიზეზები. თავისებურ ფინურის გაღობად ამ საკითხში უნდა მივიჩნიოთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდგომი პერიოდი, როდესაც სხვა მნიშვნელოვან ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან ერთად სამხედრო მოსამსახურეთა სულიერი მოთხოვნილებების ამ სფეროსაც დაუბერა სასიამოვნო სიომ. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ 1998 წლის 23 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა დავეით თვეზაქმ ხელი მოაწერეს „შთანთქმებას თანამშრომლობის შესახებ“. ეს არის დოკუმენტი, რომელმაც ახალ ფაზაში უნდა შეიყვანოს, უფრო მნიშვნელოვანი და ინტენსიური გახადოს ამ ორ (ძალიანსა და სასულიერო) უწყებას შორის თანამშრომლობა. იგი ითვალისწინებს ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებასა და კიდევ უფრო გარმაკებას შემდეგი მიმართულებებით: სამხედრო მოსამსახურეთა და წვეამდელთა პატრიოტული აღზრდა; სამხედრო მოსამსახურეთა სულიერი მოთხოვნილებების რეალიზაცია. სხვათა შორის, საგანგებოდ არის მითითებული: „ყურადღება მიექცეს არამართლმადიდებელ სამხედრო მოღვაწეთა აღმსარებლობითი თავისუფლების სწორ განხორციელებას, კონკრეტულ შემთხვევებში მოხდეს შესაბამისი აღმსარებლობის სასულიერო პირთა მიწვევა სამხედრო ნაწილებში, ლაზარეთებსა და ჰოსპიტლებში.“

ეს, რა თქმა უნდა, უთუოდ ხელს შეუწყობს სულიერი მოთხოვნილებებისა და რელიგიური ცხოვრების თავისუფლებას სამხედრო სინამდვილეში. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ისევე ვერ ხერხდება ზემოაღნიშნულ დოკუმენტში დეკლარირებული ბევრი იდეის განხორციელება, მიგვაჩნია, რომ სათანადო პირობებში მას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია როგორც არმიის, ისე მთელი ჩვენი საზოგადოებისთვისაც. ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიღება თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ არმიაში სამხედრო მოძღვართა ინსტიტუტის შენობებისა და დამკვიდრებისაკენ მიმავალ გზაზე გადღმებულ ნაბიჯად. ჩვენი აზრით, სწორად ამჟღავნა თანამშრომლობამ უნდა შემსახდოს ნიადაგი სამხედრო მოსამსახურებში სულიერი ცხოვრების გააქტიურებისათვის, საიდანაც უკვე თითქმის აღარაფერი რჩება მოთხოვნამდებერიოდული და შემთხვევითი კი არ იყოს მათი შეხვედრები ეკლესიასთან, არამედ მუდმივად თან ჰყავდეთ მოძღვარი, რომელიც საუკეთესო საბრძოლო აღ-



ჭურვილობაზე არანაკლებ ეფექტური იმპულსი იქნება მათთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას.

რა თქმა უნდა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მოძღვართა ინსტიტუტის შემოღებამდე ვერ კიდევ შორსაა. მაგრამ, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, აქედანვე მიგვენიშებინა იმ რამდენიმე ფაქტორზე, რომლებიც მზადების ერთგვარ წინა ეტაპად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ჩვენი აზრით, ეს ფაქტორი შეიძლება იყოს შემდეგი: ა) არმიის ხელმძღვანელობის ნების გამომუშავება და ჩამოყალიბება, მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება უწყებაში სამხედრო მოძღვართა ინსტიტუტის დასამკვიდრებლად; ბ) აზრის შემზადება როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საზოგადოებაში არმიამ იმ ინსტიტუტის აუცილებლობის შესახებ; გ) სასულიერო და სამხედრო პირთაგან წინასწარ შერჩევა ადამიანთა იმ კონტიგენტის, რომელიც საგანგებოდ მომზადდება აღნიშნული სამსახურისთვის და ექნება სურვილი ამ მიმართულებით იმუშაოს; დ) მუშაობის ორგანიზება როგორც თავდაცვის სამინისტროს, ისე საპატრიარქოს მხრიდან, კაკლანთა ინსტიტუტის სტრუქტურის მოდელისა და სტატუსის შესასწავლად უცხოეთის არმიებში (განსაკუთრებით იქ, სადაც მართლმადიდებლობა წამყვანი რელიგიური კონფესიაა, მაგალითად საბერძნეთში); ე) ქართულ საისტორიო წყაროებში გვესიისა და ჯარის ურთიერთობის შესახებ სერუბოლოზური კვლევა-ძიების ჩატარება; ვ) სამხედრო მოძღვართა ინსტიტუტის ქართული არმიისათვის მისაღები მოდელის, სტრუქტურის შემუშავება და ჩამოყალიბება. ზ) ფინანსური სახსრების გამოძებნა ახალი სტრუქტურის დასამკვიდრებლად და გამართულად ფუნქციონირებისათვის. თ) აუცილებელი ჩართვა ამ საქმიანობაში საქართველოში არსებული სხვა, არამართლმადიდებლური, წამყვანი რელიგიური კონფესიებისა, რათა მათაც მიეცეთ საშუალება საკუთარი მოძღვრების მომზადებისა და განწესებისთვის სახელმწიფოს არმიამ.

უფიქრობთ, რომ პრობლემა, რომელიც ამ წერილშია წამოჭრილი, საკმაოდ სერიოზული და აქტუალურია. ხოლო იდეა, რომელზედაც ამდენი ვისაუბრეთ, ხვალ თუ არა ზევ მაინც პრაქტიკულ ხორცშესხმას მოითხოვს და ურიგო არ იქნება, თუ ამ უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე შესაბამისი სამსახურები ახლავე დაიწყებენ ფიქრსა და ზრუნვას.

### ინტერნეტი დღეს, ხვალ...

კარგა ხანია, ერთ დროს ასე ხშირად განმეორებადი ტერმინის „ინფლუენტრალიზაციის“ ადგილი „ინფორმატიზაციამ“ დაიკავა. ინფორმაციული საზოგადოების პირობებში ცხოვრება ადამიანის წინაშე საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს აყენებს. ინფორმაციული საზოგადოების სრულყოფილ წევრს უნდა შეეძლოს მართოს და მოიხმაროს ინფორმაციის თანამედროვე წყაროები — მონაცემთა ბაზები და ბანკები. ამიტომ მართებს ჩვენს ერს გადაუდებელი ზომების მიღება, რათა დროულად შევქმნათ ენის კომპიუტერული სისტემები. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ენათა სისტემებით მოგვიწევს სარგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დავიწროვდება ქართული ენის გამოყენების არეალი და (ღმერთმა დაგვიფაროს) მას მხოლოდ ოჯახში სახმარი ენის ფუნქციალა ექნება. სწორედ ამ საკითხის განხილვას ვიწყებთ თხუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით გორდეზიანის წერილით: „ინტერნეტი დღეს, ხვალ...“

ინტერნეტი — კომპიუტერთა გლობალური ქსელი — ქსელთა ქსელი, ეს ერთი და იმავე შინაარსის მქონე დასახელებაა შოკე საუკუნის ბოლოს კაცობრიობის მიერ შექმნილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციული ტექნოლოგიისა. მან უდიდესი ზემოქმედება იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ინტერნეტი ინფორმაციის სწრაფი და ხაიმედო გაცვლის საუკეთესო საშუალებაა; დროისა და მანძილის მიუხედავად, იგი ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის მსოფლიო ციფილიზაციისა და კულტურის მიღწევებს (კომპიუტერის საშუალებით შესაძლებელი ხდება ამ მიღწევების გაცნობა, ათვისება და გამოყენება). ინტერნეტის საშუალებით ჩვენს წინაშე იხსნება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების, სასწავლო-სამეცნიერო თუ კულტურული ცენტრების კარები, მათი ლაბორატორიები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები...

ინტერნეტი იძლევა საშუალებას თანამედროვე ტელემედიცინის, დისტანციური სწავლების და სხვა დარგების განვითარებისათვის.

თავისთავად კომპიუტერი თანამედროვეობის საოცრებაა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი თაობის კომპიუტერებს დაბალი საექსპლუატაციო მაჩვენებლები ჰქონდათ, მათ უდიდესი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას. კომპიუტერული მოდელირების, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებამ ბევრად განაპირობა უდიდესი მიღწევები ატომური ენერჯისა და კოსმოსის ათვისებაში, საინჟინრო სამუშაოთა შესრულებაში და, საერთოდ, ადამიანის მოღვაწეობის მრავალ სფეროში.

დღევანდელი კომპიუტერები შეუდარებლად მძლავრნი და მოქნილნი არიან ადრინდელთან შედარებით. პერსონალური კომპიუტერების შექმნამ რევოლუციური გარდაქმნები შეიტანა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში. თავი იჩინა ახალმა, სასიკეთო ტენდენციებმა ინფორმაციის მიღწევა-დობის, შენახვის, დამუშავების და გადაცემის საქმეში. პერსონალური კომპიუტერები საბაზისო ერთეულს წარმოადგენენ კომპიუტერული ქსელებისათვის,

ხოლო ასეთი ქსელების გლობალურმა გაერთიანებამ სათავე დაუდო ინტერნეტის შექმნას. ინტერნეტი ყველგან, სადაც კი შეაღწევს, ქმნის განვითარებად გარემოს.

ინტერნეტი ჩაისახა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოციანი წლების ბოლოს. თავდაპირველად ის წარმოადგენდა სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რომლის მიზანი იყო კომპიუტერების დაკავშირება ტელეკომუნიკაციური არხებით (დღევანდელი ტერმინოლოგიით — ქსელის შექმნა) ინფორმაციის საიმედო გადაცემის, მიღებისა და დამუშავების მიზნით. ეს ქსელი ემსახურებოდა აშშ-ს მხოლოდ იმ უნივერსიტეტებს, მეცნიერებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სახელმწიფოს თავდაცვის სამეცნიერო კვლევებთან იყვნენ დაკავშირებული. შემდგომში სამხედრო-თავდაცვითი სისტემისათვის შეიქმნა სხვა ქსელი, ხოლო საწყისი ქსელი კი დაეძმო ჩვეულებრივ სამეცნიერო საქმიანობას და მასში ჩაებნენ სასწავლო დაწესებულებები — უნივერსიტეტები, სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრები და ორგანიზაციები, არსებითად ყველა, ვინც კი დაინტერესებული იყო კომპიუტერული ქსელით ინფორმაციის მიღება-გაერცელებაში. ასე შეიქმნა მეტაქსელი, რომელსაც ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარეებთან უწყვედა აშშ-ს მეცნიერების ეროვნული ფონდი. შემდგომში ამ მეტაქსელში ჩაერთო სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი და დაიწყო ახალი ერა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში, დაიწყო ინტერნეტის ეპოქა.

დღეისათვის ინტერნეტში, როგორც ნებაყოფლობით ასოციაციაში, გაერთიანებულია 150 ათასზე მეტი კომპიუტერული ქსელი, რომელიც 10 მილიონზე მეტ კომპიუტერს მოიცავს.

გლობალური ქსელის უძძლავრესი კერები სადღეისოდ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებია, თუმცა არც განვითარებადი ქვეყნები იშურებენ ძალღონესა და ფინანსებს ინტერნეტში სრულყოფილად ჩართვისათვის. ეს არცაა გასაკვირი. ინტერნეტის განვითარება ნიშნავს, დაიკავო ადგილი მსოფლიო ინფორმაციულ სამყაროში, გახდეს მსოფლიოს ინფორმაციული ინდუსტრიის მწარმოებელიცა და მომხმარებელიც. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში საინფორმაციო-ტექნოლოგიური საზოგადოების ფორმირებისა, რისკენაც მისწრაფვის თანამედროვე მსოფლიო.

ინტერნეტის განვითარება საქართველოში დაიწყო ცალკეული კერძო, საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციების ხელშეწყობით.

დღეს გლობალური ქსელი ფუნქციონირებს როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ვერ ვიტყვით, რომ იგი სრულყოფილია, უზალოდ ფუნქციონირებს (ეს სიღარიბის ბრალია), მაგრამ მთავარია, რომ უმნიშვნელოვანეს საქმეს უკვე ჩაყარა საფუძველი ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოში ინტერნეტის გაერცელებას დიდად შეუწყო ხელი „ნატოს“, ევროგაერთიანებისა თუ სოროსის ფონდის გრანტებმა. მაგრამ ჯერჯერობით მაინც ცოტაა გაკეთებული. როდესაც დაამარაგია საქართველოში ინტერნეტის განვითარების პერსპექტივებზე, პირველ ყოვლისა, იგულისხმება საქართველოს მასშტაბით ინფორმაციის ერთგვაროვნად განფენა და ყველასათვის ხელმისაწვდომობა სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ეკონომიკური, სამედიცინო, სოციალური და სხვა ასპექტების თვალსაზრისით. ეს კი მოითხოვს სათანადო სატელეკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენებას. ამავე დროს, აუცილებელი ხდება ქართულენოვანი საინფორმაციო რესურსების შექმნა და განვითარება, რაც მოითხოვს ჰუმანი-

ტარული მეცნიერებების წარმომადგენელთა და ინფორმატიკოსთა ერთიან ძლისხმევას. ამ საქმის გადაჭრას ბუნებრივად უკავშირდება ქართულ ენაზე კომპიუტერული თარგმნის ურთულესი პრობლემა, რაც მოითხოვს ლინგვისტთა და ინფორმატიკოსთა ერთობლივ მუშაობას.

უნდა შეიქმნეს ქართული კულტურისა და ისტორიის ვველა სფეროს მომცველი საინფორმაციო ბაზები ინტერნეტის ქსელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს კულტურულ რუკაზე საქართველოს ადგილი არ ექნება. საუკეთესო შემთხვევაში მას ისევე ყურმოკრული და შემთხვევითი ინფორმაციებით გაიცნობენ, როგორც ეს დღეს ხდება. ქართული ენა და მთელი კულტურაც რომ დახშულ სიერცეში არ მოხედეს და მსოფლიოს სააზროვნო სისტემაში მოექცეს, აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის ამტკველება ქართულ ენაზე და საგანგებოდ შერჩეული სპეციალისტების მიერ შეგროვებული ინფორმაციის შეტანა ინტერნეტის ქსელში. ერთი სიტყვით, ინტერნეტი, რომელსაც მოაქვს უდიდესი კომფორტი და სარგებლობა, ამავე დროს, ჩვენს წინაშე აყენებს უამრავ გადასაწყვეტ ამოცანას.

საქართველოში დღეს მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ახალ ეკონომიკურ პრინციპებზე გადასვლის პროცესი; საქართველომ უნდა იპოვოს თავისი ადგილი მსოფლიოს ეკონომიკურ და ინტელექტუალურ არეალში. როგორც აღვნიშნეთ, ამისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშეწყობი პირობა სრულყოფილი ინფორმაციული სიერცის განვითარებაა. ეს საშური ხაქმეა და აუცილებელიც ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის.

## სპორტული რუბრიკის მაგიერ

გიო ახვლედიანი

### საფეხბურთო საღამო

დილიდან შოტლანდიური მარშები შესმოდა.

შუქი არ იყო, მაგრამ საიდანღაც მოისმოდა ეს მზარულ-პრაზიანი, კეთილი და ავი ჰანგები. ბოლოს, შოტლანდიელი მესტკირე თბილისში ვნახე „მეტეხის“ სასტუმროში — როიალთან იდგა და უბრავედა სტვირის სატუჩეს. მაშინ ჩვენთან ინგლისის ნაკრები იყო ჩამოსული და იმავე „მეტეხში“ ბინადრობდა. ვაგებდით, თუ რა იყო, მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ფეხბურთი. ეს ფალაწვერა შოტლანდიელიც კი გვეუბნებოდა, უნდა დაამარცხოთ ვენიო, ისე დაეუკრავ, არასდროს რომ არ დანიკრავსო. დაუკრა თუ არა იმ კაცმა, ვერ გეტყვით, ჩვენებმა კი წააგეს და იმის შემდეგ მკონი აღარავისთვის მოუვიათ. ამბობდა კიდევ ერთი, ფალაღმანია და დაგვთარსავს, დაანებე თავი მაგასთან ლაპარაკსო. თუმცა, ვეუთი რამეებისა არ მეკრა.

მანამდე კიდევ მენახა სამი-ოთხი ვეუთი მესტკირე, კარგად დაითვრე-ბოდნენ და მერე აკენესებდნენ ამ თავიანთ სტვირებს შუა ლონდონში. ვისაც ცოცხლად მოუსმენია სქოთური მესტკირული, იმან იცის — ეს ხალხი ბევრს ხუმრობს, მაგრამ მის ხუმრობას ბოლო აქვს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავსტრალიაში გაზრდილმა ამერიკელმა, მელ ვიბსონმა ფილმი „მამაცი გული“ გადაიღო, ხოლო მსახიობი შონ კონერი თვეში ხუთ ათას გირვანქას რიცხავს შოტლანდიის ნაციონალისტური პარტიის ანგარიშზე.

მე კიდევ დილიდან შოტლანდიური მარშები შესმოდა.

მიზეზი ფეხბურთი იყო — მასმედიის ათღლიანმა შემოტევამ თავისი ქნა, შაბათ საღამოს გლაზგოს „სემპდინ პარკზე“ შოტლანდია ინგლისს მასპინძლობდა მეტად მნიშვნელოვან შეხვედრაში და, ვისაც ფეხბურთი ჩრდილოურად უყვარს, იმისთვის ეს მატჩი ერთ რამეს კი ნიშნავდა. მე კი სწორედ რომ ჩრდილოურად მიყვარს ფეხბურთი. მომწონს, როცა მასში არა მხოლოდ ტაქტიკა და მოთამაშენი, არამედ ერები, ისტორია, ლეგენდები და სტვირებია ჩართული.

ინგლისი და შოტლანდია განა ეს მხოლოდ ფეხბურთია?

კინოფილმებს ნულარ გაეხსენებთ. ძალიან იოლია. ომისა და მშვიდობის უფრო მოხერხებულ ნახავს, ამ ორ მხარეს რომ შეუქმნია დღევანდლამდე, ძნელად თუ იპოვი დედამიწის ზურგზე. ასეთი მეზობლები ქვეყნად ძალიან ცოტაა. განა მე შოტლანდიელთა მხარეს ვიყავი? მარშები იმიტომ თუ ჩამესმოდა, რომ მათი ჰანგი ბრძოლას ნიშნავდა. შუქი არ იყო-მუთქი, მაგრამ ხომ გამოცხადებული ამბავია, რომ შეიღ საათზე მოვა? ორი ათასი წელი კი ახ-

ლოვდება, მაგრამ ჯანდაბას — რაზან თამაში რვის ათ წუთზე იწყება, მოვიდეს შეიღზე და წავიდეს პირველზე.

მსოფლიო კი გამოიყვალა, რაღაცნაირი გახდა.

მაგალითად, სტადიონზე აუცილებლად სკამები უნდა იდგეს, კარგახანია აღარ არსებობს კარსუკან, ფეხზე სადგომი იაფი ადგილები, სადაც უწინ ლატაკი ხალხი იკრიბებოდა ხოლმე და მუშტი-კრის მისდევდა. ახლა ერთი კაცი ერთი სკამია. ამას თუ შეეწირა „სემპდინ პარკის ღრიალი“? იყო დრო, როცა გლაზგოში, ამ სტადიონზე ასორმოცდაათი ათასი კაცი ეტეოდა. ეს ხალხი თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე იწყებდა ღრიალს და მოტლანდიელთა დამარცხება ამ ადგილას თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ერთ-ერთ იქაურ რადიოტელევიზიულ მოვისმინე ეს ღრიალი. შევიძლია თქვა, რომ ამ ღრიალით ზღვას დასწევდი უკან, ან ელექტრონერგიას გამოიბუშავედი. შეიდი საათის ცდა არ დაგვირდებოდა. მაგრამ რამდენიმე თვეა, „სემპდინის“ რეკონსტრუქცია დასრულდა და მისი „ღრიალი“ აღარ არსებობს. აჰ, კარგი, გემრიელი ორმოცდათორმეტი ათასი სკამი დგას. ვველაფერი უკეთესობისკენ მიდის, ვველაფერი მოხერხებული და მოსახერხებელი ხდება, ძველი გემოვნებანი კი, პრომატი არცთუ მოწყობილი, შექლებული დროებისა კი სადაც გამქრალა.

და ამგვარ ამბავში მოტლანდიელთა და ინგლისელთა თამაში ის ერთ-ერთი იშვიათი მაფთავანია, იმ შენთვის ჯადოსნურ დროებას რომ ექანება შენი ტელევიზორისკენ. ას წელიწადზე მეტია, ამ ქვეყანათა ნაკრებები ერთმანეთს ეთამაშებიან და ასრვა შეხვედრაში არცერთხელ გაუძევათათ ფეხბურთელი. მერე გამოჩნდება ვინმე ფრანგი ვარსკვლავი, ვთქვათ, ფრანკ ლეუფევი და იტყვის, ბრიტანელთა ჯენტლმენური თამაში მათივე მოგონილი ამბავიაო. გაუშვი, თქვას.

მაგრამ ვინა ვართ ჩვენ, ტელეფეხბურთით შემოღილი ხალხი?

ჩვენ პროლეტარები ვართ. არჩვენებში არ ვაქტიურობთ და პრობლემები ზამთარში გვეწყება. შეიძლება ითქვას, ზამთრის პირზეც. მთავრობასთან სირთულე ერთი გვაქვს — თქვი შეიღზე, გამოუშვი შეიღზე ანუ ვხივართ და ველოდებით.

მით უმეტეს, გარკვეულია, რომ დღევანდელი მსოფლიო ამჟამად აღარ ჰგავს გუმინდელს და ინგლისელები და მოტლანდიელები სულ უფრო იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს (უკანასკნელად სამი წლის წინათ შეხვედნენ ერთმანეთს).

ყურში კი მესტვირული ჩაგესმის.

შენ გგონია, მარტო ვაპირებ ყურებას? დარჩა ჩვენს უბანში ისეთი ხალხი, ვისთან ერთადაც ჩამოჯდები ტელევიზორთან. გვყავს კიდევ ერთი ძმაბიჭი, საბურთალოს უბნიდან, ძან მცენიერი კაცი, მაგრამ ჩვენებარ პროლეტარი. „ოთნონ ჯეკის“ დანახვაზე ავიწყდება თავისი მცენიერება და მშვენიერი კაბინეტი ერთ უმაღლეს სასწავლებელში. დილიდან რეკავს, მოვა, აბა, რას იზამს?

ჩვენ საწყალი ხალხი ვართ, საკუთარ სტადიონზე გული აღარ მიგვიწევს. დარჩენილია ტელევიზორი და სიყვარული რაღაც ძველისა.

შეიღზე მოდის, ქურთუკს ვიცმეფ, რათა მეზობლად შეკრებილ ძმაბიჭებს შევეურთდე. დენი ცახცახებს და მიდის.

იცით, რა ცუდია, როცა მიდის ის, რაც გაირტრეხებს? ეს ხომ კინო არ არის, რომ ვიდეოსკოპში მიაკვლიო და, როცა მოიცილი, მაშინ უყურო. თვით ფეხბურთის ვიდეოჩანაწერსაც კი არა აქვს გემო, კონსერვივითაა. პირ-



დაპირ, ტელევიზორში, გლაზგოდან, ასე რეკლამირებული, ასე ვაცოცხლებული წარსული. ასე ლამაზი დროშები — არა, ნაღდად რაღაცის მონაწილე ხდები და გაეციწყლება, რომ პირველზე წაეა.

ამის შემხედვარეს ხომ გაეციწყლება, რომ... ჩვენ პროლეტარები ვართ, ჩვენ გეაეციწყლება, იმიტომ რომ ფეხბურთი გეიფვარს და, როცა ფეხბურთი ჩვენსაივით გეიფვარს... ძალიან ვერაგულად კი წაევიდა. დაიკლო, აიწია, დაიკლო, აიწია. გამოცდილმა კაცმა იცის — ეს ავარიას ნიშნავს.

ჩვენ კი ვსხედვართ ჩვენს საბურთალოელ მშაბიჭთან ერთად და ებჭობთ, რომ „დეიფოკი“ უნდა გქონდეს. ზემოთ კაი მეზობელს აქვს „დეიფოკი“, მაგრამ ამბობს, რომ ტელევიზიაც არ მუშაობს. ვილაცას კიდევ აკუმულატორი პქონია და დატენას ვერ ახსრებს. ფანჯრიდან ჩაბნელებული ტელეანმა ჩანს, სამი წითელი ნათურით გვახსენებს, რომ არსებობს.

რა თქმა უნდა, საყოველთაო გამორთევა, ყოელის მომცველი ავარია, სიბნელე. ვილაც ამბობს, რომ მხოლოდ „რადიო — 105“ მუშაობს. სიბნელე აშკარად ნიშნავს, რომ მსოფლიო მოვლენების მონაწილე ვერ შეიქნები. „ქემპდინ პარკზე“ უკვე თამაშია გახსრებული, ჩვენ კი ბნელში ვსხედვართ. ჩვენ, პროლეტარები, რომლებიც ფეხბურთის გამო შევერთდით მრავალი წლის წინათ.

თუ ტელეანმა ჩაართო და გადაცემები აღდგა, რომელიმე ტოტალიზატორში შეიძლება წასვლა. იქ „დეიფოკებიცაა“, დიდი ტელევიზორებიც და, ცხადია, ფეხბურთიც. მაგრამ...

ეპ, მაგრამ და მაგრამ. იმეარი ახირებული და ოხერი კაცი ვარ, რომ ფიცი მაქვს ნათქვამი — ტოტალიზატორში ფეხბურთს არ ვუყურებ. არა იმიტომ, რომ ოდესღაც ძალიან ბევრი ფული წაევაგე, არამედ იმიტომ, რომ მოთამაშეთა შორის ძალიან ბევრი ნაცნობი მყავს. ამას თუ დაეკმატებთ, რომ გვარიანად ხათრიანი ვინმე გახლავართ, აღამიანთა სმენა ზრდილობის აუცილებელ პირობად მიმანჩია, თამაშის გემრიელი ყურება გამორიცხებულია. სულ არაფერს სჯობიაო, — იტყვი თქვენ, მაგრამ ახლავე აგისხნით, რას ფიქრობს ფულზე მოთამაშეთა 99% პროცენტი ფეხბურთის გამო.

მათი აზრით, ყველა თამაშის შედეგი წინდაწინევა ცნობილი და საკუთრივ ფეხბურთის ყურებას რაიმე აზრი არა აქვს. მთავარია ამოცანა, რა შედეგი განუსაზღვრავს რაღაც მძლეუთამძლე იატაკქვეშა სინდიკატს, რომელიც ტოტალიზატორთა მსოფლიო ქსელს აკონტროლებს და ეს ყველაფერი მილიონების კონტად სატრიალებლად სჭირდება.

მათი აზრით, დღევანდელი თამაში ხაქეტაკლია და ფეხბურთელთა ხამსახიობო ოსტატობა ლორენს ოლივიესაც შემურდებოდა. ტელერეპორტაჟების ცქერა საინტერესოა მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ მიხედვ, დაემთხვა თუ არა შენი გამოთვლები სინდიკატის სურვილს.

მიდი და უფრუე ასეთ ვითარებაში თამაშს. შენ ფეხბურთი ხპორტი გგონია, იმათ—მეფია.

თითქოს სადღაც, მაღაიზიაში, ჩვეულებრივ ოფისში ზის სუპეროლში მისტერ ლინ სუნი და მსოფლიო ფეხბურთის ანგარიშებს საზღვრავს. იცით, ვის ჰგავს ეს მისტერ სუნი? ჯონ უს ყველაზე უფრო მყრალი ფილმების ყველაზე უფრო მყრალ პერსონაჟს, გაპოხილი ცხვირ-პირით ზის და კლავს ფეხბურთს, როგორც პატისან რამეს.

არ მინდა მისტერ სუნი.

არ წაეულ ტოტალიზატორში.

მაგრამ ცხადია, რომ ყელავ ძეულ გზას უნდა შეეუდეგე

რახან მეორე ტაიმის ცეკრის შანსი შევრჩენია (თუ, რა თქმა უნდა, ანდა მუშაობს), ძველებურად უნდა გაისარჯო.

ჩვენ, ფეხბურთის პროლეტარებს, ტყვია-წამლის სურნელით გაჯერებულ ღამის ქლაქში გვივლია შუქიანი ნაცნობის საქებულად გვივლია და გვიპოვინა. ერთხანს, კომუნდანტის საათის ამბებში ერთი გვარდიელიც კი შევიამხანაგეთ, რომელიც მანქანაში გვევდა და პოსტებზე გვეხმარებოდა, ჩვენი ბიჭები არიან, ოდენ ფეხბურთისთვის გარჯილან და გაგვატარეთო.

სად არის ახლა ის გვარდიელი?

ეპ, იდეა კი ერთია:

— პეროვზე ჩავიდეთ, იქ „ღვთიუკებიცაა“ და „იუტებიც“. ბარებიც გაქვლილი იქნება ხალხით. ჯერ მარტო რამდენი ინგლისელია თბილისში...

ჰო, მაგრამ ტელევიზია მუშაობს?

გარეთ ბნელა. წუხელ სამი გრადუსი ყინვა იყო. ტაქსი გვინდა...

პროლეტარები ვართ, სერ, ჯივრები ვართ. განა ვერა ვგრძნობთ, რომ განწირულის სულისკვეთებამ დაგვრია ხელი? დიდი-დიდი, ნახევარ საათს მი-უესწროთ. ბევრსა ვბჭობთ და დრო ხიბნელის სასარგებლოდ მუშაობს.

რაღა პეროვზე, ჩვენს უბანშიცაა ორი „ჰინგერის“ ბარი.თუ ტელეანა...

ავიკრიფეთ.

ამ დროს უკვე ინგლისი იგებს, მაგრამ ჩვენ რა ვიცით?

რა გვიჭირავს ხელში? დროშებზე ნუ ვილაპარაკებთ. სანთელი ძალიან კეთილშობილური რამ იქნებოდა ამ შემთხვევაში.

კარგი ჰა, ფარანი გვიჭირავს.

ქუჩაზე კი კაცი წაიქცა. კარგად ჩაცმულ-დახურული ვინმეა, უგონოდ მოვრალი.

ტროტუარზე ვსვამთ. „კარგათა ვარ, კარგათა ვარ,“ ბუტბუტებს. რა კარგად? ვიღაც მოდის და ამბობს:

— სახლამდე მოსულა, - მეზობელია, მზარს შეუდგამს და მიჰყავს.

დაბლა, ვეშვებით, პროსპექტზე.

კაფე „კარაველაში“ დეიოკს ამუშავენ, დაბლზე გამორთული ტელევიზორი ღვას.

რა თქმა უნდა, კაბელი არა აქვთ, რა თქმა უნდა, დეიოკი ტელევიზორს ვერ ქანავს.

— არა, ეს არ არის რიო ღე თანეირო, — ამბობს ერთი ჩვენი ძმაკაცი, რუსულ სკოლაში რომ დადიოდა.

— უიბარა? — ბრაზობს სხვა.

ჩვენი საბურთალოელი ძმაბიჭი კი ჯიუტად მიიწვევს „ჰინგერისკენ“.

იქ შესვლას კი აზრი არა აქვს. გარედანაც ჩანს — მაგიდაზე სანთელი უდგათ.

მაინც შეედივართ. პატრონი ჩვენი ძველი ნაცნობია. „არა, გენაცვალე-არა“. მაგიდებთან კი, არ გაძრანდ და ინგლისელები სხედან. ლულს სვამენ და შუქს ელიან. ხოშინანად არიან.

ესენი არიან ინგლისელები? — ღრმადფილოსოფიური შეკითხვია, მაგრამ რას იზამ? ვგებ ამათ კრიკეტი ურჩვენიათ. ხოლო, როცა ფეხბურთის კრიკეტი გირჩვენია, მე ვერაფერს გეტყვი. ხელს ჩაკიქვებ და წამოვალ ჩემს გზაზე, ჩემს ბნელ და გემრიელ ქუჩაზე.

— გაგასთან ავირბინოთ, აკუმულატორი... — იწყებს ვიღაც და ჩვენი სა-ბურთალოელი ძმაბიჭიც თანახმაა:





—რა ხშირად მე განახულობთ, მგვის დედა...

რაც გინდა ის თქვი და საბურთალოელები განსაკუთრებული ხალხია...  
 იგრე ლირიკულ-პრაზიანად იტყვიან უცბად, რომ გული ჩავწყდება.

—თუ ტელევიზია არ მუშაობს...

გაგას სადარბაზოსთან ვდგავართ. ცოტაც და ჩვენი ფარანი დაჯდება. საათს კი ანათებს. ხუთ წუთში თამაში მთავრდება. რაღა აზრი აქვს? კიბეზე აერბობარ და ვაკაკუნებ. ბებიას სახლში. ამ უკუნეთში, რა უნდა აუხსნა. გაგა სადღაც გადავიდა. თანაც, ჩრდილოურად კი არ უცვარს, არამედ საშხრეთულად. ძმა ჩვენი. უკაცრავად, ნახვამდის... სახლისაკენ მოვაბიჯებთ.

ქუჩის კუთხეში ჩვენი საბურთალოელი ძმაბიჭვი ამბობს:

—წავედი...

—ამო, დავხვდეთ...

—წაველ. წაველ.

—როდის გამოიხდები?

ეკ, მეგობარო. გლაზგოში ყველაფერი დამთავრდა. მხრებს იჩქავს.

—არ დაიკარგო.

ბნულა და აღდგენილი, დამატარავებული, მოწესრიგებული „ქემპდინ პარკი“ არსად ჩანს.

არც ტარტანთა არმია ჩანს საღმე — რამდენი ხანია, მარში არ გამოიგონია. მესტირეებო!...

დამთავრდა. ისტორიასთან დაკავშირებას ველარ მოახერხებ. აქ „მაგარ თამაშზე“ არ არის ლაპარაკი. ბევრად „მაგარი თამაშებიც“ არსებობს. აქ ისტორიაზეა ლაპარაკი. ფეხბურთი ჩვენი არსობისა მოგვეცე ჩვენ დღეს. ისედაც გვიჭირს, საკუთარ სტადიონს, საკუთარ სიხარულს მოვშორებართ. ბოსკამპი რაა, ბოსკამპითაც ვერ გაგვიხარია.

იცით, რა მგონია?

ფეხბურთის პირველი საიდუმლო მწვანე მინდორია. აი, ახლადმულამე-ბულზე რომ აინთება პროექტორები და მინდორს დანათებს, შენ კი სულ ახლოს, ტრიბუნაზე ზიხარ და ამ თამაშის პირველ საიდუმლოზე ფიქრობ. რა ხანია, არ შეგისუნთქავს ეს პირველი საიდუმლო. არა იმიტომ, რომ შენს სტადიონზე განათება ევროსტანდარტს არ შეესაბამება, არამედ იმიტომ, რომ ამ პირველ საიდუმლოს აუცილებლად უნდა მოჰყვეს სხვებიც: საიდუმლო ბურთისა, მოთამაშისა, სტადიონის ზმაურისა, —თეთრი კარისა და ბადისა. საიდუმლო ისეთი ვილაცისა, მწვრთნელი რომ ჰქვია და მკლავარედ რომ დააბოტებს მინდვრის კიდეზე... ჩვენი საბრალო სტადიონი კი... ერთი საიდუმლოსთვის ვერ მიხვალ იქ, რადგან ფეხბურთი იმეგარი საიდუმლოა, რომ თუ ერთი, სულ პატარა, სულ ერთი ციდა საიდუმლოც რომ აკლდეს, დიდი ისტორიიდან, ბაზრის მოედნის უგვანო ანეკდოტამდე დაქვეითდება...

დაკეტლიან ჩემი ბებერი სტადიონი და ვდგავარ მსოფლიოს უცვიგრესი პროლეტარიატის, სატელევიზიო ფეხბურთის პროლეტარიატის რიგებში. იგი სხვაა, განაზღვრავდა სტადიონის ფეხბურთისაგან, მაგრამ თავისი წილი საიდუმლოებანი გააჩნია და საოცრად გემრიელია. ის ვერ გაგაძლებს სტადიონის პაკით, მაგრამ ჯადოქრულ ხერხებით კი წაგიყვანს გლაზგოში. მას თავისი მფრინავი ხალიჩა აქვს და რახან ფეხბურთისა ხარ, ებლაუკები ამ მფრინავ ხალიჩას.

მფრინავი ხალიჩის ბილეთი კი სინათლეა, ჩვენებურად რომ ვთქვათ — შუქი.

და რატომ აღარ ჩამესმის შოტლანდიური მარშები?

სახლში ვარ, სამზარეულოში ვზივარ და ლიზინან ჩაის ვსვამ.

ვევლა ჩემნაირი სვამს ალბათ თავის წილ ლიზინან ჩაის.

ამ დროს მოდის. მოდის ეს ოხერი, ესა. ახლა რაღად გინდა? ხალიჩამ გამასწრო და...

რა თქმა უნდა, საქმე სერიოზულადაა. ტელევიზორში ენერგეტიკის მუშაკები ამბობენ, რომ სუპერავარია მომხდარა. ექვები და დივერსიები. მე კიდევ ვნანობ — ტოტალიტატორში უნდა წავსულიყავი. უნდა წავსულიყავი! კარგი ბიჭები არიან. რას ამოვიჩქებ ხოლმე? ხლიონ მისტერ სუნს. ბოლოსდაბოლოს ეს მათი პრობლემაა.

ჩემი პრობლემა...

სადაც რომ კაბელი გასკდა და მთელი აღმოსავლეთი საქართველო უშუქოდ დარჩა — აი, ჩემი პრობლემა. ათასობით ადამიანს უფრო უჭირდა იმ სიბნელეში, ამიტომ ჩემი პრობლემა მხოლოდ გლაზგო იყო, მათი კი — ცხოვრება. უფრო სწორად კი ის, რასაც ჩვენთან ცხოვრება ჰქვია. მაგრამ რა ვქნა? როცა მარშები ჩამესმის, ჩემი პრობლემა მხოლოდ ფეხბურთია, მაპატიეთ ის საათნახევარი. მაცადეთ ის საათნახევარი. პროლეტარი პროლეტარიაო, ხშირ გაგიგონიათ? მაგრამ თუ გაცხარდაო...

ტელევიზორში კი არჩვენ — ამ კუთხით, იმ კუთხით, რა მოხდა, როგორ მოხდა. რა გველის...

რა უნდა გველოდეს?

საბურთალოელი ძაბიჭი რეკავს.

— ინგლისს მოუვია, სქოულზს გაუტანია ორი გოლი.

ჰმ...

მე ფეხბურთის პროლეტარიატიდან ვარ, ჩემი რომის ჰაპი როცა წირავს, მის შესას აუცილებლად უნდა დავესწრო და როგორია, როცა გაიგებ, მესა უშენოდაც მშვენიერად ჩატარდაო?

სისულელეა, არა?

ფეხბურთი კი არაო და ის არ გინდათ? ფეხბურთი გასართობიაო.

შენთვის ვებ გასართობიც იყოს. მე კი მარშები ჩამესმის.

მისმინე მე.

დილიდან შოტლანდიური მარშები ჩამესმოდა.

შუქი არ იყო, მაგრამ საიდანღაც მოისმოდა ეს მზიარულ-ბრაზიანი, კეთილი და ავი ჰანგები. ვინც ნეტყვის, რომ ეს ფეხბურთის გამო არ იყო და ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთია და მეტი არაფერი, მაშინაც კი, როცა ინგლისელები და შოტლანდიელები ერთმანეთს ეთამაშებიან, იმან წიგნი გადაშალოს.

ჟოლტერ სკოტი.

გახსოვთ, ასეთი?

შუქი მინდოდა, სერ.

გესმით?

ინგლისელები კი უდარდელად სვამდნენ სანოლის შუქზე.

ეჰ, ჩვენი სტადიონი მაინც დაიბრუნებდეს ფეხბურთის საიდუმლოს.

**სარედაქციო მინაწერი:** მწერალი გიო ასველიანი მშვენიერი წიგნის ავტორია ნისლიანი ალბიონის ფეხბურთზე („იქ, სადაც პირველად გაგორდა ბურთი“). ვთხოვეთ, ქართულ ფეხბურთზეც დაეწერა ჩვენი ჟურნალისათვის.. ორიოდე დღის შემდეგ სვედიანი ირონიით სავსე ეს ჩანაწერი მოგვიტანა და ერთხელ კიდევ შეგვახსენა სამწუხარო რეალობა — ჩვენ ის ხალხი ვართ, უდე-

ნობის გამო კარგა ხანია, რომ ჩაეწერა „სატელევიზიო ფეხბურთის პროლეტარიატის რიგებში“ და სანთლით ხელში კარდაკარ დადის „დეიფოკიანი“ ტელევიზორის სანახავად. თუმცა... დენიც რომ გვეკონდეს, მაინც სხვისი ცხოვრებით მოგვიწვეს ცხოვრება, რადგან „დაკეტილია ჩვენი ბებური სტადიონი“.

როდემდის? პეტერბურგიდან მომავალი მგზავრით იკითხავთ თქვენ, ჩვენო მკითხველო! ამის პასუხი კი, ალბათ, მარტო იმან უწყის, ვინც ქართული ფეხბურთი კლანურ საკუთრებად აქცია და საათნახვერიანი სიზარულის უფლებაც მოგვისპო.

როდემდის? ვკითხულობთ ჩვენც და ამ კითხვით მიემართავთ იმით, აგერ გუშინ რომ ვანდეთ ჩვენი ქვეყნის მომავალიცა და, მასთან ერთად, საათნახვერიანი სასწაულის დაბრუნების იმედიც.

ჩვენი ჟურნალი დასაბუჯდად მზად იყო, როცა საქართველომ აკაკი ბაქრაძის გარდაცვალების დიდად სამწუხარო ამბავი შეიტყო.

გარდაიცვალა არა მარტო დიდი მოაზროვნე და მწერალი, არამედ კაცი, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევარში გუსი და შიმართულება მისცა ჩვენს არსებობას, თითქმის საუკუნის მერე ლამის ხელმე-სახეები განადა ილიას მოხუცის ნატვრა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუდნესო!“

აკაკი ბაქრაძეს ნაუცბათვე წერილს ვერ ვკადრებთ. ჟურნალის შემდგომი ნომერი საგანგებოდ მისი ჰიროვნებისა და ღვაწლის წარმოჩენას მიეძღვნება.

\*\*\*

ფილოლოგიის უაკულტეტის სამეცნიერო საბჭო და  
ქურნალის რედაქცია მაღლობას მოახსენებს ბატონ გოგი  
თოფაძეს შეჭირვებაში მყოფი ჩვენი თანამშრომლის  
დახმარებისათვის.

ბატონო გოგი, თქვენთან ერთად გვჯერა —  
„ქარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახლების...“

ჟურნალი აინყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე

კომპიუტერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა:

ლელა ჰაველიაშვილი,  
მარიამ ქილიფთარი,  
დოდო ლადუა,  
მაია ჩაჩხუნაშვილი,  
კახაბერ ჭეიშვილი

გარეკანი —თამარ მინაშვილისა

© ლიტერატურა და სხვა

---

